გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№9

გამოდის 2011 წლიდან

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

სარედაქციო საბჭო

მთავარი რედაქტორი - გიორგი მათიაშვილი, რექტორი, პროფესორი
მთავარი რედაქტორის მოადგილე - მაია უკლება, პროფესორი.

საბჭოს წევრები:
გელა ალადაშვილი, პროფესორი;
ნონა ახალაშვილი, პროფესორი;
ჩერეკ ბუსტრა, გთუნის საპატიო დოქტორი (ნიდერლანდები);
ინგა დიაკონიძე, პროფესორი;
ვალერი ვაშაკიძე, პროფესორი;
მარინა ვეკუა, პროფესორი;
ამირან თავართქილაძე, პროფესორი;
სერგეი იაკუბოვსკი, პროფესორი (უკრაინა);
გივი ლობჟანიძე, პროფესორი;
ამიდ ნიზჰადი, პროფესორი (აშშ);
რაინჰარდ პაულინგი, პროფესორი (გერმანია);
თალიკო ჟვანია, პროფესორი;
იორნ ვან რიი, პროფესორი, ინჰოლანდის უნივერსიტეტი, (ნიდერლანდები);
ჟილ რუე, პროფესორი (საფრანგეთი);
შენგელი ფიცხელაური, პროფესორი;
რომან შენგელია, პროფესორი;
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე, პროფესორი;
ბარბარა ჰაინესი, პროფესორი (აშშ);
ვაჟა ხუჭუა, პროფესორი.

EDITORIAL BOARD

Chief Editor – Giorgi Matiashvili, Rector, Professor
Vice Chief Editor - Maia Ukleba, Professor

Board members:
Gela Aladashvili, Professor;
Nona Akhalashvili, Professor;
Tjerk Busstra, Honorary Doctor of GTUNI (The Netherlands);
Inga Diakonidze, Professor;
Valeri Vashakidze, Professor;
Marina Vekua, Professor;
Amiran Tavartkiladze, Professor;
Sergei Yakubovskyi, Professor (Ukrain);
Givi Lobzhanidze, Professor
Hameed Nezhad (USA);
Reinhard Pauling, Professor (Germany);
Taliko Zhvania, Professor;
Jorn van Rij, Professor, Inholland University (The Netherlands);
Gilles Rouet, Professor (France);
Shengeli Pitskhelauri, Professor
Roman Shengelia, Professor;
Lali Chagelishvili-Agladze, Professor;
Barbara B. Hines, Professor (USA);
Vazha Khutchua, Professor.

ISSN 2587-4543

© შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2019

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2019
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TBILISI TEACHING UNIVERSITY VOLUME №9

Published since 2011

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2019

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ყოველწლიურ, მრავალდარგობრივ სამეცნიერო შრომათა კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება სამართლის, ეკონომიკის, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხების კვლევას.

გამოცემის მიზანია, ხელი შეუწყოს ქართველი და უცხოელი ავტორების, განსაკუთრებით, ახალგაზრ-და სპეციალისტების, მეცნიერული ძიების გაღრმავებას, ორიგინალური კონცეფციების წარმოჩენას, აკადემიური კონტაქტების გაფართოებას და ერთობლივი სამეცნიერო – კვლევითი პროექტების შექმნას, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გახორციელებული საქმიანობის შედეგად შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

The papers presented in annual, multi-branch journal _Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University_ cover the acute problems of economic, social, humanitarian and law sciences.

The purpose of the journal is to foster the scientific research carried out by Georgian and foreign authors, especially those conducted by young specialists; reveal and encourage original conceptions; broaden academic contacts and create joint scientific and research projects; highlight the conclusions and recommendations offered by international organizations, as a consequence of their work carried out in Georgia.

შინაარსი
CONTENTS

სამართლის მეცნიერებები
SCIENCES OF LAW

ვენედი ბენიძე – კონსტიტუციური ცვლილებები და საპროკურორო საქმიანობა..... 7
Venedi Benidze – Constitutional Amendments and the Role of a Prosecutor

ნინო ბოჭორიშვილი – მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე სამი წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრობლემა და საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები 12
Nino Bochorishvili – Problem of Judges' Appointment with Three Year Experience and Changes made in the Georgian Constitution

გივი ლობჟანიძე – ბიზანტიური წყაროები ქართული სახელწიფოსა და სამართლის შესახებ 20
Givi Lobzhanidze – Byzantine Resources on Georgian State and Law

დავით ლობჟანიძე – სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვის კონცეფცია 26
Davit Lobzhanidze – The Conception of Social, Political and Legal Vision

ედიშერ ფუტკარაძე – სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი 30
Edisher Putkaradze – Some Actual issues of Penalty Imposition and its Execution

დავით სუხიტაშვილი – ვალდებულების შესრულების ვადების ზოგიერთი თავისებურება..... 37
Davit Sukhitashvili – Some Peculiarities of Timeframes for Fulfilling Obligations

ეკონომიკის მეცნიერებები
SCIENCE OF ECONOMICS

დავით ვეკუა – საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები 37
Davit Vekua – Challenges existing at the Georgian insurance market and ways to address them.

სიმონ (ამირან) თავართქილაძე – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება და მისი პოლიტიკურ ეკონომიკური ასპექტები..... 52
Simon (Amiran) Tavartkiladze – The First International Treaty of the Democratic Republic of Georgia and its Political-Economic Aspects

ნიკო კვარაცხელია – სკოლის ექსკურსიები თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში..... 65
Niko Kvaratskhelia – School excursions in the context of modern education reform

ზურაბ ლაოშვილი, ანა ირემაშვილი, ლადო გრიგოლია – გეოინფორმაციული სისტემების თანამედროვე ტენდენციები 79
Zurab Laoshvili, Anna Iremashvili, Lado Grigolia – Modern Tendencies of GIS

ნინო მელითაური – ევროკავშირის ბაზარზე გრძელვადიანი ხელშეკრულებების არარსებობა და კეთილსინდისიერების („good faith“) პრინციპი ქართული ეკონომიკის რეალობაში..... 86
Nino Melitauri – Short-run contracts on Europian Union market and („good faith“) principle in the reality of Georgian economy

გიორგი სახოკია – ფინანსური კონტროლის მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში 92
Giorgi Sakhokia – The significance and place of financial control in the state control system

ს ო ც ი ლ უ რ ი დ ა ჰ უ მ ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ე ბ ი
HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

ნონა ახალაშვილი, ანი კოპალიანი – პიროვნების პროფესია და დაცვითი მექანიზმის სტილი 103
Nona Akhalashvili, Ani Kopaliani – Personality Profession and Folding Mechanism Style

ნონა ახალაშვილი, ლიკა შენგელია – ანდროგინია – XXI საუკუნის ნაკლი თუ უპირატესობა 109
Nona Akhalashvili, Lika Shengelia – Androgyny – the disadvantage or advantage of the 21st century

მაკო გაგნიძე – აუტიზმის სპექტრის აშლილობა..... 115
Mako Gagnidze – Autism spectrum disorder

მართა კლდიაშვილი, დავით ზურაბაშვილი, გიორგი ფარულავა – ზოგიერთი მორფო-ფსიქოლოგიური პარამეტრის შესწავლა სხვადასხვა სახეობის სპორტსმენთა ჯგუფში 120
Marta Kldiashvili, Davit Zurabashvili, Giorgi Parulava – Study of some morpho-psychological parameters in different types of athletes

მარინა მენთეშაშვილი, თამარ მერაბიშვილი – რეკლამის კვლევისადმი სოციო-კულტურული მიდგომის საკითხი 124
Marina Menteshashvili, Tamar Merabishvili – The Issue of a Social-Cultural Approach to Advertising Research

ალექსანდრე რუსეცკი – ნეოლოგიური კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის კომპონენტი 127
Alexander Rusetski – Neological conflict as a component of complex system of Abkhazian conflict

თამარ ფანცულაია – ტოლერანტობა – დათმენა..... 133
Tamar Pantsulaia – Tolerance and Patience

ნინო ყუფარაძე – ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ქრისტიანულ ღირებულებით ორიენტაციებში 136
Nino Kuparadze – Christian Comprehensions About Health and Illness

სამართლის მეცნიერებები

ვენედი ბენიძე

კონსტიტუციური ცვლილებები და საპროკურორო საქმიანობა

კონსტიტუციის ახალი რედაქციით და ორგანული კანონით მართალია არსებითად არ შეცვლილა პროკურატურის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები, მაგრამ პროკურატურის დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბება შექმნის იმის მყარ საფუძველს, რომ იგი ხელისუფლების სხვა შტოებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იქნება (ყოველ შემთხვევაში საკანონმდებლო გარანტიების დონეზე მაინც) და აღარ დაეკისრება ისეთი მოვალეობები, რომელიც ფუნქციურად არ არის გათვალისწინებული კონსტიტუციითა და ორგანული კანონით. (აღნიშნულის მწარე მაგალითი წარსულში არაერთი არსებობს).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაერთხელ შეიცვალა საპროკურორო საქმიანობის შინაარსი და ადგილი კანონმდებლობაში, პროცესი დღესაც გრძელდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის 17 დეკემბერს ძალაში შესული საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციით და საქართველოს „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონით აღსდგა ისტორიული სამართლიანობა და პროკურატურა ხელისუფლების სხვა შტოებისაგან რეორგანიზებული, სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუცია გახდა. კონსტიტუციურ დონეზე შეიქმნა იმის მყარი გარანტია, რომ პროკურატურა არ იქნება ცალკეულ თანამდებობის პირთა თვითნებობის ობიექტი და ხელისუფლებაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად აღარასოდეს გახდება იგი აღმასრულებელ ხელისუფლების ნაწილი.

ახალი ორგანული კანონით შემოღებულ იქნა რიგი სიახლეები, რომელიც უდავოდ შეუწყობს ხელს პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განმტკიცებას, კანონიერებისა და სამართლიანობის დამკვიდრებას, კერძო და იურიდიულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას. აღვნიშნავთ რამდენიმე მათგანს.

ხელშესახებად შეიცვალა პროკურატურის სტრუქტურა და მისი მართვის სახხოკია პრინციპები. გაიზარდა გენერალური პროკურორის უფლებამოსილება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს პროკურატურის ერთიანობისა და ცენტრალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპს, კონსტიტუციითა და ორგანული კანონით იქნა გარანტირებული საპროკურორო საბჭოს შექმნა და განისაზღვრა მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. გაიზარდა ამ საბჭოს ფუნქციები და ამოცანები. მეტი დამოუკიდებლობა და თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მიეცათ ავტონომიურ და რეგიონალურ პროკურატურებს. სასიკეთოდ შეიცვალა და უფრო სრულყოფილი გახდა გენერალური პროკურორის თანამდებობაზე გამწესების კრიტერიუმები, მისი ვადამდე გათავისუფლების და უფლებამოსილების შეწყვეტის წესი, გაუქმდა პროკურატურის ორგანოების საქმიანობისათვის სრულიად მიუღებელი საგანგებო პროკურორის ინსტიტუტი. შეიქმნა ახალი, მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოები, კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს და სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის სახით, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა და განმტკიცდა აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებასთან ურთიერთობა, უფრო სრულყოფილი გახდა პროკურატურის ორგანოებში თანამდებობის დაკავების წესი და კრიტერიუმები, შემოღებულ იქნა პროკურატურის თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი პირის წინასწარი შემოწმება ნასამართლობაზე, შემოსავალთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტებში წილთა ფლობის საკითხზე და ა.შ.. დაინერგა პროკურატურის თანამშრომლის საქმიანობის შეფასების წესი და პროცედურა, შესაბამისი გასაჩივრების უფლებით, შემოღებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის კატეგორიები (მსუბუქი, საშუალო, მძიმე) და რაც მთავარია გაძლიერდა პროკურატურის საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლი, რაც უნდა განხორციელდეს პროკურატურის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის მოსმენით და რაც არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის

საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ყველა ეს სიახლე, როგორც აღვნიშნეთ, უდავოდ დადებით გავლენას მოახდენს პროკურატურის საქმიანობის გაუმჯობესებასა და სრულყოფაზე.

ზემოაღნიშნულ დადებით პოზიციებთან ერთად გვაქვს რამდენიმე შენიშვნა „პროკურატურის შესახებ“ კანონთან მიმართებაში, რომლის გათვალისწინებითაც კიდევ უფრო სრულყოფილი და ეფექტური გახდებოდა პროკურატურის ორგანოების საქმიანობა. კერძოდ:

არ მიგვაჩნია სწორად საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების წესი, რადგან იგი რაიმე კანონზომიერებას არ ემყარება. კანონის მე-19 მუხლის მიხედვით საპროკურორო საბჭო შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან 8 წევრს ირჩევს საქართველოს პროკურორთა კონფერენცია პროკურატურის თანამშრომლებისაგან, 2 წევრს ირჩევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავისი რეგლამენტით დადგენილი წესით საქართველოს საერთო მოსამართლეთაგან (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა საბჭო ნიშნავს). 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი უმრავლესობიდან და უმცირესობიდან, ასევე 2 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით და 1 წევრს პარლამენტი ირჩევს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.

ამ პირობებში გაუგებარია რა პრინციპით შეირჩა იუსტიციის მინისტრი, ანუ მთავრობის რიგითი წევრი საპროკურორო საბჭოს წევრის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილებით, მაშინ როდესაც პროკურატურას არავითარი შემხებლობა აღარ აქვს იუსტიციის მინისტრთან (აღარ არის პროკურატურა იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება) და იგი სრულიად დამოუკიდებელი ინსტიტუტია. გასაგები და მისაღები იქნებოდა ასეთი უფლებამოსილებით აღჭურვილიყო თვით მთავრობა, რომლის წევრი იუსტიციის მინისტრიც არის და მას გაეთვალისწინებინა მინისტრის პოზიცია. ასევე მიზანშეწონილი იყო იმ 2 წევრისაგან, რომელსაც პარლამენტი ირჩევს, პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ერთი წევრობის კანდიდატი წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს იმავე წესით. ასეთი წესით საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტებით უზრუნველყოფილი იქნებოდა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოს ჩართულობა და მონაწილეობა საპროკურორო საბჭოს საქმიანობაში, რაც საბჭოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე არ შეიძლება ჩაითვალოს პროკურატურის საქმიანობაში ჩარევად.

სრულიად მიუღებლად მიგვაჩნია საპროკურორო საბჭოს თავჯდომარის არჩევის კანონით დადგენილი წესი, რომელიც ჩვენის აზრით, აკნინებს ამ საბჭოს თავჯდომარის საქმიანობის როლს და ავტორიტეტს. საპროკურორო საბჭოს თავჯდომარეს საკმაოდ სერიოზული უფლებამოსილებები გააჩნია, თუნდაც გენერალური პროკურორის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით, რომლის ხმას, ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ამდენად მისი არჩევა არ უნდა იყოს ისე გამარტივებული, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. კერძოდ: „პროკურატურის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად საპროკურორო საბჭოს თავმჯდომარეს თავის წევრთაგან, 2 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საპროკურორო საბჭო სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (და არა სიით შემადგენლობის უმრავლესობით) საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი (ნაწილი მე-15) ე.ი. ვიღებთ ასეთ მოცემულობას, საბჭო უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა თუ 15 წევრიდან მას ესწრება უმრავლესობა ანუ 8 წევრი, ხოლო თავჯდომარე შეუძლია აირჩიოს ამ 8 წევრის უმრავლესობამ, ანუ 5-მა წევრმა. ასეთი წესით არჩეულ საბჭოს თავმჯდომარეს ცხადია ვერ ექნება ისეთი ლეგიტიმაცია, რომ გადამწყვეტი ხმის უფლება ჰქონდეს საქართველოს გენერალური პროკურორის კანდიდატურის შერჩევის საკითხში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბჭოს 8 წევრს ირჩევს თვით პროკურორთა კონფერენცია და სურვილის შემთხვევაში საპროკურორო საბჭოს თავჯდომარე ყოველთვის იქნება პროკურატურის თანამშრომელი (ავიღოთ თუნდაც დღევანდელი ვითარება), აღნიშნულმა კი საპროკურორო საბჭოს უფლებამოსილებიდან გამომდინარე შესაძლებელია წარმოშვას ე.წ. „ორხელისუფლებიანობა“ პროკურატურაში (ყოველ შემთხვევაში დისციპლინური დევნის საკითხებთან მიმართებაში მაინც) ან სრულიად დაკნინდეს საბჭოს როლი და მნიშვნელობა.

ასეთ პირობებში კანონში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება და საპროკურორო საბჭოს თავჯდომარის არჩევა მოხდეს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით. ამასთან პროკურორთა

კონფერენციის მიერ საბჭოში არჩეული პროკურატურის თანამშრომელი არ შეიძლება არჩეული იქნას საპროკურორო საბჭოს თავჯდომარედ.

მთავარი კითხვა, რომელიც ორგანული კანონის 68-ე მუხლიდან გამომდინარეობს, არის ის, თუ როგორ უნდა განხორციელდეს საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე, როცა იმავე მუხლით აკრძალულია არამც თუ ანგარიშის მოსმენა, არამედ კითხვის დასმაც კი კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულება სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაა, რაც ცხადია ყოველთვის კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასა და მის სასამართლო განხილვასთან არის დაკავშირებული და თუ პარლამენტი არ იქნება უფლებამოსილი განახორციელოს კონტროლი ამ საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობაზე, ან თუნდაც შედეგზე – სხვა სახის კონტროლი ფიქციაა და მეტი არაფერი. ასეთი რამ პრაქტიკულად არ ხდება. პარლამენტი იძულებული იქნება თავისი მაკონტროლებელი ფუნქციის უზრუნველსაყოფად მოისმინოს კონკრეტული საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის ან შედეგების შესახებ ინფორმაცია და ამის მიხედვით შეაფასოს პროკურატურის, თუ ცალკეულ თანამდებობის პირთა საქმიანობა. მართალია ეს კანონდარღვევა იქნება, მაგრამ ასეთ მოცემულობას თვითონ კანონი უშვებს. ანდა რატომ უნდა შეიქმნას პარლამენტში საგამოძიებო კომისია, თუ მას კონკრეტული საქმის თაობაზე ინფორმაცია არ ექნება და ვერ შეაფასებს ვინ დაუშვა ან რატომ დაუშვეს დარღვევა საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. პარლამენტის რეგლამენტით ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება, რადგან ორგანული კანონი იერარქიულად მაღლა დგას პარლამენტის რეგლამენტზე და მის საწინააღმდეგო დებულებას რეგლამენტი ვერ განსაზღვრავს. მიზანშეწონილი იქნებოდა, ორგანული კანონის 68-ე მუხლში გაკეთებულიყო ასეთი ჩანაწერი: „ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს, გარდა პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებისა.“ ასეთ პირობებში პარლამენტის რეგლამენტში განსაზღვრულიყო ის შემთხვევები, როცა პარლამენტი ან მის მიერ შექმნილი საგამოძიებო კომისია საგამონაკლისო წესით ისმენს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის გამოძიების ან მისი სასამართლო განხილვის შედეგებზე და აძლევს მას სათანადო შეფასებას.

არ მიგვაჩნია სწორად იმ წესის დამკვიდრება, როცა პროკურორთა კონფერენციის მიერ არჩეული 8 წევრის და გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის და მოადგილეების დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს საპროკურორო საბჭო და ასეთი უფლება გენერალურ პროკურორს არ გააჩნია. ეს მაშინ, როცა პროკურატურის ყველა თანამშრომელს, მათ შორის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს თვით გენერალური პროკურორი. კანონით მკაცრად განსაზღვრული ცენტრალიზაციის პრინციპის დაცვით – სწორედ თანამდებობაზე დამნიშნავი პირი, ანუ გენერალური პროკურორი, უნდა ფლობდეს მის მიერ დანიშნულ ყველა თანამშრომელზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებამოსილებას და ამ უფლების საპროკურორო საბჭოზე გადაკისრება არ შეესაბამება პროკურატურის ცენტრალიზაციის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს. თუ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაზეა საუბარი, მაშინ შესაძლებელია დავუშვათ, რომ გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები გენერალურმა პროკურორმა დანიშნოს მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ დასახელებულ კანდიდატებს მხარს დაუჭერს საპროკურორო საბჭოს წევრთა სიით შემადგენლობის არანაკლებ 2/3. ასეთ პირობებში მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილების გადაკისრება საპროკურორო საბჭოსათვის უფრო მისაღები და სამართლიანი იქნება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ორგანული კანონით, პროკურატურის თანამშრომლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა დაიყო სამ კატეგორიად, მსუბუქ, საშუალო და მძიმე გადაცდომებად. ასევე განისაზღვრა დისციპლინური სახდელის სახეები: შენიშვნა, საყვედური, თანამდებობრივი სარგოს 30%-მე ოდენობით დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით, უფრო დაბალ რანგზე გადაყვანა, დაქვეითება და დათხოვნა. კანონმა მკაცრად განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში შეიძლება ამ სახის დისციპლინური სახდელის გამოყენება. თუმცა, კანონის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ არ არის განსაზღვრული რა შემთხვევაში და რა დარღვევისთვის შეიძლება დისციპლინურ სახდელად გამოყენებულ იქნას დაქვეითება. შესაძლებელია

ეს არ იყოს გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხი, მაგრამ კანონმდებლობა შეძლებისდაგვარად უნდა იყოს სრულყოფილი და ყველა სადავო შემთხვევაში სრულყოფილ პასუხს უნდა იძლეოდეს, მით უმეტეს, თუ ეს საკითხი კონკრეტულ დავასთან იქნება დაკავშირებული.

უთუოდ მისასალმებელია ის, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის თანამშრომლის დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში ერთდროული კომპენსაციის თანხა საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ამ მუხლთან მიმართებაში (მუხლი 82) გვაქვს შენიშვნა. კერძოდ: მითითებული მუხლიდან გამომდინარე, თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პროკურატურის თანამშრომელი დაიღუპება თავდასხმის შედეგად, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეძლევა ერთდროული კომპენსაცია 100 000 ლარის ოდენობით, ხოლო თუ იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა სხვა პირობებში, მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთდროულად ეძლევა კომპენსაცია 15 000 ლარის ოდენობით. რას ემყარება კანონის ეს მოსაზრება სრულიად გაურკვეველია. პროკურატურის თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს თავდასხმით დაიღუპება თუ ავტოსაგზაო შემთხვევით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს მეწყერში მოხვედრით და ა.შ. ამას არ უნდა ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა. კომპენსაციის განსაზღვრა აღნიშნულის მიხედვით არ შეიძლება ხდებოდეს. დაღუპვა – დაღუპვაა და თუ პროკურატურის თანამშრომელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იღუპება, ან იღებს დასახიჩრებას, ერთდროული კომპენსაციის წესი ერთიანი უნდა იყოს და დაუშვებელია მისი სხვაგვარად დიფერენცირება.

არასწორად მიგვაჩნია ახალი ორგანული კანონის 76-ე მუხლის მე-16 ნაწილის რედაქცია, რომლის შესაბამისადაც „პროკურატურის თანამშრომლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პროკურატურიდან მისი დათხოვნის საკითხს წყვეტს გენერალური პროკურორი, ამ ქმედების ჩადენიდან გასული დროის მიუხედავად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“ ამ ნორმის შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურორს რჩება უფლება თავის შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს და არ დაითხოვოს პროკურატურის თანამშრომელი პროკურატურიდან, თუნდაც მას განზრახი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი, ეს კი ყოვლად დაუშვებელია. პროკურატურის თანამშრომელი, რომელმაც განზრახი დანაშაული ჩაიდინა, აუცილებლად უნდა იყოს დათხოვნილი პროკურატურის ორგანოებიდან (როგორც ეს წინათ მოქმედ კანონში იყო გათვალისწინებული) და გენერალურ პროკურორს არ შეიძლება ჰქონდეს არჩევანის უფლება გადაწყვეტილების მიღებისას. ამავე ნაწილში საკმაოდ ბუნდოვანია სიტყვები „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“, სადაც რომელ კანონზე ან რა საფუძველზეა საუბარი გაუგებარია.

სრულიად შეუსაბამო და არაადექვატურია კანონის 36-ე მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად, ქ. თბილისის პროკურორად, საოლქო პროკურორებად და გენერალური პროკურატურის დეპარტამენტების უფროსებად, რაიონულ პროკურორებად შეიძლება დაწინაურდეს პროკურორი (პროკურატურის გამომძიებელი) თუ მას აქვს პროკურორად და გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება, ხოლო გენერალური პროკურატურის სამმართველოების უფროსებად, საგამოძიებო ნაწილის უფროსებად და რაიონული პროკურატურების მოადგილეებად, პროკურორი ან გამომძიებელი, რომელსაც აქვს მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

წარმოუდგენელია ასეთი სტაჟისა და გამოცდილების მქონე მუშაკს ანდო ისეთი თანამდებობები, როგორიც არის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორობა, გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის თავჯდომარეობა, ქ. თბილისის პროკურორობა თუ საოლქო პროკურორობა. პროკურატურის მუშაკი არ ფასდება მხოლოდ მისი თეორიული ცოდნით, თუ კანონმდებლობის სწორად გამოყენების უნარით, პროკურორი პირველ რიგში საელმწიფო მოღვაწეა და როცა იგი მაღალ თანამდებობას იკავებს, მას შესაბამის ცოდნასთან ერთად, სათანადო გამოცდილებაც უნდა გააჩნდეს, რაც შეიძლება შეძენილი იქნას მხოლოდ მრავალწლიანი სამუშაო პრაქტიკით. 2-3 წელიწადში იგი არ შეიძლება სრულყოფილ პროკურორად ჩამოყალიბდეს. მიგვაჩნია, რომ ყველა ზემოხსენებულ თანამდებობაზე პროკურორი და გამომძიებელი შეიძლება დაწინაურდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას ექნება პროკურორად/გამომძიებლად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება ან ერთობლიობაში,

პროკურორად, გამომძიებლად, მოსამართლედ ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად პროკურატურის საქმიანობის სრულყოფის მხრივ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, ზემოაღნიშნულის გარდა, პერიოდულად მივაწვდით საზოგადოებას და პრობლემით დაინტერესებულ პირთა წრეს იმ განსხვავებული მოსაზრებებსა და შენიშვნებს, რომელთა გათვალისწინება წაადგება სისტემის გაჯანსაღების პროცესს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;
4. საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ“, თბ., 2018;
5. გაბისონია ი., პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999.

ვენედი ბენიძე

კონსტიტუციური ცვლილებები და საპროკურორო საქმიანობა

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორი გადმოგვცემს პროკურატურის სტრუქტურულ ცვლილებებს და მისი მართვის დემოკრატიულ პრინციპებს. საუბრობს გენერალური პროკურორის უფლებამოსილების შესახებ, რაც განამტკიცებს პროკურატურის ერთიანობისა და ცენტრალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპს და ასევე განიხილავს სხვა მრავალ სამართლებრივ დეტალს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დადებით პოზიციებთან ერთად ავტორს აქვს რამდენიმე შენიშვნა „პროკურატურის შესახებ“ კანონთან მიმართებაში, რომლის გათვალისწინებითაც კიდევ უფრო სრულყოფილი და ეფექტური გახდებოდა პროკურატურის ორგანოების საქმიანობა.

Venedi Benidze

Constitutional Amendments and the Role of a Prosecutor

Summary

In the given work the author presents the structural changes of the procurator organs activities and its governmental democratic principles. Here is described the authority of the general procurator that strengthens its unity's and centralization's fundamental principles discussing many other legal details towards the mentioned issue.

Together with the positive positions the author has several remarks about ”procurator activities” law and therefore, based on the mentioned one the activities of the procurator organs would become more effective and complete.

ნინო ბოჭორიშვილი

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე სამი წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრობლემა და საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები

შესავალი. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით, აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტი. არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური და სამართლებრივი ფენომენია, რომელიც ადექვატურად ასახავს ხელისუფლების დანაწილების დოქტრინაზე დაფუძნებულ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისადმი სწრაფვას[1].

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია სხვა უამრავ, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის, სასამართლოს განსაკუთრებულ როლზეა ორიენტირებული, რაც, პირველ რიგში, მის დამოუკიდებლობას განაპირობებს[2].

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი ის არის, რომ ხელისუფლება კანონმდებლობით ახდენს სასამართლო პოლიტიკის ფორმირებას, შეიმუშავებს სასამართლო საქმიანობის მთავარ მიმართულებებს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით. ცხადია, ყველა აღნიშნული თავისებურება, მეტ-ნაკლებად საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაზეც ვრცელდება[3].

პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას აზრით, სასამართლო ხელისუფლების როლი და ადგილი სახელმწიფო მოწყობის სისტემაში, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზეა დაფუძნებული, რაც სამი ფაქტორით არის განპირობებული:

- პირველ რიგში, ეს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების მოცულობაა, რომელზეც არის დამოკიდებული მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის ფარგლები;
- მეორე, ეს არის სასამართლო ხელისუფლების თანაფარდობა ხელისუფლების სხვა შტოებთან;
- მესამე, არ შეიძლება შეკავება-გაწონასწორების სისტემის განხილვა, სხვა სახელისუფლებო სტუქტურაში შემავალი ინსტიტუტებისაგან მოწყვეტით, რომლებიც ასრულებენ შინაგანი კონტროლის ფუნქციას და გარკვეული ავტონომიით არიან აღჭურვილნი[4].

პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას მიერ სასამართლო ხელისუფლების როლისა და ადგილის განსაზღვრული სამი ფაქტორი ასახავს მის როლს, მაგრამ ნაკლებად მის ადგილს. საქმე ის არის, რომ ხელისუფლების შტოთა ბალანსში სასამართლოების ადგილი მნიშვნელოვანწილად მისი დამოუკიდებლობის ხარისხზეა დამოკიდებული. ამ თვალსაზრისით, უდავოდ არსებითია სასამართლო ხელისუფლების ფორმირების წესი და მთლიანად სასამართლო სისტემის მართვის პრობლემები, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება ქართულ სამართალში იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

კონსტიტუციონალიზმში, დამოუკიდებელი სასამართლო, ტერმინოლოგიის თვალსაზრისით ურთიერთდაკავშირებულ განზომილებაში განიხილება. მართლმსაჯულების განხორციელება, ცხადია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის იდენტურია, მაგრამ ერთიცა და მეორეც, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზეა დაფუძნებული. სასამართლო ხელისუფლების ფუძის სიმტკიცე

---

1 М.В. Ваглай, Конституционное право Росийской Федерацим, М., 1999, с. 628.

2 ნ. რამიშვილი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 41

3 ო. მელქაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი „ინოვაცია", თბ., 2008, გვ.213.

4 И.В. Михаиловская, Судебная власть как инструмент самоограничения государства/ Судебная власть, Под ред. И.Л. Петрухина, М., Проспект, 2003, с. 32-33

თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობით უნდა იყოს გარანტირებული. ასე რომ, მთელის სიმყარე, შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებლობით არის განმტკიცებული[1].

ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მოსამართლისათვის აუცილებელ თვისებებს. ჯერ კიდევ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმულია (99-ე მუხლი), რომ მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არც პატრონის, არც მშობლების, არც ძმისა და მოყვასთა ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს და მართალ სამართალს გააჩენს[2].

სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მოსამართლეთა დანიშვნის დროს უფლებამოსილების გარანტირებული ვადა მისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა[3] და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევა[4].

ძირითადი ნაწილი. ნებისმიერი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის, სისტემის სტრუქტურას, უფლებამოსილებების ფუნქციების მოცულობაზე და იურიდიულ ბუნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, იგი სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციურ არჩევანზე, ანუ ხელისუფლების დანაწილების მოქმედ სისტემაზეა დამოკიდებული. აქ უმთავრესი ის არის, თუ როგორ არის დაცული აღნიშნული სისტემა კონსტიტუციის მიერ[5].

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები“.

ადამიანის ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემით, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს წევრების დანიშვნის წესს, სასამართლოზე ზემოქმედების მოხდენის აღმკვეთ გარანტიებს, აგრეთვე მოსამართლეთა პირად და სოციალურ უსაფრთხოებას[6]. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ მოთხოვნას და ადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს, რომელთა დიდი ნაწილი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. აღნიშნულ გარანტიაში ორი მოთხოვნაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული – სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რომელთაც ევროპული სასამართლო ყოველთვის ერთად განიხილავს[7].

2010 წელს განხორციელებული ცვლილების მიხედვით შეიცვალა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების ასაკობრივი ცენზი და ვადები. კერძოდ, ”მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება

[1] ნ. რამიშვილი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 42-43.

[2] ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, გამომცემელი „მერიდიანი”, თბ., 2004, გვ 413.

[3] სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები, პრინციპი 12

[4] მოსამართლეთა უნივერსალური ქარტია, 1999, მუხ. 12, იხ. აგრეთვე Commonwealth principles on three branches of Government, Judicial Appointments: http://www.cmja.org/downloads/latimerhouse/commprinthreearms.pdf

[5] ნ. რამიშვილი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუ-ციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005, გვ. 51

[6] სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამომცემელი: საია, რედ: ი. სესიაშვილი, მ. მენაღარიშვილი;

[7] მოსამართლე და მართლმსაჯულება (ევროპული სტანდარტები), მთარგმნელი – ე. გოცირიძე, თბ., 2001

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით". აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან[1].

საკონსტიტუციო ცვლილებით, სამწლიანი გამოსაცდელი ვადის დაწესება ერთობ ბუნდოვანი იყო. მოსამართლის უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით გაუგებარია, რომელი კანონით დადგენილ და რა ასაკის მიღწევაზეა საუბარი ან უვადოდ განწესება როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე დადგენილ ვადას. ამასთან, სამ წლამდე განსაზღვრული ვადით მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობის დაშვება აზრს აკარგვინებს უვადოდ განწესების დემოკრატიულ იდეას[2].

2010 წელს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების კრიტიკული შეფასება ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე დაადგინა, რომ ახალი მოსამართლეების დანიშვნა მოხდებოდა ახალი წესით – სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდგომ უვადოდ. აღნიშნული ვრცელდებოდა ნებისმიერ მოსამართლეზე, რომელიც უფლებამოსილების ათწლიან ვადის დასრულების შემდეგ, კვლავ მოინდომებდა მოსამართლეობას, ისინიც დაინიშნებოდნენ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით. რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს და არალოგიკურს ხდიდა გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობას.

მოსამართლეთა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა, რომელიც თავდაპირველად გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციის 2010 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებებით, ხოლო მისი იმპლემენტაცია განხორციელდა საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონში 2013 წლის პირველ ნოემბერს შესული ცვლილებებით, გაკრიტიკებული იქნა არაერთი საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციის მიერ, როგორც სასამართლო დამოუკიდებლობისთვის საფრთხის შემცველი მექანიზმი[3].

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის R.94 (12) რეკომენდაცია მიუთითებს, რომ „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უნდა იქნას უზრუნველყოფილი კონვენციისა და კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისად, მაგ. კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში კონკრეტული დებულებების შეტანით".

ვენეციის კომისიის 2010 წლის რეკომენდაციით (CDL-AD(2010)004) „სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველმყოფელი ბაზისური პრინციპები უნდა გაიწეროს კონსტიტუციაში ან ექვივალენტურ სამართლებრივ დოკუმენტებში".

2017 წელს იმ მოტივით, რომ კონსტიტუციის წინა რედაქცია შეიცავდა არაერთ ხარვეზს და ნაკლოვანებას, დაიწყო კონსტიტუციაში ცვლილების განხორციელებაზე მუშაობა, ხოლო 2018 წლის 16 დეკემბერს საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტის ინაუგურაციას ქვეყანაში კონსტიტუციის ახალი რედაქციით ამოქმედება მოჰყვება.

კონსტიტუციის ახალი რედაქციით 63-ე მუხლი აღარ ითვალისწინებს მოსამართლეთა დანიშვნას გამოსაცდელი ვადით.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებით 36-ე მუხლის 4[1] პუნქტით თანამდებობაზე გამწესების 3-წლიანი გამოსაცდელი ვადა არ ვრცელდება საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს როგორც მოქმედ, ისე ყოფილ წევრებზე[4]. ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4[1] პუნქტის ნორმატიული შინაარსი, რის საფუძველზე 2017 წლის პირველი ივლისიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება 3 წლის ვადით, რომელიც მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე იყო და სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება ჰქონდა.

---

[1] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010, მუხ. 379.

[2] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010, მუხ. 379.

[3] (CDL-AD(2007)028): „40. „The Venice Commission considers that setting probationary periods can undermine the independence of judges", ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის რეკომენდაცია CDL-AD(2010)028; საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2013 წლის 28 დეკემბერის განცხადება; საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით აღნიშნული რეგულაცია არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი იმ პირთა მიმართ ვისაც გააჩნია 3 წლიანი გამოსაცდელი ვადა

[4] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტი, მიღების თარიღი 08/02/2017, ნომერი 255-IIს

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით სასამართლოს დამოუკიდებლობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტითაც: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას“. კონსტიტუციის ახალ რედაქციაში მოსამართლის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანი ცვლილებით ჩამოყალიბდა 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლითაც „საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელობა გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვადოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი“.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საფუძველზე შექმნილი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ეროვნული სასამართლოების დამოუკიდებლობის შეფასებისას, რამდენიმე ფაქტორს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, მათ შორის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის ვადას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოებში იხილავენ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და კომპეტენტურები. იმისათვის, რომ მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმედოდ დაცული ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოსამართლის დათხოვა იმ მიზეზით, რომ მთავრობას მიუღებლად მიაჩნია მისი გადაწყვეტილება. მოსამართლის დათხოვა შეუძლებელია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ის არღვევს ქცევის წესებს ან თანამდებობისთვის შეუფერებელია გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად დამნაშავე და თანამდებობისთვის შეუფერებელია მოსამართლე, უნდა მიიღოს ორგანომ, რომელიც მთავრობისაგან დამოუკიდებელი ადამიანებითაა დაკომპლექტებული. მექრთამეობის რისკის გამოსარიცხად მოსამართლეები სათანადო ანაზღაურებას უნდა იღებდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება და უნდა გააჩნდეთ კანონის გამოყენების პროფესიული გამოცდილება.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „საერთო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლით, „მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში”[1].

ასევე აღსანიშნავია რომ საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ გამოითქვა არაერთი შენიშვნა და გაიცა რეკომენდაციები საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციების[2] მიერ თუმცა 2013 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით,[3] დღემდე, დაკანონებულია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა. მაშინ როდესაც, გამოსაცდელი ვადით დანიშვნას, ვენეციის კომისია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველად მიიჩნევდა. შესაბამისი რეკომენდაცია კონსტიტუციურ საკითხებში ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანომ საქართველოს ჯერ კიდევ 2010 წელს მისცა.

მოსამართლის დანიშვნის ვადებთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციასა და საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებებით მივიღეთ განსხვავებული მიდგომები, ანუ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-6

[1] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41, 08.12.2009, მუხ. 300.

[2] ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის რეკომენდაცია CDL-AD(2010)028; ასევე საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2013 წლის 28 დეკემბერის განცხადება.

[3] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, ქუთაისი, 1 ნოემბერი 2013 წელი; N1489-Iს.

პუნქტით „საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე“. აქედან გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციით მოსამართლეთა უვადოდ გამწესებამდე 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავს, მაშინ როდესაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით ეს დასაშვებია, კერძოდ 36-ე მუხლის 4[1] პუნქტით „სააპელაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების 3-წლიანი ვადა არ ვრცელდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ან უზენაესი სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ წევრზე, სააპელაციო ან რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოქმედ ან ყოფილ მოსამართლეზე, თუ მას აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და ყოფილი მოსამართლის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტიდან 10 წელი არ გასულა.

ფაქტია, რომ არაერთი საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციების მხრიდან გაკრიტიკების მიუხედავად, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში დღემდე ვინარჩუნებთ ჩანაწერს მოსამართლეთა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის შესახებ. მთავარი პრობლემა, რაც გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნას უკავშირდება არის ის, რომ გამოსაცდელ ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მოსამართლეთა უვადოდ გამწესების შესაძლებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსის შეფასების საშუალებას იძლევა. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველ პუნქტში კი ვკითხულობთ: „არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე”. თუმცა ვიღებთ სურათს როდესაც მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამართლეს ახსნა-განმარტებას პირდაპირ არ მოსთხოვენ, მაგრამ თანამდებობის შენარჩუნება მოსამართლის გადაწყვეტილებათა შინაარსს დაუკავშირდება, რითაც ახსნა-განმარტების ტოლფას ეფექტს ვიღებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, გადაწყვეტილების დაუსაბუთებულობა აპელაციის საფუძვლადაა მიჩნეული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსამართლის შეფასების ეს კრიტერიუმი შინაარსობრივ მხარესთან პირდაპირ კავშირშია, რისი გაკონტროლებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკრძალულია.

უნდა აღნიშნოს, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადებთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადების კონსტიტუციურობის საკითხზე. კერძოდ, 85[2]–ე მუხლის 1-ლი პუნქტის (1999 წლის მდგომარეობით) კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რომლიც განსაზღვრულ გარემოებაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს მოსამართლის, პრეზიდენტის განკარგულებით 18 თვის ვადით დანიშვნას ითვალისწინებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, დაადგინა, რომ ხანმოკლე ვადით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამ უარყოფითად იმოქმედა მოსამართლის დამოუკიდებლობაზე მაშინ, როდესაც, მოსამართლის ხანგრძლივი ვადით ან სიცოცხლის ვადით დანიშვნა დამოუკიდებლობის განმამტკიცებელი ფაქტორია. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი მოხელე ნაკლები სოციალური დაცვით სარგებლობდა, ვიდრე 10 წლის ვადით განწესებული მოსამართლეები. საქმის არსებითად განხილვის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსამართლეთა 10 წლის ვადით დანიშვნა პრაქტიკაში მათი საწყისი 18-თვიანი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში ქცევის მიხედვით წყდებოდა. 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 852–ე მუხლის 1-ლი პუნქტი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა[1].

სამწუხაროდ, 2010 წლიდან 2017 წლამდე საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების ამგვარი შესაძლებლობა შეზღუდული იყო, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსამართლის დროებითი დანიშვნის სამწლიან ვადას უკვე თავად კონსტიტუცია უშვებდა და მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადება შეუძლებელი გახდა. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და მის აღმოსაფხვრელად საჭირო

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2003 N 1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება.

ხდებოდა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება[1]. კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციით სამ წლიანი გამოსაცდელი ვადა გათვალისწინებული არ არის, თუმცა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით შენარჩუნებულია გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკა, რაც არაკონსტიტუციურია.

ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია ითვალისწინებს გამოსაცდელი ვადის გაუქმებას, ასევე უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის სისტემის შემოღებას.[2] რომელიც ასევე ასახულია საქართველოს კონსტიტუციაში, ანუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები 10 წლიანი ვადით არჩევის ნაცვლად უნდა აირჩეს უვადოდ. აღსანიშნავია, რომ 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგია სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით ამოცანად ისახავს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა საგამოცდო ვადით დანიშვნის გაუქმებას, კერძოდ 1.1.1. პუნქტით „გაუქმდეს/აიკრძალოს მოსამართლის საგამოცდო ვადით დანიშვნა საერთო სასამართლოების სისტემაში. მოსამართლე გამწესდეს უვადოდ, საპენსიო ასაკამდე". თუმცა იქვე განმარტავს, რომ „ამ ნორმის ამოქმედება შეიძლება გადავადდეს იმ დრომდე, სანამ არ გაუმჯობესდება საკვალიფიკაციო გამოცდის, კანდიდატთა შერჩევისა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლის ვადა და ხარისხი, არ ჩამოყალიბდება მოსამართლეთა მუდმივი პროფესიული შეფასების ეფექტიანი სისტემა. საგამოცდო ვადით დანიშვნა შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში".

დასკვნა. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 2010 წლიდან 2017 წლამდე, მოსამართლის დროებითი დანიშვნის სამწლიან ვადას თავად კონსტიტუცია ითვალისწინებდა და მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადება შეუძლებელი იყო. ხოლო კონსტიტუციის დღევანდელი რედაქციით სამ წლიანი გამოსაცდელი ვადა გათვალისწინებული არ არის, თუმცა საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით შენარჩუნებულია გამოსაცდელი ვადით მოსამართლეთა დანიშვნის პრაქტიკა, რაც მიანიშნებს ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. როგორც ვიცით, სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოსამართლეთა უფლებამოსილება, რომელიც ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობისა და სამართლიანობის იდეის განხორციელების მიზნით არაერთხელ დაიხვეწა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ხარჯზე, ისე ცვლილებების გზით. შესაბამისად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს სრულყოფილებასთან მიახლოებულ კანონმდებლობის შექმნას. მრავალწლიანმა ისტორიულმა წარსულმა დაადასტურა, რომ მიუხედავად არაერთი ქვეყნის კანონმდებლების გულმოდგინე მცდელობისა, ვერ შეიქმნა ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც დროსთან მიმართებაში შესაბამის ცვლილებს არ საჭიროებდეს. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა აღნიშნულ და სხვა პრობლემათა გამოსწორების მიზნით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. მელქაძე ო., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემელი "ინოვაცია", თბ., 2008;
2. რამიშვილი ნ., სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005;
3. მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, გამომცემელი „მერიდიანი", თბ., 2004;
4. სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამომცემელი: საია, რედ.: ი. სესიაშვილი,მ. მენაღარიშვილი;
5. მოსამართლე და მართლმსაჯულება (ევროპული სტანდარტები), მთარგმნელი ე. გოცირიძე, თბ., 2001;
6. სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები, პრინციპი 12;

[1] საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010, მუხ. 379.

[2] იხ. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, გვ. 21, ABA სასამართლო რეფორმის ინდექსი, 2008, გვ. 96

7. მოსამართლეთა უნივერსალური ქარტია, 1999, მუხ. 12, აგრეთვე Commonwealth principles on three branches of Government, Judicial Appointments;
8. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010;
9. საქართველოს ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", №2257, სსმ I, №41, 08.12.2009;
10. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონი, N1489-Iს, ქუთაისი, 1 ნოემბერი 2013;
11. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს პარლამენტი, N 255-IIს, მიღების თარიღი 08/02/2017;
12. აგრეთვე ვენეციის კომისიის 2010 წლის 15 ოქტომბრის რეკომენდაცია CDL-AD(2010)028;
13. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგია, ABA სასამართლო რეფორმის ინდექსი, 2008;
14. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება;
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2003 N 1/1/138,171,179,209 გადაწყვეტილება;
16. Ваглай М.В., Конституционное право Росийской Федерации, М., 1999;
17. Михаиловская И.В., Судебная власть как инструмент самоограничения государства/ Судебная власть, Под ред. И.Л. Петрухина, М., Проспект, 2003.

ნინო ბოჭორიშვილი

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრობლემა და საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებები

რეზიუმე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოებში იხილავენ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და კომპეტენტურები. იმისათვის, რომ მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმედოდ დაცული ვადით.

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს სრულყოფილებასთან მიახლოებული კანონმდებლობის შექმნას. სამართლებრივი სახელმწიფოს აღნიშნული პრონციპების გათვალისწინებით, შეიძლება დადებითად შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის ახალი დერაქციით შემოთავაზებული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონსტიტუციის ახალმა რედაქციამ ურთიერთობათა მოწესრიგების გზად უმეტეს შემთხვევაში კანონი ან ორგანული კანონი მიუთითა, მაშინ როდესაც უმეტეს სამართლებრივ აქტებში განხორციელებული არ არის შესაბამისი ცვლიელებები, ძნელია განჭვრიტო, რიგი ურთიერთობების შემდგომი მოწესრიგების სამართლიანობა.

Nino Bochorishvili

Problem of Judges' Appointment with Three Year Experience and Changes made in the Georgian Constitution

Summary

Based on the European Court of human rights those judges who discuss the issues connected to the rights must be independent and competent. In order to be independent he must be secured with the definite terms.

Democratic and legal state means to establish complete legislation. Taking into account the respective principles of the legal state, it may be positively assessed the fundamental rights of the people proposed by the new edition of the Constitution of Georgia, however, it is important to note that the new edition of the constitution in most cases indicated the law or organic law as the way of regulation of the relations, whereas in most legal acts there are performed no relevant amendments, it is difficult to foresee the fairness of further regulation of the relations.

გივი ლობჟანიძე

ბიზანტიური წყაროები ქართული სახელწიფოსა და სამართლის შესახებ

ვინ არიან ქართველები? ეს შეკითხვა ხშირად დასმულა სამეცნიერო წრეებში, პასუხიც იმისდა მიხედვით გაიცემოდა, თუ ვის რა წყაროები და ინფორმაცია გააჩნდა მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ერზე, ქართველებსა და საქართველოს სახელმწიფოზე.

ერთ ნაშრომში ვერ წარმოვაჩენთ საქართველოს მთელ ისტორიას, მაგრამ შევეცდებით წყაროებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით განვიხილოთ ქართველი ხალხის ადგილი, ძველ აღმოსავლეთსა და ბიზანტიასთან მიმართებაში.

როგორც წყაროები გვამცნობენ ძველი წ. აღ. მე-8 საუკუნეში ქართველები სამ ტომობრივ გაერთიანებაზე აღმოცენდნენ: სვანი, ზანი – მეგრელი ლაზი (იგივე კოლხი) და ქართი. მათ ფუძეზე დაუნჯდა სხვადასხვა კუთხეები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა, მესხეთი, გურია, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, გუდამაყარი, ხევი, მთიულეთი, თიანეთი, ტაო, კლარჯეთი, იმერხევი, შავშეთი, ლაზეთი, ჰერეთი, ფერეიდანი, რომელთა ნაწილი თურქეთს, ირანს და აზერბაიჯანს ეკუთვნის და ა. შ.

მსოფლიო ისტორიამ შემოინახა ცნობები უძველესი წარმოშობისა და კულტურის ხალხებზე, რომელთა შორის სახელმწიფოებრიობის წარმოშობის გარიჟრაჟზე, ბევრმა მონათმფლობელობისა და ფეოდალურ ხანაში დაასრულა თავისი არსებობა – საერთოდ გადაშენდა, ანდა დაკარგა თვითმყოფადობა, ასიმილირებული იქნა სხვა ხალხებში, გაქრა მათი ენა და კულტურა.

ქართველური წარმოშობის ტომებმა და მათმა გაერთიანებებმა უძველეს ხანაში არა თუ თვითმყოფადობა შეინარჩუნა, არამედ აქტიური კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები დაამყარა ძველი აღმოსავლეთის უძველესი კულტურის ხალხებთან, ხეთებთან, მიტანელებთან, ურარტუელებთან, და უახლოეს თუ შორეულ მეზობლებთან. სწორედ ამ ქართველმა ტომებმა ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ. მე-6 საუკუნეში შექმნეს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და მათი გაერთიანებანი, როგორც დასავლეთ ნაწილში, ისე აღმოსავლეთში.

ისტორიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის თაობაზე. ნაწილი თვლის, რომ სამი ათასი წლის წინათ ქართველი ხალხის შორეულ წინაპრებს უკვე ჰქონდათ სახელმწიფო, ზოგს მიაჩნია, რომ მისი სათავეები გაცილებით ადრეულ პერიოდში უნდა ვეძებოთ.

ანტიკური ხანის ბერძნულ წყაროებში ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებას კოლხებს უწოდებენ, აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებს კი – იბერებს (სასპერებს).

პირველი ბერძენი მეცნიერი, რომელსაც ფართო ხასიათის მსჯელობა ჰქონდა საქართველოს, კერძოდ, კოლხეთის ბუნებაზე, მის როლზე, კოლხური საზოგადოების განვითარებაზე, იყო ჰიპოკრატე (460-377 წწ.).

მსოფლიო მედიცინის მამამთავარს შეუნიშნავი არ დარჩენია კოლხეთის კულტურა, მისი ჰავის დადებითი და უარყოფითი თვისებები, მაგალითად, ჰავის ზედმეტი სინოტივე, რაც მოსახლეობაში გავრცელებულ სნეულებათა მიზეზი იყო.[1]

კოლხების ეთნიკურ წარმოშობაზე გარკვეულ ცნობებს ვაწყდებით ჰეროდოტესთან, რომლის მიხედვით, კოლხები ეგვიპტური წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ, ამ ვერსიის დასამტკიცებლად და საბუთად მას მოაქვს წინდაცვეთის წესის არსებობა. ამასვე იმეორებს ქრისტეშობამდე I საუკუნის ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი, რომელიც ამბობს: „კოლხების ტომი ეგვიპტური წარმოშობისაა, ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აქ კაცები, მსგავსად ეგვიპტის მცხოვრებლებისა, წინდაცვეთას მისდევენ, რადგანაც იცავენ სამშობლოდან (ე. ი. ეგვიპტიდან) გადმოსახლებულთა წესს, ისევე, როგორც იუდეველებშია მიღებული“.[2]

---

[1] გ. ყორანაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1994 წ., გვ. 15.
[2] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, თბ., 1933 წ., გვ. 28

რა თქმა უნდა, ეს ცნობები სარწმუნოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც ქართველური ტომების საქართველოში მოსვლის პრობლემა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. უკანასკნელ პერიოდში ბოლნისისა და დმანისის რაიონებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საკითხი ახლებურად დააყენა. საერთოდ გადასახედი იქნება ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოშობის საკითხებიც, რადგანც მილიონ რვაასიათასი წლის წინათ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე სახლობდნენ ადამიანები.

საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი (ქ.შ.მდე 64 – ქ.შ.-დან 20 წწ.), წარმოშობით პონტოელი ბერძენი. არის ვარაუდი, რომ ის კოლხეთშიც ნამყოფი უნდა ყოფილიყო. სტრაბონის ნაშრომი „გეოგრაფია“, და განსაკუთრებით მისი მეთერთმეტე თავი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს. სტრაბონის „გეოგრაფიის“ ცნობებით, მაშინდელი საქართველო, სამეურნეო თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: მაღალმთიან, მთიან და ვაკე ზონებად.[1]

იბერიის დაწვრილებითი აღწერა სწორედ სტრაბონთან გვხვდება. სტრაბონის მიხედვით, იბერია, ანუ აღმოსავლეთი საქართველო, ცივილიზებული ქვეყანაა. ის ქალაქებით და დაბებით არის დასახლებული. ავტორი იხსენიებს წიწამურს და არმაზციხეს. ამასთან, იბერიის მოსახლეობას ოთხ ძირითად ფენად ყოფს:

„ადამიანთა ოთხი გვარი მოსახლეობს ამ ქვეყანაში: ერთი გვარია და პირველი, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესს, ხოლო მეორე ამ გვარიდან მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. მეორე გვარი არის ქურუმთა, რომლებით ზრუნავენ აგრეთვე მეზობლებთან სამართალზე, მესამე გვარი არის მხედართა და მიწისმოქმედთა, მეოთხე გვარი არის ხალხისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო, საზოგადო აქვთ მათ ქონება ნათესაობის მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი. ასეთები არიან იბერები და მათი ქვეყანა“.[2] ე.ი. სტრაბონის მიხედვით, ადამიანთა ოთხი ფენა სახლობს იბერიაში. უპირველესი ფენა, რომლისგანაც მეფეებს სხამენ მახლობლობისა და ასაკის მიხედვით უხუცესებს, ხოლო მეორე ამ გვარიდან (ფენიდან) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს. იბერიის მოსახლეობის მეორე ფენად სტრაბონი ქურუმებს ასახელებს. ქურუმებს, გარდა სასულიერო ფუნქციებისა, ევალებათ იზრუნონ მეზობლებთან სამართლებრივ ურთიერთობებზე. მოსახლეობის მესამე ფენა იბერიის მოსახლეობისა არის ხალხი, რომელიც, სტრაბონის სიტყვით, „სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისათვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ ქონება ნათესაობის მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს უხუცესი“. სტრაბონი მეოთხე ფენას „ლაოებს“ უწოდებს, რომლის ქვეშაც სოფლის მდაბიონი უფრო იგულისხმება, ვიდრე მონები (ს. ჯანაშია).

სხვაგვარად სტრაბონი აღნიშნავს: „მართლაც იბერია კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებითაც. ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებანი“.

პროფ. გ. ნადარეიშვილი სტრაბონის ამ ორ ცნობას შორის რაღაც წინააღმდეგობას ხედავს. პირველი ცნობის მიხედვით, ჩვენს წინაშეა პატრიარქალურ-ადრეკლასობრივი საზოგადოება, ხოლო მეორე ცნობის მიხედვით, – უფრო განვითარებული და კულტურული ქვეყანა, სადაც ქალაქებიც არის და დაბებიც. ამ მხრივ ანტიკური ხანის განვითარების მაჩვენებელია კრამიტი, როგორც სახლის გადახურვის საშუალება. კრამიტი ბერძნების გამონაგონია, იმ დროისათვის გადახურვის ეს უცხო საშუალება იბერიაში ცნობილი ყოფილა. უფრო მეტიც, ძვ. წელთაღრიცხვის IV-III საუკუნეებისათვის დადასტურებულია კრამიტის მოსამზადებელი სამეფო სახელოსნოები (ვანში აღმოჩენილია კრამიტები სამეფო წარწერიანი დამღებით).[3] გარდა ამისა, სახლები, რომლებიც არქიტექტურულად იყო მოწყობილი, აგრეთვე ბაზრების და სხვა დაწესებულებების არსებობა იმის შესახებ უნდა მიგვითითებდეს, რომ გვარების მიხედვით საერთო ქონების ინსტიტუტი განვლილი ეტაპი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ნადარეიშვილი სვამს კითხვას, სტრაბონი მის დრომდე რაღაც დიდი ხნის წინ არსებულ მდგომარეობას ხომ არ გადმოგვცემდა? თვით სტრაბონის მიერ მოწოდებულ ცნობებს შორის არის წინააღმდეგობა. სტრაბონს

[1] თსუ შრომები, 1936 წ., გვ. 64.
[2] ნ. ასათიანის, მ. ლორთქიფანიძის და სხვათა ავტ. საქართველოს ისტორია, თბ., 1990 წ., გვ. 44.
[3] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №64, 18 მარტი, 2001 წ.

ცნობები ადრე მისთვის ცნობილი სხვადასხვა წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული და თავის „გეოგრაფიაში“ შეტანილი. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამიტომ ატარებენ ისინი ეკლექტურ ხასიათს.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. გ. ნადარეიშვილს, რომ საზოგადოებას, რომელიც იცნობდა საქალაქო ცხოვრებას, გაშენებული აქვს დაბები, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები, გააჩნია არქიტექტურულად მოწყობილი სახლები, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით უფრო წინ უნდა იყოს წასული, ვიდრე ეს სტრაბონის მიერ იბერთა საზოგადოების ოთხ ფენად დაყოფის სურათშია მოცემული.

მართალია, სტრაბონის მიერ აღწერილი იბერთა მეფე თითქოს არც ქვეყნის მთავარსარდლად ჩანს, არც მსაჯულთუხუცესად და არც ქურუმთუხუცესად, მაგრამ შეიძლება სტრაბონის წყარო გულისხმობდა, რომ იბერიის მეფე იყო უმაღლესი სამხედრო, სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლების მატარებელი, მაგრამ მას თავისი უფლებები დელეგირებული, განაწილებული ჰქონდა და სათანადო უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო პირებზე და საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის შეეძლო ამ უფლებამოსილებათა კვლავ თავის ხელში აღება.[1]

აქ ერთი გარემოებაცაა მხედველობაში მისაღები, იმდროინდელ საქართველოში არ მოხდებოდა ხელისუფლების დანაწილება. არ შეიძლებოდა, რეალურად მეფის ხელში არ ყოფილიყო ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან ერთად მართლმსაჯულებაც. ქრისტეს შობამდე I საუკუნის საქართველოში სასამართლო და მართლმსაჯულება გამოყოფილი არ იყო მმართველობისაგან და ის პირები, ვისაც მეფე თავის უფლებამოსილების ნაწილს დროებით გადასცემდა, მის ახლო ნათესავებად უნდა ვიგულისხმოთ.

სტრაბონი სამეფო გვარსა და ქურუმების წრეს ასახელებს ისეთებად, რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდა სამართალწარმოებასთან. აქ იგულისხმება, რომ მეფის შემდეგ მეორე პირი არჩევდა მეტად მნიშვნელოვან საქმეებს. ამასთანავე, იგი მხედართმთავარიც იყო. ქურუმი და მეფის შემდეგ მეორე პირი თითქოს იყოფენ მოსამართლეობის ფუნქციას. სავარაუდოა, რომ ქურუმის მოვალეობაში შედიოდა მეზობელ ტომებსა და ხალხებთან დავის სამართლებრივი მოწესრიგებაც.

სტრაბონის ცნობით, ელინისტური ხანის კოლხეთი ცალკეულ ოლქებად, სკუპტუხიებად იყო დაყოფილი. ავტორი ასახელებს ძველი კოლხეთის ქალაქებს -პიტიუნტს, ფასისს, დიოსკურიას, შორაპანს და ტრაპეზუნტს, ანგარიშგასაწევი ცნობები აქვს შემონახული სვანების შესახებაც. სვანეთს, მისი სიტყვებით, მართავდა სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც სტრაბონი „სინედრიონს“ უწოდებს. როგორც ჩანს, სვანეთში შემონახული ყოფილა ე. წ. „სამხედრო-დემოკრატიული“ წესწყობილება. სტრაბონი კოლხებისა და სვანების ქვეყნის შესახებ წერს: „წყლის ნაკადებს ჩამოაქვთ ოქრო და ბარბაროსები[2] აგროვებენ მას დაგვმძლავრობენ; რაც შეიძლება უფრო მეტად, ჩვენ გვიყვენია მთავარი მეწვრილმანე, (იგულისხმება ბიზანტიელთა მიერ ეგრისში დანიშნული მოხელე იოანე აბე.) რომელიც ჩვენს სიღარიბეს ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის. აი, ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა“.[3]

მეტად საინტერესო მასალებს გვაწვდის იბერია-კოლხეთის შესახებ აგათია მემნონის ძე სქოლასტიკოსი, რომელიც დაიბადა მცირე აზიის ერლიის ქალაქ მინიანში 536 წელს. იურიდიული განათლება მიიღო ალექსანდრიასა და კონსტანტინოპოლში. მისი ძირითადი საქმიანობა იყო ვექილობა. გარდაიცვალა 583 წელს. აგათია სქოლასტიკოსი აღწერს იუსტინიანე იმპერატორის მიერ ჩატარებულ რეფორმებს და, რაც მთავარია, მის მიერ დატოვებული მასალებით წარმოდგენას გვიქმნის VI საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. აგათია სქოლასტიკოსი პროკოფი კესარიელის მოწაფე და მისი საქმის გამგრძელებელია. როგორც ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს, იგი „ერუდიციითა და სამწერლო ნიჭით ბევრად ჩამოუვარდება“[4] კესარიელს.

აგათია სქოლასტიკოსმა განიხილა რომაელებისა და სპარსელების ხუთწლიანი ზავის შედეგები და ლაზიკასთან ბრძოლა ტელეკისის წინააღმდეგ 553 წელს, ბიზანტიელი სარდლების შეთქმულება გუბაზ მეფის წინააღმდეგ და მისი მოკვლა 554 წელს, ლაზთა ტომის დახასიათება – ბრძოლა ინოგურისთან 554

---

[1] გ. ნადარეიშვილი, იყო თუ არა სტრაბონისეული ბაზილევსი მართლაც დაუჯერებელი მეფე. „მაცნე“, სამართლის სერია, №3, 1993 წ.

[2] ძველი ბერძნები ყველა არაბერძენს ბარბაროსს უწოდებდნენ (ანალოგიურად ძველი რომაელებიც).

[3] ნ. ასათიანის, მ. ლორთქიფანიძის და სხვათა ავტ. საქართველოს ისტორია, თბ., 1990 წ., გვ. 81.

[4] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, თბ., 1998 წ., გვ. 24 უფრო სწ. იხ. „გეორგიკა“ I-IV წიგნები.

წელს, ლაზების თათბირი შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, აიეტისა და ფარტაზის სიტყვები, მისიმიანთა აჯანყება ბიზანტიელების წინააღმდეგ, ნახორაგანის ლაშქრობა ლაზეთში 555 წელს. გუბაზ მეფის მკვლელთა გასამართლება, იუსტინიანეს წერილი, კოლხთა წარმომადგენლების საბრალდებო სიტყვა, გუბაზის მკვლელთა სიტყვა, მათი დასჯა. ბიზანტიელების ბრძოლის გაგრძელება, მარტინეს გადაყენება და იუსტინეს დანიშვნა სტრატეგოსად. იოანე ლიბიელის თარეში ლაზიკის სოფლებში. დროებითი ზავი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. ჭანთა ტომის დამორჩილება და ა.შ. „ძლიერი და მამაცი ტომია ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზედაც მბრძანებლობდნენ. ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით. იმ ტომებს შორის, რომელნიც თავიანთ სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ასე სახელგანთქმული და განდიდებული თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით. ლაზები ზღვაშიც დაცურავენ და ვაჭრობაშიც დიდ სარგებელს პოულობენ, მათ თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ“, – წერდა ლაზების შესახებ აგათია სქოლასტიკოსი.

დასკვნა. ქართულ სახელმწიფოსა და სამართალს სამიათასწლიანი ისტორია გააჩნია. ქართული კულტურა საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა. ჩვენამდე მოღწეულ ქართული სამართლის წიგნებში, სიგელ-გუჯრებსა თუ ჩვეულებით სამართალში წარმოჩენილი იურიდიული ინსტიტუტები ცხადყოფენ, რომ ცივილიზებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკურ-სამართლებრივი დაწესებულებები ქართველთა ტომებში ისახება ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლოს. ისტორიის დიდ შარაზე მოდიოდა ქართველი კაცი, როგორც მოაზროვნე-პოლიტიკოსი, სამართალმცოდნე, მანამდე კი „ქართველ კაცსაც უხსოვარი დროიდან შრომისა თუ ბრძოლის იარაღად უკეთებია: ქვა, სპილენძი, ბრინჯაო, რკინა, მასაც გამოუვლია ორივე გვარი _ დედულიც, მამისეულიც, პრეისტორიის უხანგრძლივესი და უმძიმესი დრამატიზმით ნაწრთობი სულით და სხეულით შემოვიდა იგი მსოფლიო ცივილიზაციის კარიბჭეებში“.[1] ქართველური წარმოშობის ტომები (იბერები, კოლხები, ტიბერიანები, მოსინიკები, ხალიბები და ა.შ.) აყალიბებენ ადრეკლასობრივ სახელმწიფოს და სამართალს. მათვე შექმნეს საკუთარი სალაპარაკო ენა, თვითმყოფადი კულტურა და დამწერლობა, ამასთანავე, მრავალმხრივ ურთიერთობას ჩაუყარეს საფუძველი მეზობელ ხალხებთან. ანტიკური ხანის ბოლო პერიოდში საქართველო თავისი კულტურით უახლოესად იყო დაკავშირებული ელინურ-რომაულ სამყაროსთან, ანუ, უფრო ზუსტად, საკუთრივ ელინურ სამყაროსთან... ანტიკური ხანის ბოლოს საქართველო ტერიტორიულადაც უშუალოდ ესაზღვრება საბერძნეთს. ხოლო მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარეს, ხდება ნაწილი დასავლეთის სამყაროსი. იმ დროიდან მოკიდებული, საქართველო, როგორც თავისი ძველი კულტურით, ისე ისტორიის მაგისტრალური ხაზით, სახელმწიფოს პოლიტიკური მიზანდასახულობითა და ცივილიზაციის იდეალებით არის განუყოფელი ნაწილი დასავლეთისა, ევროპის, მსოფლიოსი.

ელინურ მსოფლიოსთან საქართველოს სიახლოვეზე ლაპარაკობს ლეგენდა არგონავტების მგზავრობისა კოლხეთში, ოქროს საწმისის მოსაპოვებლად, ასევე ლეგენდა პრომეთე-ამირანისა, რომელიც კავკასიის ქედზე იყო მიჯაჭვული. ეს ლეგენდა ელინურმა სამყარომ საქართველოდან შეითვისა და მან განუმეორებელი მხატვრული ხორცშესხმა ჰპოვა ესქილეს გენიალურ ტრაგედიაში.

საქართველოს კავშირზე – ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში – აღმოსავლეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში – მონათესავე ხეთურ მსოფლიოსთან, ასევე ბაბილონთან, ასურეთთან, ურარტუსთან, მეტყველებენ ხეთური იეროგლიფები და ლურსმული დამწერლობის ძეგლთა ისტორიული ცნობები, რომლებიც ეკუთვნიან მეორე-პირველ ათასწლეულებს ძველი წელთაღრიცხვისა.[2]

უხსოვარი დროიდან საქართველოში შეიქმნა სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებმაც კავშირი დაამყარეს სხვა ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებთან. ამისი საუკეთესო მაგალითია III-VI საუკუნეებში ეგრის-ლაზეთში, ქალაქ ფაზისში (ფოთში) „აკადემია“, სადაც მოღვაწეობდნენ არა მარტო ქართველი სწავლულები, არამედ უცხოელებიც, მათ შორის – ბერძენი და რომაელი მოქალაქენი; კოლხეთის აკადემიაში ისწავლებოდა ფილოსოფია, ასტონომია, ასტროლოგია, გეომეტრია, ენათმეცნიერება, რიტორიკა, რომელიც, ფაქტიურად, იურიდიულ დისციპლინას წარმოადგენდა, კოლხეთის აკადემიაში განათლება მიიღეს სახელგანთქმულმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა, მამა-შვილმა

[1] ლ. სანიკიძე, საქართველოს ისტორია, თბ. 1994 წ., გვ. 3.
[2] პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, თბ. 1978 წ., გვ. 10-11.

ევგენიოსმა და თემისტიოსმა. ამის მაგალითია ძველი ქართული მწერლობის კერები ახლო აღმოსავლეთში: პალესტინა, საბაწმინდა, ჯვარი, გოლგოთა – უფლის საფლავი – აღდგომა – კაპპათა, დერტავი, დერფუთა, ბასილის მონასტერი, თეოდორეს მონასტერი, ნიკოლოზის მონასტერი, სამოელის მონასტერი, გეთსიმანია, შეჰანი, სიპია, შავი მთა, სვიმონწმინდა, რომანწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი...

დასავლეთში: ბიზანტია ოლიმპი, რომანა, ათონი, კონსტანტინეპოლი, ხორა, ტრიანდაფლივი, მანგანა, კვიპროსი, პეტრიწონი.

„ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელი განათლებული მწიგნობრული წრეების საქმიანობას“.[1]

ქართულ-ბერძნული კულტურული ურთიერთობა IV საუკუნიდან მოყოლებული ფართო მასშტაბებს ღებულობს. არა მარტო ბიზანტიელები სწავლობდნენ კოლხეთის აკადემიაში, არამედ ქართველი სწავლულებიც მიემგზავრებიან ბიზანტიაში. ამისი საუკეთესო მაგალითია უფლისწულ ბაკურის გადასახლება ბიზანტიაში, რომელიც სამეფო კარზე სეფე-ჯარის უფროსად დანიშნეს. ბერძენი მწერალი გელასი კესარიელი ბაკურს ხოტბას ასხამს და ახასიათებს როგორც „მეფის შთამომავალს, იბერთა შორის სახელოვანს“.

ბაკურს ახლო მეგობრობა ჰქონია ფილოსოფოსებთან და რიტორებთან, კერძოდ, ლიბანიუსთან, რომლისთვისაც ეპისტოლე გაუგზავნია. მართალია, მას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ „ლიბანიუსის პასუხიდან ვგებულობთ, რომ ბაკურის ეპისტოლეს საგანი ყოფილა ის ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც აღელვებდნენ ნეოპალატონიკოსთა წრეებს, რომ ეს ეპისტოლე დიდი ცოდნით და უნაკლო ფორმით, მაღალი რიტორიკული ხელოვნებით ყოფილა დაწერილი“.[2]

ქართველი სწავლულები იცნობდნენ სხვადასხვა ქვეყნების სამართალს, მათ შორის – რომის სამართალსაც.

კოლხეთის აკადემიის მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა სწავლულებმა დიდი როლი შეასრულეს ანტიკური და შემდეგი პერიოდის სამართლებრივი აზრის საქართველოში გავრცელებისა და დამკვიდრების საქმეში, მათი მეშვეობით ქვეყანაში დაიწყო მძლავრი ჰუმანისტური მოძრაობა, მომზადდა ნიადაგი ქართული რენესანსისა და მისი იდეოლოგიისათვის, რომელიც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მდიდარ მატერიალურ და სულიერ წინამძღვრებს ემყარებოდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ასათიანი ნ., ლორთქიფანიძე მ. და სხვათა ავტ. საქართველოს ისტორია, თბ., 1990 წ.;
2. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, N64, 18 მარტი, 2001 წ.;
3. თსუ შრომები, 1936 წ.;
4. ინგოროყვა პ., თხზ. ტ. IV, თბ., 1978 წ.;
5. ლობჟანიძე გ., ნარკვევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრებათა ისტორიიდან, ქუთ., 1998 წ.;
6. ლობჟანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2015 წ.;
7. ნადარეიშვილი გ., იყო თუ არა სტრაბონისეული ბაზილევსი მართლაც დაუჯერებელი მეფე. „მაცნე“, სამართლის სერია, N3, 1993 წ.;
8. სანიკიძე ლ., საქართველოს ისტორია, თბ., 1994 წ.;
9. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, III, თბ., 1998 წ.;
10. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, თბ., 1933 წ.;
11. ყორანაშვილი გ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1994 წ.;
12. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966 წ.

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ. 1966 წ. გვ. 305.
[2] პ. ინგოროყვა, თხზ. ტ. IV, თბ., 1978 წ., გვ. 29.

გივი ლობჟანიძე

ბიზანტიური წყაროები ქართული სახელწიფოსა და სამართლის შესახებ

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორი შეძლებისდაგვარად საინტერესოდ და სიღრმისეულად გადმოგვცემს საქართველოს წარსულს ისტორიულ წყაროებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით და განიხილავს ქართველი ხალხის ადგილს ძველ აღმოსავლეთსა და ბიზანტიასთან მიმართებაში.

ნაშრომში მოცემულია საქართველოს არა მარტო პოლიტიკურ-სამართლებრივი და კულტურული ურთიერთობა ძველ მეზობელ ხალხებთან ისტორიულ ჭრილში, არამედ ხაზგასმულია უხსოვარი დროიდან საქართველოში შექმნილი სასწავლო-სამეცნიერო ცეტრების არსებობის აქტიური ურთიერთქმედების შესახებ სხვა ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებთან მიმართებაში, რაც მეტყველებს ჩვენი ქვეყნის მდიდარ წარსულსა და გამოცდილებაზე.

Givi Lobzhanidze

Byzantine Resources on Georgian State and Law

Summary

The given work deals with Georgia's past based on historical sources and arguments and discusses the Georgian nation's place and role in old East and Byzantium.

The work presents not only historical, political-legal and cultural relations with the neighbor people but the existence of the educational places and their active relations and collaborations with other neighbor educational centers as well and therefore it once again proves the rich experience of Georgians at that time.

დავით ლობჟანიძე

სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვის კონცეფცია

ხედვები სოციალურ-დემოკრატიული პროცესების განვითარების შესახებ, გულისხმობს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ შესაბამის ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემებსაც. აქედან გამომდინარეა, რომ ქვეყნის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოწესრიგებისაკენ. შესაბამისად ქვეყანაში უნდა იცვლებოდეს არა მხოლოდ ხელისუფლებები, ან ერთი ხელისუფლების პირობებში მინისტრები და პრემიერ-მინისტრები, არამედ უნდა შეიცვალოს პოლიტიკურ-ეკონომიკური პლატფორმა. ამიტომ საზოგადოებას სჭირდება არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალა და ახალი სახეები, არამედ ქვეყნის განვითარების ალტერნატიული ხედვა და პროგრამა, ეს იქნება ახალი პოლიტიკურ-სამართლებრივი წესრიგი[1].

რა იგულისხმება ალტერნატიულ ხედვაში, ჩვენი აზრით ესაა სახელმწიფოს როლის გაზრდა, სახელმწიფოს მეტი ჩართულობა და მხარდაჭერა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საქმეში, რადგან მიგვაჩნია, რომ მხოლოდ სახელმწიფოს აქტიური ჩართულობით არის შესაძლებელი ეკონომიკის დარგების განვითარება. მომხმარებელური ეკონომიკიდან თანდათანობით მწარმოებლურ ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლა. ამას მხოლოდ ბიზნეს სექტორი ვერ შეძლებს. ფაქტია, რომ ვერც შეძლო ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, მთელი 30 წლის განმავლობაში.

თუ დროულად არ ვიმოქმედებთ, ბევრი 30 წელი ჩაივლის და ერიკ რეინერტის დასმულ კითხვას – „რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად?“ – პასუხად საქართველო მაგალითი დაემატება და ღარიბი ქვეყნის რანგში – დიდი ხნით მოგვიწევს დარჩენა.

დღეს ქართულ სახელმწიფოს და შესაბამისად საზოგადოებას, ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარდაუვალობა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ბევრი სხვა.

გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ეკონომიკური განვითარების საკითხებში კ.ს. ჯომი თვლის, რომ ეკონომიკური განვითარება მოითხოვს ღრმა თვისობრივ ცვლილებებს, არა მხოლოდ ამ სფეროში, არამედ საზოგადოებაშიც. ეკონომიკური განვითარების დაყვანა მხოლოდ კაპიტალის დაგროვებასა და რესურსების უფრო ეფექტურ მობილიზაციამდე იქცა იმ ფორმულად, რომელმაც ბევრ ღარიბ ქვეყანაში მარადიული ეკონომიკური ჩამორჩენილობა გამოიწვია[2].

ყველა კვლევა აჩვენებს, რომ მთავარ პრობლემად მოსახლეობა უმუშევრობას და სიღარიბეს ასახელებს.

დღეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მოსახლეობის 20% მეტი ცხოვრობს.

ბევრისათვის კი სიღარიბის ზღვარს ზემოთ ყოფნა რა ყოფაცაა ეს კარგადაა ცნობილი, ამიტომ დახმარებისათვის სოციალური სააგენტოსათვის მიმართვიანობა კიდევ უფრო დიდ ციფრს წარმოადგენს.

გარდა ამისა უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული მიზნობრივი კვლევის მონაცემებიც ამაზე მეტყველებს, სადაც გამოკითხულთა 66% მეტი თვლის რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. ვფიქრობ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი, სხვა ფაქტორებთან ერთად, არასწორ მიმართულებაში ეკონომიკისადმი სწორედ სახელმწიფოს ლიბერალურ მიდგომას გულისხმობს. სუსტი ეკონომიკა ეს სუსტი სახელმწიფო ინსტიტუციებია, სუსტი საზოგადოება და ჯამში სუსტი ხელისუფლებაა. დღევანდელ ქართულ ეკონომიკას სახელმწიფოსაგან მეტი მიზნობრივი ხელშეწყობა და დახმარება სჭირდება. ეკონომიკის დახმარება ნიშნავს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დაძლევას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პრობლემათა მაშტაბი და სახეობები კიდევ უფრო გაიზრდება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ სუსტი ეკონომიკისა და სახელმწიფოს პირობებში დამნაშავეობას ასპარეზი უფართოვდება და ჩნდება ეგრეთწოდებული „მოქმედი შავი ხვრელები“. მათი სიმრავლე

---

[1] დ. ლობჟანიძე, გ. ლობჟანიძე, მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ., 2007, გვ. 94

[2] ერიკ ს. რეინერტი, როგორ გამდიდრდნენ ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად, თბ., 2019, გვ. 11

კრიმინალურ ორგანიზებულ ჯგუფებს ბიზნესის სფეროში დამკვიდრების საშუალებას აძლევს. ამ გზით ვითარდება კანონიერი და უკანონო საქმიანობის ქსელი, რომელიც შემდეგ სისტემის შემადგენელი ნაწილი ხდება[1].

სამწუხაროდ ქვეყანაში შექმნილია არასტაბილური პოლიტიკური რეალობა, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე, მცირდება ინვესტიციები, მოსახლეობის შრომის ინტერესი ეცემა, იზრდება არსებობის აუცილებელ საშუალებებზე ფასები, ეს კი ზრდის სამართლებრივი ნიჰილიზმის დონეს, იმ დროს როდესაც წინ არჩევნებია, რომელიც გვაძლევს საშუალებას გამოსწორდეს არსებული რეალობა, ე. ი. შევცვალოთ პრობლემებისადმი მიდგომები, დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი პოლიტიკურად მომწიფდა, იცის არამხოლოდ ის თუ რა უნდა ვაკეთოთ ქვეყნის განვითარებისათვის, არამედ ისიც, თუ ეს ვინ და როგორ უნდა გააკეთოს. დღეს საუბარია პოლიტიკურ პარტიათა ზოგად პრინციპებზე, არადა ქვეყანას უფრო კონკრეტიკა სჭირდება, რაც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტმა. არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს ჯერ კიდევ 1684 წელს ფილიპ ფონ ჰონრიგკის მიერ ეკონომიკის აღორძინების შემოთავაზებული 9 წესი:

1. ყურადღებით უნდა მოხდეს ქვეყნის ნიადაგის შესწავლა და არც ერთი გოჯი არ უნდა დარჩეს ყურადღებისა და დამუშავების გარეშე.

2. ყველა რესურსი, რომლის გამოყენებაც შეუძლებელია მის ბუნებრივ მდგომარეობაში, უნდა გადამუშავდეს ქვეყნის შიგნით, რადგან გადამუშავებული პროდუქტები ღირს 2-ჯერ, 3-ჯერ, 10-ჯერ ან 100-ჯერ მეტი, ვიდრე ნედლეული.

3. პირველი ორი პირობის შესასრულებლად საჭიროა ადამიანები მოვამზადოთ როგორც ნედლეულის მოსაპოვებლად და მოსაყვანად, ასევე მის დასამუშავებლად. ეს კი სახელმწიფოს საზრუნავი უნდა იყოს.

4. როცა ქვეყანაში არსებობს ოქრო ან ვერცხლი, იქნება ეს ადგილობრივი მაღაროებიდან მოპოვებული თუ სხვა ქვეყნებიდან სამრეწველო პროდუქტში გაცვლის მეშვეობით მიღებული, ამ რესურსებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დატოვოს ქვეყანა. ეს რესურსები არ უნდა ინახებოდეს არც ზანდუკებში და არც სკივრებში, არამედ უნდა რჩებოდეს ბრუნვაში.

5. ქვეყნის მცხოვრებლებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა იკმარონ ადგილობრივი პროდუქცია და ფუფუნების მიმართ ლტოლვა ადგილობრივი ნაწარმის მოხმარებით შემოიფარგლონ. იგი წინააღმდეგი არ არის უცხო ქვეყნების პროდუქციის მოხმარების, მაგრამ უპირატესობა ადგილობრივს უნდა მიანიჭონ.

6. მაშინ როცა უცხოური საქონლის ყიდვა გარდაუვალია, უნდა მოხდეს პირველი ხელიდან, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ოქროსა და ვერცხლის სანაცვლოდ, არამედ ადგილზე წარმოებულ პროდუქტზე გაცვლით.

7. ამგვარი უცხოური პროდუქტების იმპორტის შემთხვევაში, მათი შემოტანა უნდა მოხდეს არა საბოლოო სახით და მისი დამუშავება ქვეყნის შიგნით უნდა განხორციელდეს, რათა დამამუშავებელ მრეწველობაში ხელფასების გამომუშავება ადგილზე მოხდეს.

8. ქვეყანა დღედაღამ უნდა ეძებდეს უცხოელებისათვის ჭარბი გადამუშავებული პროდუქციის მიყიდვის გზებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

9. გარდა გამონაკლისის შემთხვევისა, არც ერთი პროდუქტის იმპორტის დაშვება არ უნდა მოხდეს, თუ მისი სათანადო ხარისხით წარმოება ადგილზე ხდება.[2]

ჰონრიგკის წიგნში მოცემული თეორიული საკითხები არაერთმა ქვეყანამ გამოიყენა და შედეგებიც ფანტასტიკური მიიღო, ამის მაგალითად ასახელებენ ავსტრიას, ქვეყანაში გასული 100 წლის განმავლობაში დაგროვილი სიმდიდრე, ჰონრიგკის სტრატეგიის შედეგი იყო.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ბუნებას, წიაღისეულს და რესურსებს შეუძლია დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რაც ჰონრიგკის რეკომენდაციებშია მოცემული. იყო დრო, როდესაც საქართველო ახერხებდა საკუთარი რესურსების ხარჯზე ხალხიც ერჩინა და სხვა ქვეყნებსაც დახმარებოდა.

ილია ჭავჭავაძე ამის თაობაზე სტატიაში „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ წერდა:

---

1 არტი, ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, თბ., 2011, გვ. 199

2 Early Economic Thought, Selection from Economic Literature prior to Adam Smith, Cambridge, Mass, 1930

„ჩვენის შიდა-ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობია ჩვენგან... საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა. ჩვენი ხალხი იბრძოდა, სისხლსა ღვრიდა და ბოლოს მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფადი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი და ვახში არ დასდებია.

ვთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველია,.. რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“

ილია ჭავჭავაძის აზრით, „პასუხი ჩვენს ძველს ეკონომიურს აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს. უეჭველია, ჩვენი უწინდელი წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაი-ვაგლახსა. აი, საგანი ღირშესანიშნავი და მეტად საინტერესო გამოსაკვლევად. ამ საგანზედ რომ უეჭველი პასუხი მოგვცეს ვინმემ, ბევრს ნათელს მოჰფენდა აწმყოსა და მომავალსაც გზას გაუნათებდა“.[1]

ეს ყველაზე დიდი ამოცანა და ერთდროულად ილიას მიერ შთამომავლობისათვის დატოვებული ანდერძიც, ერის ინტელექტუალური ძალების სამოქმედო პროგრამად უნდა იქცეს ახალი ქართული თანამედროვე სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში[2] და ღრმად ვართ დარწმუნებული თუ იქნება „ერთნებაობა“ ქვეყანა სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივ კრიზისს თავს დააღწევს.[3] ჩვენი ხედვები ეყრდნობა რა ერის მაღალკულტურულ ღირებულებებს, ტრადიციებს, რაც მამოძრავებელი ძალაა საქართველოს მომავალი განვითარებისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. არტი, ჯერვისი, საერთაშორისო პოლიტიკა, თბ., 2011;
2. ლობჟანიძე გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2014;
3. ლობჟანიძე დ., ლობჟანიძე გ., მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ. 2007;
4. ჟორჟოლიანი გ., საქართველო გახდება განვითარებული ქვეყანა, თბ., 2019;
5. რეინერტი ე. ს., როგორ გამდიდრდნენ ქვეყნები და რატომ რჩებიან ღარიბი ქვეყნები ღარიბებად, თბ. 2019;
6. ჭავჭავაძე ი., თხზ., ტ. VII,
7. Early Economic Thought, Selection from Economic Literature prior to Adam Smith, Cambridge, Mass, 1930.

დავით ლობჟანიძე

სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვის კონცეფცია

რეზიუმე

მოცემული ნაშრომში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნის ძირითადი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მოწესრიგებისაკენ.

ჩვენს რეალობაში ბევრი პოლიტიკური, თუ სოციალური ბერკეტი გამოსულია მწყობრიდან და ქვეყანა არასწორი რაკურსით ვითარდება, რაც თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე, იწვევს მოსახლეობის გულგრილ დამოკიდებულებას შრომისადმი, ფასების ზრდას, სამართლებრივ ნიჰილიზმს და სხვ.

ავტორი წარმოგვიდგენს მთელ რიგ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ რეკომენდა-ციებს, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორება და სწორი მიმართულებით წაყვანა.

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. VII, გვ. 36
[2] გ. ლობჟანიძე, ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 2014, გვ. 3
[3] გ. ჟორჟოლიანი, საქართველო გახდება განვითარებული ქვეყანა, თბ., 2019, გვ. 7

Davit Lobzhanidze

The Conception of Social, Political and Legal Vision

Summary

The given work deals with the problem of the state's social-economic development.

In our reality many political and social levers are out of control and the state has incorrect direction of development and therefore it causes negative influence upon the state, rise of prices, populations' indifferent attitude towards work, legislative nihilism and so on.

The author gives us lots of political, economic and legislative recommendations how to recover the state's conditions and develop the country socially, economically and politically.

ედიშერ ფუტკარაძე

სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი

ხშირად ისმის კითხვა:

1. რა არის მიზანი – სასჯელის დანიშვნისა და განსაკუთრებით აღსრულებისას?
2. როგორ გვესახება მისი მიღწევის საშუალებები – როგორია საკანონმდებლო ბაზა, პირობები სასჯელის აღსასრულებლად?
3. როგორია რეალობა – რამდენად დაცულია და ხორციელდება პრაქტიკაში სასჯელის აღსრულების საკანონმდებლო პირობები?

სასჯელაღსრულების სისტემა ვერ იქნება იზოლირებული, განცალკევებული სახელმწიფოში არსებული რეალური ვითარებისგან.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ. მდგომარეობა აუცილებლად სხვადასხვა მასშტაბით გავლენას მოახდენს ამ ქვეყნის სასჯელაღსრულების მდგომარეობაზე.

მისი მხოლოდ იზოლირებულად სრულყოფა და გაუმჯობესება შეძლებელიცაა და მიზანშეუწონელიც.

სასჯელის აღსრულებასთან ერთად და მასზე მეტად მნიშვნელოვანია სასჯელის მიზნისა და სახეების სწორად განსაზღვრა. ასევე სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

მხოლოდ ამის შემდეგ დღის წესრიგში დგება სამართლიანად დანიშნული სასჯელის სამართლიანად აღსრულების საკითხი. რადგან ეს ყველაფერი უნდა მოემსახუროს სწორედ საკანონმდებლოდ განსაზღვრული სასჯელის მიზნის მიღწევას.

სასჯელის აღსრულება სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემდეგ ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა მხოლოდ სასჯელის აღსრულებით არ უნდა შემოიფარგლოს/დასრულდეს ეს ბრძოლა.

საჭიროა სასჯელმოხდილ ნასამართლევ პირზე შესაბამისი ზრუნვა საზოგადოებაში სრულყოფილი რესოციალიზაციისათვის, რათა ის კვლავ არ მოხდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მან განმეორებით არ ჩაიდინოს დანაშაული.

თუ ცხოვრებისეულ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ვნახავთ, რომ შესაძლებელია უცხოური კანონების გადმოღება – გადმოწერა, რასაც ხშირად აქვს ადგილი პოსტ – საბჭოთა ქვეყნების სამართლებრივ განვითარებაში (თუ ეს მართლაც არის სამართლებრივი განვითარება-?), მაგრამ ასეთივე სისწრაფით შეუძლებელია იმ სახელმწიფოებრივი მდგომარეობის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ.) გადმოტანა, სადაც ეს კანონები შეიქმნა. ამიტომ ხშირად სხვა რეალობაში შექმნილი კანონების გადმოღება დიდ შედეგებს არ იძლევა.

შეიძლება კანონები იყოს ე. წ. საერთაშორისო ანდა ევროპული სტანდარტის, მაგრამ მათი რეალიზაციისათვის შესაბამისი მდგომარეობა ქვეყანაში არ არსებობდეს. რეალიზაციის გარეშე კი კანონი მხოლოდ კოდექსში ლამაზად დაწერილი შესაბამისი მუხლების ტექსტი იქნება, რომელიც სინამდვილეში დაბალი პროცენტით ხორციელდება ან საერთოდ არ ხორციელდება.

ეს კი ქმნის სხვა ე. წ. „არაფორმალური კანონების“ წარმოშობისა და გამოყენების აუცილებლობას, რადგან ურთიერთობები რეალურად არსებობენ და მათ მოწესრიგება სჭირდება, მაგრამ როცა შეუსაბამოა „ოფიციალური კანონი“, მაშინ მას ანაცვლებს *„არაოფიციალური, დაუწერელი კანონი“*. ამის მდიდარი და ტრადიციული გამოცდილება კი საქართველოს ციხეებში მართლაც არსებობდა. შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე ევროპული სტანდარტის შესაბამისი კანონები არსებობდეს, მაგრამ თუ ისინი არ მოქმედებს ან ხშირად ირღვევა, მაშინ ისინი არ ემსახურება იმ მიზანს, რისთვისაც ოფიციალურად შექმნილი არიან.

და რაც ყველაზე მთავარია, ასეთი კანონებისადმი პატივისცემა არ არსებობს მოსახლეობაში/მოქალაქეებში.

როდესაც მოქალაქე პატივს არ სცემს კანონს, ის არც მის დაცვას ცდილობს.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა მაშინ, როდესაც კანონს არღვევს ის, ვისაც მისი დაცვა ოფიციალურად, სამსახურეობრივად ევალება.

სამწუხაროდ ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან. ეს ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ – ერთი ყველაზე უხეში ხელყოფაა.

მსჯავრდებულზე სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის მიერ ჩადენილი უკანონო და მით უმეტეს დანაშაულებრივი ქმედება ხელს უშლის სასჯელის მიზნების, განსაკუთრებით კი დამნაშავის რესოციალიზაციის ცხოვრებაში გატარებას.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში უნდა იყოს სათანადო პირობები მსჯავრდებულის გამოსასწორებლად, არ უნდა მოხდეს მასზე სხვა მსჯავრდებულთა მხრიდან ზეწოლა და მით უმეტეს დანაშაულის ჩადენა. ეს და სხვა საკითხები არის ის ყველაფერი, რაც უნდა იყოს. *მაგრამ ისე არ ხდება როგორც უნდა იყოს და როგორც ეს კანონშია გაწერილი.*

მსჯავრდებულზე ზემოქმედებას ახდენენ არა მხოლოდ სხვა დამნაშავეები, არამედ ზოგჯერ სასჯელაღსრულების ადმინისტრაციაც. ეს კი დამნაშავის რესოციალიზაციის ნაცვლად სხვა დანაშაულის ჩადენის წინაპირობა ხდება.

კანონების სხვისგან გადმოღება შესაძლებელია, მაგრამ კანონის მოქმედების ადგილის არა. ეს ცალკე პრობლემაა, რომელსაც აქ არ შევეხებით. ამიტომ ერთი და იგივე კანონი ყველგან ერთნაირად არ მოქმედებს და შესაბამისად არც ერთნაირ შედეგს იძლევა. ასეა ქართულ რეალობაშიც. *განვითარებად ქვეყნებში სჭარბობს გადმოღებული, სხვისგან გადმოწერილი კანონები, ვიდრე საკუთარი ინტელექტით შექმნილი კანონები.* ხშირად ეს კანონები პრაქტიკაში ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და აუცილებელი ხდება მისი შეცვლა. აქ იწყება *ქრონიკული სამართლებრივი რეფორმები და მისი თანმდევი საკანონმდებ-ლო ცვლილებები.*

ეს ყველაფერი კარგია, თუ ის რეალურ შედეგს იძლევა. მაგრამ როგორ მოგვცემს შედეგს ევოლუციურ, მიზანმიმართულ თუნდაც სამართლებრივ განვითარებაზე უარის თქმა და რევოლუციური ნახტომებით სიარული, როცა კანონმდებლობის ტექსტი და მათი ადრესატების მართლშეგნების დონე აშკარად განსხვავდება.

არ არის საკმარისი მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, რაც გლობალი-ზაციის აუცილებელი და თანმდევი შედეგია. იმისათვის, რომ კანონებმა რეალურად იმოქმედოს (იმუშაოს) ასევე აუცილებელია კანონის ტექსტის და მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ჰარმონიზაცია (დაახლოება). ეს უფრო მეტ ძალისხმევას, შრომასა და სახსრებს მოითხოვს, ვიდრე უბრალოდ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია (დაახლოება).

კანონი კარგად მუშაობს და მოქმედებს მაშინ და იქ, როდესაც და სადაც მისი დონის შესაბამისი სამართლებრივი კულტურა არსებობს. ეს გულისხმობს არა მხოლოდ პირთა ცალკეული წრის (კანონმდებლები, ნორმის შემფარდებლები, მეცნიერები და ა. შ.), არამედ *სახელმწიფოს მოქალაქეთა ფართო წრეს, რომლებმაც ასევე უნდა იცოდნენ და უნდა დაიცვან კანონი.* ეს კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ *„კანონებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ჰარმონიზაციით“*, მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის შესაბამისი კანონების არსებობით. განვითარებული საზოგადოება შესაბამისად მოითხოვს განვითარებულ კანონებს.

თუ საზოგადოებას აქვს მისთვის შეუსაბამო კანონები, ის ამ კანონებით ვერ იცხოვრებს და ვერც დაიცავს. ამიტომ ყოველთვის შეეცდება მის დარღვევას.

ამდენად, მხოლოდ „განვითარებული კანონმდებლობის“ შემოღება არ არის საკმარისი, თუ არ მოხდა თვით მოქალაქეების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი განვითარება.

კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისი განვითარება კი სახელმწიფოს მხრივ მოქალაქეთა მრავალმხრივ განვითარებას გულისხმობს. ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ამიტომ აქ აღარ შევეხებით.

თუმცა იმის აღნიშვნა გვინდა, რომ სასჯელის აღსრულება ერთ – ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ჩვენს საკანონდებლო სისტემაში, მაგრამ სხვა რგოლების გარეშე ერთიან სამართლებრივ ჯაჭვს ვერ შექმნის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯაჭვის სიმტკიცე თითოეული მისი შემადგენელი რგოლის სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ამიტომ ლოგიკურია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებათა სრულყოფა და განვითარება ჩვენი სამართლებრივი სისტემის სრულყოფისა და განვითარების განუყოფელი და მნიშვნელოვანი ნაწილია.

* * *

როგორც სამართლიანად აღნიშნავდნენ რომაელები „ქვეყანა რომც დაიქცეს, კანონი უნდა აღსრულდეს“. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულება უნდა ემსახურებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზანს (მუხ. 1, ნაწ. 3). ეს შესაძლებელია სასჯელის მიზნის სწორად განსაზღვრითა და განხორციელებით.

ამიტომ აქვე არ უნდა დავივიწყოთ სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქციით განსაზღვრული სასჯელის მიზანი. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია“.

ჩვენ აქ არ შევუდგებით სასჯელის არსისა და რაობის განსაზღვრას სისხლის სამართლის მეცნიერებაში ცნობილი თეორიების მიხედვით[1].

იურიდიულ ლიტერატურაში ბევრი საკმაოდ საინტერესო მოსაზრება არსებობს სასჯელის არსსა და მის დანიშვნაზე, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო და მით უმეტეს პრაქტიკაში სავალდებულოა საკანონმდებლო განმარტება. როდესაც ვეხებით ისეთ საკითხს, რომლის თაობაზეც არსებობს ოფიციალური, საკანონმდებლო განმარტება, მაშინ ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ოფიციალური ვერსიით. თუნდაც ჩვენი ან სხვა საპატიო, ცნობილ მეცნიერთა მოსაზრებები განსხვავებული იყოს და არ ეთანხმებოდეს მას. აქ აღარ ვსაუბრობ კანონის ოფიციალური, სასამართლო და მეცნიერული განმარტების მნიშვნელობაზე.

ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ, თუ ის გათვალისწინებული იქნება კანონის საკანონმდებლო ან სასამართლო განმარტებისას. სხვა შემთხვევაში მას მხოლოდ წმინდა თეორიული მნიშვნელობა აქვს.

ამიტომ პრაქტიკოსი იურისტები იმ მეცნიერთა შრომებს უფრო აფასებენ და იყენებენ, რომელთა შეხედულებებიც გათვალისწინებული იქნა კანონმდებლობაში ან/და სასამართლო პრაქტიკაში.

აქედან გამომდინარე, სასჯელის არსის, მისი დანიშვნისა და მით უმეტეს აღსრულების შესახებ სამეცნიერო ნაშრომთა განხილვა – გაანალიზება ამ ეტაპზე შორს წაგვიყვანდა.

თუმცა კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის სათანადო ანალიზი გარკვეული დასკვნის გაკეთების საფუძველს ყოველთვის იძლევა.

ჩვენ ვერავის დავავალდებულებთ თუნდაც მსოფლიოში ცნობილი მეცნიერთა შრომების ცოდნასა და გამოყენებას, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „ქვეყანა რომც დაიქცეს, კანონი უნდა აღსრულდეს“. ეს რომ ასე მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, კანონის შინაარსი უნდა იცოდეს მან, ვინც უნდა გამოიყენოს ან აღასრულოს იგი. მართალია, ნორმის შემფარდებლებს ყოველთვის ვერ მოვთხოვთ ცნობილი თეორიების ანდა შეხედულებების ცოდნას, მაგრამ კანონის ცოდნა და დაცვა ყველას მოეთხოვება, მით უმეტეს მის გამომყენებელს.

მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს სასჯელის დანიშვნაც და აღსრულებაც. შეიძლება შევთავაზოთ საკანონმდებლო წინადადება კანონმდებლობის (სისხლის სამართლის კოდექსი, პატიმრობის კოდექსი, საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ) სრულყოფის თაობაზე, რომელიც ასევე შეიძლება გაითვალისწინოს კანონმდებელმა ან არ გაითვალისწინოს. ეს ხშირად პოლიტიკური ნების საკითხია. თუმცა როგორც კანონის მიღება, ისე მასში ცვლილებები უნდა მოხდეს გააზრებულად. ეს ძალზე მნიშვნელოვანია კანონის ფუნქციის შესასრულებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელი იქნება ახალი კანონის მიღება ან უკიდურეს შემთხვევაში ხშირი ცვლილებების შეტანა.

როდესაც კანონმდებლობით (სისხლის სამართლის კოდექსი) განსაზღვრულია მიზანი (სასჯელის), საჭიროა მისი მიღწევის საშუალების დადგენა. სწორი საშუალება და ასევე მისი სწორად გამოყენება მიზნის მიღწევის საწინდარია. სწორ საშუალებად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ სასჯელის სახეები, ხოლო სწორ

[1] ამ თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოა თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება, თბ., 2019 წ. H – H Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, Berlin, 1996.

გამოყენებად როგორც სამართლიანი სასჯელის შეფარდება, ისე სამართლიანად შეფარდებული სასჯელის აღსრულება.

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით სასჯელის სახეებია: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, შინა პატიმრობა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა, ქონების ჩამორთმევა და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა. სისხლის სამართლის კოდექსის 107[3] მუხლის მიხედვით იურიდიული პირის სასჯელის სახეებია: ლიკვიდაცია, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა.[1]

მართალია სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული სასჯელის მიზანი ჯერჯერობით სტაბილურია და არ შეცვლილა, მაგრამ მოქმედ კოდექსში ბევრჯერ შეიცვალა მისი მიღწევის საშუალება – სასჯელის სახეები. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლმა 6 – 7-ჯერ განიცადა ცვლილება. სასჯელის ზოგიერთი სახე ამოღებული იქნა, ზოგიერთი ახალი შემოღებული იქნა, ზოგიც კი სტაბილურად უცვლელი დარჩა. ეს შეეხება ისეთ კლასიკურ სასჯელებს, რომლებიც სხვადასხვა ფორმით ყველგან და ყოველთვის არსებობდა. ესენია: თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა.

ცხრაზე მეტი ცვლილება განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლმა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ძირითადი და დამატებითი სასჯელები.

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით სასჯელთა სისხლისსამართლებრივ დახასიათებას. მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ამოქმედებიდან დღემდე პრაქტიკამ გვიჩვენა სასჯელთა ზოგი სახის „სიცოცხლისუნარიანობა“, პრაქტიკაში გამოყენებადობა, ზოგი სასჯელი კი ვერ ან არ ემსახურებოდა ჩვენს რეალობაში სასჯელის მიზანს, ნაკლებად ან საერთოდ არ იქნა გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში. ამიტომ აუცილებელი გახდა ან მათი ამოღება სისხლის სამართლის კოდექსიდან ან ახლებურად ჩამოყალიბება.

მართალია სისხლის სამართლის კოდექსში ცალკე მუხლი არ ეთმობა ისეთ საკითხს, როგორიცაა საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების საკანონმდებლო გამიჯვნა, მაგრამ მოქმედ სასჯელთა შინაარსის გაანალიზებითა და მეცნიერებაში გაბატონებული აზრის მიხედვით არსებობს სასჯელები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაციასთან და სასჯელები, რომლებიც ამასთან დაკავშირებული არ არის.

შესაბამისად, სასჯელის მიზნიდან გამომდინარე, განსხვავებულად ხდება საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება.

ამ თვალსაზრისით, საკანონმდებლო დონეზე არსებობს 2010 წლის პატიმრობის კოდექსი და 2007 წლის საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ. რა თქმა უნდა, მათ შესაბამისად განსხვავებულად რეგულირდება საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება. ჩვენ აქ აღარ შევუდგებით პატიმრობის კოდექსისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის დახასიათებას. *კანონმდებლობა შეიძლება იყოს სრულყოფილი ან მოითხოვდეს სრულყოფას.* ამის დასადგენად ანდა შესამოწმებლად საჭიროა მისი პრაქტიკაში გამოყენება. პრაქტიკული რეალობა გვიჩვენებს მის ვარგისიანობას. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ კანონმდებლობისა და მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ურთიერთ შესაბამისობის თაობაზე. ეს ერთ -ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორია კანონის რეალიზაციისათვის.

მხოლოდ კარგი კანონის შექმნა (თუნდაც უცხოეთიდან გადმოწერის გზით) რომ არ არის საკმარისი კანონის მიზნის მისაღწევად, თუ მისი განხორციელებისათვის შესაბამისი პირობები არ შევქმენით, ამას ისიც ადასტურებს, რომ ხშირად მნიშვნელოვან საკანონმდებლო წყაროს წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები. ამ კონვენციების მოთხოვნათა შესასრულებლად ქვეყანაში არსებული პირობების შეცვლაა საჭირო და არა თვით კონვენციის მუხლების (რომელსაც ვერც შევძლებთ, რადგან ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული).

[1] იურიდიული პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების და მით უმეტეს სასჯელის დანიშვნისა დ აღსრულების საკითხი ცალკე განხილვას იმსახურებს. ამიტომ აქ დეტალურად აღარ შევეხებით. ამ საკითხზე იხ. ნონა თოდუა და სხვები, სანქციები სისხლის სამართალში, თბ., 2019

ამდენად, კანონმდებლობის შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნაც ან მინიმუმ ამისათვის მიზანმიმართული საქმიანობა. თუ უარს ვიტყვით სათანადო პირობების შექმნაზე ან ამას ვერ შევძლებთ, მაშინ კანონი ვერ „იმუშავებს". თუ ჩვენი პირობების მსგავს კანონებს დავჯერდებით, მოგვიწევს უარის თქმა სამართლებრივ და სხვა სახის განვითარებაზე. *განვითარება და პროგრესი კი აუცილებელია თუ გვინდა რომ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვიყოთ.* ამიტომ უმჯობესი და აუცილებელია კანონებთან ერთად შესაბამისი განვითარებული პირობების შექმნაზე ზრუნვა. სხვა მხრივ სამართლებრივი და კულტურულ – ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია.

ჩვენ აქ აღარ შევუდგებით პატიმრობის კოდექსის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის, სასჯელაღსრულების სამართლის[1] სახელმძღვანელოთა სამართლებრივ განხილვას.

დროის მოთხოვნების შესაბამისად შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლობა. მაშინ აუცილებელი გახდება ახალი სახელმძღვანელოების შექმნა კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, უფრო სწორად, ისეთი წიგნების შექმნა, რომელიც მოქმედ კანონმდებლობას დაეყრდნობა და გაანალიზებს.

* * *

კანონმდებლობისა და მეცნიერული ნაშრომების გვერდით საინტერესოა სასამართლო პრაქტიკის, სასჯელთა გამოყენების სტატისტიკის ანალიზიც.

ცხრილი

	2018		2017		მატება/კლება %	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
მსჯავრდებულია	14101	15846	13074	14517	7. 9	9. 2
მათ შორის:						
თავისუფლების აღკვეთა	3412	**3964**	3070	3559	11. 1	11. 4
%	**24. 2**	25. 0	23. 5	24. 5		
პირობითი მსჯავრი	7012	**7740**	5824	6461	20. 4	19. 8
%	**49. 7**	48. 8	44. 5	44. 5		
ჯარიმა	2782	**3207**	2804	3079	- 0. 8	4. 2
%	**19. 7**	20. 2	21. 4	21. 2		
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა	856	**895**	1312	1352	- 34. 8	- 33. 8
%	**6. 1**	5. 6	10. 0	9. 3		
შინაპატიმრობა	19	**20**	35	36	-45. 7	-44. 4
%	**0.1**	0.1	0.3	0.2		

თუ კარგად დავაკვირდებით ამ ცხრილს[2] ვნახავთ, რომ სასჯელთაგან ძირითადად მაინც თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა გამოიყენება. სხვა სახის სასჯელთა გამოყენების ხვედრითი წილი მცირეა ან საერთოდ არ არსებობს. სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის შედეგს უნდა მივაკუთვნოთ პირობითი მსჯავრის გამოყენების პროცენტის გაზრდა.

წინა წლების სასამართლო სტატისტიკაც რომ მოვიშველიოთ, იქაც მაღალია თავისუფლების აღკვეთის, ჯარიმის და პირობითი მსჯავრის პროცენტული წილი. თუ სხვა ქვეყნებთან შედარებით ანალიზს

[1] იხ. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, გ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., 2014, ერთ – ერთი საინტერესო ნაშრომია ამ დარგში.

[2] http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf

გავაკეთებთ, გერმანიის კანონმდებლობა სასჯელის მხოლოდ ორ ძირითად სახეს იცნობს. ესენია: თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა. გამოყენების თვალსაზრისით თანაფარდობა 80% და 20%-ია ან 90% და 10% – ჯარიმის სასარგებლოდ.[1]

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსსა და სასამართლო პრაქტიკაში სასჯელთა გამოყენების დინამიკას თუ გადავხედავთ და გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ *სასჯელის მრავალფეროვნება ნაკლებად ეხმარება და ემსახურება სასჯელის მიზანს. სასჯელის მრავალფეროვნებაზე მეტად მისი ეფექტური, სასჯელის მიზნის შესაბამისი შეფარდება და აღსრულებაა საჭირო.*

არაერთჯერ შეიცვალა და ალბათ კვლავ შეიცვლება სასჯელის სახეები, მაგრამ არსად და არასოდეს ვერც კანონმდებელი და ვერც სასამართლო უარს ვერ იტყვის თავისუფლების აღკვეთასა და ქონებრივი ხასიათის სასჯელზე. შეიძლება შეიცვალოს მათი საკანონმდებლო ჩამოყალიბებისა და სასამართლო პრაქტიკაში გამოყენების ფორმები, მაგრამ სასჯელის მიზნიდან გამომდინარე მათი არსებობის აუცილებლობა მუდამ იარსებებს. აუცილებელია როგორც ქონებრივი ხასიათის (მაგალითად, ჯარიმა) სასჯელი, ისე დამნაშავის საზოგადოებისგან იზოლაციასთან დაკავშირებული სასჯელი (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა). სხვა შუალედური სასჯელები, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არც თუ ისე ეფექტურია და ნაკლებად გამოიყენება.

მთავარია სწორად და გააზრებულად განვსაზღვროთ სასჯელის შეფარდებისა და აღსრულების მიზანი, რომელიც მის მისაღწევად ასევე გააზრებულ და შესაბამის საშუალებათა გამოყენებას გულისხმობს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999;
2. საქართველოს პატიმრობის კოდექსი, 2010;
3. საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, 2007;
4. თ. ცქიტიშვილი, სასჯელი და მისი შეფარდება, თბ.,გამომც. „მერიდიანი“, 2019, გვ. 315;
5. ნ. თოდუა, მ. ივანიძე, ლ. ფაფიაშვილი, ი. ხერხეულიძე, თ. ცქიტიშვილი სანქციები სისხლის სამართალში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2019, გვ. 487;
6. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, გ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 515;
7. http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-sisxli.pdf;
8. H – H Jescheck, T. Weigend, Lehrbuch des Strafrechts, AT, Ducker&Humblot, Berlin, 1996, s. 1029;
9. Walter Gropp, Landesbericht Deutschland, 2nd Criminal Law Reforms Congress, Cilt-1, Istanbul, 2015, ss.405-433.

ედიშერ ფუტკარაძე

სასჯელის დანიშვნისა და აღსრულების ზოგიერთი აქტუალური საკითხი

რეზიუმე

სასჯელის აღსრულება სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების შემდეგ ერთ – ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა მხოლოდ სასჯელის აღსრულებით არ უნდა შემოიფარგლოს ეს ბრძოლა.

თუ ცხოვრებისეულ რეალობას თვალს გავუსწორებთ, ვნახავთ, რომ შესაძლებელია უცხოური კანონების გადმოღება – გადმოწერა, რასაც ხშირად აქვს ადგილი პოსტ – საბჭოთა ქვეყნების სამართლებრივ განვითარებაში, მაგრამ ასეთივე სისწრაფით შეუძლებელია იმ სახელმწიფოებრივი

[1] ეს მონაცემები მოყვანილია გერმანელი კოლეგების საკონფერენციო მოხსენებებიდან, პროფ. ვ. გროპი და პროფ. ი. კინციგი. Walter Gropp, Landesbericht Deutschland, 2nd Criminal Law Reforms Congress, Cilt-1, Istanbul, 2015, ss.405-433;

მდგომარეობის (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა. შ.) გადმოტანა, სადაც ეს კანონები შეიქმნა. ამიტომ ხშირად სხვა რეალობაში შექმნილი კანონების გადმოღება დიდ შედეგებს არ იძლევა.

კანონების სხვისგან გადმოღება შესაძლებელია, მაგრამ კანონის მოქმედების ადგილის არა. ამიტომ ერთი და იგივე კანონი ყველგან ერთნაირად არ მოქმედებს და შესაბამისად არც ერთნაირ შედეგს იძლევა. ხშირად ეს კანონები პრაქტიკაში ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და აუცილებელი ხდება მისი შეცვლა. აქ იწყება ქრონიკული სამართლებრივი რეფორმები და მისი თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები.

როდესაც კანონმდებლობით (სისხლის სამართლის კოდექსი) განსაზღვრულია მიზანი (სასჯელის), საჭიროა მისი მიღწევის საშუალების დადგენა. სწორი საშუალება და ასევე მისი სწორად გამოყენება მიზნის მიღწევის საწინდარია. სწორ საშუალებად ჩვენ უნდა მივიჩნიოთ სასჯელის სახეები, ხოლო სწორ გამოყენებად როგორც სამართლიანი სასჯელის შეფარდება, ისე სამართლიანად შეფარდებული სასჯელის აღსრულება.

ქართულ სისხლის სამართლის კოდექსსა და სასამართლო პრაქტიკაში სასჯელთა გამოყენების დინამიკას თუ გადავხედავთ და გავაანალიზებთ, სასჯელის მრავალფეროვნება ნაკლებად ეხმარება და ემსახურება სასჯელის მიზანს. სასჯელის მრავალფეროვნებაზე მეტად მისი ეფექტური, სასჯელის მიზნის შესაბამისი შეფარდება და აღსრულებაა საჭირო.

Edisher Putkaradze

Some Actual issues of Penalty Imposition and its Execution

Summary

Sentencing is one of the most important stages in the fight against crime after the administration of fair justice. However, punishment should not be limited to the fight.

If we look at the realities of life, we can see that foreign laws can be downloaded – downloaded, which is often the case in the legal development of post – Soviet countries, but it is not possible to convey the state of affairs (political, economic, social, etc.) where it is. Laws were created. Therefore, it is often difficult to get laws made in another reality.

Laws can be taken from someone else, but not the place of application of the law. That is why the same law does not apply the same everywhere and therefore does not produce the same results. Often these laws fail to fulfill their function in practice and it is necessary to change them. Here begins the chronic legal reforms and the accompanying legislative changes.

Where legislation (the Criminal Code) defines the purpose (punishment), the means of achieving it must be established. Proper means and also proper use of them are the key to achieving the goal. We must consider the types of punishment as the correct means, and the just use of both fair punishment and justly executed punishment.

If we look at and analyze the dynamics of sentencing in the Georgian Criminal Code and judicial practice, the diversity of sentences is less helpful and serves the purpose of the sentence. More than the diversity of punishments, its effective, relevant and purposeful purpose of punishment is needed.

დავით სუხიტაშვილი

ვალდებულების შესრულების ვადების ზოგიერთი თავისებურება

ვალდებულების შესრულების ვადები მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო უფლების არსებობის ვადებთან. ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთი პირის უფლებას სხვა პირის კონკრეტული ვალდებულება შეესაბამება და შესაბამისად, ერთი პირის მიერ უფლების განხორციელების ვადები ერთდროულად კონტრაჰენტის მიერ ვალდებულების შესრულების ვადებია. ჩვეულებრივ, ვალდებულების შესრულებისათვის გამოიყენება განსაზღვრული და განსაზღვრებადი ვადები, მოთხოვნის მომენტით განსაზღვრული და გონივრული ვადები, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესი ვალდებულების შესრულების ვადების სხვა თავისებურებებით არის გამოწვეული, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ა) ვალდებულების ვადამდე შესრულება. ყველა სამართლებრივი სისტემა ადასტურებს, რომ როცა ვალდებულების შესრულების ვადები განსაზღვრულია კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა გარემოებებიდან გამომდინარეობს მისი შესრულების ვადა, ვალდებულება ამ ვადაში უნდა შესრულდეს. ეს წესი ვალდებულების დროში შესრულების ზოგადი პრინციპია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს „დათქმულ დროს“. ამავე წესს ამკვიდრებენ საერთაშორისო კონვენციები: საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის 33-ე მუხლი და საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 6.1.1. მუხლი. ხელშეკრულების მონაწილე მხარის მიერ ამ წესის დარღვევა არის ხელშეკრულების დარღვევა, რასაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოჰყვება.

თანამედროვე სამოქალაქო სამართალი უფრო მოქნილი, საზოგადოებისა და კონკრეტულად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ინტერესებზე მორგებული სამართალია. ე.წ. სუსტი მხარის დაცვა სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. „სუსტი მხარე“ ფართო ცნებაა. ამჯერად ჩვენ მხედველობაში გვაქვს შემთხვევა, როცა არ არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობით ვალდებულების დროში შესრულების გარანტია და ამიტომ საეჭვო ხდება რომელიმე მხარის უფლების სრულყოფილი დაცვა.

ვალდებულების დროული შეუსრულებლობა ან ვადამდე შესრულება, როგორც წესი, კრედიტორის უფლებას აზიანებს; ამიტომ ის ამ პროცესში სუსტ მხარედ გვევლინება. შესაბამისად, მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადები ირღვევა, კანონი უპირატესად კრედიტორის უფლებას იცავს. აღნიშნულის თაობაზე კარგ მაგალითს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლი, რომლის მიხედვით „მოვალეს უფლება აქვს ვადამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი პატივსადები მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე“.

სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ვალდებულების ვადამდე შესრულების შეზღუდვა კრედიტორის ინტერესებს იცავს. მართალია, ციტირებული ნორმით მოვალეს უფლება აქვს, ვალდებულება ვადამდე შეასრულოს, მაგრამ ამ უფლების რეალიზაცია მისი ცალმხრივი ნების გამოვლენაზე არ არის დამოკიდებული. ვარაუდი იმისა, რომ ვალდებულების ვადამდე შესრულება თითქოს კრედიტორის ინტერესებს შეესაბამება, ყოველთვის არ არის გამართლებული. ხშირად ვალდებულების ვადამდე შესრულება კრედიტორისათვის დამატებითი ხარჯებისა და ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. სწორედ ამგვარი შედეგების თავიდან აცილებას ემსახურება ვალდებულების ვადამდე შესრულების კანონით დადგენილი შეზღუდვები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობა ვალდებულების ვადამდე შესრულების თაობაზე, სრულად შეესაბამება პრინციპების 6.1.5. მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას არ გააჩნია უარის თქმის კანონიერი ინტერესი.

ვალდებულების ვადამდე შესრულების უარის თქმის კანონიერი ინტერესი შეიძლება, სხვადასხვა იყოს: დამატებითი ხარჯების გაწევა, ზიანის მიყენება ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგის განცდა. შესაბამისად, კრედიტორის უარი, ვალდებულების ვადამდე შესრულების თაობაზე, მის რეალურ ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. თუ მას ვალდებულების ვადამდე შესრულების უარის თქმის პატივსადები

მიზეზი არ გააჩნია, მოვალე უფლებამოსილია, ვადამდე შეასრულოს ვალდებულება და პირიქით, პატივსადები მიზეზის არსებობისას, მოვალეს არ შეუძლია, ვალდებულება ვადამდე შეასრულოს. მაგალითად, წისქვილსა და პურის საცხობს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც წისქვილი კისრულობს ვალდებულებას, ყოველი თვის შეთანხმებულ რიცხვში პურის საცხობს მიაწოდოს ხუთი ტონა ფქვილი. თუ მიმწოდებელმა ვალდებულების შესრულების ვადაზე ადრე შესრულების სურვილი გამოთქვა, ხოლო პურის საცხობს შესრულების მისაღებად არ აღმოაჩნდება შესაბამისად აღჭურვილი თავისუფალი საწყობი, შესრულების მიღებაზე მისი უარი კანონიერი და დასაბუთებული იქნება.

ხშირად პრაქტიკაში ისეთ შემთხვევასაც აქვს ადგილი, როცა ვალდებულების ვადამდე შესრულების უარის თქმის საპატიო მიზეზის არსებობის მიუხედავად, კრედიტორი ფაქტობრივად, შესრულებას ღებულობს. ისმის კითხვა – ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულება არის თუ არა ჯეროვანი შესრულება? ვფიქრობთ ამ კითხვაზე დადებითად უნდა ვუპასუხოთ, რადგან ეს ის შემთხვევაა, როცა კრედიტორი შესრულების ფაქტობრივი მიღებით, ანუ კონკლუდენტური მოქმედებით ახდენს ნების გარეგნულ გამოვლენას და ამით ჩაანაცვლებს ნების გამოვლენის ზეპირ თუ წერილობით ფორმას. შესაბამისად, კრედიტორის ნების მონაწილეობით ვალდებულების ვადამდე შესრულება მოვალეს ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებად ვერ ჩაეთვლება.

ვალდებულების ვადამდე შესრულებით, ჩვეულებრივ, მოვალე არის დაინტერესებული. ამიტომ პრინციპების 6.1.5. მუხლის მესამე პუნქტის თანახმად ვალდებულების ვადამდე შესრულებიდან გამომდინარე კრედიტორისათვის მიყენებული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება მოვალეს ეკისრება, კრედიტორისათვის ყველა სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებების შენარჩუნებით.

ვალდებულების ვადამდე შესრულების პროცესში კრედიტორის ინტერესებს გამოხატავს და იცავს ვალდებულების ცალკეული სახეების მომწესრიგებელი ნორმებიც. კოდექსის 626-ე მუხლის მეორე ნაწილის ბოლო წინადადების მიხედვით პროცენტიანი სესხის ვადამდე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი შეთანხმებით, ხოლო თუ მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება არ არსებობს, სასყიდლიანი (პროცენტიანი) სესხის დაბრუნება ვადაზე ადრე შეიძლება მხოლოდ კრედიტორის თანხმობით. სასყიდლიანი სესხის ვადამდე შესრულების ამგვარი შეზღუდვა ლოგიკური და სამართლიანია. წინააღმდეგ შემთხვევაში სესხის ადრე დაბრუნება კრედიტორისათვის ზიანის მომტანი იქნებოდა, რადგან ის ვერ მიიღებდა პროცენტის სახით გარკვეულ შემოსავალს.

თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულება (კოდექსის 366-ე მუხლი). ზემოთ განხილული ნორმებისაგან განსხვავებით, ამჯერად, ვალდებულების შესრულების დრო მოვალის სასარგებლოდ განიმარტება, ანუ კანონი მოვალის, როგორც სუსტი მხარის, ინტერესებს იცავს და თუ კრედიტორი ამ დროს ვალდებულების შესრულების მიღებაზე უარს იტყვის, ის ვადის გადამცილებლად ჩაითვლება. რა თქმა უნდა, საეჭვოობა ისეთ მდგომარეობას გულისხმობს, როცა ვალდებულების შესრულება განსაზღვრულ დროს ეჭვის ქვეშ დგება, მაგრამ აქ მთავარია, რომ შესრულების შეუძლებლობის ვარაუდი დასაბუთებული უნდა იყოს, რომ თუ არა შემოთავაზებულ დროს, შემდგომ ვალდებულება ვერ შესრულდება ობიექტური მიზეზით. მაგალითად, არსებობს საშიშროება, რომ შესრულების ობიექტი განადგურდება ან საწარმომ, რომელიც შესრულების ობიექტს აწარმოებს, წყვეტს მუშაობას, მეზობელი სახელმწიფოდან აიკრძალა შესრულების ობიექტის ექსპორტ-იმპორტი და სხვა და ყოველივე ამაში მოვალეს ბრალი არ მიუძღვის.

ვალდებულების ვადამდე შესრულების პროცესში მოვალის ინტერესებია დაცული მაშინაც, როცა მართალია, სესხის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაგრამ სესხისათვის პროცენტი არ არის გათვალისწინებული. ამ პირობების არსებობისას მოვალეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე ყოველთვის შეუძლია სესხის დაბრუნება (სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან პროცენტიანი სესხისაგან განსხვავებით ვალდებულების ვადამდე შესრულებით კრედიტორი რაიმე ზიანს არ განიცდის და ფულადი ვალდებულების შესრულების მიღებით არც დამატებითი ხარჯების გაწევა დასჭირდება.

ბ) კრედიტორის და მოვალის მიერ ვადის გადაცილება. ვალდებულების ვადამდე შესრულებისაგან საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე კრედიტორისა და მოვალის მიერ ვადის გადაცილების დროს. თუ ვალდებულების ვადამდე შესრულების დროს მოვალე ვალდებულების ვადამდე შესრულებით არის

დაინტერესებული და ამ თვალსაზრისით აქტიურ და კეთილსინდისიერ მხარედ წარმოაჩენს თავს, ვადის გადაცილებით კი მისი ინტერესი ვალდებულების შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში ვლინდება და ამიტომ ის პასიურ და არაკეთილსინდისიერ მხარედ გვევლინება.

მოვალის მიერ ვადის გადაცილება არის განსაზღვრულ ვადაში მის მიერ ვალდებულების სრულად ან მისი ცალკეული ელემენტების შეუსრულებლობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ორ პირობას განიხილავს და ადგენს, რომ ვადა გადაცილებულად ითვლება თუ: 1. შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება და 2. შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას. როგორც თვით კოდექსის მე-400 მუხლის „ა“ პუნქტის შინაარსიდან ირკვევა, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების პირველი პირობა ის შემთხვევაა, როცა ვალდებულების შესრულების ვადები პირდაპირ თუ არაპირდაპირ განსაზღვრულია კალენდარული თარიღით ან შესაძლებელია მისი ასეთად განსაზღვრა. მაგალითად, სესხის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მოვალემ სესხი უნდა დააბრუნოს არაუგვიანეს 31 მაისისა, ან – მაისის განმავლობაში, პირველ კვარტალში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში სრულიად ნათელია ვალდებულების შესრულების დრო და მოვალეს მისი ვალდებულების შესრულების შეხსენება – გაფრთხილება არ სჭირდება. სხვა საქმეა, როდესაც ვალდებულების შესრულების განუსაზღვრელ ვადებთან გვაქვს საქმე. სწორედ ასეთი შემთხვევისათვის გამოიყენება კოდექსის მე-400 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტი. მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ბინის მყიდველი შეთანხმებულ ფასს მას შემდეგ გადაიხდის, როცა გამყიდველი ბინას გამოათავისუფლებს და გადასცემს მყიდველს. როგორც ვხედავთ, ამგვარი შეთანხმებით ძნელია, ზუსტად განვსაზღვროთ მყიდველის მიერ ფასის გადახდის მომენტი, ამიტომ საჭიროა, კრედიტორმა შეახსენოს (გააფრთხილოს) მოვალე ვალდებულების დროული შესრულების თაობაზე. ასეთივე წესი უნდა იყოს გამოყენებული განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულებების მიმართაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალეს ბრალს ვერ დავდებთ ვალდებულების შეუსრულებლობაში, სანამ კრედიტორის მხრივ არ იქნება იგი გაფრთხილებული, თუ როდის შეასრულოს ვალდებულება.

შეიძლება ითქვას, რომ სპეციალისტთა უმრავლესობა და კანონმდებლობაც ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას მოვალის ბრალეულ მოქმედებას უკავშირებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-402-ე მუხლების თანახმად შესრულების ვადის გადაცილებისათვის პასუხისმგებლობა დადგება თუ ვადის გადაცილება მოვალის განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით არის გამოწვეული. სხვანაირად რომ ვთქვათ, შესრულების ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული. ასეთი გარემოება კი მრავალი შეიძლება იყოს. კერძოდ, როცა ვალდებულების შესრულებას დაუძლეველი ძალა აბრკოლებს – წყალდიდობის, მეწყერისა და სხვათა შედეგად შეფერხებულია მოძრაობა; სახელმწიფოს მიერ აკრძალულია საქონლის ექსპორტ-იმპორტი, მუშაობა შეწყვიტა საქონლის მიმწოდებელმა საწარმომ; ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა გამოწვეულია კრედიტორის მიერ შესრულების ვადის გადაცილებით – შემკვეთი მენარდეს დროულად არ აწვდის საშენ მასალას და ა. შ.

შესრულების ვადის გადაცილება მოვალისათვის უარყოფით სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევს. უპირველესად, მოვალეს დაეკისრება შესრულების ვადის გადაცილებით კრედიტორისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება, მასვე აკისრია ვალდებულების შესრულების ობიექტის შემთხვევით დაღუპვის რისკი (კოდექსის 402-ე მუხლი); მოვალე პასუხს აგებს მაშინაც, როცა შესრულების ვადის გადაცილების შემდეგ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დადგა შესრულების შეუძლებლობის პირობები, რამაც თავის მხრივ კრედიტორისათვის უარყოფითი შედეგის დადგომა გამოიწვია.

კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება ორგვარი სამართლებრივი ბუნებისაა. თუ მოვალის მიერ ვადის გადაცილება შესრულების ვადის გადაცილებაა და ე.ი. ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება, ერთი მხრივ, შესრულების მიღების ვადის გადაცილებაა, რაც არ წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებას. მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილება ვალდებულების შეუსრულებლობა და ვალდებულების დარღვევის შედეგია, მაშინ როდესაც კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილება უფლების გამოყენებაზე უარის თქმაა. მეორე მხრივ, მართალია, შესრულების მიღება კრედიტორის უფლებაა, მაგრამ მისი უფლება მთავრდება იქ, სადაც მოვალის უფლებები იწყება. სამოქალაქო კოდექსის 391-ე და 393-ე მუხლებით სწორედ ის შემთხვევებია

გათვალისწინებული, როცა კრედიტორი ვალდებულია, მიიღოს შესრულება, წინააღმდეგ შემთხვევაში შესრულების მიღების ვადის გადაცილებით მოვალისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება. მაგალითად, მოვალემ კრედიტორისათვის გადასაცემი საქონელი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე დანიშნულების ადგილას მიიტანა, მაგრამ კრედიტორი საქონლის მისაღებად დანიშნულების ადგილას არ გამოცხადდა. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებული იქნება, მოვალეს აუნაზღაუროს ტვირთის გადაზიდვით გამოწვეული აუცილებელი და დამატებითი ხარჯები; კრედიტორი ვალდებულია ასევე, ვადის გადაცილებისას მოვალეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების ობიექტის შენახვის ხარჯები, მასვე დაეკისრება ვადის გადაცილების პერიოდში ნივთის შემთხვევით გაფუჭებისა და დაღუპვის რისკი. დაბოლოს, კრედიტორი კარგავს ფულადი ვალდებულების შესრულების მიღების გადაცილებული პერიოდისათვის პროცენტის მიღების უფლებას. კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების სპეციალურ შემთხვევას ადგენს კოდექსის 433-ე მუხლი, რომლის მიხედვით თუ კრედიტორი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს, უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვადის გადამცილებლად ჩაითვლება.

გ) მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების რიგითობა და ურთიერთგავლენა. ორმხრივ ხელშეკრულებით ურთიერთობებში მხარეებმა ვალდებულება ერთდროულად შეასრულონ თუ სხვადასხვა დროს, მრავალ გარემოებაზეა დამოკიდებული. ვალდებულების შესრულების რიგითობას მხარეები ხშირად ხელშეკრულებით განსაზღვრავენ, ზოგჯერაც ის კანონის ან ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს. ასე მაგალითად, ქირავნობით ურთიერთობებში ქირა გადახდილი უნდა იყოს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას. ხოლო თუ ქირის გადახდა ხელშეკრულებით დროის მონაკვეთებით არის განსაზღვრული, მაშინ იგი გადახდილი უნდა იყოს დროის ამ მონაკვეთის გასვლის შემდეგ (კოდექსის 553-ე მუხლი) ანუ ორივე შემთხვევაში ძირითად ვალდებულებას ჯერ გამქირავებელი შეასრულებს – გაქირავებულ ნივთს სარგებლობაში გადასცემს დამქირავებელს და მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ გადაიხდის ქირას დამქირავებელი და ამით ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მის ძირითად ვალდებულებას. კანონით არის განსაზღვრული ასევე, რომ სადაზღვევო ურთიერთობებში ჯერ დამზღვევი იხდის სადაზღვევო პრემიას და მხოლოდ ამის შემდეგ ეკისრება მზღვეველს შეასრულოს მისი ძირითადი მოვალეობა.

სხვა შემთხვევაში მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების რიგითობა შეიძლება, ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობდეს. როდესაც ჩვენ მენარდესთან ვდებთ ხელშეკრულებას, ბინაში წყალგაყვანილობის სამუშაოს შესრულების ან შენობის სახურავის შეკეთების თაობაზე და სხვა, ივარაუდება, რომ ჯერ მენარდემ უნდა შეასრულოს სამუშაო და შემდეგ შემკვეთმა გადაიხადოს შესრულებული სამუშაოს ღირებულება. ვფიქრობთ, ამ მოთხოვნას ემსახურება პრინციპების 6.1.4. მუხლის მეორე პუნქტი, რომლის მიხედვითაც როცა მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების რიგითობა ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული და ერთი მხარისათვის ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა გარკვეული დრო, მაშინ მან ვალდებულება პირველმა უნდა შეასრულოს, თუკი გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

ნარდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით მომსახურების სხვა სფეროში, მაგალითად, სანახაობით ურთიერთობებში – კინო, თეატრი, ჯერ მომხმარებელი ასრულებს ვალდებულებას და იხდის განსაზღვრულ სასყიდელს და ამის შემდეგ წარმოეშობა უფლება, მოითხოვოს მისთვის შესაბამისი სამსახურის გაწევა – კინოს ჩვენება და სხვა. კონტრაჰენტიც ამის შემდეგ ასრულებს თავის მოვალეობას. და კიდევ, გადამზიდველის პასუხისმგებლობა წარმოადგინოს მოძრავი შემადგენლობა მატარებლების, ავტობუსების, საჰაერო ხომალდების, გემების სახით გადაადგილების განრიგის შესაბამისად და გამოუყოს მგზავრს ადგილი შესაბამის სატრანსპორტო საშუალებაში, ასევე მიიღოს მისგან ბარგი, წარმოიშობა მას შემდეგ, რაც მგზავრი შეიძენს მგზავრობის ბილეთს.[1]

დ) ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობა. ცალკე განხილვის საკითხია ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობა. ფულადი ვალდებულება, როგორც ერთმანეთის მსგავსი

[1] ტ. ზამბახიძე, იხ. წიგნში – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედ. ლადო ჭანტურია, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ., გვ. 314.

ვალდებულებები, მრავალრიცხოვანია. ფულად ვალდებულებებს მიეკუთვნება ყოველი ვალდებულება, რაც ფულით უნდა შესრულდეს. მასში იგულისხმება სასესხო-საკრედიტო ურთიერთობებიდან წარმოშობილი მოვალის ვალდებულება; ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მყიდველის ვალდებულება; ქირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დამქირავებლის ვალდებულება გადაიხადოს შეთანხმებული ქირის თანხა; შემკვეთის ვალდებულება, მენარდეს გადაუხადოს სამუშაოს შედეგისათვის გათვალისწინებული თანხა და ა. შ. სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლი ფულადი ვალდებულების შესრულების რიგითობისათვის სხვადასხვა პირობებს ადგენს, რაც უპირატესად მოვალის ინტერესების გამომხატველია. მაგალითად, თუ მოვალეს კრედიტორისათვის რამდენიმე ფულადი ვალდებულების შესრულება ეკისრება, და ის, რაც შესრულდა, ყველა ვალის დასაფარავად არ არის საკმარისი, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; მაგრამ თუ მოვალე არ გამოიყენებს კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებას და არ გააკეთებს არჩევანს თუ რომელი ვალდებულება შეასრულოს პირველად, ვალდებულების შესრულების რიგითობა განისაზღვრება კანონით და პირველად დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა.

მოვალის ინტერესებს გამოხატავს ასევე განსახილველი ნორმის მეორე ნაწილი, რომელიც ვალდებულების შესრულების ისეთ წესრიგს ადგენს, როცა მათი შესრულების ვადა ერთდროულად დადგება. მოვალის ინტერესების დაცვა კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ ვალდებულებათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად ის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად უფრო მძიმეა. რომელი ვალდებულებაა შესასრულებლად უფრო მძიმე, ყველაზე უკეთ ეს თვით მოვალემ იცის. ამიტომ ამჯერადაც უპირატესობა მის ნებას მიეცემა. თუ მაგალითად, მოვალეს სესხისა და ბინის ქირის გადახდის ვალდებულება ერთდროულად ეკისრება, ალბათ შესასრულებლად უფრო მძიმე ბინის ქირის გადახდა იქნება, რადგან მის გადაუხდელობას შეიძლება მძიმე შედეგი, ბინიდან გამოსახლება მოჰყვეს.

კოდექსის 387-ე მუხლის მესამე ნაწილი, ახლა უკვე, კრედიტორის ინტერესებს გამოხატავს. მის მიხედვით თუ მოვალის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

ორმხრივ ხელშეკრულებებში ხელშეკრულების ორივე მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც. ე.ი. თითოეული მათგანი არის კრედიტორიც და მოვალეც. სწორედ ამიტომ, მხარეთა თანაბარი უფლებების პირობებში, ისინი დაინტერესებულნი არიან, ყოველგვარი რისკის თავიდან აცილების მიზნით თავიანთი ვალდებულებები ერთდროულად შეასრულონ. აღნიშნულის გათვალისწინებით საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 6.1.4-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ორმხრივ ვალდებულებით ურთიერთობებში, იქ სადაც შესაძლებელია მხარეთა მიერ ვალდებულების ერთდროული შესრულება, მხარეებმა ვალდებულება ერთდროულად უნდა შეასრულონ თუ გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამრიგად, ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ვალდებულების ერთდროული შესრულება ყოველთვის არის შესაძლებელი, თუკი გარემოება სხვა რამეზე არ მიგვანიშნებს. ერთდროული შესრულება უპირატესად ორმხრივ რეალურ ხელშეკრულებებში გვხვდება. საცალო ვაჭრობის დროს მხარეები ვალდებულებას ერთდროულად ასრულებენ და შესრულების ერთდროულობას ვერ ცვლის ის ფაქტი, რომ ჯერ გამყიდველი გადასცემს მყიდველს გაყიდულ ნივთს და ამის შედეგ გადაიხდის მყიდველი ნივთის ღირებულებას, რადგან სამოქალაქო ვალდებულების ერთდროული შესრულება არ ნიშნავს ფიზიკური დროის ერთდროულობას.

ვალდებულების ერთდროული შესრულების პირობებში კეთილსინდისიერი შემსრულებლის მხარეს ყოველთვის არსებობს მეორე მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის განცდის რისკი. ამიტომ, კეთილსინდისიერი შემსრულებლის უფლებების დაცვის მიზნით და შესაძლო ზიანის თავიდან აცილების ან შემცირების უზრუნველსაყოფად სამოქალაქო კანონმდებლობით მას მინიჭებული აქვს უფლება, **„უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე“** საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა (სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლი).

იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, „უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე“ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხელშეკრულების მონაწილე ეს მხარე საერთოდ ამბობს უარს ვალდებულების შესრულებაზე. კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს

მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შეჩერების (გადადების) უფლება მანამ, სანამ მეორე მხარე არ შესთავაზებს თავის შესრულებას ან არ შეასრულებს თავის ვალდებულებას. ამასვე ადგენს პრინციპების 7.1.3. მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც თუ მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები ერთდროულად უნდა შეასრულონ, ნებისმიერ მათგანს შეუძლია, შეაჩეროს შესრულება მანამ, სანამ მეორე მხარე არ შესთავაზებს თავის შესრულებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე და პრინციპების 7.1.3. მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით შეიძლება ისეც იყოს გაგებული, რომ ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია, შეაჩეროს შესრულება მარტოოდენ იმ საფუძვლით, რომ მათ ვალდებულების ერთდროული შესრულება ევალებათ. ვფიქრობ, დასახელებულ ნორმათა ასეთი გაგება არ იქნება სწორი. მართალია, ორმხრივ ვალდებულებით ურთიერთობაში იქ, სადაც მხარეებს ვალდებულების ერთდროული შესრულება ევალებათ, კეთილსინდისიერი მხარის მიერ ვალდებულების შესრულებას ყოველთვის შეიძლება ახლდეს მისთვის ზარალის განცდის საშიშროება, თუ არ არსებობს მეორე მხარისაგან ვალდებულების შესრულების გარანტია, მაგრამ აღნიშნულის მიუხედავად მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შეჩერება, თუ არ არსებობს საამისოდ პატივსადები საფუძველი, არ უნდა იყოს დასაშვები. ამიტომ, ამ მხრივ, უფრო სრულყოფილად მიგვაჩნია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციის 71-ე და 72-ე მუხლების მოთხოვნა, რამდენადაც მათში უფრო მეტი დამაჯერებლობით არის გადმოცემული ვალდებულების შესრულების შეჩერებისა და გაუქმების საფუძვლები. მათში ნათქვამია, რომ: მხარეს შეუძლია, შეაჩეროს თავის ვალდებულებათა შესრულება, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოსალოდნელია მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილის შეუსრულებლობა იმის გამო, რომ მნიშვნელოვნად მოკლებულია ვალდებულების შესრულების უნარს ან მისი კრედიტუუნარობის (გადახდისუუნარობის) შედეგად. მხარემ, რომელიც აჩერებს შესრულებას, მიუხედავად იმისა კეთდება ეს საქონლის გაგზავნამდე თუ მის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს მეორე მხარეს და უნდა განაგრძოს ვალდებულებათა შესრულება, თუ მეორე მხარე წარუდგენს საკმაო გარანტიებს, რომ ასრულებს თავის ვალდებულებებს. კონვენციის 72-ე მუხლში კი ნათქვამია, რომ თუ ხელშეკრულებით დადგენილ ვადამდე ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი მხარე არსებითად დაარღვევს ხელშეკრულებას, მეორე მხარეს შეუძლია, გამოაცხადოს მისი გაუქმება.

ამრიგად, ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთი მხარის უფლება, შეაჩეროს ვალდებულების შესრულება ან საერთოდ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, გამოწვეული უნდა იყოს მეორე მხარის მოქმედებით. ამიტომაა, რომ კანონი ბოლომდე იცავს კეთილსინდისიერი მხარის უფლებებს. თუ ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთი მხარის ბრალეული მოქმედება მეორე მხარეს ვალდებულების შესრულების შეჩერების ან შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს იძლევა, მაშინ ამ უკანასკნელს უნარჩუნდება საპასუხო შესრულების მიღებისა და ზარალის ანაზღაურების უფლება. მაგალითად, მხარეებმა დადეს კაპიტალური მშენებლობის ნარდობის ხელშეკრულება. შემკვეთმა მენარდეს უხარისხო და გამოუსადეგარი მასალა მიაწოდა, რის შესახებაც მენარდემ დროულად გააფრთხილა და მოითხოვა უხარისხო მასალის გამოცვლა. გაფრთხილების მიუხედავად შემკვეთმა მოითხოვა მიწოდებული მასალით მშენებლობის გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში მენარდეს სამოქალაქო კოდექსის 406-ე და 647-ე მუხლების საფუძველზე უფლება აქვს, უარი თქვას ვალდებულების შესრულების გაგრძელებაზე და მოითხოვოს მის მიერ უკვე განხორციელებული შესრულებისათვის საპასუხო შესრულების მიღება, ასევე ხელშეკრულებაზე უარის თქმით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება.

თუ არსებობს გონივრული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე ერთი მხარის მიერ ვადის გადაცილებით კეთილსინდისიერ მხარეს ზიანი მიადგება, მისი თავიდან აცილების მიზნით ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, დააკავოს ნივთი. ნივთის დაკავება სამოქალაქო კოდექსის მე-500 მუხლის თანახმად ნიშნავს, რომ თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან დროზე არ გადაიხდის მის საფასურს, გამყიდველი, ერთი მხრივ, ვალდებულია, შეინახოს ნივთი, მეორე მხრივ, გამყიდველს უფლება აქვს, დააკავოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს მის ღირებულებას და მის შენახვაზე გაწეულ ხარჯებს.

ციტირებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე ივარაუდება, რომ გამყიდველმა, როგორც კეთილსინდისიერმა მხარემ, შეასრულა ნივთის მიწოდების თაობაზე ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ იმის

გათვალისწინებით, რომ მყიდველმა არ მიიღო შესრულება და თავის დროზე არ გადაიხადა ნივთის ღირებულება, ნივთი გამყიდველთან რჩება ან სხვაგვარად ახორციელებს მასზე კონტროლს. ასეთ შემთხვევაში კეთილსინდისიერი გამყიდველის უფლებების დაცვა კანონით არის გარანტირებული, რაც გულისხმობს, მის უფლებას შეინახოს, დაიტოვოს ან გზაში დააკავოს ნივთი მანამ, სანამ მყიდველი არ გადაიხდის ნივთის ღირებულებას და მისი შენახვის ხარჯებს.

დაბოლოს, ორმხრივი ხელშეკრულების მონაწილე კეთილსინდისიერი მხარის უფლებების დაცვას ემსახურება ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი. კეთილსინდისიერი შემსრულებლის უფლების დაცვის გარანტია ამჯერად იმაში მდგომარეობს, რომ როცა ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის მნიშვნელობა დაკარგა (სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი).

ე) ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება. ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების ზოგად წესს შეიცავს სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლი. მის მიხედვით მოვალეს უფლება აქვს, ვალდებულება ნაწილ-ნაწილ შეასრულოს, თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება ყოველთვის კრედიტორის ნებაზე იყოს დამოკიდებული. პრინციპების 6.1.3. მუხლი, შეიძლება ითქვას, აზუსტებს ამ დებულებას და მოითხოვს, იმისთვის რომ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების მიღებაზე კრედიტორმა უარი განაცხადოს, მას საამისოდ კანონიერი ინტერესი უნდა გააჩნდეს.

როგორ შესრულდეს ვალდებულება – ერთნაირად (ერთბაშად) თუ ნაწილ-ნაწილ, ხშირად ეს მხარეთა ნებაზე არც არის დამოკიდებული. მას მრავალი გარემოება განაპირობებს. მაგალითად, არის საშიშროება, რომ შესრულების ობიექტი განადგურდება, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, თუ ამავდროულად ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების უფლებას უპირისპირდება კრედიტორის მიერ შესრულების მიღებისათვის უარის თქმის საპატიო მიზეზი?! (კოდექსის 364-ე მუხლი). ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში თუ მხარეთა შორის დადებულია, ვთქვათ, ნასყიდობის ხელშეკრულება ინდივიდუალურად განსაზღვრულ ან გაუყოფად ნივთზე, მხარეთა ნების მიუხედავად ვალდებულება ერთბაშად შესრულდება. გამყიდველი გაყიდულ ნახატს ან ავტომანქანას ნაწილ-ნაწილ ვერ მიაწვდის მყიდველს. ანუ ყოველი ცალკეული ურთიერთობისადმი საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

ვალდებულების ნაწილ-ნაწილ თუ ერთბაშად შესრულება, როგორც ვალდებულების შესრულების ხერხი, განსხვავებულია იმის მიხედვითაც თუ დროის რა პარამეტრებით არის განსაზღვრული შესრულების ვადა. როცა მაგალითად, ვალდებულების შესრულების ვადა კონკრეტული კალენდარული თარიღით არის განსაზღვრული, მაშინ შესრულება უნდა მოხდეს სრულად და ერთჯერადად ამ ვადაში. როცა სესხის ხელშეკრულებით დადგენილია, რომ მოვალემ 1000 ლარი სესხი 5 სექტემბერს უნდა დააბრუნოს, ითვლება, რომ მოვალემ 5 სექტემბერს ვალდებულება სრულად უნდა შეასრულოს ანუ 1000 ლარი ერთჯერადად უნდა დაუბრუნოს კრედიტორს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა.

სხვა შემთხვევაში როცა შესრულების ვადა დროის გარკვეული პერიოდით არის განსაზღვრული, შესრულების ხერხიც განსხვავებული შეიძლება იყოს. როცა ხელშეკრულებით დადგენილია, რომ მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს სექტემბრის თვეში, მაშინ მოვალე უფლებამოსილია, სექტემბრის თვის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ შეასრულოს ვალდებულება ისე, რომ სექტემბრის თვის ბოლო რიცხვში 1000 ლარი სესხი სრულად იყოს დაფარული.

ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების ვადები უნდა გავმიჯნოთ ზოგადი და კერძო ვადებისაგან, უფრო სწორად – კერძო ვადებისაგან. როგორც უკვე იყო ნათქვამი, კერძო ვადა არის ერთიანი ვალდებულების შესრულების დროში გადანაწილება მხარეთა მიერ წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულების დროს მოვალის

ცალმხრივი ნების გამოვლენით ირღვევა ვალდებულების ერთბაშად შესრულების ვადები და შესრულება მიმდინარეობს დროში მოუწესრიგებლად, ქაოსურად.

პრინციპების 6.1.5. მუხლის მეორე პუნქტი ეხება საკითხს თუ რა გავლენას ახდენს ორმხრივ ხელშეკრულებაში ერთი მხარის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულება მეორე მხარის ვალდებულების შესრულების ვადებზე და როგორ მოვაწესრიგოთ იგი. პრინციპების მიერ დადგენილი საერთო წესი ასეთია, რომ ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ, პირობითად მყიდველის მიერ, ვალდებულების ვადამდე შესრულების მიღება გავლენას ვერ მოახდენს მისივე (მყიდველის) ვალდებულების შესრულების ვადებზე, თუკი ამ უკანასკნელის ვალდებულების შესრულების ვადები განსაზღვრული იყო მეორე მხარის, პირობითად გამყიდველის, ვალდებულების შესრულების ვადებისაგან დამოუკიდებლად. ვთქვათ, გამყიდველი და მყიდველი ნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ გამყიდველი საქონელს მიაწვდის 10 სექტემბერს, ხოლო მყიდველი საქონლის საფასურს 10 ოქტომბერს გადაიხდის. გამყიდველს ინტერესი გაუჩნდა, რომ ვალდებულება აგვისტოს თვეში შეასრულოს. ასეთ შემთხვევაში თუკი მყიდველს შესრულების ვადამდე მიღებაზე უარის თქმის პატივსადები მიზეზი არ გააჩნია, ის შესრულებას მიიღებს, ხოლო თავის ვალდებულებას, საქონლის ღირებულების გადახდის შესახებ, შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში – 10 ოქტომბერს, რადგან მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადები ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული.

სხვა შემთხვევაში შეიძლება, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველმა საქონელი უნდა მიაწოდოს 10 სექტემბერს, ხოლო მყიდველმა საქონლის ღირებულება უნდა გადაიხადოს საქონლის მიწოდებისთანავე. ასეთ შემთხვევაში თუ გამყიდველი მოითხოვს მისივე ვალდებულების ვადამდე შესრულებას, მყიდველი უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას შესრულების ვადამდე მიღებაზე, რადგან მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების ვადები მიმწოდებლის ვალდებულების შესრულების ვადებზე არის დამოკიდებული. ყოველივე ამან კი მხარეს შეიძლება პრობლემები შეუქმნას იმ თვალსაზრისით, რომ მას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე არ ჰქონდეს ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო ფულადი სახსრები.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ზამბახიძე ტ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი პირველი, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედ. ლადო ჭანტურია, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2001 წ..

დავით სუხიტაშვილი

ვალდებულების შესრულების ვადების ზოგიერთი თავისებურება

რეზიუმე

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვა განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები სამოქალაქო ვალდებულების შესრულებისათვის გამოიყენებენ განსაზღვრულ და განსაზღვრებად ვადებს, მოთხოვნის მომენტით განსაზღვრულ და გონივრულ ვადებს. ამ ვადების მომწესრიგებელი ნორმები უპირატესად ზოგადი და დისპოზიციური ხასიათისაა და ერთნაირად ვრცელდება როგორც სახელშეკრულებო, ისე – არასახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

ვალდებულების დროული შესრულება ურთიერთობის ნორმალურ მსვლელობას გულისხმობს და ასეთ პირობებში ურთიერთობის შეწყვეტა მხარეთა მიერ წინასწარ ნავარაუდევი შედეგით დამთავრდება. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მხარე მასზე დაკისრებულ ვალდებულებას დროულად ვერ ასრულებს. ვალდებულების ვადამდე შესრულება; მოვალის ან კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება; ვალდებულების შერულების რიგითობის დარღვევა; ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულება, როცა ეს წინასწარ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების დროული შეუსრულებლობის სხვა შემთხვევები

თავისებურ კვალს ტოვებს ურთიერთობის მსვლელობაზე. წინამდებარე სტატიაშიც სწორედ ამ თავისებურებათა რაობაზეა საუბარი.

David Sukhitashvili

Some Peculiarities of Timeframes for Fulfilling Obligations

Summary

Georgian Civil Code and Civil Codes of other developed countries will use defined and definable terms, request determined and reasonable terms for fulfillment of civil obligations. The rules governing these terms are predominantly general and dispositive in nature and apply equally to contractual and non-contractual obligations.

Timely fulfillment of obligations implies normal relations and terminations of relations by the parties under such conditions, will end with preliminarily presumable result. But there are cases, when a party can't fulfill taken obligations in good time. Early fulfillment of obligations; overdue by debtor or creditor; breach of order of priority; partial fulfillment of obligations, when this was not provided in advance and other cases of non-fulfillment of obligations in good time leave peculiar mark on the course of the relationship. Such peculiarities are discussed in this article.

დავით ვეკუა

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

სადაზღვევო ბაზარი, ფინანსური ბაზრის ორგანული ნაწილია, სადაც ყიდვა-გაყიდვის ობიექტია სადაზღვევო მომსახურება. ეს სპეციფიკური ფულადი ურთიერთობები ყალიბდება დაზღვეულებს და მზღვეველს შორის სადაზღვევო კომპანიებში შექმნილი სადაზღვევო ფინანსური ფონდების მეშვეობით. ეს ფონდები ერთის მხრივ წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სადაზღვევო რისკებისგან თავის დაცვის მექანიზმს და მეორის მხრივ თავისუფალი ფულადი რესურსების მოზიდვის გზით ახდენენ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას.

სადაზღვევო ბაზარი, საბაზრო მექანიზმების დახმარებით ბაზრის მონაწილეებს სთავაზობს სადაზღვევო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მრავალფეროვან მომსახურეობას და ამიტომ დაზღვევა თვისი იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე არის სერვისული ინდუსტრია, ხოლო სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაცია ამ ბაზარზე არის სადაზღვევო კომპანიების მარკეტინგული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ზოგადად ეს სტრატეგია ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე დაიყვანება,,,ეს არის სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნილების ჩამოყალიბება და სადაზღვევო ინტერესების დაკმაყოფილება"[1].

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების ეტაპი, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე წლებს უკავშირდება და ამ ბაზრის „პიონერები" სწორედ ამავე პერიოდში დაფუძნებული სადაზღვევო კომპანიები,,ალდაგი" და,,იმედი L" იყვნენ.

დღეს საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ერთის მხრივ მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის ნაწილია, და მეორე მხრივ იგი საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი გახდა. მისი როლი და ადგილი ფინანსურ ბაზარზე განისაზღვრება სადაზღვევო დაცვის მზარდი მოთხოვნილებით, რაც აძლიერებს მისადმი ეკონომიკურ ინტერესებს, ხოლო სადაზღვევო ურთიერთობების ფულადი ფორმა, მას აქცევს ფინანსური ბაზრის განუყოფელი ნაწილად.

დაზღვევაზე მოთხოვნილების საყოველთაო ხასიათი განსაზღვრავს მის კავშირს ისეთ ფინანსურ სისტემებთან, როგორიცაა ბანკები, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციები, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტები, სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ფასიანი ქაღალდების ბაზრები და ა.შ.

სადაზღვევო ბაზარი – მრავალწახნაგოვანი ინტეგრირებული ფინანსური სისტემაა, რომელიც ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ურთიერთდაკავშირებულ ფუნქციას. ეს ფუნქციები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

- საკომპენსაციო ფუნქცია, დაზღვეული ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამდგარი ზარალის კომპენსაციას გულისხმობს.
- შემნახველი ფუნქცია, დაზღვეულის ანგარიშზე სადაზღვევო შენატანების აკუმულირებასა და დაგროვებაში გამოიხატება;
- პრევენციული ფუნქცია, რისკების შემცირების მიზნით დაზღვეულ ობიექტებზე პრევენციულ ღონისძიებების ჩატარებას ითვალისწინებს;
- საინვესტიციო ფუნქცია, სადაზღვევო კომპანიების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსების ფასიან ქაღალდებში, საბანკო დეპოზიტებში, უძრავ ქონებაში განთავსებას გულისხმობს.

ფინანსური მდგრადობა და გადახდისუნარიანობა სადაზღვევო ბაზარის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამ მიზნით, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის მიერ

[1] ჯამლეტ შათირიშვილი, ნატო კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, თბილისი, გამომცემლობა,,ივერიონი", 2012წ. გვ.323.

პერიოდულად მიმდინარეობს დადგენილი პარამეტრების მიხედვით სადაზღვევო კომპანიების რანჟირება და მონიტორინგი. ბაზრის ანალიზის პროცესში გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა: მოზიდული პრემია; გადაზღვევით მოზიდული პრემია; სადაზღვევო ზარალის მოცულობა; სადაზღვევო პრემიის ნაზარდი; სადაზღვევო პრემიის მოცულობის ფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან; პრემიის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე და სხვა.

სადაზღვევო ბაზარი – ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროა, სადაც სადაზღვევო მომსახურება ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს და ყოველთვის არსებობს სადაზღვევო მომსახურებაზე მიწოდება-მოთხოვნის რეგულირების აუცილებლობა. დაზარალებულისათვის ფულადი კომპენსაციის გარანტირებული კვლავწარმოება და ამავე კვლავწარმოებაზე მოთხოვნილების ზრდა ბაზრის განვითარების ობიექტური საფუძველია.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა, მისი განვითარების ვექტორები მნიშვნელოვან წილად განპირობებულია იმით თუ რა სადაზღვევო ველია ჩამოყალიბებული ქვეყანაში. დაზღვევის ველის ქვეშ ვგულისხმობთ დაზღვეულ ობიექტთა ერთობლიობას, რომლებიც სადაზღვევო ბაზარზე აყალიბებენ სადაზღვევო პროდუქტებზე მიწოდება-მოთხოვნის შესაძლებლობას.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხოლო დაზღვევა ჩამოყალიბდა როგორც სპეციალური ფინანსური სისტემა, რომელსაც აქვს საკუთარი ფინანსური რესურსები, ეკონომიკა და ორგანიზაციული სტრუქტურა.

საქართველოში სახელმწიფოს, როგორც სადაზღვევო ბაზრის მონაწილის ფუნქცია სამ მიმართულებით ვლინდება: პირველი – ფინანსური, როდესაც სადაზღვევო კომპანიები მიზნობრივ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების განხორციელების დროს პირდაპირ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს დაფინანსებას, მეორე, როდესაც დგინდება სადაზღვევო ბაზრის რეგულირების პირობები და სტანდარტები, მესამე, როდესაც სახელმწიფოს შემოაქვს დაზღვევის ესა თუ ის სავალდებულო სახეობა მაგალითად, სამედიცინო, საპენსიო ან უმუშევრობის.

სახელმწიფოს ჩარევა განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს სოციალური დაზღვევის სფეროში, სადაც დაზღვევის მექანიზმების გამოყენებით სახელმწიფო მონაწილეობს ეკონომიკას რეგულირებაში, ზემოქმედებას ახდენს კვლავწარმოების პროცესზე და ხელს უწყობს კაპიტალის დაგროვებას. აქედან, გამომდინარე სოციალური დაზღვევა, როგორც ფინანსური სისტემის მნიშვნელოვანი მექანიზმი, ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას არის სოციალური პოლიტიკის თანადაფინანსების წყარო და ბიზნესისთვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობა.

საქართველოში,,2018 წელს რეგისტრირებული ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 542,2 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც მათ მიერ სადაზღვევო მომსახურებაზე გაწეულმა ანაზღაურებამ მხოლოდ 301,9 მილ. ლარი''[1], რაც ნიშნავს იმას, რომ 240,3 მილ. ლარი, ანუ მოზიდული პრემიის 44,3 პროცენტი, როგორც რეზერვი დარჩა სადაზღვევო ფონდების ანგარიშებზე და ეს რესურსი ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტების რეალური საინვესტიციო ფინანსური წყარო გახდა. თუ,,2018 წელს მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობას გავაანალიზებთ ორგანიზაციების ჭრილში დავინახავთ, რომ კვლავ, როგორც წინა წლებში ამ თანხების მობილიზაციის 47,2% სამ ლიდერ კომპანიაზე მიდის. ეს კომპანიებია: სადაზღვევო კომპანია „ალდაგი'' 86,4 მილ. ლარი, სადაზღვევო კომპანია,,იმედი L" 63,7 მილ. ლარი, სადაზღვევო კომპანია,, ჯ ი პი აი'' 105,9 მილ. ლარი[2].

დასავლურ ქვეყნებში მოსახლეობაში დაზღვევის იდეის პოპულარობისა და რისკებისაგან დაცვის შესაძლებლობების გამოყენების ეფექტიანობაზე, ისევე როგორც მოსახლეობის მაღალ მსყიდველობით უნარიანობაზე მეტყველებს ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მოზიდული პრემიის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. ამ მაჩვენებლით 2010 წელს (მართალია მაჩვენებელი შედარებით მოძველებულია, მაგრამ იგი მსოფლიო სადაზღვევო ბაზარზე არსებულ მდგომარეობასა და მაჩვენებლების დინამიკის შესაფასებლად გამოდგება) საერთაშორისო სადაზღვევო ბაზარზე ლიდერი იყო შვეიცარია, სადაც მოზიდული პრემიის მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე შეადგინა 6633 დოლარი, შემდგომ მოდიან ჰოლანდია – 5845 დოლარი, იაპონია – 4390 დოლარი, აშშ – 3758 დოლარი. რუსეთში ამ მაჩვენებელმა

[1] http://insurance.gov.ge /Statistics.aspx
[2] http://insurance.gov.ge /Statistics.aspx

შეადგინა 296 დოლარი, თურქეთში 121, ინდოეთში – 64,4 დოლარი.“[1] რაც შეეხება,,საქართველოს 2018 წლის მონაცემებით, იგი შეადგენს 158,3 ლარს ანუ 58 დოლარს’’[2].

,,2012 წელს საფრანგეთში სადაზღვევო პრემიის მოცულობის ფარდობამ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში შეადგენდა 9,5 %, აშშ – 8,1%, გერმანიაში 6,8%, ჩინეთში 3,0%, რუსეთში 1,3%,[3]“. ხოლო საქართველოს იგი 2018 წლის მონაცემებით არ აღემატება – 1.5-ს %.[4]

სადაზღვევო ბაზარზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი რისკი, მაგრამ ამ მიმართულებით განსაკუთრებით მგრძნობიარეა პოლიტიკური რისკები, რადგან ისინი პირველ რიგში ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას უკავშირდება. ამ ტიპის რისკების გავლენა საქართველოში მწვავედ იგრძნობოდა რუსეთ-საქართველოს ომის პირობებში, რადგან ასეთ დროს ჩნდება სრულიად ახალი გამოწვევები, მაგალითად მოსახლეობის მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, დევნილთა დიდი ნაკადები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამცირებს სადაზღვევო აქტიურობას და ზრდის პასიური მოლოდინების პროცესს. ასევე პოლიტიკური რისკების კატეგორიას მიეკუთვნება მთავრობის მცდელობები ჩაერიოს სადაზღვევო ბაზრის ფუნქციებში საკანონმდებლო რეგულაციების და ნორმატიული ბაზის ცვლილებების გზით. ამის მაგალითია ზედამხედველობის ფუნქციის ხშირი ტრანსფორმაცია, ლიცენზირების სტანდარტების ცვლილება, საწესდებო კაპიტალის მოცულობების ახალი პირობების განსაზღვრა და ა. შ.

განსაკუთრებით მგძნობიარე იყო სადაზღვევო ბაზრისათვის 2010 წელი, როდესაც განხორციელდა სამთავრობო ინიციატივების ინტერვენცია სადაზღვევო ინდუსტრიაში. როდესაც მთავრობამ აიძულა სადაზღვევო კომპანიები დაეწყოთ საკუთარი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა არა სარეზერვო ფონდებიდან, არამედ მოზიდული პრემიების ხარჯზე, რამაც შემდგომში სადაზღვევო კომპანიებს შეუქმნა პრობლემები კლიენტებთან სადაზღვევო ვალდებულებების შესრულების საქმეში. ასეთმა ზეწოლამ დააფრთხო ინვესტორები და მათ დაიწყეს საქართველოს სადაზღვევო ბაზრიდან გასვლა, მაგალითად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომელიც იყო სადაზღვევო კომპანიის,,იმედი L“ წილის 30% მფლობელი ამის გამო გაყიდა წილი და გავიდა საქართველოს ბაზრიდან. სწორედ, ამ ტიპის სამთავრობო ინტერვენციები გახდა კატალიზატორი მთელი რიგი წარმატებული კომპანიების დაშლისა და დანაწევრების მიზეზი.

ის, რომ სადაზღვევო ბაზარი სათანადოდ არ არის დივერსიფიცირებული და უფრო მეტიც არის ყველა ნიშანი იმისა, რომ მიმდინარეობს მისი მონოპოლიზაცია, მიგვანიშნებს სადაზღვევო სტატისტიკა.,, 2018 წელს სამმა კომპანიამ,,იმედი L’’- მა,,ალდაგმა“ და,,ჯიპი აი მ „ მოზიდული პრემიებით ბაზრის 47,2% დაიკავა.’’[5]

სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა, ინფლაციური რისკები. „2018 წელს ქვეყანაში ინფლაციამ შეადგინა 4,1%“[6] რამაც ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გააუარესა. ასეთ პირობებში მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დაქვეითება და მისი დაბალი დონე არ ტოვებს შესაძლებლობას სადაზღვევო ბაზარზე ახალი ფულადი ნაკადების შემოდინების. ამის გამო ბაზარი კვლავ რჩება მცირე და შეზღუდული სადაზღვევო პროდუქტების ასორტიმენტის ანაბრად. ეს არის სხვა პრობლემებთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი, რის გამოც უცხოელი ინვესტორები არ გამოთქვამენ დიდ ინტერესს საქართველოში სადაზღვევო ბიზნესთან თანამშრომლობის.

სავალუტო რისკები კვლავ რჩება საქართველოს სადაზღვევო ბაზრის,,აქილევსის ქუსლად“, რის გამოც იზრდება სადაზღვევო მომსახურეობის ფასი, მცირდება შეთავაზებული პროდუქტების ასორტიმენტი და სადაზღვევო მომსახურების ხარისხი.

---

1 Федотенко С. А. Страховой рынок, понятие и структура. (Современное состояние страхового рынка в России.) VII Международная студенческая электронная научная конференция (студенческий научный форум») Москва 2015 г

2 http://insurance.gov.ge /Statistics.aspx

3 Социальное положение и уровень жизни населения России. Раздел 16. (Международные сравнения), Москва 2012 г. ст.284

4 http://insurance.gov.ge /Statistics.aspx

5 http://insurance.gov.ge /Statistics.aspx

6 www.Geostat.ge

სადაზღვევო ბაზრის ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრობლემა, სადაზღვევო კომპანიების ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის რისკი. ეს რისკი განპირობებულია იმით, რომ შესაძლებელია გარკვეული პირობების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიამ ვერ შეძლოს მთლიანად ან ნაწილობრივ დამდგარი ზარალების გასტუმრება.

სადაზღვევო კომპანიების ლიკვიდურობის რისკის გაზომვა საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რადგან მასზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. მათ შორის არაერთი ისეთი ფაქტორია, რომელიც კომპანიის გარეთ არსებობს და რაზეც ის ვერ ახდენს რეაგირებას. ლიკვიდურობის რისკი რამდენიმე ინდიკატორით უნდა შევაფასოთ. ეს ინდიკატორებია: აქტივების ლიკვიდურობა; პასივების მდგრადობა; ფულადი სახსრების მოძრაობის დინამიკა.

გარდა ფინანსური რისკებისა სადაზღვევო ბაზრები ექვემდებარება ფუნქციონალურ რისკებსაც. ეს რისკები შეიძლება იყოს სტრატეგიული, ტექნოლოგიური, ახალი სადაზღვევო პროდუქციის დანერგვა და ა. შ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბაზარზე არ შემოდის ახალი კომპანიები, ხოლო ძველები ნაკლებად არიან დაინტერესებულები სიახლეებით, არ სთავაზობენ მომხმარებელს ახალ პროდუქტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ინოვაციური იქნება და შემოიფარგლებიან ტრადიციულ სერვისებით, სიტუაცია ნაკლებად დინამიურია. ამაზე მეტყველებს მოზიდული პრემიის მოცულობებიც. მთელს სადაზღვევო ინდუსტრიაში „2018 წელს მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 542,2 მილიონი ლარი. თუ ამ მაჩვენებელს 2013 წლის ანალოგიურ მონაცემებს შევადარებთ 471 მილ. ლარი ვნახავთ, რომ 5 წლის განმავლობაში ზრდამ 71,2 მილ. ლარი შეადგინა“[1]. რაც რბილად, რომ ვთქვათ არ შეიძლება ჩაითვალოს დარგის განვითარებად.

ერთადერთი პოზიტიური ინდიკატორია ის ფაქტი, რომ ქართულ სადაზღვევო ბაზარზე იზრდება გადაზღვევის მოცულობა.,, თუ 2013 წელს იგი შეადგენდა 52 მილ ლარს 2018 წელს მან შეადგინა 96 მილ. ლარი,''[2] რაც სადაზღვევო პორტფელების სტაბილურობის გარანტიის ერთ-ერთი მაჩვენებელია. ასევე ბაზარზე პოზიტიურ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კომპანიებმა უკეთ ისწავლეს რისკების შეფასება და მათი პოზიტიური სელექცია, რაზეც მეტყველებს ზარალების ანაზღაურების 5 წლიანი სტატისტიკა. თუ „2011 წელს ანაზღაურებული ზარალების მოცულობამ შეადგინა მოზიდული პრემიების 68%, 2018 წელს ამავე მაჩვენებელმა 55,6% მიაღწია“[3], რაც უდავოდ კომპანიების მენეჯმენტის პროფესიული ზრდის ნიშანია.

„2018 წელს სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ ჯამში 217 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რომლიდანაც 26% (55 მილიონი ლარი) იმედი L-მა აითვისა, ხოლო „ჯიპი აი“ 29%-ით (63 მილიონი ლარი) სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევის ბაზრის მესამედი შეადგინა.

2018 წელს ქონების დაზღვევის სახეობაში მოზიდულმა პრემიამ 85 მილიონი ლარი შეადგინა. ამ სეგმენტზე კი ლიდერობს ალდაგი ბაზრის 33,19%-ით, შემდეგ მოდის „ჯიპი აი“ 18,18%.“[4]

როგორც ფინანსური მაჩვენებლებიდან ჩანს ძირითადად ბაზარზე ორი კომპანია ალდაგი და „ჯიპი აი“ ლიდერობს. „ჯიპი აი“ ფაქტობრივად ყველა სეგმენტზე ცდილობა კონკურენცია გაუწიოს სხვა კომპანიებს, ხოლო ალდაგი ფაქტობრივად ყველა სფეროში მოქმედებს გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, რადგან ამ სეგმენტზე წარმატებულად მოქმედებს „იმედი“, რომლის 85%-ს სწორედ ალდაგი ფლობს.

რა არის საქართველოს სადაზღვევო ბაზრის „აქილევსის ქუსლი'? ეს არის კითხვა, რომელზედაც პასუხს არ უნდა გავექცეთ სტატისტიკური ციფრების ცალმხრივი ინტერპრეტაციით, რადგან ჩამოყალიბებული არა დივერსიფიცირებული სადაზღვევო სისტემა აღარ ტოვებს განვითარების პერსპექტივას, იგი მიდრეკილია ბაზრის მონოპოლიზმისკენ, და მსხვილი ბიზნესს ჯგუფებში კაპიტალის კონცენტრაციისკენ.

სამწუხაროდ, ბანკები ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწონ სადაზღვევო კომპანიებს თანაზომიერ განვითარებას, კლიენტებს სთავაზობენ საბანკო მომსახურების პროდუქტების დაზღვევას მათთან დაკავშირებულ ან მათივე წილის მფლობელობაში მყოფ სადაზღვევო კომპანიებში, რითაც კიდევ უფრო აძლიერებენ ისედაც მონოპოლისტ კომპანიებს და მნიშვნელოვნად ასუსტებენ ბაზრის სხვა მონაწილეებს.

1 http://insurance.gov.ge /Statistics.aspx
2 http://insurance.gov.ge/Statistics.aspx
3 http://insurance.gov.ge/Statistics.aspx
4 http://insurance.gov.ge/Statistics.aspx

ჯერ კიდევ ძალიან სუსტია აგრარული სადაზღვევო ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თანადაფინანსების გზით აქტიურად ეხმარება ფერმერებს აგრარული პროდუქტების დაზღვევაში. ინდუსტრიის ეს სეგმენტი საჭიროებს მეტ დინამიზმს.

საქართველოში კვლავ ძალიან მწირია სიცოცხლის დაზღვევის მსურველთა რაოდენობა, რაც მოსახლეობის დაბალი მსყიდველობით უნარიანობით არის განპირობებული.

ასევე ძალზედ იწელება ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისგებლობის დაზღვევის შესახებ კანონის მიღება, რაც უდავოდ გააჩენს დაზღვევაში ახალ ფინანსურ ნაკადებს და პოზიტიური იმპულსი იქნება სადაზღვევო ბაზარი განვითარებისთვის.

დაზღვევისადმი ხალხის სკეპტიციზმი ჯერ კიდევ საგრძნობია,,,რადგან რიგ შემთხვევები იყო, როდესაც მზღვეველმა პასუხისმგებლობას თავი აარიდა, მაშინ როდესაც დამზღვევს სადაზღვევო პრემია გადახდილი ქონდა. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება მედიაციის სამსახურის ჩართვა და დავების რეგულირება''[1]. მსგავსი ფაქტები კი უარყოფითად მოქმედებს მთლიანად სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე.

ვფიქრობთ, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემები გასული ორი ათეული წელის განმავლობაში არა სიღრმისეულად არის შესწავლილი, ეკონომიკური ანალიზის დროს მეტი ყურადღება ექცევა გარე რისკებსა და გამოწვევებს, ნაკლები შიდა პრობლემებს, რაც ემსგავსება ისეთ მდგომარეობას, როდესაც ვაფასებთ სხვის ცხოვრებას და აღმოვაჩენთ, რომ ნაკლებად ვართ ჩახედული საკუთარში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ჯამლეტ შათირიშვილი, ნატო კაკაშვილი, სადაზღვევო საქმე, თბილისი, გამომცემლობა,,ივერიონი", 2012წ.;
2. დავით ვეკუა, სადაზღვევო ურთიერთობებში მედიაციის პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება" N (1) 3 თბილისი 2011წ.;
3. Социальное положение и уровень жизни населения России. Раздел 16. (Международные сравнения), Москва 2012 г. ст.284;
4. Федотенко С.А. Страховой рынок, понятие и структура. (Современное состояние страхового рынка в России.), VII Международная студенческая электронная научная конференция (студенческий научный форум»), Москва 2015;
5. http://insurance.gov.ge /Statistics.aspx;
6. www. Geostat.ge.

დავით ვეკუა

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები

რეზიუმე

სტატიაში განიხილება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემები და მათი დაძლევის გზები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება თანამედროვე სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარების ტენდენციებსა და მოთხოვნებს.

სტატიაში ჩამოყალიბებულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარის, როგორც მრავალწახნაგოვანი ინტეგრირებული ფინანსური სისტემის, მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომლის განხორციელება უპირობოდ აუცილებელია იმისთვის, რომ არ დაირღვეს საქართველოს სადაზღვევო ბაზარის რეფორმირების თანმიმდევრობის ლოგიკა და ტრანსფორმაციის პროცესი.

[1] დავით ვეკუა, სადაზღვევო ურთიერთობებში მედიაციის პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზები ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება" N (1) 3 თბილისი 2011წ.

გაანალიზებულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარის ფუნქციონირების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. ის ახალი გამოწვევები, რაც სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარებას თან ახლავს და შიდა ბაზარზე თავდაცვითი ინსტიქტების გაძლიერებას უკავშირდება.

განხილულია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული პრობლემები, როგორიცაა: აგრარული სადაზღვევო სექტორის სისუსტე და არაეფექტიანობა, დაზღვევისადმი სკეპტიციზმის საფუძვლიანობა და მედიაციის სამსახურების მოუქნელი მუშაობა, სიცოცხლის დაზღვევის მსურველთა სიმცირის მიზეზები, ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საკანონმდებლო რეგულაციის აუცილებლობა და სხვა.

David Vekua

Challenges existing at the Georgian insurance market and ways to address them.

Summary

The article provides a review of challenges at the Georgian insurance market and the ways to address them that,to a large extent,are based on the trends and requirements of development of modern insurance industry

The article formulates important functions of the Georgian insurance market,as multi-dimensional integrated financial system, that should be certainly implemented in order to keep theprocess of reformation of Georgian insurance market going.

The positive and negative results of functioning of Georgian insurance market are analyzed together with the new challenges that accompany the development of insurance market and causes strengthening of defensive instincts at the internal market.

The article discusses the problems of the insurance market, such as: agricultural insurance sector weakness and ineffectiveness, skepticism for insurance thoroughness and mediation services inflexible work, the lack of applicants for life insurance reasons, the vehicle owners' civil responsibility for insurance of legal regulations, etc. a.

სიმონ (ამირან) თავართქილაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება და მისი პოლიტიკურ ეკონომიკური ასპექტები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ 1918 წლის 28 მაისს დაიდო.

მისი სრული სახელწოდებაა „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“.

ზოგიერთი მკვლევარი შესაძლოა შემეკამათოს კიდეც თუნდაც სათაურის მიხედვით „შეთანხმება ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ“ არ შეიძლება განხილული იქნას საერთაშორისო ხელშეკრულებად. რომ შეთანხმება სხვაა და ხელშეკრულება სხვა. აქ პასუხი მარტივია, კლასიკური სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ენციკლოპედიური განმარტებით „საერთაშორისო ხელშეკრულება – ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტების შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ასეთ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს კონვენცია, პაქტი, ოქმი, ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ., მაგრამ მიუხედავად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია.“[1]

საერთაშორისო სამართლის დეფინიციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულება – როგორც წესი ნიშნავს ხელშეკრულებას იმ ქვეყნებს შორის, რომლის მხარედ მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარებული სახელმწიფოები არიან. საქართველოს შემთხვევაში კი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არც დე ფაქტო და არც დე-იურე აღიარება არცერთი ქვეყნიდან არ ქონია. უფრო მეტიც ამ შეთანხმების მონაწილე მხარემ გერმანიამ საქართველო დე-ფაქტო -1918 წლის 10 ივნისს აღიარა. ხოლო დე-იურე - 1920 წლის 24 სექტემბერს.

ამ კონტექსტში ვერ დავეთანხმები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესანიშნავ მკვლევარს პროფესორ ოთარ ჯანელიძეს, რომელიც თავის ნარკვევებში აღნიშნავს: „აქ შეიძლებოდა განგვეხილა 1918 წლის 28 მაისს ფოთში გაფორმებული გერმანია-საქართველოს ხელშეკრულების ცალკეული მუხლები, გაგვეანალიზებინა ისინი და სხვ., მაგრამ ეს ხელშეკრულებაც ორ ქვეყანას შორის ომის მდგომარეობიდან გამომდინარე სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა და არ ითვალისწინებდა ურთიერთობის სამართლებრივ პრინციპებს[2]

აზრთა სხვადასხაობის მიუხედავად, პირველსა და მეორე მსოფლიო ომს შუა მოღვაწე მკვლევარებს საერთაშორისო სამართლის ამ დეფინიციასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმიათ. ისტორიული პოლიტიკური პროცესების დინამიკური ხასიათი ხშირად წარმოშობს შეუთავსებლობას პოლიტიკური სუბიექტის რეალურ არსებობასა და მის ლეგიტიმაციას შორის. უკვე მაშინაც არსებობდა მცირე რაოდენობის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომელთაც სხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი აღიარების სტატუსი არ ჰქონდათ. პოზიტივისტთა დომინანტური დოქტრინის თანახმად, ისინი თანხმდებოდნენ, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირების საშუალებაა.

ამ შეთანხმების მიხედვით, საქართველომ გერმანიის იმპერიისაგან მიიღო ერთგვარი „კეთილგანწყობის გარანტია“, რომ ის დაიცავდა და პროტექციას გაუწევდა ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას.

„დიდი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტს, რომ გერმანია საქართველოში არც მთლად უანგაროდ მოქმედებდა და მას აქ საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს; გერმანია ქართულ სახელმწიფოს თავის არა

[1] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი ლოგოს პრესი

[2] „(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. ოთარ ჯანელიძე 2018წ. გვ,78.

სატელიტად, არამედ პარტნიორად მიიჩნევდა, რომელთანაც თანამშრომლობა ორივე ქვეყნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპს ეფუძნებოდა.

აქვე ერთი საგულისხმო ფაქტიც: გერმანელების საქართველოში ყოფნის პერიოდში მოქმედებდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, დაწესებული იყო ადგილობრივი ფულის ერთეულის – ბონისა და გერმანული მარკის გაცვლითი კურსი თანაფარდობით: 1 მარკა უდრის 1 მანეთსა და 25 კაპიკს. ქართული პრესის თანახმად, ამ კურსით მარკის შეძენა შეეძლო, როგორც მთავრობას, ისე კერძო პირებს და ბონის ინფლაციას არ უმოქმედია გაცვლით კურსზე.[1]

„გერმანიის მთავრობამ 1918 წლის აგვისტოში ქართველი მოსწავლეებისათვის 10 სტიპენდია დააარსა. თითო მათგანი 15 ათას მარკას შეადგენდა, ბავარიის ეტტალის მონასტერმა კი რამდენიმე ქართველი ბავშვი საკუთარი ხარჯით გიმნაზიაში მიაბარა; გერმანელების აქ ყოფნის დროს ქართველი ხალხის საქმიანობას... ღრმა რწმენის მადლი ეტყობოდა... სხვები რომ პატივს გვცემდნენ, – ჩვენც ვიმსჭვალებოდით საკუთარის პატივისცემით. გერმანია თავის საქციელით აქ ყველას აჩვენებდა, რომ სახელმწიფოში იმყოფებოდა. ჩვენი ხალხიც იზრდებოდა ამ საჭირო გრძნობასა და შეგრძნებაში“.[2] – წერდა ნაციონალისტთა გაზეთი „სალი კლდე“.

იმისთვის, რომ თუნდაც ზოგადად გავიაზროთ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა, უფრო მეტიც – მისი ისტორიული აუცილებლობა, გავიხსენოთ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების მომენტისათვის მსოფლიოში თავისი მაშტაბითა და შინაარსით უდიდეს კაპიტალისტურ სახლმწიფოთა ორ ჯგუფს შორის მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესი – პირველი მსოფლიო ომი. ცალკე სამსჯელოა საქართველოს აქტიური თუ პასიური როლი და ადგილი ამ მოვლენებში, თუმცა ისტორიული ფაქტის კონსტანტირებისათვის ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში უკვე „საბჭოთა“ რუსეთმა გერმანიის იმპერიასთან და მის მოკავშირეებთან (ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი, თურქეთი) დადო სეპარატიული ზავი. რომლის პირობების თანახმად რუსეთის არმიას უნდა დაეტოვებინა 1878 წლიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი იმჟამინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით – ბათუმის, ყარსის და არტაანის მხარე (ოკრუგები). თუმც ზავის პირობებში აღნიშნული იყო, რომ ამ „ოკრუგების“ მოსახლეობას თავად უნდა გაერკვია საკითხი თუ რომელი სახელმწიფოს (ოსმალეთის თუ რუსეთის) შემადგენლობაში სურდა ცხოვრება. მაგრამ, ამავე ხელშეკრულებაში იყო საკმაოდ არაორაზროვანი პირობა, რომ ხსენებული „ოკრუგების“ თვითგამორკვევის პროცესში უპირატესობა ოსმალეთს ენიჭებოდა.

ოსმალეთი ამ მხარეებში მოსახლეობის თვითგამორკვევის პროცესის წარმართვას არც აპირებდა და უარს აცხადებდა მოკავშირეთა წინადადებაზე – მოლაპარაკება ეწარმოებინა, იმ მოტივით, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, ის რუსეთის ნაწილია და მოითხოვეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უპირობოდ ცნობა.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, გერმანიის ძალისხმევით 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო მოლაპარაკება. თბილისში ამიერკავკასიის სეიმმა ოსმალეთთან მოლაპარაკების შეუძლებლობა და შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო. საპასუხოდ ოსმალეთის არმიამ 1918 წლის 1 აპრილს ბათუმის და სამცხე-საათაბაგოს ოკუპაციაც მოახდინეს. **„თურქებმა აჭარაში ქართული ადმინისტრაცია გააუქმეს, ქუჩებს სახელებიც კი გაუთურქულეს.“**[3]

ამიერკავკასიის მთავრობა, ქართული მხარე რეალურ გამოსავალს ეძებდა, ქვეყანა გარდაუვალი საფრთხის წინაშე იდგა. ოსმალეთი აგრესიულ გეგმებს არ მალავდა და არც დათმობას აპირებდა. „თურქეთის აგრესიული გეგმები ნათლად გამოვლინდა ტრაპიზონის (1918 წ. მარტი) და ბათუმის (1918 წ. მაისი) საზავო კონფერენციებზე. რეალური ძალა, რომელიც საქართველოს თურქეთისაგან დაიცავდა, მხოლოდ გერმანია შეიძლებოდა ყოფილიყო.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებელი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ამის შემდეგ ოსმალეთს თითქოსდა ვეღარ უნდა წამოეყენებინა ის არგუმენტი, რომ ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო არ იყო. მაგრამ ოსმალებმა ამჯერად ახალებური ინტერპრეტაცია წარმოადგინეს: ამიერკავკასიის დემოკრატიული

[1] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 5 ივლისი.
[2] გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 30 მაისი
[3] (ჭუმბურიძე, 2003, 115).

ფედერაციული რესპუბლიკა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადების მომენტში სახელმწიფო არ იყო, ამიტომ მას არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შეცვლა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ოსმალეთის არმია მდინარე ჩოლოქთან იდგა. მთელი სამხრეთ საქართველო ბორჯომამდე და სომხეთის უდიდესი ნაწილი ოსმალეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ოსმალეთის არმიის მოსალოდნელი შემოტევის შეჩერებისათვის ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკას არანაირი შესაძლებლობ არ გააჩნდა. უფრო მეტიც აზერბაიჯანი ოსმალეთს აგრესორად არც განიხილავდა, სომხეთი იმ დროისათვის აშკარად ანგლოფილურ დამოკიდებულებას გამოხატავდა, ხოლო საქართველო გერმანიის იმპერიის მოიმედე იყო.

„საქართველო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყნის ბედი დამოკიდებული იყო სწორ არჩევანზე, რომელსაც მიიღებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის მესვეურნი. „საქართველოს ან დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა, ან უნდა გადაეცა ოსმალეთისათვის მოთხოვნილი ტერიტორიები, ანდა ომი უნდა დაეწყო მასთან, რაც კატასტროფას ნიშნავდა... საქართველო გერმანიის იმედით ირჩევდა საუკეთესო გზას.“[1] გერმანიის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გენერალმა[2] ოტო ფონ ლოსოუმ აკაკი ჩხენკელს განუცხადა, რომ შექმნილ ვითარებაში გერმანიის იმპერია ოსმალეთის აგრესიისაგან ამიერკავკასიის ფედერაციას ვერ დაიცავდა, ხოლო თუ ქართველებს გერმანიის მფარველობა სურდათ მათ უნდა გამოეცხადებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკა უნდა დაშლილიყო.

თავის მხრივ „თურქეთი იძულებული იქნებოდა, დაეთმო გერმანიისათვის, რადგან მსოფლიო ომი ჯერ დამთავრებული არ იყო და მას არ შეეძლო განესაზღვრა, სად და როდის დასჭირდებოდა გერმანიის დახმარება.“ [3]

საინტერესოა, 1918 წლის 24 მაისს თბილისში გენერალ კვინიკაძეს აკაკი ჩხენკელის ხელმოწერით, საგანგებო დეპეშის შინაარსი, სადაც ხაზგასმულია რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევს.



ტფილისი, გენერალ კვინიტაძეს

გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანალების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთადერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დავუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარის დამჭერათ ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბერგი, რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი... გამზადებულია ხელმოსაწერათ რამოდენიმე დროებითი .შეთანხმება გერმანიასთან... ვუცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას.

მაისი 24, 1918

1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რეს-პუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. იმავე დღეს, საღამოს ხუთი საათისათვის, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა.

ორი დღის შემდეგ, 1918 წლის 28 მაისს ფოთში ხელმოწერილ იქნა გერმანია-საქართველოს ხელშეკრულება, რომელიც, ომის მდგომარეობიდან გამომდინარე, ორ ქვეყანას შორის სამხედრო, ფინანსურ და სავაჭრო პრობლემებს აწესრიგებდა. დამოუკიდებლობის გამოცხადებით საქართველომ გერმანიის დახმარებით თურქეთი აიძულა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების საპირისპიროდ დაეთმო საქართველოსთვის -ბათუმი და დაებრუნებინა სამცხე ჯავახეთში ოკუპირებული რაიონები თუმცა ამ პროცეს

1 (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 116).

2 (დ.ჭუმბურიძე,. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წწ., გამომცემლობა „მემატიანე“,

3 (ქართ. დიპლ. ისტ., 2003, 576).

მშვიდად არ ჩაუვლია. უფრო მეტიც პოლიტიკისების შეთანხმების მიუხედავად 1918 წლის ზაფხულში თურქულ და ქართულ- გერმანულ ნაწილებს შორის შეიარაღებული დაპირისპირებაც კი მოხდა. შეტაკებები აჭარაში მიმდინარეობდა და მასში საქართველოში მცხოვრები გერმანელებიც იღებდნენ მონაწილეობას. საბოლოოდ, სწორედ გერმანიის წყალობით გადაურჩა საქართველო თურქულ ოკუპაციას. მეტიც, გერმანელების ზეწოლის წყალობით ოსმალეთის იმპერიამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები. ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დე-ფაქტო და დე-იურე აღიარება – დასტური მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას თურქეთი იყო – 1918 წლის 3 ივნისი.

კავკასიაში გერმანული ექსპედიის ხელმძღვანელი ბარონი ფრიდრიხ ფონ კრესენშტაინი თავის მოგონებებში „ჩემი მისია კავკასიაში" აღნიშნავს, რომ გერმანიამ საქართველოში 19500 ჯარისკაცი შემოიყვანა ქვეყნის დაცვის მიზნით. გერმანია ეხმარებოდა საქართველოს ინსტიტუციების მშენებლობაში, რადგან გერმანია საქართველოს კავკასიაში ლიდერ და საყრდენ ქვეყნად განიხილავდნენ. სწრაფადვე ფორმირებულმა სამხედრო რაზმებმა 1918 წელს დაიკავეს ძირითადი სადგურები და ქართულ ჯართან ერთად წინააღმდეგობა გაუწიეს და შეაჩერეს ოსმალური ოკუპაცია. ამასთანავე ფოთში დადებული ხელშეკრულების პოლიტიკური წონის გავლენით, იმ პერიოდში, არავის შეეძლო საქართველოს ოკუპაცია, მათ შორის არც გერმანიის მოკავშირე – ოსმალეთის იმპერიას.

დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თანხმობით საქართველოში შემოვიდა ორი ბავარიული ათასეული, ხოლო თბილისში ბინა დაიდო გერმანიის სამხედრო-დიპლომატიურმა მისიამ გენერალ ფონ კრესის მეთაურობით.

შეთანხმების თანახმად, საქართველოს მთავრობა ნებას რთავდა გერმანიას და მის მოკავშირე ქვეყნებს, იმხანად მიმდინარე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო ძალის გადასაყვანად და ტექნიკის გადასაზიდად ესარგებლათ საქართველოს რკინიგზით. ამ საკითხის რეგულირების მიზნით, თბილისში უნდა შექმნილიყო გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების სამხედრო კომისია გერმანიის ხელმძღვანელობით. საქართველოს რკინიგზის სადგურები და ფოთის ნავსადგური უნდა გაეკონტროლებინათ გერმანელ სამხედროებს, ბერლინში უნდა დაფუძნებულიყო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, ხოლო თბილისში – გერმანიისა. ეს წინასწარი შეთანხმება ძალაში შედიოდა ხელმოწერისთანავე.

იმ ეპოქის ცნობილი ქართველი დიპლომატის, ზურბ ავალიშვილის აზრით, ამ შეთანხმების მთავარი მიზანი იყო გერმანიის საიმპერიო მთავრობის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობა დე ფაქტო. ფოთში ხელი მოეწერა რამდენიმე კონვენციასაც, რომელთა შორისაც იყო:

1) სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ;
2) გერმანიიდან საქართველოში სამხედრო დანიშნულების ტვირთების უბაჟოდ შემოტანის შესახებ;
3) საქართველოს ტერიტორიაზე იმხანად მიმოქცევაში არსებულ ადგილობრივი ფულის ნიშნებთან (ამიერკავკასიის კომისარიატის ბონებთან) ერთად, გერმანიის იმპერიის ფულის ნიშნების, როგორც კანონიერი საგადამხდელო საშუალების, ბრუნვაში დაშვების შესახებ;
4) საქართველოს მთავრობის მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი გერმანული ჯარის სურსათით უზრუნველყოფაში დახმარების შესახებ;
5) საქართველოში მოქმედი გერმანიის სახელმწიფო კომისიის მიერ სურსათის ნაღდ ფულზე შეძენის შესახებ და სხვ.

ფოთში ხელმოწერილი შეთანხმება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ დადებული პირველი საერთაშორისო შეთანხმება. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, „მისი არაერთი პუნქტი უფრო ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის, მაგრამ ეს დათმობანი აიხსნება გერმანიის იმ უდიდესი დახმარების კომპენსირებით, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ახლად აღდგენილმა სახელმწიფომ თავიდან აიცილა ოსმალეთის ოკუპაციის სავსებით რეალური საფრთხე." ვერ დავეთანხმები ასეთ მსჯელობას, განსაკუთრებით მის პირველ ნაწილს – რომ „ხელშეკრულების არაერთი პუნქტი უფრო ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის".

„ქ. ფოთში გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან წინასწარი ხელშეკრულება წარმოადგენდა გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს რესპუბლიკის აღიარებისდა მისი ტერიტორიის დაცვის განიზრახვას. შემდგომში 4 ივნისს ქ. ბათუმში ხელი მოეწერა ოსმალეთთან ხელშეკრულებას. ამ გზით დაკმაყოფილდა ქართველი ხალხის ნება ოსმალეთთან ზავის დადების შესახებ და ასევე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები მოსაზღვრე ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დასამყა-

რებლად. მიუხედავად იმისა, რომ 4 ივნისს ზავის ზოგიერთი პირობა სამართლიან გულისწყრომას იწვევდა, მთავრობა მაინც იმედოვნებდა, რომ ენერგიული მოქმედებების, დიპლომატიური ნაბიჯების შედეგად მომავალში ქვეყნის ინტერესებს უფრო კარგად დაიცავდა. მთავრობის უპირველესი მიზანი საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და დემოკრატიული წყობილების გარე და შიგა საფრთხისაგან დაცვა გახდა.

ფოთის ხელშეკრულების საფუძველზე 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანიამ საქართველოს მეორე საფრთხეც აარიდა საბჭოთა რუსეთთან გერმანიის მიერ დადებული დამატებითი ხელშეკრულების მე-15 მუხლში ჩაიწერა რომ,"საბჭოთა რუსეთი თანახმაა გერმანიამ აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა". ეს კი საქართველოს აძლევდა შესაძლებლობას გამხდარიყო საერთაშორისო სამართლის სრულფასოვანი წევრი. უფრო მეტიც, შემდგომში როცა 1920 წლის 7 მაისს **მოსკოვის ხელშეკრულება** დაიდო საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე ცნო თუმცა, სანაცვლოდ ამ ხელშეკრულებაში ჩაიდო მზაკვრული პირობა, რომ საქართველო საკუთარ მიწაზე საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ მტრულად განწყობილი ძალების ჯარებს არ განალაგებდა.

ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ არასაკმარისი მისი შემდგომი განვითარებისათვის სწორი ნაბიჯების გადადგმის გარეშე. აუცილებელი იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნება განმტკიცება. ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობას, მძიმე მემკვიდრეობის პირობებში, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო ეკონომიკური და **პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობებში არსებობა.**

მსოფლიო ომმა სერიოზული ეკონომიკური ზიანი მიაყენა არა მარტო უშუალოდ საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს არამედ სხვებსაც. სამხედრო ოპერაციებმა ბევრი სახელმწიფო ხარჯი წარმოშვა, მოიშალა წარმოების, ნედლეულისა და გასაღების ბაზრების სისტემა, ქვეყნების უმრავლესობაში განვითარდა სერიოზული ინფლაციური პროცესები, პროდუქტებზე ფასების ზრდის პარალელურად დააქვეითა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა და ა.შ..

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღიდან საქართველოს მთავრობას მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის უმწვავესი – ქვეყნის ფინანსური და სურსათით მომარაგების საკითხი უნდა გადაეწყვიტა. სახელმწიფოებრიობის დაცვისათვის ქვეყანას ესაჭიროებოდა საკუთარი ფინანსური და მთლიანობაში სრულიად ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. რისთვისაც სახემწიფო საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება, წარმოების აღორძინება, საერთაშორისო ვაჭრობის ქსელში ჩართვა გადაუდებელი საქმე იყო, თუმცა ამ გზაზეც «ყველაზე უფრო დიდი დამაბრკოლებელი მიზეზი მრეწველობის განვითარებისათვის... კაპიტალის უქონლობა იყო"[1]

ომმა სრულიად მოშალა ქართული სამრეწველო პროდუქცისა და ნედლეულის სააზღვარგარეთ გატანის შესაძლებლობები. ევროპა ნედლეულის ძირითადი მომხმარებელი ომის ბატალიებში იყო ჩაბმული. ერთი წლის შემდეგ, როცა 14 მარტის სხდომაზე განიხილეს 1918 წლის ეკონომიკის განვითარების გარკვეული შედეგები წარმოჩინდა ის მკვეთრად სავალალო მდგომარეობა, რომელიც ყოველწლიურად გროვდებოდა. აი რას წერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" „1919 წლის 1 იანვრამდე (7 თვეში) ხაზინის შემოსავალმა – 96.158.000, ხარჯებმა – 342.244.000, ხოლო დეფიციტმა კი 246.086.000 მანეთი შეადგინა. იმპორტი _ 140.929.260, ექსპორტი 87.494.105 მანეთის ტოლი იყო, ანუ იმპორტი აღემატებოდა ექსპორტს 53.495.085 მანეთით. ქვეყანა განსაკუთრებით პურისა და შაქრის იმპორტს საჭიროებდა. მრეწველობა თითქმის არ მოქმედებდა. ამ მხრივ, გამონაკლისი ტყიბულის ქვანახშირის საწარმო იყო, რომლის პროდუქციასაც რკინიგზა მოიხმარდა. თუმცა, ქვანახშირის მოპოვება საქართველოში 3.4 მლნ ფუთიდან (1917 წ.) დაეცა 2.2 მლნ ფუთამდე (1919 წ.)"[2]

„დიდი იმედების მიუხედავად, სახელმწიფო ქონების გამოყენება ვერ იძლეოდა საჭირო შემოსავალს. აგრარული რეფორმის შედეგად სახელმწიფოს ხელში დაგროვდა 2 მლნ დესეტინა ტყე, 0,5 მილიონამდე დესეტინა სახნავი მიწა, 800 ათასამდე დესეტინა საძოვარი, კურორტები, მადნეული, წყლები. პროგნოზებით ამ ქონებამ 1919 წელს 90 მლნ მანეთის შემოსავალი მისცა ქვეყანას"[3]

---

[1] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №11, 1918 წელი.
[2] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №4, 1919 წელი.
[3] გაზეთი „ერთობა", №60, 1919 წელი.

„გლეხებზე სახნავი მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემიდან (თანახმად პარლამენტის დადგენილებისა) უნდა მიეღოთ 200 მლნ მანეთი შემოსავალი. ასეთი ფინანსური ნაკადები ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებდა, მაგრამ დეფიციტს ვერ სპობდა. მოსაწესრიგებელი იყო გადასახადების სისტემა, ქონებრივი მდგომარეობა და სხვ. ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას ამძიმებდა დეფიციტური რკინიგზაც. რკინიგზით სარგებლობდნენ რუსეთის ეშელონები, გერმანელი და ოსმალთა ჯარები, ბოლოს კი ინგლისელები.

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ქვეყანა განიცდიდა ფინანსურ გაჭირვებას: ბიუჯეტი დაცარიელდა, საგარეო სესხები ვერ მიიღეს, შემოსავლის წყაროები კრიტიკას ვერ უძლებდა, არაგეგმური, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად მიმოქცევაში ზედმეტი ბონების გაშვებამ ინფლაცია გამოიწვია, გაუარესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც.“[1]

აი რას წერდა გაზეთი „კლდე“, 1918 წლის 20 ოქტომბერს ფოთის შეთანხმებაზე „საქართველოს მთავრობამ გადასწყვიტა მოლაპარაკების გამართვა გერმანიის მთავრობასთან პირველ მნიშვნელობის ეკონომიურ საკითხთა და სესხის მოსაწესრიგებლად.“ აღნიშნული გაზეთი საერთო გარკვეული შემაჯამებელი ფორმით წარმოადგენს ხელშეკრულების ეკონომიკური ხასიათის მუხლებს.[2]

„მუხლი I საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ყველა არსებული ან შემდეგში გაყვანილი რკინის გზები საქართველოს ტერიტორიაზე შეადგენს საელმწიფოს საკუთრებას და ამ გზების ექსპლოატაცია, აგრეთვე მათი მეთვალყურეობა ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. აგრეთვე ფოთის ნავსადგური, რომელიც ქალაქის საკუთრებას შეადგენს და ეს უკანასკნელი განაგებს მას, გადადის სახელმწიფოს გამგეობაში. თუ საქართველოს რკინის გზათა და აგრეთვე ფოთის ნავსადგურის შემოსავალით იქნება უზრუნველყოფილი ასაღებ სესხის პროცენტები, მაშინ დაწესდება გერმანულ-ქართული კომისია, რომელსაც დავალებული ექნება კონტროლი გაუწიოს რკინის გზათა და ფოთის ნავსადგურის ექსპლოატაციას.

მუხლი II საქართველოს მთავრობა ვალდებულია კანონიერად გადასცეს სახელმწიფოს მთელი სამთო მრეწველობითი დამუშავებული, მადნეულობა საქართველოს მიწიდან ამოღებული, და დამუშავება მათი გადასცეს მხოლოდ სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ მყოფ წარმოებას, რომლის აქციები ეკუთვნის საქართველოს და გერმანიას სანახევროდ.

მუხლი III – საქართველოს მთავრობა ვალდებულია მთელის ომის განმავლობაში მხოლოდ გერმანიას მისცეს ნება საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნედლი მასალის ყიდვისა, რაც ქვეყნის შინაურ საჭიროებას გადარჩება, და არ დააბრკოლოს ამ მასალის გაზიდვა ან აღკრძალვით, ან განსაკუთრებულის ბაჟით.

მუხლი IV გერმანია ვალდებულია რაც შეიძლება ჩქარა მოაწყოს გემთა მიმოსვლა საქართველოსა და გერმანიას შორის, რაც შეძლებისდაგვარათ გააადვილებს მზა და ნახევრად დამზადებულ საფაბრიკო საქონლის შემოტანას საქართველოში, და შესაძლებელი გაჰხადოს საქართველოში ცხოვრებისათვის საჭირო სურსათის შემოტანა.“[3]

დემოკრატიული საქართველოს პირველი მთავრობის დეკლარაცია წარმოადგენდა იმ დოკუმენტს, რომელზეც ქვეყნის მომავლის განვითარების ძირითადი სტრატეგია უნდა აგებულიყო. დეკლარაცია 1918 წლის 15 ივნისს ეროვნული საბჭოს სხდომას განსახილველად წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა. [4]

საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებად განისაზღვრა: ფინანსური მეურნეობის მოწესრიგება, დამოუკიდებელი ფულადი და საბაჟო სისტემის შექმნა და მათ შორის საკუთარი ფულის მოჭრა; სახელმწიფო კონტროლის ჩამოყალიბება; რიგი პროდუქტების მიმოქცევაზე სახელმწიფო მონოპოლიის გამოცხადება; აგრარული რეფორმის სრულყოფილად ჩატარება და სხვ. მანამდე კი, ვიდრე ეს რთული საქმე მოგვარდებოდა, მთავრობა ყველა ზომას მიმართავდა შიგა და საგარეო სესხების მოსაზიდად.“ [5]

---

1 ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1860-1920 წწ.), თბ., 1958 წ., გვ. 106. 16

2 გაზეთი „კლდე“, 1918 წლის 20 ოქტომბერი

3 გაზეთი „კლდე“, 20 ოქტომბერი, 1918, N6

4 გაზეთი `ერთობა~, №119, 18 ივნისი, 1918 წელი. 24

5 კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 32. 5

ახალი დემოკრატიული წყობილების გასამტკიცებლად მთავრობა ითვალისწინებდა საერობო თვითმმართველობის შექმნას, სასკოლო გარდაქმნებს, სასამართლო ცენტრალური ადმინისტრაციის და თვითმმართველობის ურთიერთობების განსაზღვრას, სავალდებულო უფასო პირველდაწყებითი სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობას და სხვ.

ქართულ საზოგადო სივრცეში კარგად ესმოდათ ყოველივეს განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა მყარი სამხედრო პოლიტიკური დაცულობისა და სერიოზული საგარეო ეკონომიკური დახმარების გარეშე. ამიტომ კვლავ და კვლავ ჩნდებოდა ფოთის შეთანხმებაზე დაყრდნობით საქართველოს მთავრობის სურვილი სესხის შესახებ გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვის თაობაზე.

1918 წლის 10 ივნისს გერმანიამ დე-ფაქტო სცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. აღნიშნულმა ფაქტმა ახალი შესაძლებლობები გააჩინა.

მალე ბერლინს ეწვია საქართველოს ოფიციალური დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჩხენკელის ხელმძღვანელობით. დაიწყო მომზადება საქართველო-გერმანიის „სამეგობრო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხელშეკრულების." ჯერ კიდევ ფოთში მიღწეული შეთანხმებით, გერმანია ცნობდა და აღიარებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას.

იმუამინდელი ქართული პრესა შესაშური ოპერატიულობით აქტიურად ეხმიანება მიმდინარე მოვლენებს, თითქმის ყველა ნომერში ჩნდებოდა სხვადასხვა ინფორმაცია გერმანია-საქართველოს მიმდინარე მოლაპარაკებათა შესახებ.

შემდგომში ისტორიკოსები გერმანიასთან სამშვიდობო-სამეგობრო ხელშეკრულების მზადების პროცეს დამოუკიდებლი საქართველოს ევროპისაკენ პირველი ნაბიჯებად შეაფასებენ.

ამის შესახებ უაღრესად საინტერესო და სანდო ინფორმაციას წარმოადგენს ქვეყნის პირველი და თვალსაჩინო დიპლომატის ზურაბ ავალიშვილის დღიურები. იმდროინდელი ჩანაწერებიდან. ბერლინში (1918 წლის ივნისი)

"ახლა, როდესაც გერმანიასთან რეგულარულ მოლაპარაკებებს ვიწყებდით, უპირველეს ყოვლისა გვმართებდა საქართველოს დამუკიდებლობის პრობლემასთან დაკავშირებული ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების წარდგენა. ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა ეკონომიკური მიმოხილვა, მე კი საქართველოს დამოკიდებლობის საკითხის ისტორიული და პოლიტიკური გაშუქება ვიკისრე.

4 ივნისს დავიწყე წერილობითი გადმოცემა იმისა, თუ რისთვის ჩამოვედით აქ და რა სურს საქართველოს. 5 ივნისს საგარეო საქმეთა სამინისტროში საუბარი გვქონდა საიდუმლო მრჩევლებთან ფონ-როზენბერგთან და დოქტორ გეპერტთან; შემდეგ მიგვიღო მინისტრმა ფონ-კიულმანმა, მშვენიერ კაბინეტში, სადაც ჰკიდია ლენბახის შესრულებული ბისმარკის პორტრეტი.

6 ივნისი. როზენბერგთან და გეპერტთან ერთად "ვაღრმავებთ" საქართველოს ფორმალური ცნობის, საქართველოს რუსეთთან ურთიერთდამოკიდებულებისა და სხვა თემებს.

13 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრა დოქტორ სიმონსთან. ჩვენი თემაა: გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობის შესაძლებელი ფორმა. საქართველოს პოლიტიკური მიზანია: განამტკიცოს თავის სახელმწიფოებრივი არსებობა, გერმანიაზე დაყრდნობით. შექმნას თავისუფალი ეროვნული განვითარების პირობები. აშკარაა, რომ გერმანიასთან კავშირი უნდა იქნეს საკმაოდ მჭიდრო, უბრალო კავშირი არ არის საკმარისი.

16 ივნისი. დელეგაციის "საკრებულომ" მოისმინა ჩემი მემორანდუმი, რომელიც გამოხატავდა – თუ ვინ ვართ ჩვენ და თუ სახელდობრ რა გვსურს გერმანიისგან.

18 ივნისი. სამნი (ჩხენკელი, ნიკოლაძე და მე) სახალხო მეურნეობის სამინისტროს შენობაში ვეწვიეთ სახალხო მეურნეობის სახელმწიფო მდივანს ბარონ ფონ-შტაინს.

21 ივნისი. მე და ჩხენკელი საგარეო საქმეთა სამინისტროში ვართ ნამდვილ საიდუმლო მრჩეველთან დოქტორ კრიგესთან; გადამწყვეტი საუბარი გვაქვს იმის თაობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ფორმალურად აღიარება."."[1]

"ფოთში ხელმოწერილი დროებითი შეთანხმებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან ეკონომიკურ კავშირებს გერმანია. მთავრობასთან მსხვილი მრეწველობისა და ბანკების მჭიდრო კავშირით ეკონომიკური ინტერესების სფეროში მიღწეული შედეგები გზას გვიხსნიდა ჩვენი

[1] ზ. ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში",

პოლიტიკური ამოცანების განხორციელებისაკენ. მოლაპარაკება გერმანული სავაჭრო-სამრეწველო სამყაროს ყველაზე მსხვილ და ყველაზე გავლენიან დაწესებულებებთან უნდა გვეწარმოებინა.

ამ მოლაპარაკების მთავარი თემა თავისთავად იკვეთებოდა, არც გამოგონება იყო საჭირო და არც თავს მოხვევა, ეს იყო ჭიათურის მარგანეცი, რომლის მიმართაც გერმანიის ფირმებს რა ხანია ჰქონდათ თავის ინტერესები და რომლის მნიშვნელობა ევროპის მეტალურგიისთავის საერთოდ ძალიან დიდი იყო. ამ "შავ ქვაზე" აღიმართება გერმანია-საქართველოს ურთიერთობა – ვფიქრობდი მე,... და არც უსაფუძვლოდ. ნიკო ნიკოლაძემ შეადგინა განსაკუთრებული მოხსნება საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების შესახებ. ეს მოხსენება ეცნობა გერმანიის მთავრობას. მოლაპარაკებას შევუდექით დაუყოვნებლივ, სახალხო მეურნეობის მინისტრ ბარონ ფონ შტეინთან წინასწარი შეხვედრის შემდეგ. რაც შეეხება ჩვენს გარმანელ კონტრაგენტებს, აქ იყო მთელი ე.წ. "მძიმე ინდუსტრია" ფრიდრიხ კრუპის (ესსენი) აქციონერული საზოგადოება, გელზენკირხენის სამთო წარმოების აქციონერული საზოგადოება და ა.შ. რომელთა მხოლოდ სახელის ხსენებაც კი დიდ ასოციაციას იწვევს გერმანულ სამრეწველო წრეებში.

გადაწყდა მარგანეცის საზღვარგარეთ გატანის საქმის მოგვარება (იგი ჩვეულებრივ, მთლიანად ევროპასა და ამერიკაში გაჰქონდათ) საგანგებოდ შექმნილი აქციონერული საზოგადოების მეშვეობით (ქართული კანონმდებლობის მიხედვით), რომელსაც მონოპოლია ექნებოდა ამ საქმეში.

იმისათვის, რომ ექსპორტი ტექნიკური თვალსაზრისით "უკანასკნელი სიტყვით" აღჭურვილი ყოფილიყო და საერთოდ, ამ საქმეში გარკვეული ერთიანობისა და გეგმაზომიერებისათვის მიგვეღწია, ერთდროულად კიდევ ორი აქციონერული საზოგადოების დაარსება გადაწყდა: ერთი: ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მისასვლელი ხაზის ექსპლუატაციისათვის, რომელზეც გადაიტანდნენ მარგანეცს შორაპნამდე, საიდანაც მთავარი ხაზი ფოთამდე მივიდოდა; მეორე კი – ფოთის პორტის ექსპლუატაციისათვის.

სამივე საზოგადოების ხელმძღვანელობას უზრუნველყოფდა ზემოთ დასახელებული დაწესებულებათა ჯგუფი. გერმანიის მხრივ გამოითქმოდა უდიდესი სურვილი მთლიანად აეღოთ თავის ხელში მთელი ეს საქმე. ე.ი. შეექმნათ აქციონერთა შემადგენლობით წმინდა გერმანული საზოგადოება, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ დაეწესებინათ საკმაოდ დიდი ანარიცხი და საერთოდ ფინანსური მოგება.

რეალურად კი, ქართული დელეგაციის დაჟინებული მოთხოვნით, მიიღეს სხვა სქემა, სახელდობრ, გერმანულთან ერთად, საქართველოს ჯგუფის პარიტეტული მონაწილეობა, აქციონერულ კაპიტალში; ქართულ ჯგუფს უნდა მისცემოდა ერთ-ერთი (სამიდან) სადირექტორო ვაკანსია მმართველობაში და თავმჯდომარეობა (საბჭოთა წევრთა თანაბარი რაოდენობის დაცვით) სამი აქციონერული საზოგადოების თითოეულ საბჭოში. ერთი სიტყვით გერმანულ ჯგუფს უპირატესობა ეძლეოდა აქტიური ადმინისტრაციის მხრივ, ქართულს კი – ზედამხედველობაში, მონაწილეობა თანაბარი რჩებოდა.

ამ საფუძველზე შემდგარი სამი ხელშეკრულება 12 ივლისს იქნა ხელმოწერილი, ისევე, როგორც განსაკუთრებული შეთანხმება სახალხო მეურნეობის სამინისტროსთან (მინისტრის ამხანაგის დოქტორ გეპერტის სახით) გერმანულ სამრეწველო წრეებს, იმავე საფუძველზე, უფლება ეძლეოდათ ჭიათურაში შესდგომოდნენ "მარგანეცის" ჯერ არარსებული დარგის ექსპლუატაციას, კერძოდ, წყლის ძალის გამოყენებით ფერომანგანუმისა და სხვა შენაერთების გამოდნობას.

იმავე ოქმში შეტანილი იყო შემდეგი პუნქტი: "საქართველოს მთავრობა აღიარებს ამ ხელშეკრულებებს საბოლოოდ მხოლოდ ფინანსური ხელშეკრულებების დადებისა (რომელთა თაობაზე მიმდინარეობს მოლაპარაკება) და საქართველოს რესპულიკასა და გერმანიის იმპერიას შორის პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარკვევის შემდეგ".[1]

„ამ ხელშეკრულებაზე ძირითადი შეთანხმებების შემდეგ, აღინიშნა საზეიმო სადილით, სადაც მასპინძელი იყო მინისტრი ბარონ ფონ-შტეინი. მას ესწრებოდნენ ვიცე- კანცლერი ფონ პაუერი, იმპერიის ფინანსთა მინისტრი და მრავალი სხვა.

ფინანსურ ხელშეკრულებას სესხის თაობაზე გერმანიის უმთავრეს ბანკებთან ხელი საკმაოდ მალე მოვაწერეთ (15 აგვისტოს) ასე რომ, "მარგანეცის ხელშეკრულების" გაფორმება დამოკიდებული იყო მხოლოდ ჩვენი დიპლომატიური კამპანიის შედეგებზე... ე.ი. უპირველს ყოვლისა გერმანიის მიერ ჩვენს ფორმალურ აღიარებაზე.

[1] ზ. ავალიშვილი "საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"

გერმანელ მრეწველებთან ხელშეკრულებების ხელმოწერის შემდეგ ბერლინში ჩვენი ჩამოსვლის უახლოესი მიზანი მიღწეულად უნდა ჩაგვეთვალა, რადგან ამ "ნედლეულზე" ან სხვა რამეზე ლაპარაკს რაღაც საფუძველი მაინც ჰქონდა, მსოფლიოს ყველაზე გამობრძმედილ მთავრობასთან, ევროპის უძლიერეს საქმის კაცებთან და ყველაზე "თანამედროვე" ბანკებთან.

თეორიულად იგი ჩემი აზრით (იმისათვის ვმუშაობდით ამდენს) საქართველოს ნამდვილად უხსნიდა უცხოეთის კულტურულ კაპიტალთან თანამშრომლობის გზას, რასაც მოჰყვებოდა ბუნებრივი სიმდიდრის ათვისების სწრაფი განვითარება, სამეურნეო ჰორიზონტის გაფართოება, საქმიანი ჩვევების შეთვისება, მუშებისათვის დამატებითი შემოსავლის წყაროს შექმნა... და სხვა.""[1]

ამ პერიოდში ბერლინში ხელი მოეწერა ოთხ სპეციალურ ხელშეკრულებას, რომელიც ისევე როგორც სხვა შეთანხმებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფოთის პირველი ხელშეკრულების განზრახულობებიდან გამომდინარეობდა. ეს იყო : შავი ქვის, ჭიათურის რკინიგზისა, ფოთის ნავთსადგურისა და 50 მილიონი საგარეო სესხის შესახებ.

ეს ხელშეკრულობანი (გერმანულიდან გაზეთის რედაქციის მიერ თარგმნილი ვერსია) ცალ-ცალკე იქნა დაბეჭდილი გაზეთ „კლდე"-ში.

„საქართველოს მთავრობა, რომლის წარმომადგენლებიც არიან გარეშე საქმეთა მინისტრი აკაკი ჩხენკელი და დელეგაციის წევრები დოქტორი ნ. ნიკოლაძე და დოქტორი თავ. ზურაბ ავალიშვილი, ერთის მხრივ, და გერმანიის სახელმწიფო მდივანი სახელმწიფო სამიწათმოქმედო გამგეობისა მისი ამხანაგის დოქტორი გოპპარტიის პირით მეორეს მხრივ, შეთანხმდნენ შემდეგში იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომელნიც დადებულია „საქართველო სამარგანეცო სააქციონერო საზოგადოებისა", „ჭიათურის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოებისა" და „ფოთის ნავსადგურის საექსპლოატაციო სააქციონერო საზოგადოების" დასაარსებლად საქართველოს მთავრობასა და შემდეგ გერმანულ ფირმათა შორის:

1) „გერმანია ლიუქსემბურგის სამთო მრეწველობისა და სამადნოსააქციონერო საზოგადოება", რომლის წარმომადგენლები არიან სამთო მრეწველობის დირექტორი ასესორი ი.დ. ესმან ვენცელი,

2) „კრუპპის სააქციონერო საზოგადოების ფირმა", რომლის წარმომადგენელი არის ასესორი დოქტორი მაქს ვომბერგი,

3) „გელზენკირხენის სამთო-მრეწველობის სააქციონერო საზოგადოება გელზენკირხენი", რომლის წარმომადგენელია დირექტორი გუგო შაივარი,

4) „სააქციონერო საზოგადოება პამბორნი" რომლის წარმომადგენელია ფრიზ ტისსანი,

5) „სამთო მრეწველობის და სამადნო სააქციონერო საზოგადოება ებერჰაუზენი", რომლის წარმომადგენელია დირექტორი ოტტო ჰოლცი, და

6) „კავკასიის სამადნო საზოგადოება ჰამბურგი" რომლის წარმომადგენელია სიგიზმუნდ ვერენდა." [2]

ამ ხელშეკრულების თანახმად საქართველოს სახელმწიფოს ექნებოდა სამთო მრეწველობის საჭიროებისა და მიზნებიდან გამომდინარე სახელმწიფოს წილების სარგებლობის და ადგილობრივი კანონების გამოცემის უფლება.

საყურადღებოა, ისიც რომ ამავე ხელშეკრულებაში დარგის შემდგომი განვითარების ფერომარგანეცის და სხვა შენაერთების ადგილზე გადამუშავების უფლებას საქართველოს მთავრობა უპირატესად მისცემდა ზემოთ აღნიშნულ გერმანულ საწარმოებს იმავე საფუძველთა ძალით და წილობრივი მონაწილეობით რაც მათ გააჩნდათ ქართული სამარგანეცო საზოგადოებაში.

ამასთან, საქართველოს სამიწათმოქმედო სამინისტრო იტოვებდა საერთო კაპიტალის 40%-ს, ფოთის ნავსადგურის საექსპლოატაციო სააქციონერო საზოგადოებას სამარგანეცო ვაჭრობიდან, აგრეთვე სხვა სამრეწველო და სავაჭრო სანაოსნო საზოგადოებიდან.

ცალკე მუხლად განსაზღვრული იყო ამავე წლის 1-ელ ოქტომბრამდე ბერლინის სამარგანეცო საზოგადოების მიერ შეძენილი, მაგრამ ომის გამო არ გატანილი მარგანეცის ექსპორტირების დაბეგვრის წესი. აღნიშნულია, რომ – ამ მარგანეცის რაოდენობაზე არ ვრცელდება „საქართველოს სააქციონერო საექსპორტო საზოგადოების მონოპოლიური უფლება; იგი შეიძლება გატანილ იქნას დაუბრკოლებლივ ამ საზოგადოების მიერ შემდეგშიაც. ხოლო, მარგანეცი და მარგანეცული კონცენტრატები, რომელიც გაიზიდება ბერლინის სამარგანცო საზოგადოების მიერ 1918 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, იბეგრება

[1] ზ. ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"
[2] "გაზეთი „კლდე"-ში.

სრულად საქართველოს სახელმწიფოს ყველა იმ გადასახადებით, რომელსაც ახდევინებდენ ქართულ სამარგანცო საზოგადოებას და ფოთის ნავთსადგურის საექსპლოატაციო საზოგადოებას. ასევე გერმანული ფირმები გადაიხდიდენ ფოთის ნავთსადგურის ტერიტორიით და გადატვირთვის მოწყობილობით სარგებლობის დადგენილ გადასახადებს.

ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნა მაგრამ მის ამოქმედებას განსაზღვრული ქონდა ერთი ძირითადი პირობა „საქართველოს მთავრობა სცნობს ამ ხელშეკრულობებს თავისთვის სავალდებულოდ მაშინ, როცა შესდგება შეთანხმება სესხის თაობაზე და როცა გამოირკვევა საქართველოს რესპუბლიკის და გერმანიის იმპერიის პოლიტიკური დამოკიდებულებანი. „ აქ იგულისხმება 50 მილიონი მარკის სასესხო ვალდებულება და გერმანიის მიერ დემოკრატიული საქართველოს დე ფაქტო და დე იურე აღიარება.

ამ ხელეკრულებებით საფუძველი ეყრებოდა პარტნიორულ ეკონომიკურ თანამშრომლობას, რომელიც ორივე ქვეყნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპებს ეფუძნებოდა. ფერომანგანუმი უაღრესად მოთხოვნად ნედლეულს წარმოადგენდა გერმანიისათვის და ამ ქვეყნის ცნობილი, მდიდარი კაპიტალის მქონე და თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების ფირმების ჩართვა ქართული სამთამადნო მრეწველობაში უაღრესად მომგებიანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისათვისაც.

ამ წლებში ორ ქვეყანას შორის მოქმედებათა მარტივი ანალიზითაც კარგად სჩანს, რომ გერმანიას საქართველოსთან მიმართებაში საფუძვლიანი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებდა, ამასთან ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და არ ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწარაფებებს, ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

გერმანელები არ ჩარეულან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, მათ საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტობა იკისრეს და დანაპირები პატიოსნად შეასრულეს. ამავე დროს გერმანელებს უარი არ უთქვამთ საქართველოს ბუნებრივი და მატერიალური რესურსების გამოყენებაზე, მაგრამ ყოველივე ორმხრივი ინტერესების დაცვით, „ნაცვალგებითა და სათანადო ანაზღაურებით.“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი წერდა: „თუ გერმანელებმა ჩვენთან შემოსვლით და აქ ყოფნით იმ დროს რითიმე ისარგებლეს, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ყველაფრის ანგარიში რიგიანად გაასწორეს. სხვათა შორის, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით თავიდანვე დაწესებული პარიტეტი ჩვენი ფულის და გერმანულ მარკას შორის მათი ჩვენში ყოფნის დროს არ შეუცვლითა და მთელ თავის ხარჯების დასაფარავ ვალუტას მხოლოდ სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებათა საშუალებით ახურდავებდნენ“. [1]

ფოთის ხელშეკრულების მნიშვნელობაზე საუბრობს თავის ნაშრომში საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოჩენილი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი და აღნიშავს შემდეგს: [2]



[1] კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი, გვ. 32. 5

[2] ზ. ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში"

თუმცა **ამ ხელშეკრულებებს არ ეწერა სრულფასოვანი განხორციელება. 1918 წლის 11 ნოემბერს, გერმანიის რევოლუციის დაწყებიდან ორი დღის შემდეგ გერმანიამ ხელი მოაწერა დაზავებაზე კომპიენთან საფრანგეთში. გერმანიის რევოლუციის შემდეგ დაემხო მონარქია ხოლო ვილჰელმი გაიქცა ნიდერლანდებში. მძლავრ გერმანიის იმპერიას ჩაენაცვლა არასტაბილური, დაუძლურებული – ვაიმარის რესპუბლიკა. ამ მიზეზითა და პირველ მსოფლიო ომში დამარცხების გამო გერმანია იძულებული გახდა გაეწვია სამხედრო ექსპედიცია საქართველოდან. 1919 წლის იანვარში გერმანულმა ჯარებმა საბოლოოდ დატოვეს საქართველო. სამხრეთ კავკასია 1918 წლის ნოემბრის ბოლოდან მოკავშირე სახელმწიფოთა კონტროლქვეშ გადავიდა და რეგიონში ახლა ბრიტანეთის სამხედრო შენაერთები გამოიგზავნა.**

გერმანიისა და საქართველოს ურთიერთობას ორმხრივი ინტერესი განაპირობებდა. ქართველი ერის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეწარმეობაში და ვაჭრობაში ჩაბმული წრეები კარგად იცნობდნენ თვითმყოფად გერმანულ კულტურას, ამ ქვეყნის მდიდარ და კლასიკად ქცეულ ლიტერატურას, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ სექტორში სხვა მიღწევებს და დიდად აფასებდნენ გერმანელი ერის საუკეთესო თვისებრივ მახასიათებლებს. მაშინ როცა I მსოფლიო ომის დასაწყისიდან, რუსეთი ანტიგერმანულმა ისტერიამ მოიცვა, ქართულ პერიოდულ პრესაში, ჩვენში მოქმედ ლიტერატურულ თუ სხვა გაერთიანებებსა და იდეოლოგიურ დაჯგუფებებსა თუ ინტელიგენტურ სამეწარმეო-კომერციულ საზოგადოებებში პირიქით გერმანოფილური განწყობა და მისწრაფება შეიმჩნეოდა, გერმანიაზე იყო ორიენტირებული და სტრატეგიული თანამშრომლობა ერთნაირად გააჩნდა საქართველოს თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტას.

ამგვარი განწყობილება რუსეთის იმპერიული კოლონიური რეჟიმის სიძულვილმა, დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვამ, ისტორიული მომენტის გამოყენების შესაძლებლობის გააზრების და ამ საქმეში გერმანიის კეთილგანწყობის და დახმარების იმედმა წარმოშვა.

ფოთის ხელშეკრულება იყო არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება, არამედ მან განსაზღვრა ქვეყნის ყველა შმდგომი საერთაშორისო შეთანხმების, მათ შორის სხვა ქვეყნების მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებული ესა თუ ის ქმედება ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა.

ბუნებრივიც იყო, რამდენადაც ფოთის ხელშეკრულებაში, რომელშიც საქართველოსთან ერთად მხარედ – გერმანია იყო წარმოდგენილი და მისი ცალსახა პოზიცია ფიქსირდებოდა, შესაბამისად საყურადღებო, ანგარიშგასაწევი იყო სხვა ქვეყნებისათვის, ხოლო პრაქტიკულად სავალდებულოდ გასათვალისწინებელი გერმანიის მოკავშირეებისათვის.

ამდენად, საქართველოსვის ამ ხელშეკრულების არსებობა უმნიშვნელოვანეს და დამოუკიდებლობის ნიშნის დამკვიდრების, ქვეყნის დე-ფაქტო და დე-იურე აღიარების, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ანგარიშგასაწევ პოზიციას წარმოადგენდა.

ამასთან, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე აშკარად გამოსჭვივის ძლიერი სახელმწიფო – გერმანიის მხრიდან პატარა და სუსტი ახლადშექმნილი ქვეყნის მიმართ – მხარდაჭერის, დახმარების, პრობლემურ საკითხთა მოგვარების, ხელშეწყობის პოზიცია. მათ შორის ეკონომიკური, სამრეწველო, სავაჭრო, სატრანსპორტო, სამთამდნო, საბიუჯეტო-საფინანსო, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის და ა.შ. სფეროებში არსებული სირთულეების, კრიზისის დაძლევის, ასევე, ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებისა და ადგილის განსაზღვრის მიზნით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №11, 1918 წელი;
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №4, 1919 წელი;
3. გაზეთი „ერთობა“, №60, 1919 წელი;
4. გაზეთი „ერთობა“, №119, 18 ივნისი, 1918 წელი;
5. გაზეთი „კლდე“, 20 ოქტომბერი, 1918, N6;
6. გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 5 ივლისი;

7. გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 30 მაისი;
8. გაზ. „სალი კლდე“, 1919 წ., 19 მაისი;
9. დ. ჭუმბურიძე,. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, 1918-1921 წწ., გამომცემლობა „მემატიანე“, 2003;
10. **კ.** კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წიგნი II, პარიზი, 1960 წელი;
11. ზ. ავალიშვილი საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში";
12. ნ. ტყეშელაშვილი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1860-1920 წწ.), თბ., 1958 წ.;
13. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში";
14. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები. ოთარ ჯანელიძე 2018წ.;
15. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი. (2004) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბილისი ლოგოს პრესი;
16. ქართული დიპლომატიის ისტორია, 2003.

სიმონ (ამირან) თავართქილაძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები

რეზიუმე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან ორი დღის შემდეგ 1918 წლის 28 მაისს დაიდო.

ამ შეთანხმების მიხედვით, საქართველომ გერმანიის იმპერიისაგან მიიღო ერთგვარი „კეთილგანწყობის გარანტია“, რომ ის დაიცავდა და პროტექციას გაუწევდა ახლად შექმნილ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარებას.

ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის გამოცხადება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მაგრამ არასაკმარისი. მძიმე ეკონომიკური და სოციალური ფონის პირობებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებას უნდა დაემტკიცებინა, რომ ქვეყანას შეეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და განმტკიცება.

ფოთის ხელშეკრულება იყო არა მარტო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, არამედ მან განსაზღვრა ქვეყნის ყველა შემდგომი საერთაშორისო ქმედების შინაარსი, რამდენადაც მხარედ – გერმანია იყო წარმოდგენილი, შესაბამისად საყურადღებო, ანგარიშგასაწევი იყო სხვა ქვეყნებისათვის, ხოლო პრაქტიკულად სავალდებულოდ გასათვალისწინებელი გერმანიის მოკავშირეებისათვის.

ამდენად, საქართველოსვის ამ ხელშეკრულების არსებობა უმნიშვნელოვანეს და დამოუკიდებლობის ნიშნის დამკვიდრების, ქვეყნის დე-ფაქტო და დე-იურე აღიარების, სხვა სახელმწიფოთა მხრიდან ანგარიშგასაწევ პოზიციას წარმოადგენდა.

სრულიად გასაგებია ისიც, რომ გერმანიას საქართველოში არა მხოლოდ პოლიტიკური არამედ, ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდა. მაგრამ საყოველთაო შეფასებით – მთავარი ის იყო, რომ ეს ინტერესები არ ლახავდა საქართველოს სუვერენიტეტს და ნაკლებ ეწინააღმდეგებოდა მის ეროვნულ მისწრაფებებს; გერმანია ქართულ სახელმწიფოს თავის არა სატელიტ, არამედ პარტნიორად მიიჩნევდა, რომელთანაც თანამშრომლობა ორივე ქვეყნისათვის მისაღებ და ხელსაყრელ პრინციპს ეფუძნებოდა.

ამასთან, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე აშკარად გამოსჭვივის ძლიერი სახელმწიფო – გერმანიის მხრიდან პატარა და სუსტი ახლადშექმნილი ქვეყნის მიმართ – მხარდაჭერის, დახმარების, პრობლემურ საკითხთა მოგვარების, ხელშეწყობის პოზიცია. მათ შორის ეკონომიკური, სამრეწველო,

სავაჭრო, სატრანსპორტო, სამთამდნო, საბიუჯეტო-საფინანსო, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის და ა.შ. სფეროებში არსებული სირთულეების, კრიზისის დაძლევის მიზნით.

ასევე, ქვეყნის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბების, ადგილის განსაზღვრისა და დამკვიდრების მიზნით.

Simon (Amiran) Tavartkiladze

The First International Treaty of the Democratic Republic of Georgia and its Political-Economic Aspects

Summary

The first international treaty of the Democratic Republic of Georgia was concluded two days after Georgia's declaration of independence on May 28, 1918.

Under this agreement, Georgia received a kind of "guarantee of favor" from the German Empire that it would protect the international recognition of the newly established Democratic Republic of Georgia.

Declaring independence for the country is an important but still not sufficient event. Given the difficult economic and social background, the government of the Democratic Republic of Georgia had to prove that the country could maintain and strengthen its independence.

The „Poti agreement" was not the only first international treaty of the Democratic Republic of Georgia, but also the determination of the content of all further international actions. As far as Germany was presented as a party, it was significant for other countries as well, thus practically obligatory for the allied countries of Germany.

The existence of the treaty of Georgia was crucial and the establishment of independence, de facto and de jure recognition of the country was considerable for other countries.

It is also quite clear that Germany was driven not only by political but also by economic interests in Georgia. But according to overall perception, these interests did not infringe Georgia's sovereignty and were not inconsistent with its national aspirations; Germany considered Georgia not as a satellite but as a partner with whom the cooperation was based on principles acceptable for both countries.

However, given the substance of the treaty, German stated obvious attraction and strong support towards small and weak country Georgia. Especially in problem solving and overcoming crisis in economic, industrial, trade, transport, mining, budget-finance, food provision, etc.

Thus, supported definition and establishment of geo-political and geo-economic space of the country.

ნიკო კვარაცხელია

სკოლის ექსკურსიები თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში

1. ექსკურსიების მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

დისკუსია სკოლაში საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის ფორმების პრობლემის გარშემო არ ცხრება და პედაგოგიური მეცნიერებისათვის მუდმივად აქტუალურია. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან პედაგოგიურ მეცნიერებაში ისეთი ტერმინის ზუსტი განმარტება, როგორიცაა "სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმა" არ არის დადგენილი, რაც იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას. სკოლაში სწავლების კონკრეტული ფორმებია: გაკვეთილი, პრაქტიკული მეცადინეობა, სემინარი, სასწავლო ექსკურსია, სამუზეუმო გაკვეთილი, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, სწავლების კლასგარეშე ფორმები, საშინაო დავალება. თანამედროვე სკოლაში ფართოდ გამოიყენება სწავლების ორგანიზების სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმა. მათი კლასიფიკაცია შესაძლებელია განსხვავებული კრიტერიუმებით: მაგალითად, სწავლის პროცესში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ანსხვავებენ ჯგუფურ და ინდივიდუალურ სწავლების ფორმებს. სწავლების ადგილის მიხედვით კი, სასკოლო და კლასგარეშე ფორმებს. პირველი მათგანი ძირითადად შემოიფარგლება სკოლის გაკვეთილებით, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით, ხოლო მეორე – საშინაო დავალებებით, ექსკურსიებით და ა.შ. თუ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ გამოდის, რომ ექსკურსია არის სწავლების ერთერთი ფორმა. ტრადიციულად, ექსკურსია მიეკუთვნება სასწავლო პროცესის დამხმარე ფორმას და ის სასწავლო მასალის, გაკვეთილის სრულყოფილად შეთვისების მიზნით გამოიყენება. ამ შემთხვევაში ექსკურსია მიჩნეულ უნდა იქნას სწავლების ისეთ ფორმად, როცა მოსწავლეები ცოდნას იძენენ შესასწავლ ობიექტზე უშუალო დაკვირვების გზით, (ბუნება, მცენარეები, ისტორიული ძეგლები და სხვ.) და მათი პირდაპირი შესწავლით. საბუნებისმეტყველო ექსკურსიები მოსწავლეებს სთავაზობს რეალური ობიექტების და მოვლენები შესწავლას ბუნებრივ გარემოში. ბუნების სრულყოფილად აღქმა და შესწავლა შეუძლებელია პირდაპირი კონტაქტის გარეშე. ამიტომ, სწავლებას ბუნებაში და ექსკურსიებს ბუნებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სკოლის ცხოვრებაში. შესაბამისად, მასწავლებლის მომზადება ექსკურსიის ჩასატარებლად სასწავლო პროცესის ორგანული ნაწილია. ექსკურსია უნდა გამომდინარეობდეს გაკვეთილის თემიდან და ორგანულად უნდა ერწყმოდეს მას. ექსკურსია – იგივე გაკვეთილია სკოლის კედლებს გარეთ, ის არის სასწავლო კურსის ნაწილი და არა შემთხვევითი, ან ეპიზოდური მოვლენა. ამიტომ, სკოლის დამოკიდებულება ექსკურსიისადმი უნდა იყოს იგივე, რაც გაკვეთილებისადმი. ექსკურსიის გრაფიკი შეთანხმებული და გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო გეგმაში.

საბუნებისმეტყველო ექსკურსია შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ორგანული სამყაროს მრავალფეროვნების გაცნობა, დაკვირვება;
- ბუნების მოვლენებზე წელიწადის სხვადასხვა დროს დაკვირვება;
- რელიეფზე ორიენტირება, დედამიწის ზედაპირის ფორმების გაცნობა, ტოპონიმიკა, შერჩეული ადგილის სასარგებლო წიაღისეულის გაცნობა;
- ეკოლოგიური ექსკურსიები ცოცხალი ორგანიზმების გარემოსთან შეგუების შესასწავლად, ჰაბიტატის, სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი თანაარსებობის შესასწავლად, გარემოს დაცვის პრობლემების შეწავლა;
- ექსკურსიები ადგილობრივ მუზეუმებში, გამოფენებში, საწარმოებში.
- თითოეულ კლასისთვის წინასწარ განისაზღვრება საექსკურსიო თემები ასაკის მახასიათებლებისა და მოსწავლეთა მზადყოფნის დონის გათვალისწინებით.

2. სკოლის ექსკურსიების ორგანიზაცია საზღვარგარეთ და ქართული სინამდვილე

უმრავლეს ქვეყნებში სკოლის ექსკურსიებს არეგულირებს ქვეყნის მასშტაბის სამთავრობო დადგენილებები, თუმცა, ფედერალური მოწყობის ქვეყნებში ადგილობრივი შტატები, მიწები და მსხვილი ქალაქები შეიმუშავებენ ასეთ კანონქვემდებარე აქტებს. ამის შესანიშნავი მაგალითია ქალაქ ნიუ იორკის მმართველობის განათლების დეპარტამენტის 2011 წლის 18 აგვისტოს დამტკიცებული სპეციალური რეგულაცია № A-670, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტადაა გაწერილი აქტივობები ექსკურსიის / მოგზაურობის დასაგეგმად:

1. ყველა სასკოლო ექსკურსია წინასწარ უნდა დამტკიცდეს დირექტორის მიერ. გასვლები, რომელთა ორგანიზება ხდება სპეციალური პროგრამების ფარგლებში (მაგ., კლუბები) ასევე ითვლება სასკოლო მოგზაურობად, ამიტომ წინასწარ უნდა იყოს დამტკიცებული იგივე დირექტორის მიერ.

2. საერთაშორისო მოგზაურობები წინასწარ უნდა იქნას დამტკიცებული ინსპექტორის მიერ. მოგზაურობის დამტკიცებამდე, მან უნდა შეამოწმოს არსებობს თუ არა სამოგზაურო ქვეყნის შესახებ რაიმე გაფრთხილება ან რჩევა ქვეყნის / ქვეყნებისათვის, სადაც მოსწავლეები მიემგზავრებიან. (იხილეთ www.cdc.gov; www.travel.state.gov.) თუ ასეთი არსებობს ინსპექტორი ვალდებულია გაითვალისწინოს რჩევები და გაფრთხილებები, მოგზაურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. მოგზაურობის გეგმა უნდა მომზადდეს და იგი უნდა შეინახოს სკოლამ საკუთარ არქივში. გეგმაში უნდა იქნას მითითებული ყველა სახის ინფორმაცია: მოსწავლეების, ღამისთევის ადგილების, ხელმძღვანელების და გამგზავრებისა და დაბრუნების დეტალების შესახებ, ასევე სატრანსპორტო და გადამზიდავი საშუალებებისა და დაზღვევის შესახებ.

4. სკოლის დირექტორი/ან მის მიერ დანიშნული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მოსწავლისა და საერთაშორისო მოგზაურობაში მონაწილეთა და წევრების სათანადო დოკუმენტაცია (მაგალითად, პასპორტი) მგზავრობისათვის, ქვეყნის ან ქვეყნების ნუსხა, რომელსაც ეწვევიან შეერთებულ შტატებში დაბრუნებამდე.

5. სკოლის დირექტორი/ან მის მიერ დანიშნული პირი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ სულ ცოტა ერთ თანამშრომელს მაინც ქონდეს ტელეფონი სკოლასთან უწყვეტი კავშირისათვის საერთაშორისო მოგზაურობის განმავლობაში.

6. სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამის (მაგ. ინკლუზიური) მოსწავლეები უნდა იქნან უზრუნველყოფილი სათანადო ტრანსპორტით და შესაფერისი საცხოვრებელი პირობებით.

7. სამოგზაურო გეგმა უნდა მოიცავდეს ფორს-მაჟორულ სიტუაციების შემთხვევაში მოგზაურობის დაგეგმვას. ზრდასრულმა ზედამხედველებმა პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით უნდა იმოგზაურონ საგანგებო სიტუაციებისათვის ტელეფონის ნომრები მომსახურების სფეროში.

8. მოგზაურობის დაგეგმვისას თანამშრომლებმა უნდა დააზუსტონ აქვს თუ არა მთავრობას გა-თვალისწინებული შეღავათები, ან სპეციალური განაკვეთები ხელმისაწვდომ საცხოვრებელზე, სატრან-სპორტო საშუალებებზე და სხვა. სასწავლო დაწესებულებები თავისუფლდება საგადასახადო მოსაკრებ-ლებისაგან. ხელმძღვანელმა თან უნდა იქონიოს გათავისუფლების დამადასტურებელი საბუთი.

9. მოგზაურობის დაწყებამდე გეგმაში შესული საცურაო ადგილების ჩართვის შემთხვევაში ჯგუფი უნდა იყოს უზრუნველყოფილი მორიგე მაშველით, ან ეს მოვალეობა უნდა შეასრულოს სპეციალური მომზადების მქონე პერსონალმა. ბანაობა არ არის ნებადართული მორიგე მაშველის გარეშე.

10. საღეესასწაულო დღეებში მოწყობილი მოგზაურობისთვის სკოლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ მგზავრობის ხარჯები სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ფონდიდან. [1]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დებულება – „სახელმძღვანელო სკოლის ექსკურსიებისთვის“ მიღებულია 2005 წლის 4 ნოემბერს, ბოლო ცვლილება მასში შეტანილია 2007 წლის 2 ოქტომბერს (9211-51 406/30). ეს არის ერთერთი ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება სამაგალითო იყოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ამ სფეროში მოწესრიგებული კანონმდებლობა. დებულება შედგება 16 მუხლისაგან: 1. ზოგადი ინფორმაცია; 2. სასკოლო ექსკურსიის ხანგრძლივობა; 3.სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვა და ჩატარება; 4. ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა; 5.მონაწილეობა; 6.მოსწავლეების ჩართულობა სასკოლო ექსკურსიების დაგეგმვასა და

მომზადებაში; 7. მშობელთა ჩართულობა; 8.სასკოლო ექსკურსიების დამტკიცება; 9.ხელშეკრულებები; 10.სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება; 11. ცურვა და ბანაობა; 12. ღონისძიებები სპორტული დატვირთვით; 13.პირველი დახმარება, უბედური შემთხვევები; 14. დაზღვევევები ავარიისა და უბედური შემთხვევებისათვის; 15.პასუხისმგებლობა; 16.დებულების ძალაში შესვლა. [2]

მხოლოდ ეს მოკლე ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის მტკიცებულებად, თუ როგორი გულისყურით და ზედმიწევნით გამართულად აქვთ შესწავლილი და შედგენილი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს (ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს) დებულება – „სახელმძღვანელო სკოლის ექსკურსიებისთვის“, რომელიც სავალდებულოა ქვეყნის ყველა ტიპის სკოლებისათვის.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში სკოლა გახლავთ სწორედ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ჩვენთვის მისაბაძ ქვეყნებს იმაში, რომ სახელმწიფოს დონეზე განსაზღვრონ რეგულაციები. რომ ჩვენს ქვეყანასაც უნდა გააჩნდეს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების მსგავსი რეგულაციები, რომლებიც იძლევიან უაღრესად საჭირო და საფუძვლიან დირექტივებს. ქვემოთ მოყვანილია მხოლოდ ნაწილი გერმანული დებულებებისა, რომლებიც მივიჩნიე სანიმუშოდ და სამაგალითოდ:სახოკია

- სასწავლო მიზნებით ორგანიზებული საკლასო ექსკურსიები და მოგზაურობები განიხილება, როგორც **მნიშვნელოვანი ნაწილი სასკოლო განათლებისა და სწავლების პროცესისა**, [აქაც და ქვემოთ ხაზი ჩემია ნ.კ.] მიუხედავად მოსწავლეთა გენდერული კუთვნილებისა და ფიზიკური მდგომარეობისა, ის უნდა პასუხობდეს ყველა მოსწავლის მზადყოფნას თანაარსებობაზე და ურთიერთგაგებაზე. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მზადყოფნა დახმარებისათვის, პასუხისმგებლობის გრძნობა და ტოლერანტობა**. ექსკურსიამ უნდა გამოუმუშაოს მოსწავლეს წარმოქმნილი კონფლიქტების გადაჭრის უნარი, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სოციალურ თანაარსებობას. სკოლის გარეთ სწავლის ადგილების დათვალიერებამ საშუალებას მისცეს მათ **ჰქონდეთ საკუთარი ხედვა საექსკურსიო ობიექტებზე**.
- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სასკოლო ექსკურსიის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს მაქსიმუმ ერთი სასწავლო დღის ოდენობით. ხოლო სასკოლო მოგზაურობები დაწყებითი კლასებისათვის კლასები უნდა იყოს მაქსიმუმ სამი კალენდარული დღე, მაღალი კლასებისათვის კი მოგზაურობა შესაძლებელია განხორციელდეს მაქსიმუმ 5 კალენდარული დღის განმავლობაში.
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ან საორგანიზაციო მიზეზების გამო სპორტზე ფოკუსირებული მოგზაურობები. მათი ორგანიზება შესაძლებელია მშობლებთან შეთანხმებით, როგორც ერთდღიანი, ასევე ხანგრძლივი მგზავრობით.
- სასკოლო ექსკურსიების დიდი ნაწილი რა თქმა უნდა ტარდება გერმანიაში. გარდა გამართლებული გამონაკლის შემთხვევებისა. საზღვარგარეთ გასვლა შესაძლებელია მაშინ, თუ კლასი მიემგზავრება პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, მეზობელ რეგიონებს შორის თანამშრომლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, სპეციალურ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, ან, მაგალითად სათხილამურო სასწავლო კურსის გავლის მიზნით. თუმცა აქაც დადგენილია მაქსიმუმი – 10 კალენდარული დღე.
- სკოლები სკოლამდელი ექსკურსიების ჩატარების პრინციპებს თვითონ ადგენენ (სასკოლო ექსკურსიების კონცეფცია). § 40, მუხლი 6-ით დადგენილი წესების მიხედვით.
- ყველა სასკოლო ექსკურსიის ჩატარებისას განუხრელად უნდა დაცულ იქნას ეს პრინციპები.
- სკოლამ ექსკურსიები უნდა დაგეგმოს და განახორციელოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით.
- შესაძლებელია ფინანსური მხარდაჭერაც სახელმწიფოს მხრიდან ამის აუცილებლობის დასაბუთების შემთხვევაში.
- **ექსკურსიებისთვის ღამისთევის ადგილების არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოთ ახალგაზრდულ ტურბაზებს**. (გერმანულენოვან ქვეყნებში არსებობს ე.წ. Jugendherberge – ახალგაზრდული ტურბაზა, რომელიც აღჭურვილია სასწავლო ოთხებით და სპეციალური ინვენტარით გაკვეთილებისა და სემინარების ჩასატარებლად. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ დაწესებულებებში ფასები 2-3 ჯერ იაფია, ვიდრე სასტუმროებში. ნ.კ.); უპრიანი იქნება თუ ჩვენი ქვეყანაც იზრუნებს ახალგაზრდული ბანაკებისა და ტურბაზების არსებობაზე.

- გადამზიდველის შერჩევისას **გათვალისწინებულ უნდა იქნას უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა**.
- კვირაობით, ან რელიგიური დღესასწაულების დღეებში მოგზაურობისას, **მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ რელიგიურ დღესასწაულებში**.
- სასკოლო მოგზაურობის მართვა და მასზე **ზედამხედველობა უნდა დაეკისროს სკოლის მასწავლებელს**. პასუხისმგებელ თანამშრომელს, ან დირექტორს შეუძლია შეცვალოს მასწავლებელი იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეუძლია ექსკურსიაზე მოსწავლეების თანხლება. სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანებით დაკისრებული პირი ვალდებულია წერილობით აცნობოს თანხმობა.
- ავარიების თავიდან ასაცილებლად **კარგი შედეგი მოაქვს აქტიურ, უწყვეტ ზედამხედველობას**. საფრთხე იზრდება, როცა ექსკურსიები ატარებენ სპორტული ღონისძიების ხასიათს. როგორიცაა მაგალითად ველოტურები, საცურაო შეჯიბრებები, ზამთრის სპორტული ღონისძიებები, ლაშქრობები. ასეთ შემთხვევებში ზედამხედველობა გაძლიერებულ უნდა იქნას და რაც მთავარია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზედამხედველთა კვალიფიკაციას.
- **პედაგოგები და სხვა თანმხლები პერსონალი იმავე სახლებში უნდა იყვნენ განთავსებულნი, სადაც მოსწავლეები რჩებიან ღამისთევით**.
- **მშობელთა მონაწილეობა**, როგორც წესი, წინასწარ, მოგზაურობამდე რამდენიმე დღით ადრე ეწყობა მშობელთა შეხვედრა, რომელზეც განიხილავენ დაგეგმილი სასკოლო ღონისძიების გეგმას და მოსალოდნელ ხარჯებს. კლასის მშობელთა შეხვედრაზე წყდება ყველა საჭირბოროტო საკითხი.
- **მშობელთა თანხმობა მრავალდღიან ექსკურსიაზე მოსწავლის მონაწილეობის შესახებ** უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებამდე და ექსკურსიაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. სავარაუდო ხარჯების შესახებ თანხმობას წერილობით ადასტურებენ შესაბამისი განცხადებით.
- მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს **კონტრაქტების გაფორმება სატრანსპორტო კომპანიებთან და საცხოვრებელ დაწესებულებებთან**.
- ავარიებისა და უბედური შემთხვევებისას ექსკურსიაზე მონაწილეებმა უნდა მიიღონ პირველადი სამედიცინო დახმარება. ამასთანავე **პედაგოგებმა და რაც შეიძლება ბევრმა მოსწავლემ უნდა გაიაროს სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადება**.
- დაზღვევა უბედური შემთხვევისა და ავარიის შემთხვევაში: **ექსკურსიაზე მყოფი თითოეული პირი დაზღვეულ უნდა იქნას სადაზღვევო კომპანიის მიერ და მათ თან უნდა იქონიონ სადაზღვევო პოლისი**.
- საზღვარგარეთ მოგზაურობისას ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნას ჯანმრთელობის დაზღვევა შესაბამისი პირობებით. [3]

ეს მოკლე ამონარიდი ნათლად ადასტურებს, რომ პასუხისმგებლობა სასკოლო ექსკურსიის ორგანიზებაზე ენიჭება სკოლას, რომელიც მოქმედებს ზემდგომი ორგანოს, ამ შემთხვევაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს დებულების შესაბამისად! ამ წესის შესაბამისად სასკოლო ექსკურსიების ორგანიზებისას ბევრად მცირდება რისკი და ექსკურსიის ორგანიზატორის მხრიდან თვითნებური ინტერპრეტაციის განხორციელების შესაძლებლობა.

პოსტსაბჭოთა სივრცეშიც დაიწყო სასკოლო ექსკურსიების მოწესრიგება და სამართლებრივი რეგულირება. მაგალითისთვის მოვიყვან ბელორუსის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 2007 წლის 17 ივლისის დადგენილებას: „ინსტრუქცია სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო ტურისტული ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობის შესახებ“. ინსტრუქცია შედგება 19 მუხლისაგან და მოიცავს ღონისძიების მიზნებს, ამოცანებს, მითითებებს მათი მომზადებისა და ჩატარების შესახებ, რეკომენდაციებს, შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და დანართს განათლების დაწესებულებების მიერ ტურიზმის სფეროში სასწავლო ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობის ორგანიზების თაობაზე. ინსტრუქციაში სხვა მნიშვნელოვან დებულებებთან ერთად აღნიშნულია, შემდეგი:

- სასკოლო ლაშქრობებისა და ექსკურსიების მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო და სოციალურ-საგანმანათლებლო მუშაობის სისტემის გაუმჯობესება;
- ბუნებრივი, სოციალურ-კულტურული ობიექტების, ისტორიული და კულტურული ფასეულობების შესწავლა;

- მოსწავლეთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, სამოქალაქო პატრიოტულ, ისტორიულ და რეგიონულ კვლევებში მოსწავლეთა ჩართულობა;
- ეკოლოგიური კულტურის ამაღლება;
- საგანმანათლებლო დაწესებულების ტრადიციების ჩამოყალიბება და შენარჩუნება;
- ზრუნვა მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, მათი უსაფრთხოების დაცვა, მათში ცხოვრებისეული გამოცდილების ფორმირება, რომელიც მიმართულია ცუდი ჩვევებისა და დამოკიდებულებების პრევენციასა და აღმოფხვრაზე.

სანამ საქართველოში არ არსებობს მსგავსი მითითებები და რეკომენდაციები საჭიროდ მიმაჩნია ქართველ მკითხველს გავაცნო დანართი ინსტრუქციისა: განათლების დაწესებულებების მიერ ტურიზმის სფეროში სასწავლო ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობის ორგანიზების თაობაზე. ამ მოკლე, ერთგვერდიან, აუცილებლად შესავსებ დოკუმენტში, რომელსაც სკოლაში ადგენენ, კომპაქტურადაა გადმოცემული ექსკურსიის შესახებ ყველა საჭირო მონაცემი. [4]

დანართი ინსტრუქციისა:
განათლების დაწესებულებების
მიერ ტურიზმის სფეროში
სასწავლო ლაშქრობებსა და
ექსკურსიებში მონაწილეობის
ორგანიზების თაობაზე

ლაშქრობის, ექსკურსიის მარშრუტის სქემა

_____
(საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება)

მარშრუტის № _____
ლაშქრობა, ექსკურსია

აქტიური ლაშქრობის მანძილი _____კმ
საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა,
საექსკურსიო ობიექტების დათვალიერება

გაცემულია ტურისტულ
ჯგუფზე_____
პირის _____ შემადგენლობით,
ჩასატარებელი „____“_____ _____ წ-დან.
„____“ _____ _____ წ-მდე.
_____
(ტურიზმის სახე: ქვეითი, საწყალოსნო, ველო, და ა.შ.)
ტურისტული ლაშქრობა, ექსკურსია მარშრუტზე:
_____
(ძირითადი პუნქტები)
_____
_____

ლაშქრობის, ექსკურსიის
ხელმძღვანელი _____
_____
(ხელმოწერა) (გვარი, სახელი)
„____“ _____ _____ წ.

ლაშქრობის, ექსკურსიის ხელმძღვანელი: _____
_____
(ხელმოწერა) (გვარი, სახელი)

ლაშქრობის, ექსკურსიის მომწყობი ორგანიზაციის
ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა _____
ბ.ა.

ლაშქრობის, ექსკურსიის მონაწილენი

№	გვარი, სახელი	სასწავლებლის სახელწოდება

ლაშქრობის, ექსკურსიის გეგმა

თარიღი	მონაწილეთა სია	კმ	გადაადგილების საშუალება	ცნობა მარშრუტის შესახებ

3. სკოლის ექსკურსიების ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა

ვინ და როგორ უნდა ჩაატაროს სკოლის ექსკურსია? ეს არის კითხვა, რომელზეც ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. თანახმად ხალხური გამოთქმისა, რომლის მიხედვით პური მეპურემ უნდა გამოაცხოს, ნათელია, რომ ექსკურსია ექსკურსიამძღოლმა, ანუ გიდმა უნდა ჩაატაროს. მიუხედავად იმისა, რომ გიდი ფლობს (უნდა ფლობდეს) ექსკურსიის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკას, მან არ იცის (შესაძლებელია კარგად არ იცოდეს) სკოლის მოთხოვნა ექსკურსიისადმი. მხოლოდ სკოლის პედაგოგმა იცის ზედმიწევნით ზუსტად, თუ რა ინფორმაცია სჭირდება მოსწავლეს. ამიტომაც არის სკოლის ექსკურსია სწავლების პროცესის ნაწილი. ამასთანავე სამართლიანობა მოითხოვს შევნიშნოთ, რომ არც პედაგოგმა არ იცის როგორ უნდა მოამზადოს და ჩაატაროს ექსკურსია, იგი არ ფლობს (არ უსწავლია) ექსკურსიის მეთოდიკა, კერძოდ მისი უმთავრესი ნაწილი – ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის შედგენა და მის მიხედვით ექსკურსიის ჩატარება. ჩვენების და თხრობის ხერხები, რომლის გარეშე ექსკურსია ღარიბი და უინტერესოა, ის კარგავს გიდის ხელოვნებისთვის დამახასიათებელ მომხიბვლელობას. შესაძლებელია სკოლის ექსკურსია განვიხილოთ როგორც ბიზნესი, ვინაიდან ასეთი მომსახურება არის მეწარმეობის ფორმა. სამწუხაროდ, საქსტატს არ გააჩნია სკოლის ექსკურსიების ზუსტი სტატისტიკა, თუმცა ინტერნეტის საშუალებით მოვიძიე დოკუმენტი, რომლის სახელწოდებაა: „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში“.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2015 წელს, მოეწყო 1166 სასწავლო ექსკურსია, მათ შორის 147 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ექსკურსიები მოეწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, სახელმწიფო ბიუჯეტისა და დონორების დახმარებით.[5]

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, თუ ვინმე მოგვცემს დავალებას ჩვენ შეგვიძლია დავთვალოთ ექსკურსიების რაოდენობაც სასწავლო დაწესებულებების პროფილის მიხედვით. ექსკურსიას გააჩნია განსხვავებული ფორმები და მათ შორის სკოლის ექსკურსიებს აქვთ ერთი ყველასგან განსხვავებული ფორმა – ექსკურსია-გაკვეთილი, რომლის დროსაც ხდება მოსწავლის შეფასება და რომელიც მთლიანად უნდა დაგეგმოს და ჩაატაროს პედაგოგმა.

ექსკურსია-გაკვეთილი

ექსკურსია არის საგანმანათლებლო მუშაობის ფორმა, რომლის ფუნქციაა სასწავლო პროცესის განხორციელება და სწავლება არა საკლასო ოთახებში, არამედ ბუნებაში, მუზეუმში

ქალაქის ქუჩებში, პარკებში, წარმოებაში და ა.შ. ექსკურსია-გაკვეთილის მოსამზადებლად მასწავლებელმა უნდა:

- განსაზღვროს მისი შინაარსი, მიზანი, ამოცანები, ისე, რომ გასაგები გახადოს ის მოსწავლეებისათვის;
- შეარჩიოს ის კონკურენტული ობიექტები, რომლებსაც მოსწავლეები ექსკურსიაზე გაეცნობიან;
- მოიფიქროს საექსკურსიო ობიექტების ჩვენების და თხრობის მეთოდური ხერხები, რომელთა მეშვეობით მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვებიან ექსკურსიაში. ობიექტის შერჩევისას მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მათი სწორად შეფასება შემდეგი კრიტერიუმებით:

1. ობიექტის შემეცნებითი ღირებულება.
2. მიმზიდველობა (ობიექტის გარეგნული ფორმები და მისი ჰარმონიული შერწყმა გარემოსთან).
3. დაცვის მდგომარეობა (ობიექტის მზადყოფნა ჩვენებისათვის).
4. მდებარეობა (მანძილი ობიექტამდე, მოხერხებული სატრანსპორტო ხელმისაწვდომობა).

ექსკურსია შეიძლება ჩატარდეს მასწავლებლის ან გიდის მიერ, მაგრამ ღონისძიების ორგანიზატორად და ხელმძღვანელად რჩება მასწავლებელი. იმ შემთხვევაში, თუ ექსკურსიას თავად მასწავლებელი ატარებს, მაშინ მისი მომზადებისთვის მას დასჭირდება:

1. ექსკურსია-გაკვეთილის თემის საინტერესოდ ფორმულირება;
2. შეარჩიოს ლიტერატურა და ინტერნეტ-რესურსები მასალის მომზადებისათვის;

3. დამოუკიდებლად გაეცნოს საექსკურსიო ობიექტებს (წინასწარ შეისწავლოს საექსკურსიო ადგილი, რომ ექსკურსიისას გაუადვილდეს მოძრაობა მარშრუტზე, სამუზეუმო დარბაზებში, თუ ტური იქნება მუზეუმში);
4. შეადგინოს საექსკურსიის მარშრუტი;
5. მოამზაოს ექსკურსიის ტექსტი;
6. შექმნას ე.წ. "გიდის პორტფელი", კომპლექტი რომელშიც იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- ობიექტის დასახელება;
- მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რომელსაც ობიექტი უკავშირდება, მოვლენის თარიღი;
- ობიექტის მოკლე აღწერა (ავტორი, მშენებლობის თარიღი,
- აღდგენა-რესტავრაცია და ა.შ.);
- ძეგლის დაცვა (ორგანიზაცია, რომელიც ძეგლის დაცვაზეა პასუხისმგებელი);
- ობიექტთან დაკავშირებული საინტერესო ფაქტები.

7. ექსკურსიის ტექნოლოგიური რუკის შედგენა;
8. ჯგუფის გარეშე საცდელი ექსკურსიის ჩატარება.

ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა დამოკიდებულია საექსკურსიო თემაზე, დიდაქტურ მიზნებზე, მოსწავლეთა ასაკზე, მათ განვითარებაზე. საექსკურსიო მეთოდიკის საფუძველია ჩვენება და თხრობა. ასევე, ექსკურსია-გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას შემდეგი გეგმით: დაკვირვება, სქემების შემუშავება, ჩანახატების შექმნა, ვიზუალურ-საილუსტრაციო მასალების შეგროვება (ფოტოგადაღებები) და ა.შ. ექსკურსიის მთავარი პრინციპია ჩვენებიდან თხრობისაკენ. სადაც ობიექტი წამყვან ადგილს იკავებს. ჩვენებასთან შედარებით თხრობა მეორადია. ის შესაძლებელია წინ უსწრებდეს ობიექტის ჩვენებას, ან სინქრონულად ერთდროულად მიმდინარეობდეს, ან აფიქსირებდეს მიღებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებას. დამაჯერებელი თხრობა მიიღწევა მტკიცებულებების დახმარებით. პედაგოგის თხრობას ყოველთვის უნდა ჰქონდეს მკაფიო კომპოზიციური გეგმა. ექსკურსიის მსვლელობისას, შესაძლებელია სხვა ხერხების გამოყენებაც, კერძოდ:

- მოსწავლეთა შეხვედრები მოვლენების მონაწილეებთან;
- ხმოვანი ჩანაწერების მოსმენა;
- მოსწავლეთა მონაწილეობა რიტუალებში (მაგ. წუთიერი დუმილი, გვირგვინებით ძეგლის შემკობა და სხვ.).

ექსკურსია-გაკვეთილი უნდა დამთავრდეს დასკვნითი საუბრით, რომლის დროსაც მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს ნანახს და მოსმენილს. პედაგოგი გამოყოფს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებს, იძლევა შეფასებებს, აფასებს მოსწავლეთა ცოდნას; ასევე იძლევა რჩევებს დამატებითი საკითხავი ლიტერატურის შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მათ გაეცნონ უცნობ, საინტერესო მასალებს; სახავს ახალ შემოქმედებით ამოცანებს: ესსეს დაწერა, მომზადება, ალბომების შედგენა, სპეციალური კედლის გაზეთის, სტენდის, პრეზენტაციის მომზადება და ა.შ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ორ განსხვავებულ სასწავლო დისციპლინაში ინტეგრირებული ექსკურსია-გაკვეთილის ჩატარება. თეოფანე დავითაიას სახელობის ქალაქ ფოთის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა დოდო ბერძენმა და მათემატიკის მასწავლებელმა მედეა რურუამ ჩაატარეს ქართულსა და მათემატიკაში ინტეგრირებული გაკვეთილი არაფორმალურ გარემოში, ექსკურსიის ფორმატში. ავტორებმა, სიახლის თვალსაზრისით, სწავლების პროცესში ორი განსხვავებული პრინციპი შეიტანეს – გაკვეთილი საკლასო ოთახს გარეთ და სხვადასხვა საგნის გაერთიანება/ინტეგრირება ერთ გაკვეთილზე. ამ შემთხვევას მათ მიუძღვნეს სტატია, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი გაკვეთილის ჩატარების პროცესი და შედეგები, მოსწავლეთა მოტივაცია და პროცესში ჩართულობა და ის კონკრეტული, ფაქტობრივი ცოდნა და დამოკიდებულებები, რაც მოსწავლეებმა შეიძინეს ექსკურსია-გაკვეთილის ახალი ფორმატით. [6]

საერო გიმნაზია შავნაბადას ბიოლოგიის უფროსმა მასწავლებელმა ლაურა ჯიმშელეიშვილმა თავისი გამოცდილება კონკრეტული მაგალითის: ტყის ეკოსისტემის კვლევის შესახებ განაზოგადა. მისი ექსკურსია ითვალისწინებდა გარემოზე დაკვირვების უნარის განვითარებას, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში შეძენილი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, ინფორმაციის (მასალის) შეგროვებას, ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარებას, გარემოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების განვითარებას; ცხოვრების ჯანსაღი

წესის დამკვიდრებას. მან დაყო ღონისძიება სამ ნაწილად: სასწავლო ექსკურსიამდე; სასწავლო ექსკურსიის დროს და ექსკურსიის შემდეგ.

„მოსწავლეები ტყეში გასვლამდე რუკაზე შეისწავლიან ადგილს და ადგენენ რელიეფს, ეცნობიან საკვლევი გარემოს მცენარეების დომინანტ სახეობებს, ცხოველთა სამყაროს. მასწავლებელი მათ შეახსენებს ჰერბარიუმის გაკეთების წესს და ავალებს შესაბამისი მასალების წამოღებას (რამდენიმე ერთჯერადი ჭიქა, მუყაოს კოლოფები, ბლოკნოტები, რვეული ან ფურცლები, ფანქარი და საშლელი). ვინაიდან ექსკურსია გულისხმობს ხანგრძლივ სიარულს, საჭიროა, მოსწავლეებმა წინასწარ განსაზღვრონ აუცილებელი ნივთების ნუსხა. მასწავლებელი მათ ამცნობს, რომ ექსკურსიაზე მიიღებენ დავალებას, რომელიც ექსკურსიის შემდეგ ექნებათ ჩასაბარებელი. ეს მოსწავლეებს მეტი მობილიზებულობისთვის მოუწოდებს.

სასწავლო ექსკურსიის დროს მოსწავლეებს ეძლევათ დავალება, რომელიც მოითხოვს ტყის ეკოსისტემის რამდენიმე ხილული პარამეტრის (მაგალითად, ტყის შემადგენელი სახეობების ცვლილება მის განაპირა და შიდა ნაწილში) გამოკვლევას და კანონზომიერების დადგენას (მერქნიანი, ბუჩქოვანი და ბალახოვანი საფარი). თუ სახეობების დადგენა ადგილზე შეუძლებელია, გროვდება მასალა ჰერბარიუმისთვის და სამუშაო სკოლაში სრულდება. თუ გზისპირა ტყეა, მოსწავლეთა ნახევარი, დაყოფილი ჯგუფებად, ატარებს ექსპერიმენტს ტყის გარე და შიდა ნაწილებში ფოთლებზე მტვრიანობის განსასაზღვრად. დანარჩენი ჯგუფები იკვლევენ, არის თუ არა სხვაობა ქვედა, შუა და ზედა იარუსის მცენარეთა დაბინძურების ხარისხში. მოსწავლეები იღებენ ფოთლებს განაპირა და შიდა ხეებიდან, ასევე სხვადასხვა იარუსიდან და მათ სხვადასხვა წყლიან ჭურჭელში ცალ-ცალკე ჩარეცხავენ. წყლის სიმღვრივე გვაჩვენებს დაბინძურების ხარისხს. შემდეგ მოსწავლეებს ინდივიდუალური დავალება ეძლევათ: დააკვირდნენ ბუნების კომპონენტებს და ივარაუდონ, რა შეიცვლება ტყეში, თუ ერთ-ერთი კომპონენტი განადგურდა, ან დაბინძურების ხარისხმა მოიმატა. მასწავლებელი მათ საკმარის დროს აძლევს, რათა ყველამ მოასწროს სამუშაოს შესრულება. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ მათი ნაწერი შესაფასებლად გადაეცემა მეწყვილეს.

ექსკურსიის ბოლოს, ავტობუსში, ნაწერს წარუდგენენ გვერდით მჯდომ თანაკლასელს და საჭიროების შემთხვევაში უპასუხებენ მათ მიერ დასმულ დასაზუსტებელ შეკითხვებს. ექსკურსიის შემდეგ სკოლაში დაბრუნებული მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ახარისხებენ მასალას ჰერბარიუმისთვის და სამუშაოს დასრულების შემდეგ იკვლევენ სახეობებს, ადგენენ მათი გავრცელების არეალს, სამშობლოს. წერენ კვლევის მოკლე შემაჯამებელ ანგარიშს და აფასებენ თანაკლასელების დავალებებს. სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს მის შედეგებს – რა ნახეს ან მოისმინეს, რამდენად გასაგები და საინტერესო იყო ინფორმაცია; შესაძლოა, დაიგეგმოს შემდგომი ვიზიტებიც. [7]

მესამე პოზიტიური მაგალითი ქართული სინამდვილიდან არის წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ მომზადებული საექსკურსიო სასწავლო გეგმა, რომელიც შექმნილია პედაგოგთა დასახმარებლად, რათა მათ უკეთ შეძლონ ექსკურსიის საგანმანათლებლო დატვირთვის გააზრება, მისი სწორად დაგეგმვა და ჩატარება.

საექსკურსიო გეგმა სპეციალურადაა მორგებული ალ. ჭავჭავაძის წინანდლის სახლ-მუზეუმში ვიზიტს, თუმცა მისი გამოყენება სხვა ღირშესანიშნაობების მონახულებისას. მოცემული მარშრუტები მოიცავს კახეთის რეგიონის ძირითად ძეგლებს და შედგენილია ისე, რომ ნებისმიერი მარშრუტის შერჩევისას ერთ-ერთ პუნქტად ყველა შემთხვევაში არის წინანდალი.

საექსკურსიო სასწავლო გეგმის შინაარსობრივი და ვიზუალური ნაწილი აუცილებლად უნდა განთავსდეს წინანდლის სახლ-მუზეუმის ვებ-გვერდზე. ასევე მისი გამოცემა შესაძლებელია ბროშურის სახითაც. საექსკურსიო მარშრუტები და რუკა შესაძლებელია დაიბეჭდოს პოსტერზე და დარიგდეს სასწავლო დაწესებულებებში საექსკურსიო სეზონის დაწყების წინ.

ცენტრის განმარტებით: საექსკურსიო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს მრავალი სკოლის ექსკურსიის გამოცდილების გათვალისწინებით და თავის მიზნების განსაზღვრაში ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სასწავლო გეგმა მოიცავს სამ ძირითად ნაწილს ა) ექსკურსიის დაგეგმვა, ბ) საექსკურსიო მარშრუტებსა და გ) საექსკურსიო აქტივობებს. საექსკურსიო აქტივობები სპეციალურად

იმდენად ზოგადია, რომ მათი გამოყენება რამდენიმე მიმართულებით შეიძლება. ასევე აბსოლუტურად დასაშვებია, ამ აქტივობების ნებისმიერი სახით კომბინირება და თითოეულ ექსკურსიაზე რამდენიმეს გამოყენება. თუმცა აქ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ჯობია ერთი აქტივობა გავაკეთოთ ისე, რომ მოსწავლეებს საკმარისი დრო ჰქონდეთ დაფიქრებისა და სამუშაოს შესრულებისათვის. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ მოსწავლეებს ექსკურსიაზე უნდა დავუტოვოთ დრო, ერთმანეთთან ურთიერთობისთვის, გარემოს დამოუკიდებლად შეცნობისთვის და სხვა.

საექსკურსიო სასწავლო გეგმის გამოსაყენებლად სასურველია ექსკურსიის დაგეგმვა მოხდეს მასწავლებლებისა და მოსწავლეების აქტიური თანამშრომლობით. ამ შემთხვევაში. ყველა აქტივობას, რომელიც აქ არის აღწერილი სჭირდება წინასწარ, ექსკურსიამდე მომზადება. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს თუ სად იქნება ექსკურსია და რა აქტივობების შესრულებაა დაგეგმილი. ასევე მასწავლებელს დასჭირდება მოსწავლეების გაფრთხილება იმ მასალების შესახებ, რომლებიც მათ შესაძლოა ექსკურსიაზე, ექსკურსიის წინ ან შემდეგ დასჭირდეთ.

საექსკურსიო აქტივობები ხშირად რამდენიმე საგნის სასწავლო გეგმის ინტეგრირებას ახდენს (მაგ. ქართულის და ისტორია-გეოგრაფიის ან ბუნებისმეტყველების). ამის გამო, შესაძლოა მაქსიმალური ეფექტი ამ აქტივობების დაგეგმვისას სხვადასხვა საგნის მასწავლებლის შეთანხმებულმა მუშაობამ გამოიღოს. [8]

4. თემატური ექსკურსია: ილია ჭავჭავაძის მემორიალური ადგილები.

მიმდინარე წელს საქართველოში საზეიმოდ აღინიშნება უდიდესი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის 182 წლისთავი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საქართველოში ასეთი დიდი პიროვნებისადმი მიძღვნილი თემატური ექსკურსიის მომზადება. თბილისში მცხოვრები ზრდასრული მოსახლეობისა და უფროსკლასელთათვის ერთდღიანი ექსკურსიის მომზადება ერთდროულად საექსკურსიო საქმით დაკავებულ პროფესიონალთა ღირსების საქმე და მოვალეობაა. დედაქალაქის 240 სკოლის მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ნახონ, შეიმეცნონ და გაითავისონ გენიალური ქართველი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ეტაპები. მითუმეტეს, რომ ექსკურსიისათვის აუცილებელი სარეკომენდაციო ობიექტების და ადგილების რაოდენობა და მრავალფეროვნება, რომლებიც დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, სრულიად აკმაყოფილებს თემატური ექსკურსიისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, რაზეც წინამდებარე ჩამონათვალიც ადასტურებს:

N	ობიექტის დასახელება	ობიექტთან დაკავშირებული მოვლენები და ფაქტები
1.	თბილისის კლასიკური გიმნაზია [რუსთაველის გამზ., 10]	ილია ჭავჭავაძე თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში სწავლობდა 1851-1856 წლებში. ამ დროს გიმნაზიის დირექტორი იყო კარლ ლეონტის ძე ჩერმაკი. 1851 წელს, რაევსკი-ჰაკეს სამწლიან პანსიონატის დამთავრების შემდეგ, ილია ჭავჭავაძე პირდაპირ თბილისის გიმნაზიის მეოთხე კლასში მიიღეს. მალე დედით ობოლ ილიას მამაც გარდაეცვალა და ამ სულიერ განცდებს თან დაერთო უკიდურესი მატერიალური გაჭირვება. ამ დროს სასწავლო საგნებში მან არასახარბიელო ნიშნები მიიღო და გიმნაზიის მე-4 კლასში დატოვეს. სამაგიეროდ, 1853 წელს ილიამ მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა. ამ გიმნაზიაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი. არსებობს ცნობა, რომ ილიას სწავლის დროს თბილისის გიმნაზიის სცენაზე იმართებოდა მოწაფეთა სპექტაკლები, ხოლო ილიას და ი. პოლ-ტარაცკის დაარსებული ჰქონდათ თავისი სამოწაფეო წრე. გიმნაზიელი ილია თურმე საოცარი მოკრძალებით და თავაზიანობით გამოირჩეოდა. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ „გაყრა“ ამავე სცენაზე დაიდგა.

2.	სამების ეკლესია განათლების ქუჩაზე [გრიგოლ აბაშიძის ქუჩა, 6]	**ილია ჭავჭავაძისა** და მისი საყვარელი მეუღლის, **ოლღა გურამიშვილის** თავდავიწყებული სიყვარულის ამბავი იმჟამინდელი საზოგადოებისთვის კარგად იყო ცნობილი. **ივანე პოლტარაცკის** მოგონებით: **"უკიდურესად გადარეული იყო ჩვენი ილია უმცროსი დის ოლღას მშვენებით, მაგრამ მაშინ ძლიერ ხელმოკლე თავადი ჭავჭავაძე და მასთან მწერალი და ლიბერალი, სასურველ სიძედ ვერ ჩაითვლებოდა და თავის ტრფიალს მალავდა და ამის გამო ორ ახალგაზრდა მიჯნურთა შუა ჩუმი მიწერ-მოწერა იყო. მე მოწამე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიულის გატაცებისა... თაყვანება და ერთგულება თავის გენიალური ქმრისა ოლღას სიკვდილამდე არ შეუცვლია".** ჯვრისწერა საიდუმლოდ მოხდა 1863 წლის 10 აპრილს თბილისში, სამების ეკლესიაში. წმ. სამების ეკლესია საქართველოს ეროვნული მუზეუმის უკან გრიგოლ აბაშიძის ქუჩაზე მდებარეობას. პირველად ეკლესია ამ ადგილას 1790 წელს პეტრე აღნიაშვილმა ააგო, ხოლო 1832 წელს მისმა შვილიშვილმა მღვდელმა სვიმონ (შიო) აღნიაშვილმა ნაგებობას დასავლეთით კარიბჭე მიაშენა, 1850 წელს კი მისივე ნებით მასზე სამრეკლო დაიდგა.,,ჩაწერილი ჯვრის" ტიპის აგურით ნაგები ტაძრის გუმბათი აბსიდის შვერილებსა და ორ ბურჯს ეყრდნობა. აბსიდი სწორკუთხედშია ჩახაზული და ფასადზე არ გამოიყოფა. შესასვლელი დასავლეთიდანაა. სწორკუთხა ხის კარი მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული.
3.	ეროვნული ბიბლიოთეკის შენობა [ლადო გუდიაშვილის ქუჩა, 7]	თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი დაარსდა 1874 წელს ილია ჭავჭავაძის თაოსნობით. შენობა, რომელშიც ბანკი მდებარეობდა ამჟამად საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის I კორპუსია მოთავსებული. ილიას სიტყვებით: „ამ ბანკის საქმეს ყველაფერი შევწირე…."1875 წლის თებერვლიდან ბანკმა ფუნქციონირება დაიწყო და მას 30 წლის განმავლობაში, 1905 წლის 23 ივნისამდე ილია ჭავჭავაძე ედგა სათავეში. როგორც მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სხვა სფეროს, ისე საბანკო სისტემის განვითარების ეროვნულ საქმეშიც ფასდაუდებელია წმინდა ილია მართლის წვლილი. დღეს ამ შენობაში საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაა განთავსებული, რომელიც ასევე ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. 1931 წელს ყოფილი სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობა ეროვნულ ბიბლიოთეკას 1912 წელს ბანკის შენობის ასაგებად გამართული კონკურსის პირობაში მითითებული იყო, რომ ნაგებობა „ქართული სტილის" უნდა ყოფილიყო. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით პირველი პრემია მიენიჭა – არქიტექტორ ანატოლი კალგინისა და მხატვარ ჰენრიხ ჰრინევსკის პროექტს.
4.	სასტუმრო „ვეტცელი" [დავით აღმაშენებლის გამზ., 103]	1897-1900 წლებში ფრიდრიხ ვეტცელმა, თბილისში, საკუთარ მიწის ნაკვეთზე სასტუმრო ააშენა. სასტუმრო თბილისში მოღვაწე გერმანელმა არქიტექტორმა, ლეოპოლდ ბილფელდმა (1838-1921) დააპროექტა. მისივე დაპროექტებულია ფრიდრიხ ვეტცელის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი თბილისში. სასტუმრო „ვეტცელი", XX ს-ის დასაწყისიდან თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირის საუკეთესო სასტუმრო გახდა. სამსართულიანი მანსარდიანი შენობა მდიდრულად არის გაფორმებული ბაროკული არქიტექტურის ელემენტებით. სასტუმრო უმაღლეს დონეზე ყოფილა აღჭურვილი – გათბობით, ელექტროგაყვანილობით, ლიფტით, საბილიარდოთი, 2 რესტორნით. სასტუმრო იმითაც იყო გამორჩეული, რომ მის მარცხენა ფლიგელში იყო თეატრი, აფიშები დღემდეა შემონახული. სასტუმროს ჰქონდა საზაფხულო ბაღი, რესტორანი,

		რომელშიც ოპერის ორკესტრი მართავდა კონცერტებს. ეს იყო ილია ჭავჭავაძის საყვარელი დასასვენებელი ადგილი. დიდი მწერალი სასტუმროს რესტორანს ხშირად სტუმრობდა.
5.	ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი [გ. ჩუბინაშვილის, 22]	ამ სახლში მწერალმა სიცოცხლის ბოლო წლები – 1902-1907 გაატარა. ერთსართულიანი სახლი ქუჩის სიღრმეში დგას. მყუდრო ბინაში დღემდეა შენარჩუნებული ილიას დროინდელი სახლის ატმოსფერო, მისი სამუშაო კაბინეტი, ავეჯი, პირადი ნივთები და სხვა.
6.	გაზეთ „ივერიის" ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი [ივანე ჯავახიშვილის ქ. 7]	მუზეუმი ამ სახლში 1987 წელს გაიხსნა ილიას დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით. თავის დროზე კი სახლი ილია ჭავჭავაძის დას ეკუთვნოდა და მისი მეუღლის გენერალ ალექსანდრე საგინაშვილის მიერ აშენდა 1880-იან წლებში. ილია ჭავჭავაძე ამ სახლში 1889-1901 წლებში ცხოვრობდა, აქვე იყო მოთავსებული მის მიერვე დაარსებული გაზეთის – "ივერია" რედაქცია და სტამბა. XIX ს-ში ეს ცნობილი სახლი იყო, სადაც ყოველ ხუთშაბათს რჩეული საზოგადოება იკრიბებოდა და ლიტერატურული საღამოები იმართებოდა. შენობა XIX-ის თბილისური საცხოვრებელი სახლის ტიპიური ნიმუშია. მისი ფასადი ევროპული არქიტექტურული დეკორითაა გაფორმებული. თითქმის უცვლელადაა შემონახული ინტერიერი; აღსანიშნავია სასადილო ოთახი, ილიას სამუშაო კაბინეტი, ავეჯი. მუზეუმის კოლექციებში ინახება მწერლის არქივი, ხელნაწერები და ბიბლიოთეკა, ილიას მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთები.
7.	მთაწმინდის პანთეონი	ილია ჭავჭავაძე – საქართველოს უგვირგვინო მეფე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქვეყნის სულიერი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, მის საფლავზე დგას ძეგლი – დამწუხრებული ქალის ბრინჯაოს ფიგურა-მწუხარე საქართველოს სიმბოლო. ძეგლი პარიზში დაამზადა ახალგაზრდა ქართველმა მოქანდაკემ, იაკობ ნიკოლაძემ.
8.	წიწამურის მემორიალი	თბილისიდან საგურამოსკენ მიმავალ გზაზე, წიწამურის ტყის პირას აღმართულია თეთრი სვეტი, ობელისკი, რომელიც გვაუწყებს, რომ 1907 წლის 30 აგვისტოს, მტრებმა საქართველოს მოუკლეს დიდი წინამძღოლი, ერის სულიერი მამა – ილია ჭავჭავაძე. წიწამურთან მომხდარი მკვლელობა უდიდესი ტრაგედიაა, რადგან ილიას მკვლელები ქართველები იყვნენ. ეს ჭრილობა დღესაც ღია და მოუშუშებელია.
9.	ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში	ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმი მოიცავს მწერლის საცხოვრებელ სახლს დამხმარე ნაგებობებით და ჭავჭავაძისეულ მამულს ბაღ-ვენახით. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციაში წარმოდგენილია მწერლის მემორიალური ნივთები, მე-19 ს-ის ქართული კულტურის წარმომადგენელთა ფოტოპორტრეტები და ეპოქის ყოფის ამსახველი ფოტო მასალები, მწერლის ხელნაწერები, მისივე გამოცემული პერიოდიკის ნიმუშები ("ივერია", "საქართველოს მოამბე" და სხვ.), მე-19 ს-ის ქართული და უცხოეთის სახვითი ხელოვნების ნიმუშები; ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯაფარიძის, იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრები; XVIII-XIX ს.ს. გერმანული წარმოების დეკორატიული და საყოფაცხოვრებო ჭურჭელი, ავეჯი და სხვა.

საექსკურსიო ობიექტების ეს რაოდენობა და მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას ზემოაღნიშნული ობიექტების დათვალიერებით მაქსიმალურად სრულყოფილად წარმოვაჩინოთ ილია ჭავჭავაძის ღვაწლი და შემოქმედება. ამისათვის საჭიროა საექსკურსიო მასალების მოძიება, ობიექტების თანმიმდევრობით ჩვენების განსაზღვრა, საექსკურსიო დროის დადგენა, ექსკურსიაზე გასაშუქებელი

თემების და ქვეთემების შერჩევა, საექსკურსიო ტექსტის შედგენა და მეთოდური და ორგანიზაციული საკითხების დადგენა. მხოლოდ ამ სამუშაოების ასეთი თანმიმდევრობით შესრულების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ თემატური ექსკურსიის შესაქმნელად გაწეულ იქნა მეთოდურად გამართული საქმიანობა. მხოლოდ საკითხების ჩამონათვალიც კი საკმარისია იმისთვის, რომ ვამტკიცოთ – ახალი ექსკურსიის შექმნა მოითხოვს კოლექტიურ (მინიმუმ 4-5 გიდის/მასწავლებლის) და ხანგრძლივ (მინიმუმ 6-8 თვე) შრომას. სავარაუდოდ ასეთი შრომისთვის მზად არ არიან ტურისტული ფირმები, როგორც ჩანს არც სკოლები. სხვა შემთხვევაში ძნელია აიხსნას ის გარემოება, რომ ქვეყანას ყავდა ერის მამა, რომელმაც ტიტანური შრომა გასწია საკუთარი ქვეყნის ბედნიერებისათვის, ხოლო მადლიერი შთამომავლობა არ ეძებს გზებს და საშუალებებს მისი პოპულარიზაციისათვის. საექსკურსიო ტექსტი თავისი დანიშნულებით გავს ფილმის სცენარს, ხოლო გიდი/მასწავლებელი სცენაზე, თუ ფილმში არჩეული როლის შემსრულებელს. ეს მეტად რთული საქმეა, რომელიც ვერ იტანს სიყალბეს, დილეტანტიზმს, საქმის უგულოდ შესრულებას. როგორც ჩანს ჩვენთან ჯერ არ გამოჩნდა ასეთი გუნდი და არც სახელმწიფო დაწესებულება (მხედველობაში მაქვს ორი სახელმწიფო დაწესებულება: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია) ჯეროვნად არ არიან ამით დაინტერესებული. კერძო სექტორის მიერ ინიციატივის, თუ მოტივაციის გასაძლიერებლად სათანადოდ არ იყენებენ წამახალისებელ ფორმებს: კონკურსის გამოცხადების, ან ჯილდოს დაწესების სახით.

ამრიგად, სკოლის ექსკურსია, რომელსაც საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია, ამჟამად ატარებს უსისტემო ხასიათს და იგი მთლიანად დამოკიდებულია კონკრეტული სკოლის ადმინისტრაციაზე, მის გემოვნებასა და შინაგანაწესზე.

ერთადერთი მოქმედი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლის ექსკურსიებს არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის No 719 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც არეგულირებს საორგანიზაციო საკითხებს. მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ხდება სკოლის ექსკურსიების მიახლოება რაიმე სტანდარტთან (ლაგოდეხის ეროვნული პარკი, წინანდლის საგანმანათლებლო ცენტრი) და ერთეული მკვლევარები, ან პრაქტიკოსი მასწავლებლები თუ გასცემენ რაიმე რეკომენდაციებს (ლაურა ჯიმშელეიშვილი, მედეა რურუა, დოდო ბერძენი) სკოლაში ექსკურსიის შემოქმედებითად გამოყენების შესახებ.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ექსკურსია უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყურადღების ცენტრში, რადგან მას უნდა აინტერესებდეს: სწავლებასთან დაკავშირებული **ექსკურსიის შინაარსი, საორგანიზაციო საკითხები და ექსკურსიაზე მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.** ეს უკანასკნელი უკავშირდება ადამიანის სიცოცხლეს და მისი დაცვის გარანტიებს. დაუშვებელია სასკოლო რეფორმის გატარება ამ საკითხებზე ჯეროვანი ყურადღების მიპყრობის გარეშე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Regulation of the Chancellor. ვებ-გვერდიდან: http://schools.nyc.gov/NR/rdonlyres/9434A931-C1EF-4867-A566-857EF9D8BC5C/0/A670.pdf;
2. Richtlinien für Schulfahrten Verwaltungsvorschrift des Ministeriums für Bildung, Wissenschaft, Jugend und Kultur vom 4. November 2005, zuletzt geändert am 2. Oktober 2007 (9211- 51 406/30). ვებ-გვერდიდან: http://cms.ukrlp.de/_media/wandererlass05.pdf ;
3. Richtlinien für Schulfahrten Verwaltungsvorschrift des Ministeriums für Bildung, Wissenschaft, Jugend und Kultur vom 4. November 2005, zuletzt geändert am 2. Oktober 2007 (9211- 51 406/30). ვებ-გვერდიდან: http://cms.ukrlp.de/_media/wandererlass05.pdf;
4. http://edu.gov.by/sistema-obrazovaniya/vosp-uchrezhdeniya/normativno/index.php?sphrase_id=7640;
5. http://AA_2015_National_Action_Plan_Report_Matrix_geo_version.pdf;
6. http://GESJ: Education Science and Psychology 2016 | No.1(38);
7. http://GESJ: Education Science and Psychology 2016 | No.1(38;
8. სიმონ ჯანაშია – საექსკურსიო სასწავლო გეგმა, ინტერნეტ ვერსია http://tsinandali.blogspot.com/2009/12/blog-post_25.html.

ნიკო კვარაცხელია

სკოლის ექსკურსიები თანამედროვე საგანმანათლებლო რეფორმის კონტექსტში

რეზიუმე

სტატია ეძღვნება სკოლის ექსკურსიების ორგანიზებისა და მათი ჩატარების მეთოდიკის საკითხებს. სკოლის ექსკურსიებს საქართველოში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია. ერთადერთი მოქმედი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სკოლის ექსკურსიებს არის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის No 719 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც არეგულირებს საორგანიზაციო საკითხებს.

სტატიაში მოტანილია მონაცემები ქალაქ ნიუ იორკის მმართველობის განათლების დეპარტამენტის 2011 წლის 18 აგვისტოს დამტკიცებული სპეციალური რეგულაციის № A-670, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტადაა გაწერილი აქტივობები ექსკურსიის / მოგზაურობის დასაგეგმად. აგრეთვე განხილულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, ახალგაზრდობისა და კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დებულება – „სახელმძღვანელო სკოლის ექსკურსიებისთვის“ მიღებულია 2005 წლის 4 ნოემბერს, ბოლო ცვლილება მასში შეტანილია 2007 წლის 2 ოქტომბერს (9211-51 406/30). გაანალიზებულია პოსტსაბჭოთა ქვეყანა ბელორუსის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 2007 წლის 17 ივლისის დადგენილება: „ინსტრუქცია სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო ტურისტული ლაშქრობებსა და ექსკურსიებში მონაწილეობის შესახებ“.

გაანალიზებულია სკოლის ექსკურსიის უმნიშვნელოვანესი ფორმა – **ექსკურსია-გაკვეთილი**, განზოგადებულია ქართველ პედაგოგთა მიღწევები ამ სფეროში. ავტორის მიერ შემოთავაზებულია თემატური ექსკურსიის: **ილია ჭავჭავაძის მემორიალური ადგილები შექმნის იდეა**.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ სკოლის ექსკურსიის შინაარსი და შესაბამისობა სასწავლო პროცესთან უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყურადღების ცენტრში, რომელსაც ასევე უნდა აინტერესებდეს: **სწავლებასთან დაკავშირებული ექსკურსიის შინაარსი, საორგანიზაციო საკითხები და ექსკურსიაზე მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა.** ეს უკანასკნელი უკავშირდება ადამიანის სიცოცხლეს და მისი დაცვის გარანტიებს. დაუშვებელია სასკოლო რეფორმის გატარება ამ საკითხებზე ჯეროვანი ყურადღების მიპყრობის გარეშე.

Niko Kvaratskhelia

School excursions in the context of modern education reform

Summary

The article is dedicated to the issues of organizing and conducting school excursions. School tours have a long tradition in Georgia. The only applicable document regulating school excursions is the Order No 719 of the Minister of Education, Science, Culture and Sport of May 31, 2019 „On Approval of the Rules for Conducting School Excursions for Schoolchildren”, which regulates organizational issues.

The article contains data from special regulation № A-670 approved by The New York City Department of Education on 18 August 2011, in which the activities for planning excursions/trips are accurately defined. The article also examines an administrative declaration of the Ministry of Education, Science, Youth and Culture of the Federal Republic of Germany, – "Guidelines for School Excursions" was adopted on 4 November 2005 and last modified on 2 October 2007 (9211-51 406/30). In the article is also reviewed the resolution of The Ministry of Education of the post-Soviet country – the Republic of Belarus from 17. July 2007: "Instruction on participation in educational tourist hikes and excursions by Educational Institutions."

The article analyses the most important form of school excursion – an excursion-lesson and generalizes the achievements of Georgian teachers in this field. The author offers an idea of a thematic excursion: creating memorial places of Ilia Chavchavadze.

As a conclusion is mentions that a school excursion should be the centre of attention of the Ministry of Education and Science, as they should be interested in: contents of cognitive excursions, organizational issues and safety of the students on the excursions. The latter is related to human life and guaranties of its protection. It is unacceptable to carry out a school reform without paying due attention to these issues.

ზურაბ ლაოშვილი, ანა ირემაშვილი, ლადო გრიგოლია

გეოინფორმაციული სისტემების თანამედროვე ტენდენციები

გეოინფორმაციულ სისტემების განვითარებაში ყურადსაღებია ტენდენცია, რომელმაც მთელი ინფორმაციული სამყარო მოიცვა. ეს არის ღია სისტემები (Open Source), რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად შექმნას კონკრეტულ ამოცანებზე მორგებული უფასო **გის**. შეიძლება გამოვყოთ მათი ორი ძირითადი წყარო: უნივერსიტეტებში შემუშავებული სისტემები და ფასიანი პროდუქტები, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ უფასო ხდება. ღია პროგრამული უზრუნველყოფა სპეციალური ლიცენზიების (GPL, LGPL და სხვ.) მეშვეობით ვრცელდება [1].

დღეისათვის **გის**-ის ბაზარზე 100-ზე მეტი კომერციული და 300-ზე მეტი თავისუფლად გავრცელებადი პროგრამული კომპლექსები არსებობს, რომლებსაც სივრცით მონაცემებთან მუშაობა ხელეწიფებათ. უფასო **გის**-ები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი გამოყენება უფასოდ არის შესაძლებელი, არამედ იმიტომაც, რომ ფუნქციური შესაძლებლობებით სულ უფრო ვითარდებიან და ზოგიერთი მათგანი (მაგ., QGIS) არაერთ კომპონენტში კონკურენციასაც კი უწევს ისეთ მძლავრ პროგრამულ პაკეტებს, როგორიც ESRI ArcGIS-ია [3].

უნდა აღინიშნოს, რომ ღია პროგრამული უზრუნველყოფების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა Open Source Initiative (OSI)-მ, რომელმაც მათთვის შესაბამისი ლიცენზიები და პროგრამული პაკეტები განსაზღვრა[1].

ღია კოდში დაწერილ პროგრამულ უზრუნველყოფას აქვს, როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

დადებითი მხარეებია:

- უფასო ლიცენზია;
- შეცდომების და ფუნქციების ხშირი გასწორება;
- ღია კოდის არსებობა, რაც მომხმარებელს შესწორებების, დამატებებისა და საკუთარი გარემოს შექმნის საშუალებას აძლევს;
- ახალი ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვისა და სისტემის გაფართოების შესაძლებლობა;
- მიერთებული ბიბლიოთეკებისა და მოდულების ფართო სპექტრი, რომლებიც უზრუნველყოფენ ღია კოდს.

ნაკლოვანებებია:

- არასაკმარისი პროგრამული კოდები;
- ზოგჯერ არასრული დოკუმენტაცია;
- ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების არსებობა;
- ზოგიერთი დამატება არ არის ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისთვის;
- პროგრამის ინტერფეისი ყოველთვის არ არის მეგობრული;
- განმავითარებლისგან ყოველთვის არ არის მხარდაჭერა;
- მონაცემები სუსტად არის დაცული [3].

უფასო პროგრამული პროდუქტების გაჩენა და განუხრელი განვითარება სივრცით მონაცემებსა და მათი მართვის ტექნოლოგიებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდის ტემპებზე მიუთითებს.

ღია კოდშია დაწერილი დღეისათვის ერთ-ერთი ლიდერი უნივერსალური **გის** პროგრამული უზრუნველყოფა – **QGIS**, რომელიც უფასო **გის**-ებს შორის პირველ ადგილს იკავებს და სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს.

QGIS – (ასევე ცნობილი, როგორც Quantum GIS) დაპროექტდა 2002 წლის ივნისში **გერი შერმანის** მიერ და თავიდანვე მიზნად ისახავდა იმას, რომ ყველა მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ის უფასოა და ნებისმიერი გეოსივრცითი მონაცემის ვიზუალიზაციის, რედაქტირების და ანალიზის

[1] Open Source Initiative (OSI) – ორგანიზაცია, რომელიც 1998 წელს **ბრიუს პერენსიმ** და **ერიკ რეიმონდმა** ღია პროგრამული უზრუნველყოფების განვითარებისთვის დააარსეს.

საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომ ის მსგავს (Open-Source) სისტემებში ყველაზე პოპულარულია და სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს. მას საქართველოშიც, ჯერ მცირე მასშტაბებით, მაგრამ უკვე იყენებენ; ასწავლიან უნივერსიტეტებში.

QGIS მორგებულია სხვადასხვა ოპერაციულ სისტემებზე, როგორიცაა: Mac OS X, Linux, Unix და Microsoft Windows. 2014 წელს დაიწყო მუშაობა QGIS-ის მობილურმა ვერსიაამ, რომელიც ანდროიდის სისტემაზეა გათვლილი. QGIS ხელმისაწვდომია GNU-ს ზოგადი საჯარო ლიცენზიის საფუძველზე (GPL). ლიცენზია უზრუნველყოფს მომხმარებელის თავისუფალ წვდომას Source კოდზე, რომლის შეცვლა ნებისმიერ დროს შეუძლია. ვერსიების საკმაოდ ხშირი ცვლაც იზიდავს მომხმარებელს, რომელსაც შეუძლია ჩართოს საკუთარი ბიბლიოთეკა ან კონკრეტული ამოცანების გამოსათვლელი მოდულების კომპლექსი [2].

2018 წელს QGIS-მა მონაცემთა 3D მოდელირებისა და ანალიზის ახალი შთამბეჭდავი შესაძლებლობები წარმოადგინა.

QGIS-ის გარდა, პრაქტიკაში იყენებენ სხვა უფასო გის პროგრამულ პროდუქტებსაც, რომელთა შორის აღსანიშნავია:

gVSIG – აპლიკაცია მონაცემთა საუკეთესო სამგანზომილებიანი ვიზუალიზაციის შესანიშნავი შესაძლებლობებით. გამოვიდა ესპანეთში 2018 წელს.

Whitebox GAT – **გის**-ის და **დიდტანციური ზონდირების (დზ)** ფუნქციებით აღჭურვილი სრულყოფილი გის პროგრამული პროდუქტი, რომელმაც პრაქტიკულად ჩაანაცვლა TAS – ჰიდროგეომორფული აპლიკაციების ინსტრუმენტი. მას ჰიდროლოგიური თემების მრავალწახნაგოვანი მხარდაჭერა აქვს. გამოვიდა 2009 წელს.

SAGA GIS – გეოსამეცნიერო ანალიზის ავტომატიზებული სისტემაა. მისი გამოყენება დაიწყო ადგილმდებარეობის ანალიზით (მაგ., ბორცვების დატენიანება, წყალგამყოფების გამოყოფა, ხედვის ზონები და სხვ.). საუკეთესოდ მუშაობს რელიეფის ციფრულ მოდელთან. მისი მორფომეტრიული ინსტრუმენტები უნიკალურია).

GRASS GIS – მიწის რესურსების მართვისა და გარემოს დაგეგმარების ინსტრუმენტი. მას აქვს ვექტორთან და რასტრთან სამუშაო 350-მდე საიმედო ინსტრუმენტი.

MapWindow – აქვს წყალგამყოფების ავტომატურად გამოყოფის საუკეთესო ინსტრუმენტები.

ILWIS – ამ პროგრამულ პროდუქტს წარმატებით იყენებენ დაგეგმარების, წყლის მოხმარების სპეციალისტები და გეოლოგები. აქვს აციფვრისა და რედაქტირების მოქნილი ინსტრუმენტები.

სხვა პროგრამული პროდუქტებიდან აღსანიშნავია: **OpenJump, Diva GIS, FalconView, OrbisGIS**.

მეორე მიმართულება დაკავშირებულია ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტის და გლობალური საერთაშორისო საინფორმაციო რესურსების მასობრივ გამოყენებასთან. ამ მიმართულებით იკვეთება რამდენიმე პერსპექტიული გზა: პირველი განისაზღვრება მსხვილი უწყებებისა და ორგანიზაციების კორპორაციული ქსელების განვითარებით; მეორე გზა დაკავშირებული იქნება ინტერნეტის განვითარებასთან, რომელიც მსოფლიო მასშტაბით უზარმაზარი ტემპით ვითარდება და ყოველდღიურად ათიათასობით ახალ მომხმარებელს იერთებს. ეს მიმართულება გაგვიყვანს ჯერ კიდევ გამოუცნობ გზაზე, რომელზეც ტრადიციული **გის** და ცალკეული ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი დახურული სისტემები ახალ თვისებებს შეიძენს, გაერთიანდებიან და გლობალური ერთობლივი მოხმარების მძლავრ, ინტეგრირებულ და ინტერაქტიურ სისტემებად გარდაიქმნებიან.

ამასთან, ასეთი **გის**-ები თვითონ გახდებიან:

- ტერიტორიულად განაწილებული;
- მოდულებით გაზრდილი;
- ერთობლივად გამოყენებული;
- ადვილად და მუდმივად მისაწვდომი.

ამიტომ თანამედროვე **გის**-ების ბაზაზე ახალი ტიპის, კლასისა და თაობის გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების აღმოცენება შეიძლება ვივარაუდოთ, რომლებიც ინტერნეტის, ტელევიზიისა და ტელეკომუნიკაციის შესაძლებლობების განვითარებაზე იქნება დაფუძნებული.

განაწილებული გის-ების ტექნოლოგიები

გის-ის განვითარების პირველ ეტაპზეც კი იყო იმის მცდელობა, რომ მომხმარებელს მისგან დაშორებული სერვერიდან ემუშავა. სხვა სიტყვებით – ეს იყო **კლიენტისერვერის** მოდელი, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება და ჯგუფური მუშაობის საშუალებას იძლევა. გაჩნდა შესაბამისი ტერმინიც: **„განაწილებული სივრცითი გამოთვლები" (Digital Geospatial Computing – DGC)**, რომელიც დაშორებულ რეჟიმში მუშაობას გულისხმობს. პირველად სივრცითი ინფორმაცია DARPA-ის ქსელით გადაიცა. პირველი კარტოგრაფიული სერვერი შეიმუშავა Xerox-მა. 1994 წელს დაარსდა აშშ-ის გეოგრაფიული მონაცემების ფედერალური კომიტეტი, რომელიც მუშაობდა განაწილებული გეოგამოთვლებისა და სივრცითი ინფრომაციის გადაცემის საკითხებთან. შედეგად დაარსდა კონსორციუმი OGC (Open Geospatial Consortium) და ტექნიკური კომიტეტი ISO. 1995 წელს შეიქმნა Mapquest-ის ტიპის პირველი აპლიკაცია [3].

1996 წელს ESRI, Intergraph და სხვა კომპანიებმა დაიწყეს OGC-ს მიერ შემუშავებული სტანდარტების მიხედვით შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფების რეალიზება. გამოჩნდა პირველი ვირტუალურ/ციფრული დედამიწა, რომელიც დღეს Google Earth-ის სახელით არის ცნობილი. ამ სისტემის ალგორითმების რეალიზაციისთვის გამოყენებულ იქნა მათემატიკური სტატისტიკა, გამოთვლითი გეომეტრია, კომბინატორული ტოპოლოგია, რომლებიც შემდგომში განაწილებული **გის**-ების შემუშავების ტიპური მეთოდები გახდა.

ამ მიმართულების ერთ-ერთ წამყვან კომპანიად ESRI რჩება, რომელსაც განაწილებული **გის**-ების შესაქმნელად პროდუქტების დიდი კომპლექსი აქვს. ეს არის სერვერული პროდუქტები, რომელთაგან ნაწილი (ArcSDE, ArcIMS) დიდი ხანია არსებობს. სხვები (ArcGIS Server, GIS Portal Toolkit) ბაზარზე ახლა იკიდებენ ფეხს. გაცილებით გვიან გამოჩნდა სხვა კომპანიების (Intergraph, Autodesk) პროდუქტები. ინტერნეტ ტექნოლოგიებით განპირობებული ტელეკომუნიკაციური და ინფორმაციული სისტემების (ვებ სერვისები, GRID სისტემები, ღრუბლოვანი სერვისები) განვითარებამ განაწილებული **გის**-ები ლოკალური ქსელებიდან მთელ მსოფლიოში გაფანტულ გეომონაცემების დიდ მოცულობებზე გადაიყვანა. ამ პროცესში უზარმაზარ როლს OSG და ISO ასრულებს. სწორედ მათი დამსახურებაა დღეს "ონლაინ" კარტოგრაფიული სერვისების, პორტალების, ღრუბლოვანი სერვისების სისტემის გამომთვლელი კლასტერების გამოყენება.

განაწილებული **გის**-ების ყველაზე ცნობილი გადაწყვეტაა "ონლაინ" კარტოგრაფიული სერვისები. მათ შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარულია: Google Maps, Google Earth და NASA WorldWind, რომლებიც მთელი დედამიწის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სისტემები არა მარტო კარტოგრაფიულ ინფორმაციას გამოსახავენ, არამედ აქტუალიზდებიან კოსმოსური სურათების ხარჯზე, რომლებიც შესაბამისი მონაცემთა ბაზებიდან ოპერატიულად მიიღება. გარდა ამისა, ზოგიერთი სისტემა უზრუნველყოფილია სამგანზომილებიანი ვიზუალიზაციით. ამ მიმართულებით სხვა სისტემებიც ვითარდება, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც **დზ**-ის მონაცემებთანაა დაკავშირებული.

გეომონაცემების დასამუშავებლად სულ უფრო მეტად გამოიყენება სწორედ ინტერაქტიური რუკები. ყველაზე ხშირად იყენებენ Mashup ტექნოლოგიებს, რომელიც ინტერაქტიური რუკების შესაქმნელი ინსტრუმენტების ინტერფეისით არის აღჭურვილი. "ონლაინ" კარტოგრაფიულმა სერვისებმა გეოპორტალების ტექნოლოგიებშიც პოვეს განვითარება.

იმდენად, რამდენადაც გეომონაცემების მიღების მოცულობა და სიჩქარე ყოველწლიურად იზრდება, მონაცემთა ბაზების სრულიად სხვა მოდელებია საჭირო, ასევე Data Science-ზე დაფუძნებული ახალი მეთოდები, რომლებშიც სინთეზური თეორიები ჭარბობს. დიდი მოცულობის გეომონაცემების დამუშავებისთვის დღეისათვის ყველაზე ეფექტური და საიმედო ე.წ. Hadoop ტექნოლოგიებია, რომელიც საკმაოდ მარტივ პროგრამულ-ტექნოლოგიურ კომპლექსებს იყენებს. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის სხვადასხვა სახის ინფრომაციის დამუშავების ნაყოფიერებას [3] (სურ. 1).



სურ. 1. Hadoop ტექნოლოგიების საფუძველზე გეომონაცემების დამუშავების სქემა

ინტელექტუალური გის-ები

ბოლო დროს სულ უფრო პოპულარული ხდება **ინტელექტუალური გის**-ები **(იგის)**, რომლისთვისაც დამკვიდრებული განმარტება ჯერ არ არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი **იგის**-ში გულისხმობს სივრცითი ინფორმაციის დამუშავების სისტემებს, რომლებშიც ხელოვნური ინტელექტის სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. სხვების აზრით, ეს არის პროგრამულად რეალიზებული ხელოვნური ინტელექტის სისტემა, რომელიც სხვებთან ერთად სივრცით მონაცემებსაც იყენებს და დინამიკურად აგენერირებს ადამიანურ-მანქანურ ინტერფეისს. აქ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიული ინფორმაციის ხარისხობრივი ასპექტების ეფექტურობის შექმნას, მოდელირებასა და შეფასებას. ამ ტიპის **იგის**-ები ახორციელებენ დარგობრივი სფეროს დინამიკურ მართვას. ამისთვის იყენებენ ლოგიკურ დასკვნებსა და დამუშავების სცენარებს ინტერპრეტაციებს ონტოლოგიის ბაზების, საგნობრივად მომართული მეტამონაცემების, პროდუქციული მოდელების, ცოდნის ამოღების მეთოდების, მონაცემთა საცავების აგებისა და სხვ. გამოყენებით. დღეისათვის **იგის**-ებს სულ უფრო მეტად იყენებენ სატრანსპორტო ქსელების ანალიზში, ლოჯისტიკაში და მარშრუტიზაციისას შესაძლო სივრცითი ვარიანტების გენერაციის დინამიკურ რეჟიმში გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ის სხვადასხვა ტექნოლოგიას იყენებს. განვიხილოთ მათგან ძირითადი [3].

Data Mining – სივრცითი მონაცემების ინტელექტუალური ანალიზის ტექნოლოგიაა, რომლისთვისაც არსებობს დეტალურობის სხვადასხვა ხარისხის მრავალრიცხოვანი განმარტებები. მათგან აღსანიშნავია Data Mining – დიდი მოცულობის მონაცემებიდან სასარგებლო ინფორმაციის ამოღების პროცესი, ამასთან მონაცემები შეიძლება იყოს დესკრიპტული (რიცხვითი) და პრედიქტული. დღეისათვის Data Mining გამოიყენება სრულიად განსხვავებულ სფეროებში – მედიცინიდან დაწყებული გეოლოგიით დამთავრებული.

ინფორმაციის სახეობიდან გამომდინარე სისტემაში გამოიყოფა ქვესისტემები, რომლებიც არაერთ ფუნქციას ასრულებენ. კერძოდ, ესაა:

- ტექსტური ინფორმაციის ანალიზი;
- ვებ გვერდებიდან ინფორმაციის ამოღება-ანალიზი;
- გამოსახულების ანალიზი;
- სივრცითი ობიექტებით მანიპულირება;
- სივრცითი მონაცემების კლასიფიკაცია;
- სივრცითი მონაცემების ნაკრების კლასტერიზაცია;
- წესების სივრცითი გადაწყვეტა.

ბოლო სამი ყველაზე მეტად დზ-ის მონაცემების ანალიზისთვის გამოიყენება. ამიტომაც ჩართულნი არიან თანამედროვე არაერთ პროგრამულ კომპლექსში.

Data WareHouse (მონაცემთა საცავი) – არის გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო სუბიექტურ-ორიენტირებული მრავალვარიანტიანი მონაცემების დროში ინტეგრირებული კოლექცია. საცავი იქმნება მონაცემთა ოპერატიული ბაზიდან ინფორმაციის ინტეგრაციის გზით გარდაქმნის, გასუფთავების, ამოღების შედეგად. საცავში განთავსებული მონაცემების შემდგომი რედაქტირება შეუძლებელია.

პრობლემურ-ორიენტირებული მონაცემები ზოგჯერ ორგანიზდება "მონაცემთა ჯიხურში" (Data Marts), რომელთანაც მომხმარებელს უკვე შეუძლია ურთიერთობა.

მონაცემთა საცავი განსაკუთრებით მოხერხებულია დიდი მოცულობის ცუდად სტრუქტურირებული მონაცემების შესანახად. დღეს მათ დიდი გამოყენება აქვთ, განსაკუთრებით მულტიმედიური ინფორმაციის სფეროში. **იგის**-ში მონაცემთა საცავი აუცილებელი ელემენტია.

ექსპერტული სისტემები (ლოგიკური დასკვნის მანქანები) – ექსპერტული სისტემები მრავალ-რიცხოვანი ელემენტებიდან იყენებენ ლოგიკური დასკვნის მანქანებს, პროგრამულად რეალიზებულ მექანიზმებს, რომლებიც მონაცემთა ოპერირებას ახდენენ ობიექტის შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით. როგორც წესი, გამოიყენება დედუქციური ლოგიკური დასკვნის მექანიზმები. სემანტიკური ქსელები და პროდუქციული მოდელები. ასეთ სისტემებს გამოყენების ვიწრო არეალი აქვს და კონკრეტული ამოცანებისთვის (მაგალითად, სატრანსპორტო ლოგისტიკა, ენერგეტიკის პრობლემები) იქმნება. აქედან გამომდინარე ჯერ ფართოდ არ გამოიყენებიან.

მულტიაგენტური სისტემები – არის სისტემების ახალი კლასი. პროგრამული თვალსაზრისით აგენტი შეიძლება იყოს ფუნქციების კომპლექსი შესატყვისი ინტერფეისით. არსებობს აგენტების რამდენიმე ტიპი. მარტივი ქცევის აგენტები, ზოგიერთ მოდელზე დაფუძნებული ქცევის აგენტები, მიზანმიმართული, პრაქტიკული და მასწავლებელი აგენტები.

მულტიაგენტურ სისტემებს იყენებენ სივრცითი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის სხვადასხვა მიმართულებით. ესაა: გეოეკოლოგიური ინფორმაციის ანალიზი, ტერიტორიის დაგეგმარებისა და მართვისთვის კადასტრის შემუშავება, ქალაქების განვითარების პროგნოზი, დემოგრაფიული პროცესების ანალიზი, სატრანსპორტო სისტემების ლოგისტიკა, სოციალური სისტემების მოდელირება, რეგიონების ეკონომიკური მოდელების შექმნა, ეპიდემიების გავრცელების მოდელირება, კატასტროფების შედეგების ანალიზი, გეოსისტემების დინამიკის კვლევა და სხვ.

ონტოლოგია და ცოდნის ბაზები – შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ზოგიერთი საგნობრივი სფეროს მოდელების შექმნის ტექნოლოგია. უფრო კონკრეტულად ონტოლოგია დაკავებულია საგ-ნობრივი სფეროს სემანტიკაზე დაფუძნებული კონცეპტუალური მოდელების შექმნით. მას ხშირად იყენებენ "ცოდნის ბაზის" ფორმირებისთვის კონცეპტუალური მოდელის კარკასის რანგში.

ცოდნის ამოღების მეთოდები (Knowledge Discovery in Database) ასევე გამოიყენება **იგის**-ის შესაქმნელად. *Data Minning*-ისაგან განსხვავებით, ეს მეთოდი ზოგადია და მონაცემებიდან სასარგებლო ცოდნის ამოღებაში გვეხმარება, რისთვისაც სპეციფიკურ ალგორითმებს იყენებს.

მომავლის გის-ები

როგორ განვითარდება **გის**-ები უახლოეს წლებში? როგორი იქნება მომავლის **გის-**ების კლასები და თაობები? არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე და გეოინფორმაციული სისტემების და ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით უკვე გამოიკვეთა **მომავლის გის**-ების ზოგიერთი კონტური.

გის-II (მეორე თაობის გის). გეოინფორმაციული სისტემის მეორე თაობა, სავარაუდოდ, მუდმივი ზრდის შესაძლებლობების მქონე მრავალმოდულიანი სხვადასხვა **გის-**ების ნაკრები იქნება. ცალკეული მოდულებისგან განსაზღვრულ ბლოკებად აწყობილი ეს სისტემები ახალ ხარისხს და შესაძლებლობებს შეიძენს. ახალი თაობის სისტემებში ინფორმაციის ორგანიზება და მასთან მუშაობა გადაყვანილი იქნება სრულიად სხვა დონეზე. ამასთან ეს იქნება ინტერაქტიური შესაძლებლობების მქონე უბრალო და ღია სისტემები.

გის-TV (გის-ტელევიზია). სავარაუდოდ ახალი კლასის გეოინფორმაციულ სისტემებს შეემატება გის TV, რომელიც მისადაგებული იქნება თანამედროვე ტელევიზიის, აგრეთვე ტრადიციული და სპეციალიზებული **გის**-ებისა და ინტერნეტის შესაძლებლობებთან. ასეთი სისტემების წარმოქმნის ცალკეული წინაპირობები უკვე გამოჩნდა ზოგიერთ ტელევიზიებში (მაგ., Метео ТВ) დანერგილი სისტემების სახით. ამ მიმართულებით დიდი პერსპექტივა აქვს განათლების სფეროს. დისტანციური

განათლების მისაღებად შესაძლებელი იქნება სივრცით იდეოლოგიაზე დაფუძნებული სხვადასხვა გადაცემის და გაკვეთილის ტრანსლირება.

გის 2 (გის გის-ზე ან „გის კვადრატში") – არის გეოინფორმაციული სისტემების ახალი ტიპი, რომელსაც ექნება არა მხოლოდ ტერიტორიული ინფორმაციის, არამედ უკვე არსებული ტერიტორიულად გავრცელებული **გის**-ების შესწავლისა და ანალიზის შესაძლებლობა. ეს იქნება ერთგვარი ნავიგატორი **გის**-ის გაშლილ სივრცეში. სავარაუდოდ აღნიშნული სისტემა ინტერნეტსივრცეში განვითარდება და გავრცელდება.

გლობალური გის. ზემოთ ჩამოთვლილი სისტემების ბაზაზე, საბოლოოდ ჩამოყალიბდება ერთიანი ტელეკომუნიკაციური გეოინფორმაციული სისტემა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ასეულ მილიონობით მომხმარებელი ეყოლება. სხვადასხვა პუბლიკაციაში უკვე ფართოდ განიხილება ვებკარტოგრაფირებიდან ინტერნეტ გის-ზე გადასვლის საკითხი, რომელიც თავის თავში ყველა გეოინფორმაციული სისტემისა და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების მიღწევებს გააერთიანებს. ასეთი გლობალური სისტემის შექმნის წინაპირობები უკვე გამოჩნდა და თანდათანობით რეალიზდება კიდეც.

გის-დზ-GPS-ინტერნეტი – როგორც გლობალურ, ისე ცალკეულ სპეციალიზებული ტიპის გის-ებში რეალიზებული სივრცითი ინფორმაციის, ახალი ტექნოლოგიების და შეთავაზებული მომსახურების მძლავრ კვარტეტს შეადგენს. **გის**-ების განვითარების ზემოთ აღწერილი ტენდენციები, პერსპექტივები, გზები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემები და მიმართულებები საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ 21-ე საუკუნეში **გის** იქნება სივრცით იდეოლოგიაზე დაფუძნებული ცოდნის სისტემა, რომელიც კოლოსალური ინფორმაციის გადასამუშავებლად და ანალიზისთვის ყველაზე მოწინავე და თანამედროვე ტექნოლოგიებს გამოიყენებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო გეოინფორმაციული სისტემების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს შეძლებისდაგვარად ფეხდაფეხ მიჰყვება, თუმცა შედარებით ნელი ტემპებით, რასაც თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. თავისუფალი გის პროგრამული პროდუქტების სწრაფი ტემპებით განვითარება ვერ ხერხდება, რადგან სამუშაო ადგილების უდიდეს ნაწილს დღემდე კომერციული გის პროდუქტები ქმნიან. ამასთან, ინტელექტუალური გის-ებზე მოთხოვნილება თანდათან იკიდებს ფეხს და, შესაბამისად მისი განვითარებაც მომავლის პერსპექტივა უფრია.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ზ. ლაოშვილი, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, თბილისი, „კლიო", 2019;
2. M. Neteler, H. Mitasova. „Open source gis: A grass gis approach", 2008;
3. Шокин Ю. И., Потапов В. П. ГИС сегодня: состояние, перспективы, решения. //Вычислительные технологии, Том 20, № 5, Москва, 2015.

ზურაბ ლაოშვილი, ანა ირემაშვილი, ლადო გრიგოლია

გეოინფორმაციული სისტემების თანამედროვე ტენდენციები

რეზიუმე

გეოინფორმაციული სისტემების განვითარება რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს, როგორიცაა: ღია სისტემები (Open Source) გამოყენება, მაღალი სიზუსტის დისტანციური ზონდირების მონაცემთა ერთობლივი და ფართო გამოყენება, ტელეკომუნიკაციის, ინტერნეტის და გლობალური საერთაშორისო საინფორმაციო რესურსების მასობრივი დანერგვა და სხვ.

თანამედროვე **გის**-ების ბაზაზე ახალი ტიპის, კლასისა და თაობის გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების აღმოცენება შეიძლება ვივარაუდოთ, რომლებიც ინტერნეტის, ტელევიზიისა და ტელეკომუნიკაციის შესაძლებლობებზე იქნება დაფუძნებული.

Zurab Laoshvili, Anna Iremashvili, Lado Grigolia

Modern Tendencies of GIS

Resume

GIS is developing in several directions, such as Open Source Systems, widely using the data provided by high precision space navigation systems, also broadly implementing TV broadcasting, internet and international information and data portals and etc.

We can predict, that on the base of current GIS programs, new type, class and generation of Geoinphormatic programs can be conceived. This will be possible using the abilities of television, internet and mascommunication.

ნინო მელითაური

ევროკავშირის ბაზარზე გრძელვადიანი ხელშეკრულებების არარსებობა და კეთილსინდისიერების („good faith") პრინციპი ქართული ეკონომიკის რეალობაში

კეთილსინდისიერების პრინციპი ქართული საბაზრო საკანონმდებლო რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, რომელიც არეგულირებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, ზოგად ნაწილში მრავალჯერადად ფიგურირებს კეთილსინდისიერების პრინციპზე მითითება, რაც ცალსახად მიუთითებს კერძო ხასიათის ურთიერთობებში ამ პრინციპის მნიშვნელობაზე.

ეს პრინციპი არის ფაქტობრივად ლიბერალური ბაზრის ამოსავალი პრინციპი და შესაბამისად, მისი არსებობა მოიაზრება ნებისმიერ კერძო სამართლებრივ გარიგებაში. ანალოგიურად, კონკურენციული საბაზრო მოწყობის სისტემების, როგორიცაა მაგალითად ევროკავშირის ბაზარი, რეგულირება ეფუძნება ამ პრინციპის მუშაობას.

ეს პრინციპი მოქმედებს განვითარებულ ეკონომიკებში და მათ იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

ფირმების მახასიათებლები მათ მიერ ბაზარზე დაუბრკოლებელი წვდომის საჭიროებას ასახავს და განსაკუთრებით კი გაორმაგებული რეგულაციური დამაბრკოლებლების აღმოფხვრის საჭიროებას. სავაჭრო და სხვა კერძო ხასიათის ეკონომიკური გარიგებების სიხშირემ მოითხოვა ბაზრის ისეთი რეგულირების ტიპი, რომელშიც მაქსიმალურად მოქნილი პირობები შეჯერებულია უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საჭიროებებთან, ეფუძნება ამ პრინციპის მუშაობას. მისი ერთ-ერთი შედეგია ის ფაქტი, რომ ევროკავშირის სამომხმარებლო ბაზარზე მოქმედი ოპერატორები გარიგებებების დადებისას ოფიციალური ხელმოწერებით და ბეჭდით ხელშეკრულებებს აღარ აფორმებენ და შემოიფარგლებიან შესყიდვის ორდერებით. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ შორის სავაჭრო პირობების ჩარჩო გაწერილი და დარეგულირებული არ არის – ინდივიდუალური ურთიერთობები განმტკიცებულია კეთილსინდისიერების პრინციპით. ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები ფაქტობრივად წარიმართება საფონდო ბირჟის პრინციპით, სადაც მიმდინარეობს უსწრაფესი ტრანზაქციები. ხელშეკრულებები რეალურად არ ფორმდება, არამედ იდება შესყიდვის ორდერის მეშვეობით.

მიუხედავად იმისა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ქართული საბაზრო საკანონმდებლო რეგულირების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიც არის, ევროკავშირთან ვაჭრობის პროცესს ქართველი მეწარმეებისთვის აბრკოლებს იმ ურთიერთობების რეალური არცოდნა და ინსტრუმენტების აუთვისებლობა, რომელიც ევროპულ ბაზარზე გვხვდება. ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობები ფაქტობრივად წარიმართება ერთეულოვანი სასაქონლო ბაზრის პრინციპით, სადაც მიმდინარეობს უსწრაფესი ტრანზაქციები. ხელშეკრულებები რეალურად არ ფორმდება, არამედ იდება შესყიდვის ორდერის მეშვეობით. აღნიშნული ეკონომიკური კულტურა შედარებით უცხოა ქართული ბაზრისთვის და ეს გარემოება ხშირად მნიშვნელოვან დაბრკოლებად შეიძლება მოგვევლინოს ქართული მხარისთვის ევროკავშირის ბაზარზე სავაჭრო ურთიერთობებში.

ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველი ეკონომიკური აგენტის ქცევის თავისებურება, როდესაც მას მოლოდინი აქვს, რომ ევროპელ პარტნიორთან უნდა გააფორმოს გრძელვადიანი კონტრაქტი და განსაზღვროს შესაბამისი პირობები, რაც ევროპელი ეკონომიკური ოპერატორისთვის სრულიად მიუღებელია, თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ბაზარზე არსებულ ერთეულოვანი სასაქონლო ბაზრების ბუმს.

მართლაც რა ხდება ევროკავშირის ბაზარზე ხელშეკრულებების მხრივ? მათი არ გაფორმება ამ შემთხვევაში პასუხობს თუ არა კანონიერი ნდობის საჭირო სტანდარტს, და როგორ განისაზღვრება სახელშეკრულებო პირობები?

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სავაჭრო ურთიერთობების პრობლემატიკა საქართველოსა და ევროკავშირს შორის. აგრეთვე, ის აცდენა, რაც არსებობს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესაძლებლობებსა და მათ რეალურ გამოყენებას შორის. აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო

რეგულირების პარალელურად აუცილებელია გაჩნდეს პრაქტიკაში მათი დანერგვის მექანიზმი, რაც შესაძლებელია განხორციელდეს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული სტანდარტების ეკონომიკურ აგენტთათვის გაცნობის გზით.

ევროკავშირის საბაზრო რეგულირების მიმართება ქართული ბაზრის სპეციფიკასთან. ზოგადად ნებისმიერი პროცესი, რომელიც საბაზრო ინტეგრაციის მიმართულებით ვითარდება, ტრადიციულად თავს იყრის მიწოდების მხარისა და ფირმების მიერ ბაზარზე წვდომის, ისევე როგორც მათ შორის კონკურენციის გარშემო.[1]

საქართველოსა და ევროკავშირის ბაზრების ინტეგრაციული პროცესების ფონზე არსებული საბაზრო რეალობა ასახავს შეუთავსებლობას კანონსა და პრაქტიკას შორის. საქართველოს ეკონომიკურ მოდელში გვაქვს რეალობა, რომელშიც არ არსებობს ევროკავშირთან ვაჭრობის აქტიური კულტურა, რაც თავისთავად განაპირობებს თეორიული რეგულირებების დატესტვის სირთულეს პრაქტიკაში. ამდენად, რეალურად მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების კვლევა.

ევროკავშირის სამართალში მოქმედი ე.წ. „დინამიურობის პრინციპი" მიუთითებს ევროკავშირის შიდა ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებებზე.

სავაჭრო და სხვა კერძო ხასიათის ეკონომიკური გარიგებების სიხშირე მოითხოვს ბაზრის ისეთ რეგულირების ტიპს, რომელიც ეფექტიანად უპასუხებს შესაბამის გამოწვევებს. მთავარი გამოწვევაა მაქსიმალურად მოქნილი პირობების შეჯერება უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საჭიროებებთან.

სახელშეკრულებო სამართლის სფეროში ევროკავშირში არსებული თანამედროვე მიდგომის თანახმად, ნებისმიერი ხელშეკრულება, როგორც ასეთი, პოტენციურად ზღუდავს ვაჭრობას, თუმცა საბოლოოდ ამგვარი ლიტერალური მიდგომა უარყოფილი იქნა. არსებული მიდგომის თანახმად მხოლოდ ისეთი შეთანხმებები შეიძლება იქნეს ბათილად, რომლებიც არაგონივრულად შეზღუდავდნენ ვაჭრობას. გონივრულობის წესის თანახმად საჭიროა, რომ ინდივიდუალურ საფუძველზე შეფასდეს ყველა გარიგება, რომელიც გარკვეულ ეჭვს იწვევს. მიუხედავად ამგვარი ინდივიდუალური მიდგომისა არსებობს ასევე „short-cut"-ები, რომლებიც ევროკავშირის საბაზრო რეგულირების საყრდენებს წარმოადგენენ. მაგალითად, ყველაზე უფრო მყარი და ცნობილი წესია „short-cut", რომელიც არაკონკურენტულად მოიაზრებს ჰორიზონტალურ დონეზე ფასის დადგენის ისეთ შემთხვევებს, რომლებშიც ერთმანეთთან არადაკავშირებული კონკურენტები შეთანხმებულად მოქმედებენ. ამ შემთხვევაში, არადაკავშირებულ კონკურენტებში მოიაზრება ეკონომიკური აქტორები, რომელთაც არ გააჩნიათ საერთო აქტივები, კაპიტალი და ა.შ. შესაბამისად, სტაბილური ხელშეკრულებების ტრადიციული მამოძრავებელი ძალა საბაზრო და რეგულაციურ განვითარებათა ვარიაციებშია.

ევროკავშირში მიწოდების სტაბილურობის ხერხემალს ათწლეულების განმავლობაში გრძელვადიანი სასაქონლო კონტრაქტები წარმოადგენდა. როგორც მეწარმეების, ისე ევროკავშირში არსებული შემსყიდველების მიერ, ამგვარი ხელშეკრულებები მიღებულია, როგორც modus operandi (ფუნქციონირების მექანიზმი). ტრადიციული შეხედულებების თანახმად, სტაბილური ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მოთხოვნის სტაბილურობას მეწარმის მხრივ, ხოლო მიწოდების სტაბილურობას შემსყიდველის მხრივ. აქედან გამომდინარე, მეწარმეს აქვს ნდობა მოთხოვნის მიმართ და შეუძლია დაგეგმოს საჭირო ინვესტიციები გრძელვადიან პერსპექტივაში, ხოლო მეორეს მხრივ, შემსყიდველსაც უჩნდება ნდობა მიწოდების მიმართ და შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს გრძელვადიანი სტრატეგიის დაგეგმვასთან დაკავშირებით.

თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არსებულ თანამედროვე ვითარებაში, ევროკავშირში იცვლება ტრადიციული განაწესი. ევროკავშირში დაფუძნებული თანამედროვე ბიზნესის პორტფელი ბევრად უფრო მოქნილია, რაც მნიშვნელობას უკარგავს სტაბილურ კონტრაქტებზე დამოკიდებულებას იმ რაოდენობებისთვის, რაც საჭიროა მოთხოვნებზე სრულად საპასუხოდ.

უფრო დეტალურად გავშალოთ მსჯელობა ევროკავშირის საბაზრო რეგულირების თაობაზე. ევროკავშირის სადამფუძნებლო ხელშეკრულებები (ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება) განსაზღვრავენ ევროკავშირის შიდა ბაზრის სოციალური და კონკურენციული მოწყობის მოდელებს. ეს გულისხმობს, რომ ევროკავშირის საერთო

[1] Niamh Moloney, University of Nottingham and European Corporate Governance Institute, *Building a Retail Investment Culture through Law: The 2004 Markets in Financial Instruments Directive,* გვ.12.

ბაზარი არის კონკურენციული მოწყობის ბაზარი. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 101-ე მუხლის პირველი პარაგრაფი კრძალავს ყველა ისეთ ღონისძიებას ნებისმიერი აქტორის მხრიდან, რომელიც ზღუდავს კონკურენციას. ეს მუხლი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დებულებას მთლიანად სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა, რომელიც ასახავს ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმს, შესაბამისად, მას ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის ძირითადი დებულების როლი აკისრია. ერთადერთ გამონაკლისს ამ წესიდან შეიცავს ამავე მუხლის მე-3 პარაგრაფის დებულება, რომელიც აცხადებს, რომ კონკურენციის შეზღუდვის აკრძალვიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ ისეთი ღონისძიების შემთხვევაში, რომელიც შედეგად გვაძლევს ინოვაციურ პროდუქტს და აუმჯობესებს სოციალური კეთილდღეობის დონეს.

ევროკავშირის საბაზრო რეგულირება მოიცავს, ასევე აღნიშნული სადამფუძნებლო ხელშეკრულებებიდან გამომავალ არაერთ სამართლებრივ აქტს. კერძოდ, რეგულაციები და დირექტივები, რომლებიც მიღებულია ევროკავშირის დონეზე მოქმედი ინსტიტუციების მიერ და უზრუნველყოფენ ევროკავშირის შიდა ბაზრის გამართულ ფუნქციონირებას.

ევროკავშირის შიდა ბაზრის რეგულირება უზრუნველყოფს ევროკავშირის საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას, ე.ი. ბაზრის სრულყოფილ ინტეგრაციას ჰარმონიზაციის გზით. ეს გულისხმობს თამაშის საერთო წესებს ეკონომიკური ოპერატორებისთვის. ეკონომიკური ოპერატორები თამაშობენ კონკურენციის წესებით.

სწორედ ამიტომ კონკურენცია ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება. ევროკავშირს გააჩნია აბსოლუტური უფლებამოსილება ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეს კონკურენციულ საბაზრო სტრუქტურაზე. შესაბამისად ამ სფეროში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მოკლებულნი არიან რეგულირების შესაძლებლობას.

ევროკავშირის შიდა ბაზრის რეგულირების ეს ტიპი უზრუნველყოფს ბაზრის გამართულ და დაუბრკოლებლად ფუნქციონირებას, როგორც შიდა, ისე საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ ეტაპზე აპრიორი გამოირიცხება და არ ვხვდებით საკანონმდებლო „სირთულეებს“, რაც შესაძლებელია წარმოიშვას სამართლის კოლიზიის შედეგად. მეორეს მხრივ, არსებული რეგულირება ფაქტობრივად არ ტოვებს საკანონმდებლო ხარვეზებს, ე.წ. „გაპებს“. აქ რეგულირება მოიცავს იერარქიულად დაქვემდებარებულ შესასრულებლად სავალდებულო აქტებს, რომელთა უმრავლესობა უშუალოდ მოქმედებს წევრ სახელმწიფოებში და განაპირობებს ადგილობრივი ბაზრების ერთგვაროვნებას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას და სრულ პრაქტიკულ ინტეგრაციას. ამასთან, ეს უკანასკნელი მიზნები გაცხადებულია ევროკავშირის ფუნდამენტურ სადამფუძნებლო აქტებში, ესენია: ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება.

ამგვარი რეგულირების ეფექტიანობას განაპირობებს სანქცირების საკმაოდ თავისებური ხასიათი. კერძოდ, ევროკავშირის კომისია უფლებამოსილია უპასუხოს ნებისმიერ შემთხვევას და აუკრძალოს ნებისმიერ ეკონომიკურ აქტორს ანტიკონკურენციული ღონისძიების ან ღონისძიებათა ჯაჭვის განხორციელება.

აქედან გამომდინარე, საგარეო სავაჭრო ურთიერთობებში ევროკავშირისთვის ფაქტობრივად არ ჩნდება გლობალურად დამაბრკოლებელი ფაქტორი და, შესაბამისად, საგარეო პერსპექტივით ამ დონეზე არ განვიხილავთ ვაჭრობის დამაბრკოლებელი ფაქტორების ზემოქმედებას.

გაზიარებული კომპეტენცია. გარდა სფეროებისა, რომლებიც ევროკავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციას განეკუთვნება, არსებობს სფეროები, რომელშიც ევროკავშირი მარეგულირებლის უფლებამოსილებებს „იზიარებს“ წევრ სახელმწიფოებთან (მაგალითისთვის, ასეთ სფეროებს განეკუთვნება სანიტარიული და ფიტოსანიტარიული კონტროლი). მსგავს სფეროებში წევრ სახელმწიფოებს შორის ვერ გამოირიცხება გარკვეული უთანაბრობების არსებობა რეგულაციურ მოთხოვნებში.

მიუხედავად აღნიშნული რეგულაციური არაერთგვაროვნებისა, ამ დონეზეც, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე არ დგება რეგულაციური „გაპების“ შეფასების საკითხი. ევროკავშირის კანონმდებლობის სუბსიდიური ფუნქცია ავსებს პოტენციურ საკანონმდებლო ხარვეზებს, რამდენადაც ეს საჭიროა ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად.

აქედან გამომდინარე, რეგულირების ეს დონეც არ მონაწილეობს ვაჭრობის დამაბრკოლებელი ინდექსის განსაზღვრაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა დავასკვნათ, რომ ევროკავშირის საბაზრო რეგულირების სპეციფიკა არ განაპირობებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობის შეუფერხებლობის ინდექსის ცვლილებას.

1985 წლიდან ტექნიკური რეგულაციებისადმი ევროკავშირში მოქმედებს ე.წ. „ახალი მიდგომა", რომელიც უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბებული WTO-ს მიდგომის ანალოგიურია. იგი წარმოადგენს გამიჯვნას „ძველი მიდგომისგან", რომლის მიხედვით 1970-1985 წლებში ევროპული თანამეგობრობა საერთო ბაზრის ფარგლებში ტექნიკური რეგულაციების უნიფიცირებას ცდილობდა. მიზანი აქაც იგივე იყო, რაც WTO-ს შემთხვევაში – ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრა საერთო ბაზარზე – თუმცა ცხადია ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა მხოლოდ თანამეგობრობის შიდა ბაზარი. რეგულაციების უნიფიცირებისათვის „ძველი მიდგომა" ითვალისწინებდა ყოველი პროდუქტისთვის ერთიანი ევროპული ტექნიკური მოთხოვნების შემუშავებას, რომლის გამკაცრება (რეგულაციით დადგენილზე მეტის მოთხოვნა) ქვეყნებს აეკრძალებოდათ.[1]

ამ მიდგომის უკან ის რაციონალური აზრი იდგა, რომ განხორციელებულიყო საერთო ბაზრის სტრუქტურულად ერთიან ბაზრად ჩამოყალიბება, რისთვისაც აუცილებელი იყო სატარიფო და არასატარიფო ხასიათის ბარიერების აღმოფხვრა.

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ სატარიფო ბარიერები სავაჭრო ტვირთბრუნვის მხოლოდ ერთი პროცენტით ვარირებას განაპირობებს. სხვა ბარიერებს კი, განსაკუთრებით, ტექნიკურ ბარიერებსა და არასატარიფო დაბრკოლებებს – უფრო მეტი გავლენა აქვთ ვაჭრობის მოცულობაზე. ხშირ შემთხვევაში სავაჭრო საქონელი ექვემდებარება ისეთ არასატარიფო რეგულაციებს, როგორებიცაა, მაგალითად, იმპორტის ლიცენზია და ნებართვა, მოთხოვნები ხარისხის სფეროში, ზედამხედველობა და ფასების კონტროლი და ა.შ. ისინი ჰეტეროგენული და კომპლექსურია. სხვადასხვა პროდუქტი სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს შეიძლება დაექვემდებაროს, რომლებიც ხშირად იცვლება. და ეს კიდევ არასრული ჩამონათვალია.

აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ არასატარიფო ბარიერები შესაძლოა ვაჭრობის მნიშვნელოვან დაბრკოლებად მოგვევლინოს. საბაჟო ტარიფებისაგან განსხვავებით, რომელთა სავაჭრო ხარჯების შეფასება/გამოთვლა შედარებით იოლია, არასატარიფო ზომების პირდაპირი ზემოქმედების შეფასება დიდ სირთულეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

აღნიშნული სირთულეების გადალახვა შესაძლებელი იქნებოდა პროდუქტებზე ერთიანი სტანდარტების დაწესებით. ამიტომ სტანდარტების დაკმაყოფილება ის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, რომელიც ზემოთ აღწერილი ბარიერების არსებობას აზრს დაუკარგავდა და განაპირობებდა საქონლის თავისუფალ მიმოქცევას მთელი ევროკავშირის შიდა ბაზრის მასშტაბით.

კლასიკურ სახელშეკრულებო ურთიერთობებში გარიგების დადების მთავარი ელემენტია შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, როგორიც არის ხელშეკრულების საგნის თვისებები, რაოდენობა და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ბაზრის იმ ნიშნებიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც იგნორირებულია ფორმალიზმის ბევრი ელემენტი მათ შორის ხელშეკრულების გაფორმება, ქართველი მომხმარებლისთვის ლოგიკურად იბადება კითხვა: **„რა რეგულაციური მექანიზმი უზრუნველყოფს გარიგების მონაწილის გარანტიას?"** ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები უზრუნველყოფს სწორედ ურთიერთობის ამ კომპონენტის დარეგულირებას, რაც არის გარიგების საგნის თვისებებზე შეთანხმება. შესაბამისად, სტანდარტი საერთოა ყველა ეკონომიკური ოპერატორისათვის. ხოლო იმ შემთხვევაში თუ გარიგების საგანი არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ სტანდარტს ხელშეკრულების მხარე უფლებამოსილია უარი თქვას სავალდებულო საპასუხო შესრულებაზე. შესაბამისად, ამგვარი ერთიანი სტანდარტიზაცია და რეგულირება ევროკავშირის დონეზე თავიდან არიდებს ეკონომიკურ ოპერატორებს დავას ხელშეკრულების საგნის ძირითად ასპექტზე და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს შიდა ბაზრის დაუბრკოლებლად მუშაობაში, იმით რომ პოტენციური კონფლიქტების წარმოშობას საფუძველშივე ბლოკავს.

როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურულ ორგანოებში შესყიდვის ორდერით დადებული ხელშეკრულებების მიმართ ნდობის მაჩვენებელი დაბალია. საქართველოს საგადასახადო კოდექსი დღემდე არ ითვალისწინებს წარმოშობის სერთიფიკატის გაცემას შესყიდვის ორდერის წარდგენის საფუძველზე და იმპერატიულად მოითხოვს ქართველ და ევროპელ ეკონომიკურ

[1] http://asocireba.ge/files/file_2864583.pdf. ნანახია 06.10.2019.

ოპერატორებს შორის განსაზღვრული ფორმით გაფორმებული ხელშეკრულების წარდგენას იმგვარად, რომ მითითებული იქნეს ხელშეკულების რეკვიზიტები. ეს იმ პირობებში, როდესაც შესყიდვის ორდერითა და შესყიდვის დადასტურების მეშვეობით დადებული გარიგება მოცავს სახელშეკრულებო სამართლით დადგენილ ყველა საჭირო ელემენტს, კერძოდ, განსაზღვრავს მხარეებს, ხელშეკრულების საგანს, საქონლის ფასს, რაოდენობას, თარიღს და ა.შ. ხელშეკრულების გაფორმების მოთხოვნის შესახებ იმპერატიული ჩანაწერი საგადასახადო კოდექსში მიუთითებს ქართული ბაზრის არასაკმარის ინტეგრაციაზე ევროკავშირის ბაზარსა და WTO-ს სავაჭრო პრაქტიკასთან.

მიზეზი იმისა, თუ რატომ ითხოვს ქართველი ეკონომიკური ოპერატორი და კანონმდებელი ხელშეკრულების გაფორმებას, არის ის, რომ ყოველ პირობაზე შეთანხმება და მისი წერილობითი სახით დოკუმენტურად ასახვა შემდგომში არ დაუშვებს გარიგებასთან დაკავშირებული პირობების დარღვევას. ევროკავშირში მოქმედი აგენტისთვის ხელშეკრულების ამგვარი დეტალიზაციის საჭიროებას გამორიცხავს თავად ევროკავშირის საბაზრო-ეკონომიკური რეგულირების მოდელი.

სამართლებრივ დონეზე არსებობს გარკვეული იურიდიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მხარეთა მიერ პირობების დაცვას. კერძოდ, ევროკავშირის acquis[1] სავალდებულო წესით განსაზღვრას იმ პირობებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში კერძო ხელშეკრულებით იქნებოდა დარეგულირებული, როგორიცაა ხელშეკრულების საგნის ხარისხობრივი თვისებები და ა.შ. შესაბამისად, კერძო ეკონომიკურ აგენტებს ისღა დარჩენიათ მხოლოდ მინიმალისტურად ასახონ გარიგების ელემენტები წერილობით, რადგან ევროკავშირის საკანონმდებლო რეგულირება თავად აყალიბებს შესაბამის „საერთო სახელშეკრულებო მოდელს“.

საერთო სახელშეკრულებო მოდელის არსებობა ხელს უწყობს ტრანზაქციების სისწრაფეს, საჭირო საბაზრო პარამეტრების დაცვას, როგორიცაა საქონლის ხარისხი, ჰიგიენის წესები, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები, სასოფლო-სამეურნეო სფეროში სასაქონლო სახეობების მიხედვით დეტალური რეგულირებები; რაც საბოლოოდ განაპირობებს ევროკავშირის კონკურენციული ბაზრის დაუბრკოლებელ ფუნქციონირებას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველი ეკონომიკური ოპერატორების მხრიდან ხელშეკრულებების მიმართ არსებული „მკაცრი“ დამოკიდებულება ევროკავშირთან მიმართებაში რელევანტური არ არის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. n.d. Retrieved from http://asocireba.ge/files/file_2864583.pdf;
2. Niamh Moloney. (2004). University of Nottingham and European Corporate Governance Institute, Building a Retail Investment Culture through Law:. The 2004 Markets in Financial Instruments Directive, გვ.12.

ნინო მელითაური

ევროკავშირის ბაზარზე გრძელვადიანი ხელშეკრულებების არარსებობა და კეთილსინდისიერების („good faith“) პრინციპი ქართული ეკონომიკის რეალობაში

რეზიუმე

რა სახით იდება გარიგებები ევროკავშირისა და საქართველოს სამომხმარებლო ბაზარებზე? ამ კითხვის დასმა აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან ევროკავშირში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტირებისას აღმოჩნდა, რომ ხელშეკრულებების დადების ჩამოყალიბებული

[1] ევროკავშირის acquis არის რეგულირების მთლიანი სისტემა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივ აქტებს, არამედ ვაჭრობასთან და სტანდარტებთან დაკავშირებულ ყველა რელევანტურ დოკუმენტაციას.

პრაქტიკა ამ ორ ეკონომიკაში ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ეს განსხვავება ექსპორტის განხორციელების მნიშვნელოვან ბარიერად შეიძლება გადაიქცეს. მოცემული ნაშრომის მიზანია ამ განსხვავების სიღრმისეული ახსნის მცდელობა, რათა ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური ოპერატორებისთვის ცხადი გახდეს, რომ გარიგებების დადების ტრადიციული ეტაპების (როგორიცაა მოლაპარაკებები, ხელშეკრულებების გაფორმება და ა.შ.) გაქრობა და გამარტივებულ პრაქტიკაზე გადასვლა გარიგებებში მეტი მოქნილობის უზუნველყოფას ემსახურება. ამასთან, „ახალი სახის“ გარიგებებში ურთიერთობები თანდათანობით, მოქნილად და დინამიურად ვითარდება, რაც პირობების დარღვევისა თუ არაკეთილსინდისიერი ქცევისთვის ნაკლებ ადგილს ტოვებს.

Nino Melitauri

Short-run contracts on Europian Union market and („good faith“) principle in the reality of Georgian economy

Summary

How are transactions conducted on Georgian consumption market and the European Union internal market? During exportation of some agro products from Georgia to the EU, it was found out that relevant trade habits in making a deal varies greatly for the ‘two Economies’, and the difference is significant. Apparently, this makes an issue for present-day commerce, and, presumably, the disparities, which have just been noted, risk to pose a serious threat to trade relationships between the two economic Units. Therefore, this Article aims at looking around the differences. I will attempt to explain the flexibility of the contemporary ‘simplified-type transactions’ conducted in the EU, characterized by disappearance of traditional formal stages of contracting (negotiations, contract-signing, etc.). In this Article, I will also show out that these relationship-building (stemming from the ‘brand-new transactions’) is more consecutive, logical and dynamic, leaving less room for the breach of a contract or principle of good faith.

გიორგი სახოკია

ფინანსური კონტროლის მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო მმართველობის სრულყოფილი ფუნქციონირების დონე დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოში მოქმედი კონტროლის სისტემის გამართულ საქმიანობაზე; დღევანდელ ეტაპზე, როცა პრიორიტეტულ მიმართულებად ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებასთან ერთად კორუფციასთან ბრძოლაა მიჩნეული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ფინანსურ კონტროლს ენიჭება.

ფინანსური კონტროლის საშუალებით ხორციელდება სახელმწიფოს ფინანსურ-მატერიალური და არამატერიალური რესურსების მიზნობრივი, ეფექტური და რაციონალური გამოყენების და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, ანუ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მთავარი მიზანია სახელმწიფო ფინანსური რესურსების წარმოქმნის და გამოყენების კონტროლი; საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკის გამტარებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე კონტროლი; ფინანსური რესურსების კანონიერად და სამართლიანად განაწილების კონტროლი; სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად და ეკონომიკურად ხარჯვის კონტროლი; ამასთან ერთად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და საზოგადოებას სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ ყოვლისმომცველი და სრულყოფილი ინფორმაციით.

ფინანსური ურთიერთობების მრავალფეროვნება განაპირობებს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის საქმიანობის ფართო სპექტრს; სახელმწიფო ორგანოები თავის კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საბიუჯეტო, საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, სადაზღვევო, საბაჟო და სხვა სახის ფინანსურ კონტროლს; ასე მაგალითად, სახელმწიფო სახსრების (პირველ რიგში _ საბიუჯეტო) გამოყენების კონტროლს სახელმწიფო მმართველობის (შესაბამისად, საბიუჯეტო სისტემის) სხვადასხვა დონეზე ახორციელებენ სპეციალური სამსახურები, რომლებსაც ქმნიან აღმასრულებელი (ადმინისტრაციული კონტროლი) და წარმომადგენლობითი ხელისუფლების (საპარლამენტო, ან დამოუკიდებელი კონტროლი) ორგანოები.

ამრიგად, დემოკრატიული საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო ფინანსური კონტროლი საფინანსო სამართლის ნორმებზე დამყარებული ღონისძიებებისა და ორგანოების სისტემაა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ფულადი ფონდების წარმოშობის, განაწილებისა და გამოყენების კანონიერებისა და მიზანშეწონილობის კონტროლი.

ცნება **კონტროლი** მრავალგანზომილებიანი ბუნებისაა და მოიცავს სხვადასხვა სახესა და ფორმებს, რომლებიც თავიანთი მიზნებითა და ამოცანებით, პრინციპებითა და მეთოდებით, შინაარსითა და განხორციელების ფორმებით, კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტებითა და ფუნქციებით, საკონტროლო მოქმედებათა არეალით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რამდენადაც სახელმწიფო კონტროლი რთული კატეგორიაა, იგი განხილული უნდა იქნას მხოლოდ სისტემური ანალიზის საფუძველზე. ანუ ერთი მხრივ, როგორც ერთიანი, მთლიანი მოვლენა, რომელიც ურთიერთზემოქმედებს სხვა პროცესებთან და მეორე მხრივ, როგორც სისტემა რომელიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ელემენტების განსაზღვრული ერთობლიობისაგან.

ცნება კონტროლი უშუალოდ უკავშირდება მართვის ცნებას და წარმოადგენს მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მისი არსი გამომდინარეობს თავად ხელისუფლებისა და სახელმწიფოს არსიდან. ხოლო მისი ადგილი სახელმწიფო მმართველობის სისტემაში განისაზღვრება:

- სახელმწიფო მმართველობის მიზნებითა და ფუნქციებით;
- სახელმწიფო ხელისუფლების იერარქიით;
- შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით.

კონტროლი, როგორც მართვის **უმნიშვნელოვანესი ფუნქცია,** სხვა ფუნქციებთან ურთიერთობასა და ერთობლიობაში ექვემდებარება მართვის საერთო ამოცანების გადაწყვეტას. იგი ერთდროულად წარმოადგენს მართვის ციკლის დამამთავრებელ რგოლს და მართვის ახალ ციკლზე `გარდამავალ~ სტადიას. ამასთან, კონტროლი, როგორც მართვის დამოუკიდებელი ფუნქცია, მუდმივ კავშირშია მართვის სხვა ფუნქციებთან და აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მათ გამოყენებასა და ეფექტიან რეალიზაციაზე.

კონტროლის აქტიური როლი ქვეყნის ეკონომიკის მართვაში განისაზღვრება იმით, რომ ის არ შემოიფარგლება მხოლოდ დადგენილ სტანდარტებთან და მოქმედ კანონებთან გადახრების გამოვლენითა და დაფიქსირებით. კონტროლის საშუალებით შესაძლებელი ხდება საგეგმო მონაცემების შესრულების დონისა და მიმდინარეობის შეფასება, მართვის პროგნოზირება, დაგეგმვისათვის მეტად საჭირო ინფორმაციის მოპოვება და უფრო დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება და მთლიანობაში, მთელი მმართველობითი სისტემის დინამიური თანაფარდობის შენარჩუნება.[1]

კონტროლის როლი და მისი კავშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ვლინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში; სწორედ სამართავი ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას მართვის სუბიექტმა თავისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე და აუცილებლობის შემთხვევაში კი, მმართველობით გადაწყვეტილებაში შეიტანოს სათანადო კორექტივები.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონტროლის პროცესში ვლინდება მმართველობით გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შედარებით დაშვებული ცდომილებები, ამ გადახრათა გამომწვევი მიზეზები, დგინდება დამნაშავე პირები და ისახება ღონისძიებები არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

ამრიგად, **კონტროლის ფუნქციები,** რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების უბრალო კონსტანტაციით, საკმაოდ **მრავალფეროვანია:**

- შესამოწმებელი ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის განსაზღვრა და ანალიზი;
- ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან შედარება;
- კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობის შეფასება, მათ საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების ფაქტობრივი დადგენა და შეფასება;
- გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა შემუშავება, რათა ობიექტის მომავალ საქმიანობაში არ განმეორდეს და თავიდან იქნეს აცილებული ადრე დაშვებული ხარვეზები.

კონტროლის გამორჩეული ნიშანია ის, რომ იგი ყველა სახელმწიფო ორგანოების მიერ ხორციელდება დამოუკიდებლად, მიუხედავად მათი საქმიანობის, სახეებისა და ძირითადი ამოცანებისა, მაგრამ, ვინაიდან კონტროლი ხორციელდება კონკრეტული საგნობრივი შინაარსით, საკონტროლო საქმიანობის მოცულობა, ფორმები და მეთოდები დიფერენცირებულია როგორც მმართველობის სფეროსა და დარგების, ასევე მაკონტროლებელი ორგანოების ადგილით სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში.[2]

თუ გავითვალისწინებთ, რომ მართვა სოციალური თვალსაზრისით დაკავშირებულია ძალაუფლების კატეგორიასთან, კონტროლიც, როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქცია, აღნიშნული ხასიათის მატარებელია, რაც კონკრეტულად ვლინდება მაკონტროლებელ ორგანოთა რიგ უფლებებში, კერძოდ:

- მისცეს კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დავალება, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად;
- კომპეტენტური ორგანოების წინაშე დასვას დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი;
- რიგ შემთხვევებში უშუალოდ განახორციელოს სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებები.

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი უპირველესად კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება.

[1] www.Britanika.com
[2] www.Iasb.opg/IFRS

სახელმწიფო ფინანსები ამ სიტყვის „ვიწრო“ გაგებით არის სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი ფორმირებისა და გამოყენების სფეროები. ხოლო ამ სიტყვის `ფართო~ გაგებით ის არის არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტი, არამედ იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს. ის არ არის მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობა, არამედ იგი ასევე მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროს სუბიექტების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. სახელმწიფო ფინანსების ცნებისადმი ამგვარი მიდგომისას სახელმწიფო ფინანსური კონტროლის არეალი არსებითად ფართოვდება და მისი ობიექტები ხდება არა მარტო ის ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ. კერძოდ: მიწას, ტყეს, წყალს, ბიოლოგიურ რესურსებს, სახელმწიფო საკუთრებას და ა.შ.

ამრიგად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი, ამ ცნების ფართო გაგებით, არის კონტროლი ეროვნული სიმდიდრის ფორმირება _ გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე.

სწავლულ ეკონომისტთა მიერ შემოთავაზებული ფინანსური კონტროლი ცნების სხვადასხვა განმარტებები, რომელთაგან უდავო ყურადღებას იმსახურებს იმ სპეციალისტთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი არის კონტროლის სუბიექტების კანონით გათვალისწინებული საქმიანობა – დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად შეამოწმონ, გამოავლინონ და ობიექტურად შეაფასონ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების კანონიერება, მიზანშეწონილობა, ეფექტიანობა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით მიიღონ გადაწყვეტილება საჯარო სახსრების უკანონოდ, მიზანშეუწონლად ან არაეფექტურად მიღება-გამოყენების აღკვეთის თაობაზე, შეიმუშაონ რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.[1]

ფინანსური კონტროლი ობიექტურად აუცილებელია ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობები არსებობს. დიდია მისი როლი საზოგადოებაში, სადაც ჭარბობს სახელმწიფო საკუთრება, რომელიც იმართება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში – მეურნეობრიობის საბაზრო ფორმების პირობებში, მისი როლი არსებითად იზრდება.

ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეურნეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა. კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოქალაქეთა თუ მესაკუთრეთა მხრიდან სახელმწიფოსა და მმართველთა კონტროლის საქმეში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი გამოყენება საშუალებას იძლევა უზრუნველვყოფილი იქნეს საფინანსო-სამეურნეო სისტემის ფუნქციონირების სტაბილურობა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეკონომიკაში კერძო ინვენსტიციებისა და მოქალაქეთა პირადი სახსრების მოზიდვა და ჩართვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს:

- სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება;
- ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება;
- სახელმწიფოსთვის ერთიანი საფინანსო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა რეზერვების გამოვლენა.

[1] www.lasb.opg/IFRS

ფინანსური კონტროლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფინანსური სახსრებისა და სახელმწიფო საკუთრების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველ-ყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ მართვა გულისხმობს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ფინანსური რესურსების მართვის სავალდებულო ელემენტს;

კონტროლი – არა თვითმიზანი, არამედ რეგულირების სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომლის მიზანია მიღებული სტანდარტებიდან გადახრებისა და მატერიალური რესურსების ხარჯვის კანონიერების, ეკონომიურობისა და ეფექტიანობის დადგენილი პრინციპებიდან გადახრების უფრო ადრეულ სტადიაზე გამოვლენა, რათა განხორციელდეს მაკორექტირებელი ღონისძიებები, საჭირო შემთხვევაში დადგეს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხი, მოხდეს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება, ან გატარდეს ღონისძიებები ასეთი დარღვევების მომავალში თავიდან აცილებისათვის.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია:

- _ სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის სტატიების თავისდროულ შევსებაზე კონტროლის ორგანიზაცია და განხორციელება მოცულობის, სტრუქტურისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით;
- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტიზა და წლიური საბიუჯეტო კანონის შესრულების კონტროლი;
- სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის კონტროლი;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სტატიების დასაბუთების შეფასება;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზი, ასევე მათი აღმოფხვრისა და მთელი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის სახსრების ბანკებში და სხვა საკრედიტო_საფინანსო დაწესებულებებში თავისდროული მოძრაობის და კანონიერების კონტროლი;
- სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების კუთხით სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოების კონტროლი;
- საგადასახადო და საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება;
- სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის ზრდის რეზერვების გამოვლენა;
- ფინანსური ექსპერტიზა იმ კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან;
- ხელისუფლების ორგანოებისათვის ჩატარებული საკონტროლო საქმიანობის შესახებ ინფორ-მაციის მიწოდება;
- უცხოეთის სახელმწიფოების სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ფინანსური დისციპლინის განმტკიცების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება და სხვა.

ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისათვის კონტროლი ხორციელდება:

- საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე;
- სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე;
- საფინანსო დისციპლინის დაცვაზე;
- ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე;
- მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვაზე;
- სახელმწიფო რესურსების ეკონომიკურად გამოყენებაზე;
- ბანკებში და სხვა საფინანსო-საკადრო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე;
- საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიკურ ხარჯვაზე;

- სახელმწიფო ქონების გამოყენების ფინანსურ ეფექტიანობაზე;
- პრივატიზაციის სისწორესა და კანონიერებაზე;
- სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ეფუძნება იმ პრნციპებს, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მართვისათვის, მაგრამ ეს პრინციპები ხასიათდებიან იმ თავისებურებებით, რასაც თავად ფინანსური კონტროლის ფუნქციები ითვალისწინებენ.

ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოიყოს: გეგმიურობის, სისტემურობის, უწყვეტობის, ცენტრალიზმის, კანონიერების, ობიექტურობის, საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

გეგმიურობის პრინციპი გულისხმობს იმას, რომ ფინანსური კონტროლის განმხორციელებელი სუბიექტები მთელ თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარების თვიური, კვარტალური და წლიური გეგმების საფუძველზე.

სისტემატურობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ საკონტროლო ღონისძიებათა ჩატარებისას განხილულ უნდა იქნას კონტროლის ობიექტის საქმიანობის ყველა მხარე და მართველობის ჰორი-ზონტალურ და ვერტიკალურ სტრუქტურებთან მისი ურთიერთკავშირის მთელი სისტემა.

უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ კონტროლის ყველა ობიექტი ექვემდებარება კონტროლის სუბიექტების მიერ წინასწარ ოპერატიულ და პერიოდულად შემდგომი კონტროლის მუდმივ განხორ-ციელებას გამომდინარე იმ ვადებიდან, რომლებიც დგინდება მათი საქმიანობის პირობების, ხასიათისა და თვისებებიდან. ამასთან, სისტემურობისა და უწყვეტობის პრინციპები ასევე გულისხმობენ საკონტროლო ღონისძიებათა პერიოდულ ჩატარებას ერთსა და იმავე ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მათ შორის, განმეორებით შემოწმებას ადრე გამოვლენილ ნაკლვოანებათა აღმოფხვრის მიზნით.

ცენტრალიზმის პრინციპი ითვალისწინებს იმას, რომ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვემდგომისათვის, რაც გულისხმობს კონტროლის გეგმების შესრულებაზე ერთიანი ხელმძღვანელობის ადგილებზე ოპერატიულობასთან და აქტივობასთან შეთანაწყობას და მართვის თითოეული ორგანოს (კონტროლის სუბიექტის) და თანამდებობის პირის (შემსრულებლის) პასუხისმგებლობის ამაღლებას.

კანონიერების პრინციპი, როგორც ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი, გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფო და ყველა მისი ორგანო, მათ შორის, მაკონტროლებელნი, მოქმედებენ კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ საზოგადოებისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას. ფინანსური კონტროლის განმხორციელებელი ორგანოები მათი ხელმძღვანელი მუშაკები, თავიანი მოვალეობის შესრულებისას განუხრელად უნდა იცავდნენ ქვეყნის კონსტიტუციასა და მოქმედი კანონებს, ასევე იმ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრავენ მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

პასუხისმგებლობის პრინციპით კი გათვალისწინებულია რეგლამენტირებული კანონებისა და სამართლებრივი აქტების დაცვისა და ფინანსური კონტროლის ინფორმაციული ბაზის უტყუარობაზე პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა.

ობიექტურობის პრინციპი ფინანსური კონტროლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რადგან შემოწმებას დაქვემდებარებული ობიექტის სწორი, სრული და ობიექტური შემოწმების გარეშე შეუძლებელია კონტროლის შედეგების საფუძველზე სწორ გადაწყვეტილებათა მიღება.

ამასთან, აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს, აგრეთვე კონტროლით გამოვლენილი ფაქტების კანონთან, ძირითად დებულებებთან და ინსტრუქციებთან, ასევე, ხელმძღვანელ ორგანოთა განკარგუ-ლებებთან შედარებისას, კონტროლის სუბიექტების მიერ კვალიფიციურ და მიუკერძოებელ მიდგომას.

საჯაროობის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ კონტროლის შედეგები ყოველთვის ეცნობება შემოწმებული კოლექტივის მართვის ზემდგომ ორგანოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში _ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც.

კონტროლის შედეგებისა და მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებათა საჯაროობა მობილიზაციას უკეთებს კოლექტივს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მათზე დაკისრებულ მოვალეობათა წარმატებით განხორციელების საქმეში.

ეფექტიანობის პრინციპი ვლინდება დადგენილი მოთხოვნებიდან გადახრების მიზეზების და დამნაშავე პირების სრულად და ოპერატიულად გამოვლენაში, ასევე, დაშვებული უარყოფითი შედეგების თავისდროულად გამოსწორებასა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებაში.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- კონტროლის სუბიექტი (ვინ ამოწმებს);
- კონტროლის ობიექტი (ვის ამოწმებენ);
- კონტროლის საგანი (რა მოწმდება);
- კონტროლის პრინციპები;
- კონტროლის მეთოდები;
- კონტროლის მექანიზმი;
- კონტროლის სისტემა.

კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტი, რაზედაც დამოკიდებულია ჩატარებული საკონტროლო-სარევიზიო ღონისძიებათა ეფექტიანობა, კონტროლის სუბიექტები, ანუ მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შემმოწმებელი პიროვნებები (რევიზორები, კონტროლიორები, აუდიტები და ა.შ.) მათი საქმიანობა რეგლამენტირებულია ნორმატიული იურიდიული აქტებით და მთლიანობაში ქმნიან ფინანსურ სამართალს. ფინანსური კონტროლის სუბიექტები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს. ეს ორგანიზაციები იყოფიან კონტროლის სახეებისა (გარე და შიდა) და მართვის დონის (სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი) მიხედვით. მაგალითად, საქართველოში გარე კონტროლის სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატა, რუსეთში – საანგარიშო პალატა და ა.შ.

ყველა სახისა და დონის კონტროლის სუბიექტების საქმიანობა უნდა იყოს კოორდინირებული და ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული.

ფინანსური კონტროლის ობიექტი – ეს ის ორგანიზაციებია (სამინისტრო, უწყება), რომლებიც იყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, სახელმწიფო ქონებას, ბუნებრივ რესურსებს ან გააჩნიათ შეღავათი დაბეგვრის, ექსპორტის, იმპორტის და ა.შ., სფეროში.

რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე კონტროლის ობიექტებს შესაბამისად წარმოადგენს ის ორგანიზაციები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო სახსრებს იყენებენ.

მართალია, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი მოიცავს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორს, მაგრამ იგი, როგორც მისი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალიდან ჩანს, ვრცელდება კერძო სამეწარმეო საქმიანობაზეც.

ამდენად, ფინანსური კონტროლის ობიექტი არის არა მარტო საგადასახადო-საბიუჯეტო სფერო და საბიუჯეტო პროცესი, არამედ საბაზრო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესი; სწორედ ამითაა განპირობებული ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფო მართვისა და კონტროლის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, უაღრესად დიდი როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტებია:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (მათი აპარატების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა);
- სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;
- სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სახეებისა, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ ან იყენებენ სახელმწიფო სახსრებს ან საგადასახადო, საბიუჯეტო ან სხვა სახის შეღავათებით სარგებლობენ;

- საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასახელმწიფო ფონდები და სხვა არასახელმწიფო კომერ-ციული ორგანიზაციები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობების მინიჭებას;
- სამეწარმეო სტრუქტურები და ფიზიკური პირები საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. [1]

ფინანსური კონტროლის მიზანი და ამოცანები განსაზღვრავენ მის ძირითად ფუნქციებს, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორი ნიშნით: პირველი _ ფინანსური კონტროლის სოციალური და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მეორე – საკუთრივ, კონტროლის ფუნქციების შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

კონტროლის ფუნქციების პირველი ნიშნით კლასიფიკაცია გულისხმობს სოციალურ მართვას, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, დემოკრატიას და სამართლებრივ რეგულირებას, მაგრამ, ფინანსური კონტროლის აქტიური როლი სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ვლინდება მის სპეციფიკურ ფუნქციებში, რომლებიც მთელ სოციალური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ.

ფინანსური კონტროლის **სპეციფიკური ფუნქციებია:**

1. დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა;
2. დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი;
3. კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია;
4. საფინანსო დარღვევათა პრევენცია;
5. სამართალდაცვა.

- დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა გულისხმობს საქმიანობის ფართო სპექტრს; პირველ რიგში ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენების სფეროში დადგენილი სტანდარტებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაში გადახრების დადგენა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებასა და ხარჯვითი ნაწილის გამოყენებაში დაშვებული დარღვევები; ასევე, დარღვევები სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობაში.
- დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი _ კონტროლის ეს ფუნქცია გულისხ-მობს იმ ფაქტების შესწავლა-გამოკვლევას, რომლებმაც კონკრეტული დარღვევები გამოიწვიეს და რის გამოც უნდა დადგინდეს ამ დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი სუბიექტური მიზეზები;
- კორექციის ფუნქცია – მდგომარეობს როგორც ბიუჯეტის ფორმირებასა და გამოყენების პროცესში, ასევე საწარმოთა და ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის პროცესში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებათა შემუშავებაში.
- პრევენციის ფუნქცია _ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ ხორციელდება წინასწარ, საფინანსო სახსრების უკანონო, არამიზნობრივად და არაეფექტიანად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით.

მიუხედავად კონტროლის სუბიექტების საქმიანობის მრავალფეროვნებისა, ყველა ისინი გარკვეული დონით ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომელთა რეალიზაცია ფინანსური კონტროლით მიიღწევა:

- საკონტროლო საქმიანობის განხორციელების პროცესში კანონდარღვევისა და დამნაშავე პირთა გამოვლენის დროს;
- კონტროლის შედეგებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რეალიზაციის დროს, რომლებშიც ფორმულირებულია რეკომენდაციები იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რომლებმაც გამოვლენილი სამართალდარღვევათა ფაქტები განაპირობეს;
- მაკონტროლებელ ორგანოების მიერ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარების დროს.[2]

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი კონტროლის ორგანოთა სამართლებრივ აქტებს უკავია. თავად კონტროლის შედეგებზე მიღებული დასაბუთებული და კანონიერ გადაწყვეტილებათა გამოტანას დიდი პრევენციული მნიშვნელობა აქვს არამარტო იმ პირებისათვის, რომლებიც დამნაშავეებად არიან მიჩნეული, არამედ იმ პირთათვისაც, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იყვნენ კონტროლის პროცესში.

[1] www.Iasb.opg/IFRS
[2] KPMG. www.kpmg.com

- **სამართალდაცვის ფუნქცია** – სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოთა საქმიანობა მნიშვნელოვანი დონით სამართალდაცვით ელემენტებს შეიცავს. როგორც კანონიერების უზრუნველყოფის საშუალება, ეს ფუნქცია მიმართულია აღკვეთოს არამართლზომიერი ქმედებები იმ თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა, რომლებიც დამნაშავენი არიან ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა უყაირათობასა და გაფლანგვაში, მიწერებსა და სხვა სახის სამართალდარღვევებში, ასევე ამ სუბიექტების მიმართ გამოიყენოს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები.

არსებული კანონმდებლობით მაკონტროლებელ ორგანოებს არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად პასუხისგებაში მისცენ დამნაშავე პირები, მაგრამ მათ შეუძლიათ ზემდგომი ორგანოების წინაშე დააყენონ დამნაშავე პირთა დისციპლინარული პასუხისმგებლობა, ხოლო სასამართლოსა და სამართალდამცავ ორგანოების წინაშე _ მათი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი ასრულებს რა არსებით როლს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფაში, ის ახორციელებს სოციალური მართვის, პოლიტიკური ხელმძღვანელობის, დემოკრატიის და სამართლებრივი რეგულირების ფუნქციას; ხოლო, რაც შეეხება სპეციფიკურ ფუნქციებს, მათი რეალიზაცია ხორციელდება დარღვევა-ნაკლოვანებათა (გადახრების) გამოვლენის, მათი გამომწვევი მიზეზების ანალიზის, კორექტირების, პრევენციისა და სამართალდაცვის მეშვეობით.

ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციათა შემადგენელი ნაწილი და მართვაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღის, საგანს შეადგენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაფართოებული კვლავწარმოების (პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროები) პროცესის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის, მართვის მეთოდების სრულყოფით მასზე ზემოქმედებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.[1]

მეთოდის ზოგად ცნებაში იგულისხმება კონტროლის ფუნქციების განხორციელების მიზნით განსაზღვრული თანმიმდევრობით გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რითაც დგინდება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერება და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

შემოწმების საერთო მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს და შესწავლილ იქნეს საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სუსტი ადგილები.

სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დეტალური მეთოდით შემოწმების დროს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი შესამოწმებელი საწარმოს მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა (ამ დროს თითოეული სახის დოკუმენტი გულდასმით უნდა გაისინჯოს და გაკეთდეს სათანადო ნიშანი -„გასინჯულია“).

არითმეტიკული მეთოდით შემოწმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ დოკუმენტებში შემოწმდეს გაანგარიშებებისა და შეტანილი ციფრების სისწორე (განსაკუთრებით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები).

დოკუმენტების შემხვედრი მეთოდით რევიზიის დროს ამოწმებენ სამეურნეო პროცესებით გამოწვეული ორი მოპირდაპირე მხარის დოკუმენტებს.

საკონტროლო ინვენტარიზაციით, რომელიც ინიშნება ჩატარებული ინვენტარიზაციის უტყუარობაში დარწმუნების მიზნით, ახდენენ საწარმოო საშუალებების ფაქტიურ შემოწმებას. იგი ინიშნება ზემდგომი ორგანოს, პროკურატურის, საგამოძიებო ან სხვა მოთხოვნით.

ლაბორატორიული ანალიზი და საექსპერტო შემოწმება ხდება მაშინ, როცა ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიის გადასამოწმებლად იწვევენ ექსპერტს, ასევე, რომელიმე მატერიალურ ფასეულობათა კუთრი წონის, ხარისხის და ა.შ. დასადგენად.

ცნობებსა და ახსნა-განმარტებებს შემმოწმებლები მოითხოვენ ობიექტების ხელმძღვანელებისაგან და დამრღვევთაგან რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების, მითვისებების, გაფლანგვების ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევის ფაქტებზე.

[1] გ. სახოკია, ი. ზაქარიაძე, ვ. მუჯირიშვილი. ფინანსური კონტროლის საფუძვლები, UNDP, თბ., 2006

დოკუმენტების ამოღება ხდება იმ შემთხვევაში, როცა უსწორო და საეჭვოა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს საექსპერტიზოდ, მოხდეს მისი შემხვედრი შემოწმება (საგამოძიებო ორგანოებს გადასცემენ დოკუმენტის დედანს და მის მაგივრად ტოვებენ ასლს).

რევიზიის მასალების სისტემატიზაციისთვის შემმოწმებელი აწარმოებს დღიურს, რათა შეადგინოს შემოწმების შედეგებზე შესაბამისი აქტი.[1]

ფინანსური კონტროლის ფორმებია:

კონტროლის წინასწარი ფორმა გამოიყენება ხარჯთაღრიცხვის და ტექნიკური დოკუმენტაციის შემოწმების, უნაღდო ანგარიშსწორების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის, ხელფასის დარიცხვის დროს და ა.შ. (ახორციელებენ მთავარი ბეღალტრები); ე.ი. იგი ხორციელდება სამეურნეო ოპერაციის დასრულებამდე.

მიმდინარე კონტროლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე გამოვლინდეს დარღვევები და მიიღონ ზომები მის აღმოსაფხვრელად.

შემდგომი კონტროლი ხორციელდება სამეურნეო ოპერაციის დასრულების შემდეგ.

შემოწმების წყაროების მიხედვით კონტროლი იყოფა:

დოკუმენტური კონტროლის დროს, ყველა სამეურნეო ოპერაცია მოწმდება დოკუმენტებზე დაყრდნობით; რევიზია _ (ლათ.) ნიშნავს თანამდებობის პირის დოკუმენტურ გამოკვლევას, კონტროლი _ (ფრ.) ნიშნავს შემოწმების მიზნით სამეურნეო, საწარმოო, სასწავლო, საკვლევი და სხვა საქმიანობისა და ამ პროცესების მმართველობის ორგანიზაციის მიხედვით გადასინჯვას).

ფაქტიური კონტროლის დროს მოწმდება მატერიალურ ფასეულობათა სახეზე არსებობის მდგომარეობა, საანგარიშსწორებო, საკრედიტო და სხვა ოპერაციების სისწორე და ხდება მათი შედარება საბუღალტრო ჩანაწერებთან.

ფინანსური კონტროლის სახეებია:

გეგმური – ტარდება ორ წელიწადში ერთხელ;

არაგეგმური – პროკურატურის, სასამართლოების, პარლამენტის საგამოძიებო კომისიების მოთხოვნით; ამ დროს ძირითადად ტარდება არასრული რევიზიები;

სრული – მოწმდება მთელი საწარმოს სამეურნეო-საფინანსოსაქმიანობა;

არასრული – მოწმდება საწარმოს ცალკეული დარგები, ან ცალკეული ოპერაციები;

შერჩევითი – მოწმდება ბუღალტრული აღრიცხვის დოკუმენტების მხოლოდ ნაწილი, ამორჩევით;

გამჭოლი – მოწმდება ერთი სისტემის საწარმოები (ორგანიზაციები);

თემატური – შემოწმება ითვალისწინებს სპეციალური საკითხის (თემის) შესწავლას;

კომპლექსური – გათვალისწინებულია საკითხების უფრო ფართოდ გაშუქება; ასეთ რევიზიებს ატარებს ჯგუფი, რომელშიც, გარდა რევიზორ-ეკონომისტებისა, შეყვანილნი არიან დარგების სპეციალისტებიც.[2]

კომბინირებული (შერეული) – რამდენიმე სახისაა:

ა) სრული – ტარდება მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მიხედვით;

ბ) შერჩევითი – დოკუმენტები ისინჯება შერჩევით.

დამატებითი – ინიშნება ზემდგომი ორგანოების მიერ;

განმეორებითი – ითვალისწინებს წინა ჩატარებული რევიზიის გადამოწმებას მისი ხარისხის დონის დაზუსტებისა და სხვ. მიზნით (შესამოწმებელი პერიოდი იგივეა).

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია კონტროლის სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი; ყოველივე ეს იწვევს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის არაეფექტიან ფუნქციონირებას, თუმცა სახელმწიფო საფინანსო კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა საქართველოს აუდიტის სახელმწიფო სამსახურს ეკისრება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო სახსრების კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა, ფინანსური

[1] www.accountingreform.ru

[2] გ. სახოკია, ი. ზაქარიაძე, ვ. მუჯირიშვილი. ფინანსური კონტროლის საფუძვლები, UNDP, თბ., 2006

კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანიზაციის განსაზღვრა, საფინანსო კონტროლის სუბიექტების უფლებამოსილებების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. მაგრამ ამასთან, საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათივე უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი; კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისთვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საჯარო დაწესებულებების მიმართ.[1]

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტია სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და მათდამი ანგარიშვალდებულ საჯარო დაწესებულებათა (სამთავრობო დაწესებულება, საქვეუწყებო დაწესებულება, ადგილობრივი სამსახური, საჯარო სამართლის იურიდიული პირი), აღმასრულებელ-განმკარგულებელი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება საჯარო სამსახურის მიღება-გამოყენებასთან; მაგრამ სახელმწიფო ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ დაფუძნებული ან წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სახელმწიფო სუბიექტების, ამ სუბიექტების მიერ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების საფინანსო კონტროლის მოწესრიგება უნდა დარეგულირდეს პრეზიდენტის ბძრანებულებით და არა – მათზე სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემის გავრცელებით.

საერთაშორისო გამოცდილებით აღიარებულია, რომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ინსტიტუციური მოწყობა და მაღალი ორგანიზაცია უნდა ეყრდნობოდეს საჯარო დაწესებულებათა სავალდებულო აუდიტს, შიდა საფინანსო კონტროლისა და სახელმწიფო საფინანსო ზედამხედველობას, რაც ხელს უწყობს საფინანსო კონტროლის სისტემის დეცენტრალიზაციას.

სავალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას, ხოლო უშუალოდ ახორციელებს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი;

შიდა საფინანსო კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და განახორციელოს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურმა და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება;

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, საფინანსო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს. მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი ფორმები: საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო კონტროლის სუბიექტებმა უნდა განახორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

ამრიგად, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა: შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისათვის გაწეული ზემოაღნიშნული ხარჯები უმნიშვნელო იქნება იმ მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტთან შედარებით, რაც უკავშირდება საჯარო სახსრების კანონიერ, მიზანშეწონილ და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფას (მით უმეტეს, ამ დროს არ გამოირიცხება საზღვარგარეთელი დონორების გააქტიურებაც).

[1] www.ifac.opd

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ამ სფეროში არსებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებათა გაზიარება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. www.lasb.opg/IFRS;
2. www.accountingreform.ru;
3. www.Britanika.com;
4. www.ifac.opd;
5. KPMG. www.kpmg.com;
6. გ. სახოკია, ი. ზაქარიაძე, ვ. მუჯირიშვილი. ფინანსური კონტროლის საფუძვლები, UNDP, თბ., 2006.

გიორგი სახოკია

ფინანსური კონტროლის მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფო კონტროლის სისტემაში

რეზიუმე

ფინანსური კონტროლის საშუალებით ხორციელდება სახელმწიფოს ფინანსურ-მატერიალური და არამატერიალური რესურსების მიზნობრივი, ეფექტური და რაციონალური გამოყენების და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის კონტროლი, ანუ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მთავარი მიზანია სახელმწიფო ფინანსური რესურსების წარმოქმნის და გამოყენების კონტროლი; საფინანსო-საბიუჯეტო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკის გამტარებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობაზე კონტროლი; ფინანსური რესურსების კანონიერად და სამართლიანად განაწილების კონტროლი; სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად და ეკონომიკურად ხარჯვის კონტროლი; ამასთან ერთად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებსა და საზოგადოებას სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ ყოვლისმომცველი და სრულყოფილი ინფორმაციით.

George Sakhokia

The significance and place of financial control in the state control system

Summary

Purposeful, effective and rational use of tangible and intangible resources of the state and financial conditions of the organizations in which the state holds a share is controlled through financial control or the main purpose of the financial control is to control formation and use of financial resources of the state; to control activities of the executive bodies that implement the financial-credit, monetary and tax policies;to control thelawful and fair distribution of the financial resources;to control theeffective and economic spending of the state funds; furthermore the state financial control ensures provision of comprehensive and full information about formation and use of the state financial resources to the state authorities and public

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

ნონა ახალაშვილი, ანი კოპალიანი

პიროვნების პროფესია და დაცვითი მექანიზმის სტილი

ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმების, როგორც თვითაქტუალიზაციის ფაქტორის, სწორად განსაზღვრა, მნიშვნელოვანია ეფექტური სოციალური ადაპტაციისთვის. დაცვითი მექანიზმები ადრეული ბავშვობიდან დაწყებული მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩნდებიან და ყალიბდებიან ადამიანის ფსიქიკაში. ეს მექანიზმები იცავენ პიროვნების ცნობიერებას სხვადასხვა სახის უარყოფითი ემოციური გამოცდილებისა და აღქმისგან. ისინი ხელს უწყობენ ფსიქოლოგიური ჰომეოსტაზის შენარჩუნებას, სტაბილურობას, ინტერპერსონალური კონფლიქტების გადაწყვეტას და ცნობიერ და ქვეცნობიერ ფსიქოლოგიურ დონეებზე განვითარებას.

დაცვითი მექანიზმების დახმარებით პიროვნება ქვეცნობიერად იცავს თავის ფსიქიკას ტრავმებისგან. შეცდომით შემუშავებულმა დაცვამ შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიოს პიროვნების მე კონცეფციის განადგურება. ამასთანავე, ამ დროს ეს მექანიზმები ხელს უშლიან ადამიანს, გააცნობიეროს თავისი მცდარი წარმოდგენები, რომლებიც ეხება მის თვისებებსა და ქცევის მოტივებს, რაც ხშირად ართულებს პირადი პრობლემების ეფექტურ გადაწყვეტას.

დღესდღეობით სტრესფაქტორები მრავლად გვხვდება და ადამიანს სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში უწევს მათთან ბრძოლა. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ პროფესიულ სტრესსა და მისი დაძლევის მექანიზმებზე. ჩვენი ინტერესი შევაჩერეთ სამ პროფესიაზე, რომლებთანაც ბოლო პერიოდია ხშირად გვიწევს შეხება და ვფიქრობთ, საინტერესოა მათი ცხოვრებისეული ადაპტაცია და განვითარება. ასევე, საინტერესოა თითოეული პროფესიის თანმხლები სტრესფაქტორების განხილვა და განსაზღვრა იმისა, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი სტრესს და მისი დაძლევის რომელ კონკრეტულ მექანიზმებსა და საშუალებებს მიმართავენ. ჩვენი კვლევის მიზანი ამ სამ პროფესიაში არსებული დომინირებადი დაცვის მექანიზმების გამოვლენაა და ამასთანავე იმის დადგენა, გამომდინარეობს თუ არა მათი არჩევანი კონკრეტული პროფესიული სირთულეებიდან, აქვს თუ არა მნიშვნელობა და გავლენა დაცვითი მექანიზმის არჩევისას სქესს, ასაკს ან პროფესიული გამოცდილების ხანგრძლივობას.

ადამიანის ცხოვრებაში, როგორც წესი, სტრესი ჩნდება მაშინ, როდესაც ბალანსი ირღვევა გარემო ზემოქმედებასა და ადამიანის შესაძლებლობებს შორის. ეს შესაძლებლობები შეიძლება იყოს როგორც ფსიქიკური, ასევე ფიზიკური, რადგან სტრესული ფაქტორები ზიანს აყენებენ არამხოლოდ ადამიანის ფსიქიკას, არამედ ნეგატიურად ზემოქმედებენ მის ფიზიკურ სიჯანსაღეზეც, რაც საბოლოოდ აისახება მომუშავის უნარიანობის და მისი პროფესიული მნიშვნელობის დაქვეითებაზე.

სამსახურებრივი და პროფესიული სტრესი, დღეს ძალიან აქტუალურ თემას წარმოადგენს, რაც გამოწვეულია იმით, რომ, რაც დრო გადის, სამუშაოთა სრული უმრავლესობა სულ უფრო კომპლექსური ხდება. ეს კი მრავალფეროვანი სტრესორების წარმოქმნას უწყობს ხელს, რის შედეგადაც მათი ნეგატიური ზემოქმედება ხდება როგორც ინდივიდების ზოგად მდგომარეობაზე, ასევე მათი შესაძლებლობების გამართულ ფუნქციონირებაზე. ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უქმნის პროფესიულ მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ პროფესიაში სტრესის ეფექტური დაძლევის მექანიზმების გამოვლენით, ხელს შევუწყობთ მომავალ თაობებში მის პრევენციას, რადგან მათ მივცემთ საშუალებას შეისწავლონ იმ დაცვითი მექანიზმების მნიშვნელობა, რომელთა შემუშავება და გამოყენებაც მათ გამოადგებათ პროფესიის არჩევისას. სწორად არჩეული დაცვითი მექანიზმი წინაპირობაა ნაკლები სტრესისა და ეფექტური ადაპტაციისა.

ხშირად ადამიანები ძნელად აცნობიერებენ იმას, თუ რამდენჯერ უწევთ საკუთარი თავის გაკონტროლება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოფილა შემთხვევა, როცა თქვენს ხუმრობაზე არავის გაუცინია? ამ დროს ნებისმიერი ჩვენგანი ეცდება შეცვალოს წარმოთქმული ფრაზა ან „მოერგოს“

სიტუაციას. მაგრამ საკუთარი აზროვნებისა და ქცევის მართვა არ არის ადვილი. ისეთი მოვლენები, როგორიცაა ქორწინება, ახლობლის სიკვდილი, ახალ სამუშაოზე გადასვლა და ა.შ. აზროვნების და ქცევის ტიპში სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. რეგულაცია წარმოადგენს ინდივიდის მიერ გარემო პირობებისადმი შეგუებისა და მოცემულ მომენტში აღმოცენებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უწყვეტ პროცესს.

რეგულირების პროცესი მოიცავს როგორც შინაგან, ასევე გარეგან ცვლილებებს. შინაგან ადაპტაციას მიეკუთვნება ადამიანის განწყობებში, გრძნობებში, ემოციებსა და მოტივაციებში მიმდინარე ცვლილებები. გარეგანი ცვლილებები ვლინდება ქცევებსა და საქციელში, რომელთა საფუძვლადაც ძევს შინაგანი ადაპტაცია. იმდენად რამდენადაც ადამიანს მუდმივად უჩნდება ახალი განწყობები და გრძნობები, მას შესწორებები შეაქვს საკუთარ ქცევებში. გარეგან ცვლილებებში შედის ასევე სოციალური მდგომარეობის შეცვლა, ახალი როლის მიღება ან ახალი ურთიერთობების გაჩენა. წარმოიდგინეთ გოგონა, რომელმაც კარადიდან შარშანდელი ზაფხულის ტანისამოსის გამოღებისას აღმოაჩინა, რომ წონაში მოუმატია, მაგრამ ძალიან უნდა კარგად გამოიყურებოდეს. იგი გადაწყვეტს რეგულარულ ვარჯიშს. ამ შემთხვევაში, შინაგანმა ადაპტაციამ გამოიწვია გარეგანი ცვლილება: მისწრაფება საკუთარი გარეგნობის შეცვლისადმი. შინაგანი ადაპტაციის შედეგად, გოგონა გადადის გარეგან ადაპტაციაზე, კერძოდ კი გამოდის მისთვის ახლებურ როლში (იწყებს ვარჯიშს). გარეგანი ადაპტაცია გამოწვეულია შინაგანი ცვლილებებით; შინაგანი ცვლილებები მიმდინარეობს „მე“-კონცეფციის ანუ საკუთარი თავისადმი განწყობების შეცვლის საფუძველზე.

ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები

პოზიტიური „მე”-კონცეფციისა და მაღალი თვითშეფასების შენარჩუნება არ არის ადვილი. ყოველდღიურად ხდება მოვლენები, რომელთაც შეუძლიათ ადამიანს საკუთარ თავში რწმენა დაუკარგონ. მეთოდებს, რომელთაც ადამიანები თავიანთი თვითშეფასების დასაცავად იყენებენ, ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები ეწოდება. განვიხილოთ და მოკლედ დავახასიათოთ მათგან ყველაზე ცნობილი და გავრცელებული.

დათრგუნვა და განდევნა. მაღალი თვითშეფასების შენარჩუნების ერთ-ერთი ხერხი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანი მოერიდოს აღმოცენებული პრობლემების შესახებ ფიქრს. ვთქვათ, გუშინდელ ჩხუბზე რომ არ ვიფიქროთ, შეიძლება სპეციალურად კინოში წავიდეთ. ასეთ დაცვით მექანიზმს, რომელიც მდგომარეობს უსიამოვნო აზრებისგან გაქცევის მიზანმიმართულ მცდელობაში, დათრგუნვა ეწოდება. ბევრს ჩვევად აქვს გადაქცეული მძიმე ფიქრების ჩახშობა, ისე როგორც, მაგალითად, სკარლეტ ო’ ჰარა (რომანიდან „ქარწაღებულნი“) ამბობდა: „მე ამაზე ვიფიქრებ ხვალ“, რითაც იგი ცდილობდა უსიამოვნო აზრებისგან გათავისუფლებას.

ფსიქოლოგიური დაცვის სხვა მექანიზმები

დათრგუნვისა და განდევნის გარდა არსებობს ფსიქოლოგიური დაცვის სხვადასხვა მექანიზმი. ეს არის: გაქცევა, ფანტაზიორობა, რეგრესია, რაციონალიზაცია, პროექცია, გადატანა, რეაქტიული წარმონაქმნი, კომპენსაცია და სუბლიმაცია. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული.

გაქცევა. ფსიქოლოგიური დაცვის ამ მექანიზმს ადამიანი იყენებს მაშინ, როდესაც სიტუაცია მასში ძლიერ შიშს ან ფრუსტრაციას იწვევს. ინდივიდი, რომელსაც ეშინია არ იყოს უარყოფილი და განდევნილი, ხშირად თვითონ გაურბის სხვა ადამიანებთან ურთიერთობას. მორიდებულობის გრძნობა ადამიანს გაქცევისაკენ უბიძგებს, რადგან ამ დროს იგი ცდილობს უსიამოვნო სიტუაციას თავი აარიდოს და არაცნობიერად თავდაცვის ამ ხერხს მიმართავს. ფსიქოლოგების მიერ აღიარებულია, რომ ამ მექანიზმენის გონივრული და ზომიერი გამოყენება, შეიძლება, პიროვნებისთვის სასარგებლოც კი აღმოჩნდეს, მაგრამ ამავე დროს უარყოფითი შედეგებისგანაც არ არის დაზღვეული; მაგალითად, ამ მექანიზმის ხშირი გამოყენების შედეგად, ის შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, დაკარგოს ოჯახი, ახლო ნათესავები და სხვა.

ფანტაზიორობა. ზოგჯერ ადამიანი წარმოსახულ სამყაროში გადადის. ზომიერ ფარგლებში ოცნება და ფანტაზიორობა სასარგებლოა, რამდენადაც ეს შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.შფოთვის დათრგუნვის მიზნით თითქმის ყველა ადამიანი ოცნებობს. ადამიანმა, ფანტაზიის წყალობით, შეიძლება დაძლიოს მოწყენილობა; რომანის კითხვის ან „საპნის ოპერის“ ყურებისას ის,

შესაძლოა, გადავიდეს წარმოსახულ სამყაროში, მაგრამ ფანტაზიით უკიდურესი გატაცება რეალური საქმიანობის სუროგატად იქცევა.

რეგრესია. რეგრესია წარმოადგენს დაბრუნებას წარსულში. ადამიანი რეგრესიის დროს იყენებს პრობლემათა გადაჭრის ძველ ხერხებს. ჩვეულებრივ, ეს ხდება სიტუაციებში, როდესაც ადამიანი იმდენად არის გაღიზიანებული, რომ არ ძალუძს საკუთარი ასაკის ადეკვატური ქცევა. ეს ხშირად მცირეწლოვან ბავშვებს ემართებათ, როდესაც მათ ოჯახში ახალშობილი ჩნდება. საქმე იმაშია, რომ უფროსმა შვილმა არ იცის მშობლების ყურადღება როგორ მიიპყროს ახალ ვითარებაში. ის ძველ მეთოდებს იყენებს, რომ „დაიბრუნოს“ მშობლების ყურადღება და სიყვარული.

რაციონალიზაცია. რაციონალიზაცია წარმოადგენს პიროვნების მიერ ჭეშმარიტების დამახინჯებას თვითპატივისცემის შენარჩუნების მიზნით. რაციონალიზაციის დახმარებით, ადამიანი ახერხებს მისთვის მიუღებელი სიტუაციის ახსნას ან გამართლებას. რაციონალიზაციის დროს, ინდივიდი თვლის, რომ მის წარუმატებლობას რაღაც გარე მიზეზები განაპირობებს, სამაგიეროდ წარმატება მხოლოდ მისი პირადი დამსახურებაა.

ადამიანთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად ხშირად იყენებს რაციონალიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მექანიზმი ლოგიკის კანონებს არ ექვემდებარება, მას შეუძლია ადამიანს დაეხმაროს მღელვარებისა და შფოთვისგან გათავისუფლებაში. რაციონალიზაცია გვეხმარება ასევე საგნებისა და მოვლენების „ვარდისფრად“ დანახვაში, რადგან ადამიანი თვლის, რომ თუკი უსიამოვნება უკვე მოხდა, შეუძლებელია რაიმეს შეცვლა.

პროექცია. პროექციას საფუძვლად უდევს დანაშაულის გრძნობა. ნაცვლად იმისა, რომ ინდივიდმა აღიაროს საკუთარი ნაკლოვანებები, მას ეს ნეგატიური თვისებები სხვაზე გადააქვს. პროექცია შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი, გამოხატული საკუთარი სისუსტეების სხვა ადამიანებზე გადაბრალებაში, რის შედეგადაც იგი დანაშაულის გრძნობას განიცდის. პროექცია საშუალებას გვაძლევს საკუთარ წარუმატებლობაში სხვა დავადანაშაულოთ. ფსიქოლოგები, პრობლემების გამოსავლენად, ხშირად იყენებენ პროექციულ ტესტებს.

გადატანა. ამ ფსიქოლოგიური მექანიზმის გამოყენებისას ადამიანს საკუთარი გრძნობები გადააქვს მსხვერპლზე. გადატანა შეიძლება განვიხილოთ როგორც აგრესიის ერთ-ერთი ფორმა. ამ დროს, ინდივიდი ირჩევს ისეთ მსხვერპლს, რომელიც მისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს და შეუძლია მის თვითპატივისცემაზე გავლენის მოხდენა. როგორც წესი, მეუღლეები ხდებიან ასეთი გადატანის მსხვერპლნი. ვინც იცის ფსიქოლოგიური დაცვის ამ მექანიზმის არსებობის შესახებ, ცდილობს, თუ მეუღლე ცუდ გუნებაზეა, მასთან საკამათო საკითხის განხილვას თავი აარიდოს.

რეაქტიული წარმონაქმნი. ეს არის მოქმედება, რომელიც მიუღებელი ზრახვებისა და ლტოლვების პირდაპირ საწინააღმდეგოა. ეს დაცვითი მექანიზმი მოქმედებს სიტუაციებში, როდესაც ადამიანი ისეთი ძლიერი დანაშაულის გრძნობას განიცდის, რომ მთელი ძალით ცდილობს არ აღიაროს საკუთარი ქვეცის ჭეშმარიტი მოტივები. შედეგად ამისა, ინდივიდის ქცევა არაბუნებრივი ხდება. ზოგჯერ მშობლები სულის სიღრმეში უკმაყოფილონი არიან საკუთარი ვალდებულებებით და იწყებენ უკიდურესი მზრუნველობის გამოჩენას საკუთარ შვილებზე. რამდენადაც შვილებზე ზრუნვის სურვილის არქონა მათთვის მიუღებლად ითვლება, ასეთი მშობლები ცდილობენ ყველას დაუმტკიცონ, თუ სინამდვილეში რა მზრუნველი და მოსიყვარულეები არიან; იქცევიან გამომწვევად და ხაზგასმით.

კომპენსაცია. კომპენსაციის წყალობით, ადამიანს შეუძლია საქმიანობის ერთ სფეროში წარუმატებლობა და ნაკლოვანებები სხვა სარბიელზე მიღწევებით აინაზღაუროს. კომპენსაციის მექანიზმი ინდივიდს საშუალებას აძლევს შენიღბოს საკუთარი ნაკლი და ხაზი გაუსვას საკუთარ ღირსებას, უპირატესობას. მაგალითად, ადამიანი, რომელიც აცნობიერებს საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სიმწირეს, გარემოცვაში ცდილობს რაც შეიძლება მეტი ანეკდოტი მოყვეს. ზოგადად, ფსიქოლოგები კომპენსაციას გონივრულ დაცვით მექანიზმად თვლიან.

სუბლიმაცია. სუბლიმაცია არის ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი, როცა მიუღებელი განზრახვების/ლტოლვების ენერგია მიიმართება დადებითი, შემოქმედებითი ან აღმშენებლობითი საქმიანობის კალაპოტში. სუბლიმაციის მაგალითები შეიძლება იყოს ლექსები უიღბლო სიყვარულზე, ჩაგრული ხალხის მიერ შექმნილი ხალხური სიმღერები თავისუფლებაზე და ა.შ. კომპენსაცია და სუბლიმაცია ყველაზე ჯანსაღი და აღიარებული ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმებია.

კვლევის აღწერა და კვლევის ინტსტრუმენტი

კვლევაში გამოვიყენეთ საყოველთაოდ აღიარებული კითხვარი დომინირებადი ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმების გამოსავლენად. პიროვნული კითხვარი განკუთვნილია „მე"-ს დაცვის მექანიზმების დიაგნოსტირებისათვის. იგი შექმნეს რ. პლუტჩიკმა, გ. კელერმანმა და გ. კონტემ 1979 წელს. კითხვარი განსაზღვრავს დაცვის რვა მექანიზმის გამოხატვის დონეს და შემუშავებულია რ. პლუტჩიკის ემოციის ფსიქოევოლუციური თეორიის ჩარჩოებში. ეს მექანიზმებია: განდევნა, რეგრესია, ჩანაცვლება, უარყოფა, პროექცია, კომპენსაცია, რეაქტიული წარმონაქმნი, რაციონალიზაცია. დაცვის თითოეულ მექანიზმს შეესატყვისება 10-დან 14 დებულებამდე; ისინი აღწერენ ინდივიდუმის იმ რეაქციებს, რომლებიც მასში აღმოცენდება განსხვავებულ სიტუაციებში. შედეგების დამუშავებისას ნედლი ქულები გადადის პროცენტებში და იგება დაცვითი სტრუქტურის პროფილი. ავტორების მიერ წარმოდგენილია მონაცემები კითხვარის საკმაოდ მაღალი ვალიდურობისა და სანდოობის შესახებ.

გამოვიკითხეთ სამედიცინო სფეროს მუშაკები (ექიმები, ექთნები, სანიტრები), ფსიქოლოგები და სატელეფონო ცენტრის ოპერატორები. გამოკითხულთა საერთო რაოდენობა შეადგენს 150-ს. აქედან 125 ქალბატონია და 25 – მამაკაცი. ყველაზე ახალგაზრდა იყო 20 წლის, ყველაზე ასაკოვანი კი 69 წლის. მინიმალური სტაჟი შეადგენდა 1 წელს, მაქსიმალური კი 45 წელს.

კვლევის ძირითადი მიზნებია:

1. დომინირებადი დაცვითი მექანიზმის გამოსავლენი კითხვარის აპრობირება.
2. ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმების დომინირებადობის შესაძლო კავშირის დადგენა კონკრეტულ პროფესიებში მომუშავეთა ასაკს, სქესსა და სამუშაოს გამოცდილებასთან მიმართებაში.

კვლევისას გამოვყავით შემდეგი ჰიპოთეზები:

1. თითოეულ პროფესიას თავისი განსაზღვრული დომინირებადი დაცვითი მექანიზმი აქვს;
2. კონკრეტული დაცვითი მექანიზმის დომინირება დამოკიდებულია ასაკზე;
3. კონკრეტული დაცვითი მექანიზმის დომინირება დამოკიდებულია სქესზე;
4. კონკრეტული დაცვითი მექანიზმის დომინირება დამოკიდებულია სამუშაო გამოცდილებაზე/სტაჟზე.

მიღებული შედეგების ანალიზი

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ასაკი სარწმუნოდ უარყოფითად კორელირებს თავდაცვის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა ჩანაცვლება (კენდალის კოეფიციენტი □= -0.161''); ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო ასაკოვანია გამოკითხული, მით ნაკლებად იყენებს ჩანაცვლებას. კორელაცია სარწმუნოა 0.01 დონეზე (სანდოობის კოეფიციენტი, სანდოობის მაჩვენებელი).

ასევე, სარწმუნოდ უარყოფითად კორელირებს თავდაცვის ამ ფორმასთან სტაჟი (□= – 0.208"). რაც ნაკლებია სტაჟი, მით უფრო ხშირად მიმართავენ ჩანაცვლებას.

დადებითია კორელაცია ასაკსა და სტაჟს და თავდაცვის მეოთხე ფორმას, უარყოფას შორის (□= 0.134'და □= 0.137'. შესაბამისად, კორელაცია სარწმუნოა 0.05 დონეზე). რაც უფრო ასაკოვანია ადამიანი და მეტია მისი სტაჟი, მით უფრო ხშირად მიმართავს უარყოფას. აგრეთვე, გამოვლინდა დადებითი კორელაცია ასაკს, სტაჟსა და თავდაცვის მერვე ფორმას, რაციონალიზაციას შორის (□= 0.206'და □= 0.216' შესაბამისად, კორელაცია სარწმუნოა 0.05 დონეზე). რაც უფრო ასაკოვანია და სტაჟიანი ადამიანი, მით უფრო ხშირად იყენებს რაციონალიზაციას.

სხვადასხვა ჯგუფის დაცვითი რეაქციების საშუალო მაჩვენებლები ასეთია: სამივე პროფესიის რესპონდენტებში ჭარბობს პროექცია, თუმცა ქოლცენტრის თანამშრომლებში მისი მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. მეორე ადგილზეა რაციონალიზაცია, რომლის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სამედიცინო სფეროს მუშაკებში. ყველაზე მცირეა ჩანაცვლებისა და რეაქტიული წარმონაქმნის საშუალო მაჩვენებელი.

როგორც დისპერსიულმა ანალიზმა აჩვენა (ვარიანსას უნივარიანტული ანალიზი, UNIANOVA), უარყოფის რეაქცია სარწმუნოდ დამოკიდებულია რესპონდენტების სქესზე (p=0.048) და პროფესიაზე (p=0.047). აღნიშნული რეაქცია მეტად აქვთ გამოხატული ქალებს, ხოლო პროფესიის მიხედვით კი ექიმებს. სარწმუნოდ კავშირშია სქესთან (p=0.023) და პროფესიასთან (p=0.013) პროექციაც. იგიც მეტად არის გამოხატული ქალებში და ექიმებში.

ამდენად, ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები ნაწილობრივ გამართლდა: გამოვლინდა, რომ სქესს, ასაკსა და სამუშაო გამოცდილებას (სტაჟს) ნამდვილად აქვს გავლენა განსაზღვრული დაცვითი მექანიზმების დომინირებაზე. თუმცა აღნიშნულ კვლევაში პროფესიული სირთულის გავლენა დაცვითი მექანიზმების ფორმებზე არ დადასტურდა. სამივე პროფესიაში საერთო დომინირებადი დაცვითი მექანიზმი მივიღეთ. რაც უფრო ასაკოვანი და სტაჟიანია გამოკითხული, მით უფრო ხშირად მიმართავს პროექციის, უარყოფის და რაციონალიზაციის დაცვით რეაქციებს. სამივე პროფესიის ადამიანებში დომინირებს პროექცია, თუმცა ყველაზე ხშირია იგი სატელეფონო ცენტრის თანამშრომლებში. უარყოფის და პროექციის დაცვითი რეაქციები მეტად ახასიათებთ ქალებს, ვიდრე მამაკაცებს, ხოლო პროფესიის მიხედვით (ორივე ერთად) ექიმებს. რაც უფრო ასაკოვანია გამოკითხული, მით უფრო ნაკლებად იყენებს ჩანაცვლებას. შესაბამისად, რაც უფრო მცირეა სტაჟი, მით უფრო ხშირად მიმართავენ დაცვითი რეაქციის ამ ფორმას (ჩანაცვლებას). რესპონდენტების დომინირებადი დაცვითი მექანიზმებიდან ორი (პროექცია და უარყოფა) პირველად, უმწიფარ რეაქციებს მიეკუთვნება და მხოლოდ ერთი არის მეორადი დაცვითი რეაქცია – რაციონალიზაცია. ერთადერთი დაცვითი რეაქცია, რომლის საშულო მაჩვენებლი მამაკაცებში უფრო მაღალია ვიდრე ქალებში, აღმოჩნდა განდევნა.

და ბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ დაცვითი რეაქციების ჩამოყალიბება ხელს უწყობს სტრესული პროფესიის წარმომადგენლებს წარმატებით გაუმკლავდნენ სტრეს-ფაქტორებს, თუმცა დამცავ რეაქციებში უმწიფარი მექანიზმების დომინირება შეიძლება უარყოფითად აისახოს მათ ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახალაშვილი ნ. ფსიქოლოგიის შესავალი. თბილისი, 2018;
2. Adler A. The Individual Psychology. 1933;
3. American Healthcare Organisation. 2016. 4. Baillie, James. (1993). Recent Work on 4;
4. Personal Identity. Philosophical Books, Vol. 34, No. 4, 193-206;
5. Cloninger, S. C. Theories of Personality: Understanding Persons, 4th ed. Upper Saddle River, New Jersey: Pearson: Prentice Hall; 2004;
6. Cooley, Charles Horton. On Self and Social OrganizationUniversity of Chicago Press.1edition.1998;
7. Cramer, P. Defensiveness and defense mechanisms. Journal of Personality, 66, 1998;
8. Cramer, P. The unconscious status of defense mechanisms. American Psychologist, 55, 2001;
9. Cramer, P. Protecting the self: Defense mechanisms in action. New York, New York: The Guilford Press. 2006;
10. Davidson, K. &MacGregor, M.W. A critical appraisal of self-report defense mechanism measures. Journal of Personality, 66, 1998;
11. Платонов Ю. Социальная психология поведения. Питер., 2006;
12. Фрейджер, Р. Фейдимен Дж. Личность: теории, эксперименты, упражнения. М. 2008.

ნონა ახალაშვილი, ანი კოპალიანი

პიროვნების პროფესია და დაცვითი მექანიზმის სტილი

რეზიუმე

ჩვენ მიერ ჩატარდა კვლევა სახელწოდებით „პროფესია და დაცვითი მექანიზმები“. კვლევისთვის არჩეულ იქნა სამი პროფესია: ექიმის, ფსიქოლოგის და სატელეფონო ცენტრის ოპერატორის.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ზემოთ ხსენებულ პროფესიების წარმომადგენლებში დომინანტური ფსიქოლოგიური დაცვითი მექანიზმის გამოვლენა და მისი კავშირის დადგენა გამოკითხულთა სქესთან, ასაკთან და პროფესიულ გამოცდილებასთან/სტაჟთან მიმართებაში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 150-მა

ცდისპირმა. აქედან 50-ექიმი, 50 – ფსიქოლოგი და 50- ქოლ ცენტრის ოპერატორი გახლდათ. გამოყენებულ იქნა რ. პლუტჩიკის მიერ შედგენილი 92 კითხვიანი დახურული კითხვარი, რომელიც შეიქმნა „მე”-ს დაცვითი მექანიზმების დიაგნოსტირებისთვის და დომინირებადი დაცვითი მექანიზმების გამოსავლენად. მას ხშირად იყენებენ სხვა ქვეყნებში ამა თუ იმ კვლევისთვის. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით კი, საქართველოში არც ეს კითხვარი გამოუყენებიათ და არც მსგავსი კვლევა ჩატარებულა.

კვლევის ჰიპოთეზა იყო ის, რომ კონკრეტულ პროფესიებში, მასში არსებული სირთულეებიდან გამომდინარე, მომუშავეთა სქესი, ასაკი და სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა გავლენას ახდენს კონკრეტული დაცვითი მექანიზმების გამომუშავებასა და დომინირებაზე, რაც კვლევის შედეგებმაც დაადასტურა.

Nona Akhalashvili, Ani Kopaliani

Personality Profession and Folding Mechanism Style

Summary

Investigation of dominant defense mechanisms in stressful professions was conducted in a research "Dominant Defense Mechanisms in Professions". Three professions were selected for the survey: physicians, psychologists and call center operators.

The aim of our research was to identify the dominant psychological self defense mechanisms in mentioned professions and to establish its connection with the sex, age and professional experience of the respondents. A total of 150 persons participated in the study. Among them were 50 physicians, 50 psychologists and 50 call center operators. Special questionnaire compiled by Plutich were used during the survey. It was created to diagnose the self defense mechanisms and to reveal dominant defense mechanisms. According to our information, for the first time such kind of survey have been conducted in Georgia. The hypothesis was: there are some relationships between the choise of defense mechanisms and professions, sex, age and work experience. Our findings support the hypothesis.

ნონა ახალაშვილი, ლიკა შენგელია

ანდროგინია – XXI საუკუნის ნაკლი თუ უპირატესობა

დღეისათვის ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიის შესწავლით დაკავებულნი არიან არა მხოლოდ ფსიქოლოგები, არამედ ფილოსოფოსები, პედაგოგები, სოციოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება „გენდერი“ გახდა ქალისა და მამაკაცის ფუნქციის განმსაზღვრელი სოციალურ და კულტურულ გარემოში. ამჟამად, გენდერული ურთიერთობები განიხილება როგორც მამაკაცებსა და ქალებს შორის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში (მართვის, პოლიტიკურ, ოჯახის და სხვ.) არსებული ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი.

ზოგიერთ შემთხვევაში, რთული გასაგებია, რას ნიშნავს ტერმინი „გენდერი“ და რით განსხვავდება ის „სქესისაგან“, მეტიც, საზოგადოებას ხშირად უჭირს ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

„სქესი“ – ნიშნავს ბიოლოგიურ და ფიზიოლოგიურ მახასიათებელს და განისაზღვრება შემდეგი ტერმინებით – ქალური/მდედრობითი და მამაკაცური/მამრობითი. ეს ბიოლოგიური მახასიათებლები ურთიერთგამომრიცხავი არ არის, რადგან ორივე მახასიათებლის მატარებელი ადამიანებიც არსებობენ, თუმცა, ზოგადად, მდედრობით და მამრობით სქესს ბიოლოგიური მახასიათებლები განასხვავებს. სქესი დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებასთან, ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე.

„გენდერი“ – გამოხატავს სოციალურ როლს, ქცევას, აქტივობას, იმ მოლოდინსა და წესებს, რასაც საზოგადოება მიიჩნევს ქალურად ან მამაკაცურად. გენდერის ცნება პირველად მეცნიერებაში ანთროპოლოგმა გეილ რუბინმა (1975) შემოიტანა და განსაზღვრა, როგორც „შეთანხმებათა კომპლექსი“, რომელიც როგორც საზოგადოებრივი მოღვაწეობის საგანი, არეგულირებს ბიოლოგიურ სქესს. გენდერი სოციალურად და კულტურულად განსაზღვრულია.

გენდერი მნიშვნელოვნად აპირობებს ქალებისა და მამაკაცების ფსიქოლოგიურ თვისებებს, უნარებს, მოღვაწეობის სფეროებს, პროფესიებსა და საქმიანობას, სამართლებრივ და ეთიკურ ნორმებს.

სხვადასხვა სქესის ბავშვები იღებენ სხვადასხვაგვარ გამოცდილებას და აღზრდას, რაც განსაზღვრავს მათი ცხოვრების სტილსა და მიზნებს, ფუნქციებს, როლებს.

გენდერი გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებსა და ქცევებს, რომელთა შეძენა ხდება სოციალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან.

გენდერი მოიცავს სოციალურად ჩამოყალიბებული როლებისა და ურთიერთობების მრავალსახეობას, პიროვნულ ნიშან-თვისებებს, დამოკიდებულებებს, ქცევას, ღირებულებებს, შედარებით ძალაუფლებასა და გავლენას, რომლებსაც საზოგადოება ორი სქესის წარმომადგენლებს სხვადასხვა მიზეზების გამო ანიჭებს. მაშინ, როცა ბიოლოგიურად სქესს გენეტიკური და ანატომიური ნიშან-თვისებები განსაზღვრავს, გენდერი შეძენილი იდენტობაა, რომელსაც ადამიანები სწავლობენ. იგი დროთა განმავლობაში იცვლება და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებში განსხვავებულია. გენდერი დამოკიდებულებითი ფენომენია და გულისხმობს არა უბრალოდ ქალს ან კაცს, არამედ მათ შორის არსებულ ურთიერთობას.

უფრო მარტივად რომ განვმარტოთ: „ქალი“ და „მამაკაცი“ გამოხატავს სქესს, ხოლო „მასკულინური“ (მამაკაცური) და „ფემინური“ (ქალური) – გენდერს. სქესთან დაკავშირებული ასპექტები ერთნაირია ყველა საზოგადოებაში, ხოლო გენდერული ასპექტები განსხვავდება სხვადასხვა საზოგადოების მიხედვით.

ადამიანთა უმრავლესობა, მათი ბიოლოგიური სქესის შესაბამისად, იყოფა ქალად ან მამაკაცად. მე-20 საუკუნემდე ადამიანის სქესი განისაზღვრებოდა მხოლოდ მისი გენიტალიების (სასქესო ორგანოების) მიხედვით, მაგრამ, როდესაც ცნობილი გახდა ქრომოსომებისა და გენების არსებობის შესახებ, სქესის დიფერენცირებისადმი მიდგომა შეიცვალა. უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცს გააჩნია მამაკაცის გენიტალიები, ერთი X და ერთი Y ქრომოსომა, ხოლო ქალს აქვს ქალის გენიტალიები და ორი X ქრომოსომა, თუმცა არიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ კომბინირებული ანუ ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ქრომოსომები, ჰორმონები და გენიტალიები.

გენდერული იდენტობა განისაზღვრება როგორც ინდივიდის მიერ საკუთარი თავის აღქმა და ის ძირითადად ორი ტიპისაა: ქალური ან მამაკაცური (ან იშვიათად, ორივე ან არცერთი). გენდერულ იდენტიფიკაციას ადამიანი თვითონ ახდენს და წარმოადგენს მემკვიდრული და გარემო ფაქტორების კომბინაციას. მეორე მხრივ, გენდერული როლი საზოგადოებაში ვლინდება კონკრეტული გენდერისათვის დამახასიათებელი ქცევით ან გარეგნული ნიშან-თვისებებით. მაგალითად, თუ ინდივიდი მამრობითი სქესისაა და თავს მამაკაცად თვლის, მას აქვს მამაკაცისათვის ტიპური მახასიათებლები: ქცევა, ჩაცმულობა, მანერები, კომუნიკაცია. ანთროპოლოგების, ეთნოგრაფებისა და ისტორიკოსების მიერ განსაზღვრულია „მამაკაცისთვის ტიპური“ და „ქალისთვის ტიპური“ ქცევები და თვისებები, რომლებიც, თავის მხრივ, საკმაოდ პირობითია, ვინაიდან ის, რაც ერთი საზოგადოებისათვის მამაკაცის მახასიათებლად ითვლება, სხვა საზოგადოებაში, შესაძლოა, ქალისთვის იყოს დამახასიათებელი. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობები საზოგადოების შიგნით ყალიბდება და მის ცვლილებებთან ერთად, დროთა განმავლობაში ისიც იცვლება.

გენდერული როლი ხშირად გენდერული იდენტობის გარეგნული გამოვლინებაა, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის. გენდერული იდენტობის ფორმირება საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც ჩასახვისთანავე იწყება. ნაყოფის სქესის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მუცლადყოფნის პერიოდში მდედრობითი და მამრობითი სქესის ნაყოფში განსხვავებული ჰორმონების გამოყოფა. ეს, ალბათ, ძირითადად, განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მდედრობითი სქესი შეესაბამება შესაბამის გენდერს და მამრობითი სქესი – მამრობით გენდერს.

არსებობს მოსაზრება, რომ გენდერული იდენტობის და როლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მშობელს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, შვილის აღზრდისას მისთვის სასურველ გარემოს ქმნის. გენდერული იდენტობის პირველი გამოვლინება 2 წლის ასაკისთვის ხდება. მოგვიანებით, მის ფორმირებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის რელიგიამ, ეთნიკურ-კულტურულმა თავისებურებებმა, სოციალურმა სტატუსმა, პირადმა გამოცდილებამ და ა.შ.

ზოგიერთ ქვეყანაში ტრადიციული გენდერული ნორმების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერული იდენტობის განსაზღვრაში. ადამიანის გენდერული როლი ცხოვრების მანძილზე ყალიბდება და შესაძლოა, შეიცვალოს. მასზე გავლენას ახდენს: განათლება, მენტალობა, კულტურა, ეკონომიკა და ა.შ. გენდერული როლები ძლიერ განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში.

გენდერული იდენტობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გასაგებად, საჭიროა, საზოგადოებას ნათლად ესმოდეს ეს საკითხები. კერძოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის ინფორმირებას, განათლებასა და ცოდნას გენდერული იდენტობის და როლის ფორმირებაში. ხშირად მშობელი ექიმს მიმართავს ახსნა-განმარტებისათვის ბავშვის ან მოზარდის გენდერული იდენტობის დარღვევის გამო. მშობელმა, სასურველია, გაიაზროს, რომ ყველა ინდივიდი ფლობს გენდერულ იდენტობას და მისი შეცნობა ბავშვის ფსიქოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში, საჭირო ხდება სხვადასხვა სპეციალისტთა კონსულტაცია (ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგი/რეპროდუქტოლოგი, ანდროლოგი, ფსიქოლოგი, სექსოლოგი, ზოგიერთ შემთხვევაში ექიმ-გენეტიკოსი).

გენდერული როლები ასიმეტრულია და არათანასწორი. სხვადასხვა საზოგადოებაში ქალსა და მამაკაცს შორის სხვაობა და უთანასწორობა გამოწვეულია მათთვის მინიჭებული უფლებებით, პასუხისმგებლობით, ქმედებებით, რესურსებზე ხელმისაწვდომობით და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობებით. გენდერული როლები წარმოადგენს კონკრეტული საზოგადოების მიერ განსაზღვრული ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმებს, ნორმებსა და ღირებულებებს.

გენდერი ნეიტრალური თემაა და არ გულისხმობს კარგს და ცუდს, არამედ წარმოადგენს სოციალური პროცესების გაგების და კლასიფიკაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. დღესდღეობით მცირეა ანდროგინიის პრობლემატიკით დაინტერესება და კვლევები.

ცნება ანდროგინია შემოიტანა ამერიკელმა ფსიქოლოგმა სანდრა ბემმა იმ ადამიანთა აღსანიშნავად, რომელთა პიროვნებაში წარმატებით არის შერწყმული როგორც ტრადიციული მამაკაცური, ასევე ტრადიციული ქალური თვისებები, რაც იგივეა ინდივიდში მასკულინური და ფემინური მახასიათებლების არსებობა. თანამედროვე პერიოდში სიტყვა ანდროგინია, ძირითადად ს. ბემის შრომების წყალობით, აღწერს უფრო ფსიქოსოციალურს, ვიდრე ფიზიოლოგიურ/ანატომიურ მახასიათებლებს.

ანდროგინიის მაგალითები – ქალი, ათლეტური აღნაგობის და უყვარს ბავშვები; მამაკაცი – გულჩვილი და გულკეთილი, ამავდროულად, განვითარებული აქვს ლოგიკური აზროვნება.

ანდროგინულად ითვლებიან ის ადამიანები, რომელთაც მაღალი მაჩვენებლები აქვთ როგორც ფემინურობის, ასევე მასკულინურობის მიხედვით. ეს მათ საშუალებას აძლევს ნაკლებ მკაცრად მიუდგნენ სქესობრივ-როლურ ნორმებს და თავისუფლად გადავიდნენ ტრადიციული ქალური საქმიანობიდან მამაკაცურზე.

სანდრა ბემმა ჩაატარა კვლევების სერია, სადაც აჩვენა, რომ ორივე სქესის ანდროგინული ინდივიდები ავლენენ „მასკულინურ“ დამოუკიდებლობას, როდესაც მასზე ზეწოლა ხდება და „ფემინურ“ მზრუნველობას, როცა კატის კნუტებთან თამაშობენ. ანდროგინულ ინდივიდებს შეეძლოთ გამოეხატათ როგორც ფემინური, ისე მასკულინური ნიშან-თვისებები დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი რეაქცია შეესაბამებოდა სიტუაციას. ეს შედეგები მეტყველებდა იმაზე, რომ ანდროგინია ადამიანს აძლევს მოქმედების მეტ თავისუფლებას. ბემმა გააკეთა დასკვნა, რომ ფსიქოლოგიური ანდროგინულობა წარმოადგენს მასკულინური და ფემინური მახასიათებლების მაღალი მაჩვენებლების მრავალგანზომილებიან ინტეგრაციას, რაც ადამიანს სოციუმში წარმატებით ადაპტაციის საშუალებას აძლევს. ის, ასევე, ხელს უწყობს პიროვნების ფუნქციონირებასა და განვითარებაში შედარებით მაღალი დონის მიღწევას. ყოველივე აღნიშნული ინდივიდის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მახასიათებელია, რომელიც განაპირობებს ადამიანის უნარს, ვითარებიდან გამომდინარე, შეცვალოს საკუთარი ქცევა.

სანდრა ბემმა იმ შეხედულების საპირისპიროდ, რომ უკეთესი ადაპტირებისათვის ქალებსა და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ ტრადიციულად დადგენილი სქესისათვის შესაფერისი თვისებები, აჩვენა სწორედ ასეთი ინდივიდების სოციალური ადაპტაციის ნაკლებუნარიანობა. ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ყველაზე კარგად მომზადებული ის ანდროგინული ტიპია, რომელიც ორივე სქესის ნიშან-თვისებებს ფლობს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური ანდროგინიის ცნება ეხება არა პიროვნების სომატურ თავისებურებებს, არამედ მხოლოდ მის ქცევასა და განწყობებს. ასევე, ანდროგინია ხელს უწყობს სტრესისადმი მდგრადობის ფორმირებას, საქმიანობის სხვადასხვა სფეროში წარმატების მიღწევას. ფსიქოლოგიური სქესის პრობლემატიკასთან დაკავშირებული კვლევების განვითარება, ისეთი ცნებების შემუშავება, როგორიცაა „სქესის სქემა“, „ინდივიდისთვის სქესობრივი იდენტობის მნიშვნელობა“, მიმართულია არამხოლოდ მასკულინობისა და ფემინურობის, არამედ ანდროგინიის ჩამოყალიბების შესაძლო გზების ძიებაზე.

რეალურ ცხოვრებაში სოციალური ნორმები და სოციალიზაცია არ ქმნის უკიდურეს მამაცურ მამაკაცებსა და უკიდურესად ქალურ ქალებს. ფსიქოლოგმა სანდრა ბემმა 1974 წელს მიუთითა, რომ მამაკაცურობა და ქალურობა ერთმანეთს კი არ უპირისპირდება, არამედ ადამიანი, შესაძლოა, ფლობდეს ერთდროულად როგორც მამაკაცურ, ასევე, ქალურ თვისებებს. უფრო მეტიც, ბემი თვლის, რომ სასურველიც კია ანდროგინულად ყოფნა ანუ როდესაც პიროვნება ფლობს ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებიდან საუკეთესოს.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე ქალებში „მასკულინური“ და მამაკაცებში „ფემინური“ ნიშან-თვისებების გამოვლენა ფსიქოლოგებისათვის შეშფოთების წყაროს წარმოადგენდა. ფსიქოლოგიისგან შორს მყოფ ადამიანებში ასეთი გაგება დღესაც ფართოდ გავრცელებულია და სწორედ ამიტომ ისინი იბნევიან, როდესაც მათი შვილები გამოხატავენ საპირისპირო სქესისათვის დამახასიათებელ ინტერესებსა და ქცევას.

„ფსიქოლოგიური ანდროგინიის“ თეორია ამტკიცებს, რომ შედარებით ადაპტაციურები და პროდუქტულები ის ინდივიდები არიან, რომლებიც ფლობენ ორივე (მასკულინურობის და ფემინურობის) პოტენციალს და, ამასთანავე, ინარჩუნებენ სქესობრივ იდენტურობას.

ბემის თანახმად, სულიერ ჯანმრთელობას არ უნდა ჰქონდეს გენდერი, ხოლო ანდროგინია დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. კვლევების შედეგად აღმოჩენილი იქნა კავშირი ანდროგინიასა და სიტუაციურ მოქნილობას შორის (ანუ სიტუაციური მოქნილობა ითვალისწინებს პიროვნების უნარს, იყოს ჯიუტი, დაუინებული თუ ცენტრირებული სხვათა ინტერესებზე, სიტუაციიდან გამომდინარე), ასევე, ანდროგინია უკავშირდება ამაღლებულ თვითპატივისცემას, მიღწევისადმი მოტივაციას, მშობლის როლის კარგად შესრულებას, კეთილდღეობის სუბიექტურ შეგრძნებას. ამ მონაცემებს შეიძლება დაემატოს ფსიქოლოგების მიერ 1988 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგები, სადაც აღმოჩნდა, რომ იმ ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი იყო ანდროგინული, ვლინდება ქორწინებით

კმაყოფილების გაცილებით მაღალი დონე, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ერთი მეუღლე ან ორივე არ იყო ანდროგინული ანუ ტიპური სქესის წარმომადგენლები იყვნენ. 1993 წელს აიქსმა ჩაატარა კვლევების სერია. მიღებული შედეგები მიუთითებენ, რომ ურთიერთობა, სადაც ერთ-ერთი პარტნიორი მაინც ანდროგინულია, უფრო მეტად აკმაყოფილებს ორივეს. თუმცა იგივე მკვლევრის მიერ შედარებით გვიან ჩატარებულმა სხვა კვლევამ აჩვენა, რომ ქორწინებით კმაყოფილების ხარისხი დამოკიდებულია ერთ-ერთი მეუღლის ქალურ თვისებებზე. ეს იმით აიხსნება, რომ მზრუნველობა, დამთმობლობა, ერთგულება, საიმედოობა, სხვების გაგება, თანაგრძნობის უნარი (ემპათიურობა), სინაზე, სხვისი დამშვიდების უნარი, ბავშვების სიყვარული, გულშემატკივრობა, სიბრალული, სირბილე, მიმნდობლობა იდენტიფიცირდება ქალის როლთან, საერთოდ, ქალთან. ამავე დროს სწორედ ეს თვისებები განსაზღვრავენ პიროვნებათშორისი ურთიერთობების სიმტკიცეს.

სანდრა ბემის სქესობრივ-როლური კითხვარი (რომელიც ავტორმა 1974 წელს შეიმუშავა) წარმოადგენს შედარებით ფართოდ გამოყენებად ინსტრუმენტს იმის გასაზომად, თუ როგორ აფასებს საკუთარ თავს მოზრდილი ადამიანი გენდერის თვალსაზრისით. კითხვარი შედგება 60 ზედსართავისგან. მათგან 20 შეადგენს მამაკაცურობის სკალას, 20 – ქალურობის სკალას; დარჩენილი 20 – ნეიტრალურია. ზედსართავები არჩეული იყო გამომდინარე იქიდან, თუ როგორი მახასიათებლები ითვლებოდა გენდერთან შესატყვისი იმ დროისთვის, როდესაც ეს სკალა იქმნებოდა. ბემის თანახმად, ეს გაკეთდა იმისთვის, რათა განესაზღვრათ გენდერის ადგილი კულტურულ კონტექსტში და არა ცალკეული ადამიანის პიროვნებაში. ადამიანი, რომელიც აგროვებს მაღალ ქულებს როგორც ქალურობის, ისე მამაკაცურობის სკალაზე, ითვლება ანდროგინულად. ამ კითხვარის გამოყენებით მრავალი კვლევა ჩატარდა დაწყებული XX ს-ის 80-იანი წლებიდან. აღმოჩნდა, რომ აფროამერიკელები და პუერტო-რიკოელები, როგორც მამაკაცები, ასევე ქალები შედარებით უფრო ანდროგინულები არიან, ვიდრე ევროამერიკელები. სხვა კვლევამაც დაადასტურა, რომ აფროამერიკელი ქალბატონები უფრო მაღალ ქულას იღებენ ანდროგინიის სკალაზე, ვიდრე ევროამერიკელები. ეს შეიძლება აიხსნას ისტორიოულად შექმნილი უმუშევრობის მაღალი დონით შავკანიანთა შორის, შრომის დაბალი ანაზღაურებით, რის შედეგადაც განსაკუთრებით შავკანიანმა ქალებმა შრომის ბაზარზე შედარებით მყარი პოზიციები დაიკავეს თეთრკანიან ქალბატონებ-თან შედარებით. აფროამერიკელ ქალთა ისტორიულმა გამოცდილებამ ისინი მიიყვანა იქამდე, რომ მათი წარმოდგენა ქალურობაზე მოიცავდა საკუთარ თავში თავდაჯერებულობას, ფიზიკურ ძალას, დამოუკიდებლობას, საზრიანობას. 1983 წელს ამერიკის კოლეჯებში ჩატარდა გამოკვლევა, სადაც მამაკაცურობის სკალაზე შედარებით მაღალი ქულები მიიღეს შავკანიანმა სტუდენტ-გოგონებმა, შემდგომ მათ მოსდევდნენ ლათინოამერიკელები, ბოლოს კი თეთრკანიანი გოგონები.

პედაგოგიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტი დიდი ინტერესით აღი-ქვამს ფსიქოლოგიის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიის საკითხებს, რაც უკავშირდება იმას, რომ ჭაბუკობის ასაკისათვის არსებითია თვითშემეცნებისადმი სწრაფვა და საპირისპირო სქესთან ურთიერთობების დამყარება.

სანდრა ბემის კითხვარის გამოყენებით ჩავატარეთ გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 226 სტუდენტი გოგონა (I, II, III კურსი). სპეციალობები არ გვქონდა მკაცრად შერჩეული. კვლევაში მონაწილეობდა თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, სამართლის, ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 17-დან 22 წლამდე ასაკის სტუდენტი. ცდისპირებს ეძლეოდათ პიროვნული ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი 60 ჩამონათვალი, რომელშიც ნათლად გამოხატულია მასკულინობის, ფემინურობისა თუ ანდროგინიის არსებობა. მათ მოეთხოვებოდათ მიეთითებინათ მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, არსებითი იყო.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ გოგონათა 93% ანდროგინულია, მხოლოდ 6% აღმოჩნდა წმინდა ფემინური.

კვლევა გაგრძელდება. სამომავლოდ დაგეგმილია მამაკაცების გამოკითხვა, რაც განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია.

გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ანდროგინია – ინდივიდის მნიშვნელოვანი ფსიქოლო-გიური მახასიათებელია. იგი განსაზღვრავს პიროვნების უნარს, სიტუაციიდან გამომდინარე, ცვალოს

საკუთარი ქცევა. ანდროგინია ხელს უწყობს სტრესისადმი გამძლეობას, ეხმარება საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანებს წარმატების მიღწევაში.

გამომდინარე აქედან, გენდერული პრობლემატიკის განვითარების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის ისეთი არჩევითი კურსის მომზადება და შეთავაზება, როგორიცაა „შესავალი გენდერის ფსიქოლოგიაში“. გენდერულ პრობლემებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, ამ საკითხებთან დაკავშირებით სწავლების პროცესში სტუდენტების თვითცნობიერების დონის ამაღლება ხელს შეუწყობს ორივე სქესის წარმომადგენელთა ურთიერთობების გაუმჯობესებას და გარესამყაროს აღქმას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. დალი გ., მილსი რ. რეკლამა მარტივად. თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2017;
2. პორტნი ს.ი. პროექტის მართვა მარტივად. თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2016;
3. თანამედროვე ორგანიზაციების მართვა. თბილისი, გამომცემლობა პალიტრა L, 2012;
4. წერეთელი მ. გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი. თბილისი, 2006;
5. Адаир Дж. Искусство управлять людьми и самим собой. М., 2006;
6. Бурн Ш. Гендерная психология. М., 2007;
7. Бендас Т. Гендерная психология. М., С-Пб., 2006;
8. Гендерная психология. Под ред. Клециной И. 2-е изд. С-Пб., 2009;
9. Петрова Р. Гендерология и феминология. 5-е изд. М., 2010;
10. Гонтарь Ю. Андрогиния как современное направление развития гендерного исследования студентов факультета социально-культурной деятельности МГУКИ. 2012.

ნონა ახალაშვილი, ლიკა შენგელია

ანდროგინია – XXI საუკუნის ნაკლი თუ უპირატესობა

რეზიუმე

პედაგოგიური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ნებისმიერი სპეციალობის სტუდენტები დიდი ინტერესით აღიქვამენ ფსიქოლოგიის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ ინფორმაციას; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიის საკითხებს, რაც უკავშირდება იმას, რომ ჭაბუკობის ასაკისათვის არსებითია თვითშემეცნებისადმი სწრაფვა და საპირისპირო სქესთან ურთიერთობების დამყარება.

სანდრა ბემის კითხვარის გამოყენებით ჩავატარეთ გამოკვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 226 სტუდენტი გოგონა (I, II, III კურსის სტუდენტები). სპეციალობები არ გვქონდა მკაცრად შერჩეული. კვლევაში მონაწილეობდა თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის, სამართლის, ბიზნესისა და მართვის სპეციალობის 17-დან 22 წლამდე ასაკის სტუდენტი. ცდისპირებს ეძლეოდათ პიროვნული ნიშან-თვისებების აღმნიშვნელი 60 ჩამონათვალი, რომელშიც ნათლად გამოხატულია მასკულინობის, ფემინურობისა თუ ანდროგინიის არსებობა. მათ მოეთხოვებოდათ მიეთითებინათ მხოლოდ ის თვისებები, რომლებიც, მათი აზრით, არსებითი იყო.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ გოგონათა 93% ანდროგინულია, მხოლოდ 6% აღმოჩნდა წმინდა ფემინური.

კვლევა გაგრძელდება. სამომავლოდ დაგეგმილია მამაკაცების გამოკითხვა, რაც განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია.

Nona Akhalashvili, Lika Shengelia

Androgyny – the disadvantage or advantage of the 21st century

Summary

Pedagogical practice shows that students of any specialty take a keen interest in information related to various aspects of psychology; Particular attention is paid to the psychology of men and women, related to the fact that for adolescence it is essential to strive for self-knowledge and to establish relationships with the opposite sex.

We conducted a survey using the Sandra Bem questionnaire with 226 female students (I, II, III year students). The specialties we had were not strictly selected. Students from 17 to 22 years of specialty in psychology, law, business and management at several Tbilisi universities participated in the study. The temptations were 60 lists of personality traits that clearly indicate masculinity, femininity or androgyny. They were required to indicate only those properties which they thought were essential.

Surprisingly though, analysis of the results showed that 93% of girls were androgynous, only 6% were purely feminine.

The research will continue. It is planned to interview men in the future, which we find particularly interesting.

მაკო გაგნიძე

აუტიზმის სპექტრის აშლილობა

ჩვენ რეალობაში უკვე არც თუ ისე იშვიათად ჟღერს სიტყვა,,აუტიზმი“ და დიაგნოზი -,,აუტიზმის სპექტრის აშლილობა“. ის არა მხოლოდ ჟღერს, არამედ სტატისტიკის მიხედვით მკვეთრად მზარდიც კია. კომპეტენტური სპეციალისტების მიერ ისმება აღნიშნული დიაგნოზი, ხდება პრევენცია, რეაბილიტაცია, იმართება კონფერენციები, ტარდება ტრენინგები. ამ სფეროში ჩართული ადამიანები ყველანაირად ცდილობენ, გაზარდონ აუტიზმის ცნობადობა, აქტიურად აღინიშნება 2 აპრილი – აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, ხშირად საზოგადოების ინფორმირებულობა დიაგნოზისა და თემის შესახებ ბუნდოვანი და მწირია ან მასზე შთაბეჭდილება საზოგადოებაში არსებულ მითებზე დაყრდნობით იქმნება.

აუტიზმი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა, რომელსაც ახასიათებს პრობლემები სოციალურ ინტერაქციასა და სოციალურ კომუნიკაციაში, ასევე, ქცევითი დარღვევები და ინტერესების სფეროს შეზღუდული რეპერტუარი, ხშირია კომორბიდული გონებრივი განვითარებისა და ენობრივი შეფერხება. დღეს სულ უფრო ხშირად საუბრობენ აუტიზმის წარმოშობაზე, როგორც მემკვიდრული წინასწარგანწყობისა და რისკფატორების ურთიერთქმედების შედეგზე.

აუტიზმის სპექტრის აშლილობა, პირველად, 1943 წელს აღწერა ავსტრიული წარმოშობის ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა, ლეო კანერმა და „აუტიზმი“ უწოდა, თუმცა ტერმინი,,აუტისტური აზროვნება“ მანამდეც არსებოდა: შვეიცარიელმა ფსიქიატრმა, პოლ ბლეილერმა ამგვარი აზროვნება გამოიყენა ისეთი აზროვნების აღსაწერად, რომელიც ობიექტური რეალობის შემეცნებისკენ კი არ არის მიმართული, არამედ ინდივიდის შინაგანი სამყაროსაკენ, საკუთარი მოთხოვნილებებისა და ოცნებებისკენ.

ლეო კანერმა 2-დან 10 წლამდე ასაკის ერთმანეთის მსგავსი უცნაური ქცევის მქონე თერთმეტი ბავშვი შეისწავლა – 3 გოგონა და 8 ბიჭი, რომლებსაც ენობრივი უნარები არათანაბრად ჰქონდათ განვითარებული. გარემოსთან საერთოდ არ ურთიერთობდნენ ან ურთიერთობდნენ სპეციფიკურად, უჭირდათ სოციალური ურთიერთობები, ჰქონდათ უჩვეულოდ შეზღუდული ინტერესები. კანერი მათ უკიდურესად მარტოსულ ინდივიდებად ახასიათებდა. აუტიზმის სიმპტომების მქონე ბავშვებს შიზოფრენიის დიაგნოზსაც კი უსვამდნენ. აუტიზმის სპექტრის აშლილობის აღმოჩენის შემდეგ ფსიქიატრებმა, მაიკლ რატერმა და ლორნა ვინგმა, ბავშვთა შიზოფრენიის მქონე ყველა პაციენტი, რომელიც მათთან 60-70-იან წლებში მკურნალობდნენ, ახალი კრიტერიუმების გათვალისწინებით ხელახლა შეაფასეს. ნაწილმა აუტიზმის სპექტრის აშლილობის კრიტერიუმები დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ ლორა ვინგის გოგონას, სუზის აუტიზმის სპექტრის აშლილობა ჰქონდა, ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვინგის ინტერესი და დიდი წვლილი აუტიზმის სპექტრის აშლილობათა შესწავლაში.

აღნიშნული მდგომარეობის თანდათან და უკეთესად შესწავლის შემდეგ, გაჩნდა დიაგნოსტიკის ახალი კრიტერიუმები, გაიზარდა ცნობადობა. 1980 წელს აშშ-ის ფსიქიკურ აშლილობათა დიაგნოსტიკის სახელმძღვანელოში DSM –III -ში აუტიზმი და პერვაზიული აშლილობები ბავშვთა შიზოფრენიისაგან გამოაცალკევეს და მათთვის განსხვავებული დიაგნოსტიკური კრიტერიუმები ჩამოაყალიბეს.

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. პირველად აუტიზმს ლეო კანერმა ადრეული ბავშვობის აუტიზმი უწოდა. იგი გამოყოფდა აუტიზმისთვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშნებს:

- სოციალური ურთიერთობის დამყარების უუნარობა;
- კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების შეუძლებლობა;
- ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა;
- საგნებით გატაცება.

ამ მახასიათებლების გამომჟღავნება ხდება დაბადებიდან 30 თვის ასაკამდე.

აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მას მთელი ცხოვრების მანძილზე (მეტ-ნაკლებად გამოხატულობის თვალსაზრისით). ეფექტურად გახორციელებული თერაპიის შემთხვევაში (საუბარია მაღალფუნქციური აუტიზმის სპექტრის აშლილობაზე), შესაძლოა, დიაგნოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა პროფესიონალის გარდა ვერავინ შენიშნოს (თუმცა თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია). საყურადღებოა, რომ შემთხვევათა 20%-ში მშობლები აღნიშნავენ ნორმალურ განვითარებას პირველი ორი წლის განმავლობაში. გამოვლინების ხარისხის მიხედვით, აუტიზმი მრავალფეროვანია. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს გარემოსთან კონტაქტის, თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობის დამყარების შეუძლებლობა, ინტერესების, ემოციის გაზიარების შეუძლებლობა, განმეორებადი უჩვეულო თვითდამაზიანებელი და აგრესიული ქცევა, შიშები. ყველაზე სუსტი ფორმა ჰგავს პიროვნულ აშლილობას, დასწავლის უნარის დარღვევას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადად, ბავშვთა აუტიზმი 12 თვიდან ვლინდება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ეს არის 18 თვე ან 2 წელი. ბავშვთა აუტიზმი აუცილებლად იწყება 3 წლამდე, 3 წლის შემდეგ შენიშნული სიმპტომები უკვე მიუთითებს ატიპურ აუტიზმზე ან დეზინტეგრაციული ტიპის აშლილობაზე ან აუტიზმის სპექტრის აშლილობების სხვა დიაგნოზზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად მსგავსი სიმპტომატიკისა, აღნიშნული მდგომარეობა ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალურობით. იცნობდე ერთ, ორ ან ათ ბავშვს „აუტიზმის სპექტრის აშლილობით“, არ ნიშნავს ზოგადი წარმოდგენის შექმნასა და დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აღნიშნულ თემაზე.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის რისკფაქტორები

რაც შეეხება მტკიცებულებებს აუტიზმის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, ძირითადი საკითხები, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს აინტერესებს, პრაქტიკულად კვლევის პროცესშია, თუმცა შედარებით და-დასტურებული რისკ-ფაქტორების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სხვადასხვა წამყვანი ქვეყ-ნის გაიდლაინებში. მაგ. NICE (The National institute for Health and Carew Excellence) გაიდლაინში თავმოყრილია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

1. და ან ძმა აუტიზმის სპექტრის აშლილობით;
2. დედის 40 წელზე მეტი ასაკი ბავშვის დაბადებისას;
3. მამის 40-49 წლის ასაკი ბავშვის დაბადებისას;
4. ახალშობილის წონა 2500 გრამზე ნაკლები;
5. 35 კვირაზე ნაკლები გესტაციის ახალშობილი;
6. ახალშობილთა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მკურნალობის საჭიროება;
7. ცნს-ის თანდაყოლილი მანკები და/ან დისფუნქცია;
8. მამრობითი სქესი;
9. 20 კვირაზე ადრე ნაყოფის მოშლის საშიშროება;
10. დედის ორსულობის პერიოდში გარკვეული მედიკამენტების გამოყენება;
11. ქალაქში ცხოვრება;
12. ემიგრაციაში მყოფი დედა.

ამრიგად, აუტიზმის სპექტრის აშლილობა, ფაქტობრივად, შესაძლოა წარმოადგენდეს რამდენიმე „მიზეზის“ შედეგს. ბავშვის გარშემო არსებული ფსიქოლოგიური გარემოს ფაქტორები აუტიზმის მიზეზად ვერ ჩაითვლება. დღესდღეობით აუტიზმის სპექტრის აშლილობაზე საუბრობენ, როგორც განპირობებულს მემკვიდრული წინასწარ განწყობისგან, ასევე, როგორც გარემო ფაქტორების ერთობლიობისგან, თუმცა კონკრეტულად რომელ ფაქტორზეა საუბარი, მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზეა.



აუტიზმის სპექტრის აშლილობის სტატისტიკა

ჩვენ დროში, მსოფლიოში, აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზის სტატისტიკა ერთობ მზარდია. აშშ-ს დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის 2018 წლის კვლევის მონაცემებით დადგინდა, რომ 59 ბავშვიდან 1-ს აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი. თვალი გადავავლოთ აუტიზმის სტატისტიკას 1970 წლიდან მოყოლებული დღემდე.

მსოფლიო სტატისტიკით, 54 ბიჭში, ერთს აღენიშნება აუტიზმის სპექტრის აშლილობის დიაგნოზი. არ არსებობს ცალსახა პასუხი იმაზე, თუ რატომ ბიჭები უფრო ხშირად? თუმცა ფაქტია, რომ აუტიზმი ბიჭებში 5-ჯერ უფრო ხშირად გვხვდება.

პირველი პილოტური კვლევა საქართველოში აუტიზმის სპექტრის აშლილობის ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებით, ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციამ 2007-08 წლებში განახორციელა. კვლევის შედეგად, პირობითად, თბილისის სამ უბანში გამოვლინდა, რომ 115 ბავშვში ერთს ჰქონდა აუტიზმის სპექტრის აშლილობა. 2013 წლისთვის კი, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებით, უკვე 88 ბავშვიდან ერთს ჰქონდათ ეს დიაგნოზი. აღნიშნული მონაცემი აშლილობის სიხშირიანობის ზრდის სავალალო სტატისტიკაზე მიანიშნებს. ამ დროისათვის, საქართველოში, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ არსებობს სტატისტიკა აუტიზმის სპექტრის მქონეთა შესახებ. თუმცა, სავარაუდოდ, მათი რაოდენობა 7 ათასს აჭარბებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება.

სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები

აუტიზმის დიაგნოსტიკა ხდება დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების საფუძველზე. აუტიზმის დიაგნოზისთვის აუცილებელია, რომ არსებული პრობლემები გავლენას ახდენდეს პირის ადაპტურ ფუნქციონირებაზე. დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICD-10) მიხედვით აუტიზმი მიეკუთვნება განვითარების ზოგად (პერვაზიულ) აშლილობათა ჯგუფს (კოდით F84.0), რომლის სადიაგნოსტიკო კრიტერიუმი ასოციალური ურთიერთობებისა და საქმიანობის თვისებრივი ანომალია, ასევე, ინტერესების სფეროსა და საქმიანობის შეზღუდული, სტერეოტიპული გამეორებები. აღნიშნული 8 თვისებრივი ანომალია არის ნებისმიერი სიტუაციისთვის ზოგად პიროვნული მახასიათებელი. აუტიზმის სპექტრის აშლილობებს მიეკუთვნება 4 დიაგნოსტიკური კატეგორია: ბავშვთა აუტიზმი, ატიპური აუტიზმი, ასპერგერის სინდრომი და განვითარების ზოგადი აშლილობა, დაუზუსტებელი (ICD-10-ის მიხედვით).

რეაბილიტაცია ABA თერაპია

კვლევების მიხედვით, ABA თერაპია არის ყველაზე ეფექტური მიდგომა აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისათვის. ამერიკელი მეცნიერის **ივაარ ლოვაასის** მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ABA თერაპიის ეფექტურობა დამოკიდებულია მის ინტენსივობასა და იმაზე თუ რა ასაკიდან იწყება თერაპია. ლოვაასის კვლევაში მონაწილე ბავშვები საშუალოდ 34 თვის ასაკიდან ჩაერთვნენ ინტენსიურ ABA თერაპიაში, რომელიც გულისხმობდა კვირაში 40 საათიან თერაპიას და

მოიცავდა სხვადასხვა გარემოს: სახლს, სკოლასა თუ კლინიკას. კვლევაში ჩართული ბავშვების შედეგები შეადარეს იმ ბავშვების შედეგებს, რომლებიც არ იყვნენ ჩართული ინტენსიურ თერაპიაში. აღმოჩნდა, რომ ბავშვებმა, რომლებიც იღებდნენ ინტენსიურ ABA თერაპიას, აჩვენეს ბევრად უკეთესი შედეგები. წლების შემდეგ, როცა ლოვაასმა თავიდან შეაფასა მის კვლევაში მონაწილე ბავშვები, აღმოჩნდა, რომ მათ მოზრდილობაშიც შეინარჩუნეს მიღებული შედეგები და შეძლეს დამოუკიდებლად ფუნქციონირება.

ABA თერაპიის უპირატესობა სხვა სახის თერაპიასთან შედარებით მდგომარეობს იმაში, რომ ის მიმართულია იმ უნარების დასწავლაზე, რის დეფიციტსაც აუტიზმის მქონე ბავშვები განიცდიან. ყველაზე მწვავე დეფიციტი, რომელსაც აუტიზმის მქონე ბავშვი განიცდის, არის კომუნიკაციის სირთულეები. აუტიზმის მქონე ბავშვები (არა ყველა) არ მეტყველებენ ან არ იყენებენ მეტყველებას კომუნიკაციის დამყარების მიზნით, რაც აფერხებს მათ ურთიერთობას გარშემომყოფებთან. ქცევის გამოყენებითი ანალიზის სფეროში ჩატარებული კვლევები გვთავაზობენ ვერბალური (მეტყველების) ქცევითი მიდგომის გამოყენებას მეტყველების განვითარებისთვის, რაც გულისხმობს ბავშვისთვის ბაზისური სამეტყველო უნარების (ვერბალური ოპერანტების) დასწავლას. მენდი (Mand) არის ერთ-ერთი ბაზისური უნარი, რომლის დასწავლითაც იწყება მეტყველების განვითარების პროგრამა. პირველ ეტაპზე ბავშვი სწავლობს, სიტყვიერად მოითხოვოს სასურველი ნივთი. მაგ: თუ ბავშვს ძალიან უყვარს ბურთით თამაში, მისთვის ბურთი ხელმისაწვდომი გახდება, მხოლოდ მას შემდეგ, როცა ის სიტყვიერად მოითხოვს ბურთს. ბურთის თქმის ნებისმიერი მცდელობა, თუნდაც მხოლოდ „ბ“ უნდა დაბოლოვდეს ბავშვისთვის ბურთის მიცემითა და შექებით. შემდეგი ეტაპი მეტყველების განვითარების პროგრამაში არის ტაქტი (Tact), რაც გულისხმობს საგნების, სურათებისა თუ ნივთების დასახელებას, ამ დროს ეფექტურად გამოიყენება ბარათები, რომლებზეც გამოსახულია ბავშვის საყვარელი ნივთები. მას შემდეგ, როცა ბავშვის სამეტყველო რეპერტუარი გაიზრდება 12 სიტყვამდე, ბავშვს შეიძლება ვასწავლოთ სასურველი ნივთების ორ სიტყვიანი წინადადებებით მოთხოვნა. წინადადებებში სიტყვების რაოდენობა იზრდება ბავშვის უნარების შესაბამისად.

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე და ტიპური განვითარების ბავშვებისადმი მშობელთა დამოკიდებულებებში განსხვავებულობის კვლევა

კვლევის მიზანი იყო აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე და ტიპური განვითარების ბავშვებისადმი მშობელთა დამოკიდებულებებში განსხვავებულობის დადგენა, სადაც ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა დამოკიდებულებათა სამი ჯგუფი: 1. ოპტიმალური ემოციური კონტაქტი; 2. ზედმეტი ემოციური დისტანცია; 3. გადაჭარბებული კონცენტრაცია ბავშვის მიმართ (ჰიპერმზრუნველობა). კვლევის შედეგად, ოპტიმალური ემოციური კონტაქტის განსაზღვრისას, გამოიკვეთა მკვეთრი განსხვავებულობა; აღმოჩნდა, რომ საშუალო ოპტიმალურ ემოციურ კონტაქტს, ტიპური განვითარების ბავშვთა მშობელთა პროცენტულად ნაკლები რაოდენობა ახორციელებს. რაც შეეხება აუტიზმის სპექტრის მქონე მშობლების საშუალო ოპტიმალურ ემოციურ კონტაქტს, მათი პროცენტული რაოდენობა, ტიპური განვითარების ბავშვთა მშობლებთან შედარებით მეტია. თუმცა, მაღალ ოპტიმალურ ემოციურ კონტაქტში პირიქითაა. ტიპური განვითარების ბავშვთა მშობლები ახერხებენ მაღალი ოპტიმალური ემოციური კონტაქტის დამყარებას მეტად, ვიდრე აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა მშობლები. ზედმეტი ემოციური დისტანცია, კი ტიპური განვითარების ბავშვების მშობლებთან ნაკლებია, ვიდრე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვების მშობლებთან. ამასთან, ტიპური განვითარების ბავშვთა მშობლებთან, მაღალი დისტანცია საერთოდ არ ვლინდება, როცა სპექტრის დროს გამოვლინდა მაღალი ემოციური დისტანციის მაჩვენებელიც 6.3%. შესაბამისად, მოცემული შედეგებით დადგინდა, რომ აუტიზმის სპექტრის მქონე მშობლებს უფრო ხშირად აქვთ ზედმეტი ემოციური დისტანციის პრობლემა, ვიდრე ტიპური განვითარების ბავშვთა მშობლებს.

რაც შეეხება გადაჭარბებულ კონცენტრაციას (ჰიპერმზრუნველობას), საშუალო მაჩვენებელი ტიპური განვითარების ბავშვების მშობლებთან მეტია, თუმცა მაღალი მაჩვენებლით ჰიპერაქტივობის გამოხატვა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშთა მშობლებთან გამოიკვეთა.

მაშასადამე, სამ სფეროში, რომლებიც ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი გახლდათ დამოკიდებულებათა განსხვავებულობა გამოიხატა, რაც, მნიშვნელოვნი და გასათვალისწინებელია. კვლევის შედეგები, ასევე, დაგვეხმარება მშობელთა უკეთესად ინფორმირებასა და რეკომენდირებაში. თერაპევტის და მშობელთა მხრიდან მნიშვნელოვანია ქცევის მართვის სტრატეგიების სწორად გამოყენება და ქვემოთ აღნიშნულ სფეროებზე მუშაობა, ეს სფეროებია:

1. თხრობითი და დიალოგური მეტყველების განვითარება;
2. კომუნიკაცია, დიალოგის გაგება და წარმოება;
3. ნატიფი მოტორიკის განვითარება;
4. ერთობლივი თამაში და რიგის დაცვა;
5. ფუნქციური თამაში;
6. მეტყველების სტიმულირება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბერკი ლ. ბავშვის განვითარება. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2010;
2. შავერნე ო., ბელასენი მ.,,აუტისტი ბავშვი“ ;
3. Роберт Шрам. Детский аутизм и АВА. (Applied Behavior Analisis);
4. Autism Spectrum Disorders: Identification, Education, and Treatmen By Dianne Zager. 2005;
5. Рон Лиф, Джон Макекен. Идёт работа. Стратегии работы с поведением. Учебный план интенсивной поведенческой терапии при аутизме.” ;
6. Ellen Notbohm.,,Ten Things Every Child with Autism Wishes You Knew” ;
7. Крис Уилямс, Бари Райт.,,Какие стратегии являются полезными в борьбе с расстройствами аутистического спектра” (16-22 ст);
8. Стенли Гринспер.,,На ты с аутизмам”. Использование методик Floortime для развития отношений обшения и мышления.

მაკო გაგნიძე

აუტიზმის სპექტრის აშლილობა

რეზიუმე

აუტიზმის სპექტრის აშლილობის აქტუალობა და სტატისტიკა ყოველდღიურად იზრდება, ამიტომ მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირება, ახალი კვლევების ჩატარება, საზოგადოების და მშობელთა ინტენსიური ინფორმირება. ასევე მისი სწორად, დროულად გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა. საჭიროა რესურსი რეაბილიტაციის თვალსაზრისით (კადრების მომზადება, სარეაბილიტაციო ცენტრების რაოდენობის გაზრდა დედაქალაქში და გახსნა რეგიონებში) მნიშვნელოვანია იმ მითების გაქარწყლება, რაც, გარკვეულწილად, ხელს უშლის საზოგადოებას ნათლად დაინახოს აღნიშნული დიაგნოზისთვის დამახასითებელი გამოწვევები. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოების მიმღებლობა, დამოკიდებულება და ემპათია ადამიანების მიმართ ვისაც აქვს დიაგნოზი,,აუტიზმის სპექტრის აშლილობა“. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დიაგნოზი არის მდგომარეობა და არა დაავადება, როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ.

Mako Gagnidze

Autism spectrum disorder

Summary

The topicality and statistics of autism spectrum disorder are increasing day by day, so it is important to inform the public, conduct new research, and inform the general public and parents. Also its accurate, timely detection and management. Resources needed in terms of rehabilitation (training of staff, increase of number of rehabilitation centers in the capital and opening of the regions) It is important to dispel those myths that somehow prevent the public from clearly seeing the challenges posed by the diagnosis. Also an important factor in society, acceptance and empathy for people with a diagnosis of "Autism Spectrum Disorder" should be noted that the diagnosis is a condition, not a disease as it is often referred to.

მართა კლდიაშვილი, დავით ზურაბაშვილი, გიორგი ფარულავა

ზოგიერთი მორფო-ფსიქოლოგიური პარამეტრის შესწავლა სხვადასხვა სახეობის სპორტსმენთა ჯგუფში

ცნობილია, რომ ადამიანი თავისი ბუნებით იყო და რჩება აგრესიული. მკვლევართა უმეტესობა, ერთმანეთის საპირისპირო, აგრესიის სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს.. ყოველდღიურ ცხოვრებაში აგრესიის ქვეშ იგულისხმება დესტრუქციის, თავისი სიტყვის ჯიუტად გატანის, თავდასხმის, მრისხანების ელემენტები.

აგრესია და აგრესიულობა განიხილება როგორც ფსიქიკური მდგომარეობა და პიროვნების თვისება. ავტორთა უმრავლესობის აზრით აგრესია- ქცევის ფორმაა, აქვს სპეციფიკური ფუნქცია და ორგანიზაცია. აგრესიულობა კი- პიროვნების ფსიქიკური თვისებაა, რთული სტრუქტურის კომპონენტია.

სპორტში აგრესია შეიძლება განხილული იყოს როგორც კომპლექსური მოვლენა, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად მხოლოდ უარყოფითად არ ფასდება ინიციატივის გამოვლენისას მას დადებითი მხარეც გააჩნია. სპორტი წარმოადგენს ხელსაყრელ საქმიანობას დაგროვილი უარყოფითი აგრესიული ვნებების რეალიზაციისათვის [1]. სპორტი თავისთავად ითხოვს განსაზღვრულ კორექტულობას, ამავდროულად გააზრებულ ინსტინქტურ რეაქციებს ბრძოლაში; ანუ სპორტსმენებს აქვს შესაძლებლობა დაგროვილი აგრესიის სიმძიმე ბრძოლის დაწესებულ ფორმაში გადაიყვანოს.

აგრესიულობის კვლევა სპორტსმენებში საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ პიროვნების ფასეულობის და ემოციურ-ნებით ხასიათზე. ვარაუდობენ, რომ შეჯიბრის დროს გარკვეულ გამოსავალს პოულობს დაგროვილი აგრესიულობა, რომელსაც, საბოლოოდ რეკორდი და გამარჯვება მოაქვს. აგრესიულობა სხვადასხვა სახეობის სპორტში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და განისაზღვრება სპორტული კარიერის კრიზისებით, ფიზიკური კარიერის ეტაპებით და შინაგანი კულტურით. აგრესია ხშირად თავს იჩენს თვითკონტროლის სისუსტით, როცა გონებაში ფიქსირდება რთული სიტუაციების იოლი გადაწყვეტის გზა.

აგრესიული განწყობის ცვალებადობა ძლიერდება ან ქვეითდება არამარტო ვარჯიშის დროს, არამედ სპორტული შეჯიბრებების ყურებისას. სპორტის ერთ რომელიმე სახეობაში აგრესიულობის გამოვლინება შეიძლება იყოს პროდუქტიული და წარმატებული, მაშინ როცა სხვა სახეობაში- არადროული ან არაკონსტრუქციული. აგრესიულობის განსხვავებულად გამოხატვას შეიძლება ჰქონდეს ორი მიზეზი: 1. სახეობის სპეციფიკა ზრდის აგრესიულობას, 2.მაღალი აგრესიულობის მქონე პიროვნება რეალიზაციისთვის არჩევს შესაბამის სპორტის სახეობას. ძნელი სათქმელია, რომელია ამ პირობებიდან უფრო მისაღები, ალბათ ორივე...

აგრესიულობის მართვა წარმოადგენს უმთავრეს ამოცანას სპორტის მრავალ სახეობაში. მაგ. ფიზიკური კონტაქტის დროს აგრესიულობა მისაღები ქმედებაა; სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება მიმართო ფიზიკურ ობიექტზე (ბურთი, ისარი და ა.შ.).

მკვლევართა ნაწილის მიხედვით სპორტული შეჯიბრის შედეგები აგრესიულობის და შფოთვის თანხლებით უფრო მაღალია. ის იძლევა ყველაზე უარეს ეფექტს [2,3]. აგრესიულობის და შფოთვის ერთობლიობის შესწავლას თეორიული და დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ქცევის გამოვლინების სხვადასხვაობისა, ემოციურად მნიშვნელოვანი სტიმულაციის აღქმის დროს, ეს ორი თვისება ერთმანეთის მსგავსად ვლინდება. აღქმის თავისებურება, ალბად დაკავშირებულია ტვინის შესაბამისი სტრუქტურების ფუნქციონირებასთან, როგორიცაა ლიმბური სისტემა, რეტიკულური ფორმაცია, თალამური ბირთვები და, რა თქმა უნდა მთავარი კოორდინატორი და პროგრამების შემქმნელი – პრეფრონტალური ნეოკორტექსი [4].

არსებობს აგრესიის გამომწვევი მორფოლოგიური, ბიოქიმიური, გენეტიკური, ეკოლოგიური, ფსიქოლოგიური ფაქტორები.

თუ აგრესიულ და მშფოთვარე ადამიანებში ემოციურად მნიშვნელოვანი აღქმის პროცესები მსგავსად მიმდინარეობს, მაშინ აღნიშნული თვისებების შეჯამება მოსალოდნელი ეფექტის გაძლიერებას იწვევს.

წარმატებულ სპორტულ კარიერაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ინტელექტს და მისი განვითარების დონეს, ვინაიდან მუდმივად გადასაწყვეტია სხვადასხვა სირთულის ამოცანები, როგორც ვარჯიშის, ასევე შეჯიბრის დროს. ბ. კრეტტი თვლის, რომ არსებობს ინტელექტუალური განვითარების მინიმალური დონე (ჩვეულებრივ 110-120 ქ.), რომლის ქვემოთ სპორტული ოსტატობის დახვეწა გართულებულია. მაღალი შედეგების მქონე ძიუდოისტებს ჰქონდათ ლოგიკური და ოპერატიული აზროვნების უკეთესი მაჩვენებლები, ვიდრე წარუმატებელ მოჭიდავეებს. ამერიკის ოლიმპიური გუნდის წევრები, თავისი კოგნიტური თვისებებით, არ განსხვავდებიან წარმატებული სტუდენტებისაგან.

ეკოლოგიური გარემოს ფაქტორები (სიცხე, სიცივე, ჩახუთულობა და ა.შ.) ხელს უწყობს გაღიზიანებადობას, ნევროზს [6]. ამ შემთხვევაში მატულობს დესტრუქციული საქციელი. თუ სპორტსმენს შეუძლია თავი აარიდოს აგრესიულ ქმედებას (იმ შემთხვევაში – თუ პიროვნებაში არ ზის მტრობის განცდა), მაშინ დისკომფორტულ სიტიაციაში აგრესიულობის დაქვეითებით იგი ხდება უხალისო, დანაღვლიანებული. რ.ბერონის მიხედვით, უდიდესი დისკომფორტის პირობებში საკვლევი ინდივიდების აგრესიულობა ქვეითდება ძალღონის გამოცლის გამო.

ი. კონი თვლის, რომ აგრესიულობა, პირველ რიგში, დაკავშირებულია მასკულინიზაციასთან, რომელსაც, უმეტესად, განაპირობებს ტესტოსტერონი [7].

ითვლება, რომ სეროტონინის დაბალი დონე იწვევს აგრესიულ საქციელს. ცნობილია ლიმბური სისტემის მონაწილეობა აგრესიულ პროცესების ჩამოყალიბებაში. ამიგდალა და ჰიპოთალამუსი ინფორმაციას აგზავნიან ნეოკორტექსის შუბლის წილისაკენ, რომელიც უზრუნველყოფს კოგნიტური ფუნქციების მაღალ დონეს და ახორციელებს ქცევის დაგეგმვას. შუბლის წილი, ძირითადად, აქვეითებს აგრესიულობას, გვიცავს „გადამეტებული" რეაქციებისაგან.

ორგანიზმის ბიოქიმიური და ნეიროფიზიოლოგიური პროცესები აისახება სისხლის ფორმიანი ელემენტების პარამეტრებზე [8].

ელექტროაქტივობის ოსცილაციები უზრუნველყოფს ტვინის სტრუქტურების გაერთიანებას ფუნქციურ სისტემებში [4]. აგრესია და შფოთვა დაკავშირებულია განსხვავებულ ერთმანეთის საპირისპირო რეაგირების პატერნთან, ქერქული პროცესების ოსცილაციის დონეზე. ოსცილატორული პროცესების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ პიროვნების სტრუქტურა. Delta-დიაპაზონის ოსცილაციებს აკავშირებენ მოტივაციურ პროცესებთან, teta – ემოციურ რეაქციებთან, რაც შეეხება a-დიაპაზონს, იგი უკავშირდება კოგნიტურ პროცესებს და ახორციელებს ქცევის შემაკავებელ კონტროლს [9]. შფოთვის მომატებული დონე ბლოკავს აგრესიულობის გავლენას teta-დიაპაზონში. აგრესიის აღმატება შფოთვაზე განსაზღვრავს უკეთეს მზადყოფნას შეჯიბრებისთვის. შფოთვის დონე განსხვავებულია სხვადასხვა სახის სპორტსმენებში. განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნება მხატრულ ტანმოვარგიშეებში სტატისტიკურად მაღალი შფოთვის მქონე სპორტსმენები სრულყოფილად ვერ ავლენენ თავის შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, დაბალი შფოთვის მქონეთაც არა აქვთ კარგი შედეგები არასაკმარისი მოტივაციის გამო.

ბიოლოგიური პროცესები მიმდინარეობს სოციალურ კონტექსტში. ორივე ფაქტორი, ბიოლოგია და გარემო რეციპროკულ ურთიერთობაშია, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრესიული ქცევის ჩამოყალიბებაში. ნერვული სისტემის სხვადასხვა ნაწილები და მათში მიმდინარე დინამიური პროცესები, უმეტესწილად, განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას.

ჩვენი მიზანი იყო სხვადასხვა სახეობის სპორტსმენებში აგრესიულობის შესწავლა (ჩოგბურთელები, მოჭიდავეები, ფეხბურთელები, მშვილდოსნები). ამისათვის თითეულ ჯგუფში გამოიკითხა 20-20 კაცი (15-20წლანდე) ა. ბაას, ა. დარკის კითხარით. კითხვების შეფასება ხდებოდა პარამეტრების მიხედვით:

1. ფიზიკური აგრესია,
2. ირიბი აგრესია,
3. გამღიზიანებადობა,
4. ნეგატივიზმი,
5. წყენა-შური და გარემომცველთა სიძულვილი,
6. ვერბალური აგრესია,
7. დანაშაულის გრძნობა.

სინათლის მიკროსკოპის (ფოტომიკროსკოპი III „ოპტონ", ორტოპლან „ლეიტც") საშუალებით პარალელურად შესწავლილია სისხლის ფორმიანი ელემენტები, რომელსაც ორგანიზმში მიმდინარე

ფუნქციური პროცესების ასახვის სწრაფი უნარი აქვს. სისხლის გამოკვლევა მიმდინარეობდა ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ. ნაცხის ფიქსაცია ხდებოდა 96%-იან სპირტში და იღებებოდა რომანოვსკი-გიმზის მეთოდის მიხედვით. პრეპარატების დათვალიერება და შესწავლა მიმდინარეობდა სინათლის მიკროსკოპის მეშვეობით და იმერსიის გამოყენებით.

კვლევის შედეგები

აღნიშნული მეთოდიკა აგრესიული ქცევის ტიპური ფორმების გამოვლინების საშუალებას იძლევა, ამის გარდა შესაძლოა მოტივაციურ სფეროზე მსჯელობა და სხვადასხვა ქმედების პროგნოზირება. უნდა აღინიშნოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფიზიკური აგრესიულობით, გამღიზიანებლობითა და ვერბალური აგრესიულობით მიღებულ შედეგებში. კონტაქტური სახეობის წარმომადგენლების მონაცემები, აღნიშნული პარამეტრებით, საკმაოდ მაღალია; თუმცა გამოირჩევა ვერბალური აგრესიულობა. თითქმის ერთნაირი შედეგები მიღებულ იქნა ირიბი აგრესიულობის, ნეგატივიზმის, წყენის და ეჭვიანობის დროს.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევდა ტრომბოციტების შესწავლა, რომელსაც უჯრედულ-ჰუმორულ ურთიერთობაში განსაკუთრებული როლი აკისრია. ტრომბოციტების დიამეტრი უცვლელი რჩებოდა ვარ-ჯიშის შემდეგაც. აღინიშნება ერთეული გიგანტური ფორმები, დიდი რაოდენობით მრავალკომპონენტიანი a-გრანულაა, რომლიდან აქ გამოთავისუფლებული გლიკოგენი წარმოდგენილია მსხვილი გროვის სახით, რასაც სწრაფი ენერგეტიკული ეფექტი აქვს. ტრომბოციტებიდან გამოსროლილი მსხვილი გროვები ადგეზირდებიან ნეიტროფილებთან და ეოზინოფილებთან ერთად. აღნიშნულ პროცესს დიდი მნიშვნელობა აქვს რეპარაციული და ანთებითი პროცესების რეგულაციაში (ჰომეოსტაზის შენარჩუნებაში). ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციაში დიდ როლს ასრულებს a-გრანულების სხვა კომპონენტებიც, მაგალითად, სეროტონინი და კატეხოლამინები. ტრომბოციტების ზედაპირი, ძირითადად, გლუვია, ზოგჯერ – მოკლე ფსევდოპოდიები.

დასკვნა

მოჭიდავეების აგრესიულობა ყველა პარამეტრით აღემატება სხვა სახეობის სპორტსმენების ანა-ლოგიურ მონაცემებს.

ჩოგბურთელების აგრესიულობა უფრო მაღალია, ვიდრე ფეხბურთელებისა და მშვილდოსნების.

აგრესიულობის პრობლემა, მისი მართვა და გადაყვანა კონსტრუქციულ ჩარჩოებში, მეტ ყურადღებას, გაღრმავებულ და ყოველმხრივ შესწავლას იმსახურებს.

სისხლის მორფოლოგიური ანალიზი გამოიყენება ფიზიოლოგიური და, შესაბამისად, ფსიქოლო-გიური მდგომარეობის ობიექტურ ინფორმაციულ კრიტერიუმად. ყოველივე ზემოთქმული მნიშვნელოვნად გაღრმავდება ხანგრძლივი დაკვირვების დროს.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Лоренц К. Так называемое зло.М., Культурная революция,2008-ISBN 978-5-250-06032-5;
2. Walker J.L. et al.,Anxiety, Inhibition and Conduct Disorder in children //Jornal of American Academy Child and Adolescent Psychiatry.1995, V.37, p.847-858;
3. Scarpa A.,Rain A. Psychophysiology of anger and violent behavior//Psychiatrie Clinics of Norf America, 1997, v.20, p. 375-394;
4. CanteroJ.L., Atienza M. The role of neural synchronization in the emergence of cognition across the wakesleep cycle//Reviev of Neuroscience 2005, v. 16, p. 69-83;
5. Кретти Б. Психология в современном спорте. М. 2008;
6. Anderson C.A. Bushman B.J. Human aggression//An. Rev.of Psychology,2002,v.53, p.27-51;
7. Кон И.С. Мальчик- отец мужчины. Мю Время. 2010;
8. Клдиашвили М.М. и др. Система крови и вопросы агрессивности спортсменов.,,International Trends in Science and Technology. 2018, may 31, Poland;
9. 9.Князев Г.Г. и др. Реципрокные связи между осциляторными системами мозга. Ж. Высшей нервной деятельности. 2008. т58. 5.576-583.

მართა კლდიაშვილი, დავით ზურაბაშვილი, გიორგი ფარულავა

ზოგიერთი მორფო-ფსიქოლოგიური პარამეტრის შესწავლა
სხვადასხვა სახეობის სპორტსმენთა ჯგუფში

რეზიუმე

სპორტის მრავალ სახეობაში აგრესიულობას დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. აგრესსიულობას ხსნიან სხვადასხვა მიზეზებით და ფაქტორებით, როგორიცაა – ბიოლოგიური, ეკოლოგიური, ფსიქოლოგიური. გარკვეულ ინტერესს იწვევს და საინტერესო შედეგებს იძლევა ფსიქიკური მდგომარეობის კორელაცია სისხლის დინამიურ მაჩვენებლებთან.

მოჭიდავეების აგრესიულობა ყველა პარამეტრით აღემატება სხვა სახეობის სპორტსმენების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ჩოგბურთელების აგრესიულობა უფრო მაღალია, ვიდრე ფეხბურთელებისა და მშვილდოსნების.

Marta Kldiashvili, David Zurabishvili, Giorgi Parulava

Study of some morpho-psychological parameters
in different types of athletes

Summary

In most sports, it doesn.t matter if it is male or female aggression can be good. But, if persons are going to be aggressive, they have to be able to control it.Various theories can be used to explane the nature of aggression in sports. A number of different factors can influence the expression of aggression, including: biological factors, enviromental factors, phisical factors. Aggressive acts are highly motivated, have tremendous release of physical energy and people not afraid of failure or gettind hurt.

Blood corpuscles of different sportsmen while training have been stadied by means of the method of light microscopy. Strustural indices from the side of blood corpuscles were examined from the position of functional indices of an organism. Different behavior of a- and dense granules of thrombocytes was noted.

მარინა მენთეშაშვილი, თამარ მერაბიშვილი

რეკლამის კვლევისადმი სოციო-კულტურული მიდგომის საკითხი

ჩვენ დროში რეკლამა უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული კულტურის ელემენტი, როგორც მისი ჩამოყალიბების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი. იგი მოიცავს მოსახლეობის ყველა ფენას და სწორედ რომ ''როგორც მასობრივი კულტურის ფენომენს, რეკლამას ძალა შესწევს, მის ყველაზე საუკეთესო შემოქმედებით გამოვლინებებში, ჩამოაყალიბოს სულიერი კულტურა ყველაზე მაღალი გაგებით'' [Лебедев – Любимов 2004 :7].

რეკლამის კვლევისადმი სოციალური მიდგომის საკითხი რომელიც კარგად არის განხილული ა. რომანოვის მონოგრაფიაში, გვთავაზობს შემდეგი ასპექტების კვლევას: რეკლამის გავლენა საზოგადოების სოციალურ პირობებსა და ცხოვრების სტილზე; მომხმარებლების მხრიდან რეკლამის ზეგავლენის აღქმა, რაც ეთნოკულტურული ფაქტორებით არის განპირობებული; მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუ-ფებზე რეკლამის ორიენტაციისა და სარეკლამო შეტყობინებების მოტივაციის განსხვავებული საშუალებების შესაძლებლობათა პრობლემა. მკვლევარი აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნას, რომელსაც აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ: „... ვერავინ უარყოფს იმ აშკარა ფაქტს, რომ რეკლამას ადრე არასდროს ქონია საზო-გადოებაზე ისეთი სოციოკულტურული გავლენა, როგორც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში“ [Романов 2002 : 90]. რეკლამა არა მარტო ავრცელებს ინფორმაციას პროდუქტზე, არამედ იგი ჩვენი ეკონომიკური სისტემისა და ჩვენი კულტურის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. რეკლამა ბევრ რამეში იმ საზოგადოებისა და მისი წევრების ზნე-ჩვეულებებს ასახავს, რომელშიც ფუნქციონირებს. მაგალითად, 25 წლის წინ ამერიკული რეკლამა, ძირითადად, ასახავდა თეთრკანიან მოსახლეობას, მამაკაცებს, საშუალო კლასს, მაგრამ კადრს მიღმა ტოვებდა სოციალური უმცირესობების წარმომადგენლებსა და ქალებს ან მეორეხარისხოვან როლს ანიჭებდა მათ. დღეს რეკლამა იცვლება, რათა ასახოს ჩვენი ბევრად უფრო სხვადასხვაგვაროვანი საზოგადოება, ის მნიშვნელოვანი როლები, რომლებსაც ქალები და სოციალური უმცირესობების წარმომადგენლები ასრულებენ თავის სამუშაო ადგილებზე. თანამედროვე რეკლამა, მაგალითად, ქალებს წარმოგვიდგენს, როგორც თანამდებობის პირებს, რომლებიც ყიდულობენ ავტომობილებს ან მიემგზავრებიან საქმიან მოგზაურობაში. რეკლამა ასახავს საზოგადოებას, რომელშიც ფუნქციონირებს, მაგრამ მას პუბლიკის, რომელზედაც იგი ორიენტირებულია, ზნე-ჩვეულებებსა და ქცევაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანაც შეუძლია. გასაკვირი არ არის, რომ რეკლამა ბიზნესის მეთოდებს შორის ერთ-ერთი ყველაზე შესწავლილი მეთოდია'' [Леин, Рассел 2004: 31].

სარეკლამო ტექსტის სოციოკულტურული თავისებურებები მისი ფუნქციითა და ხასიათით არის განპირობებული: იყოს სპეციფიკური საშუალება სოციუმში, რომელშიც ამა თუ იმ ტიპის კულტურას მიეკუთვნება, რუსული სარეკლამო ტექსტი რუსულენობრივ ტრადიციას ეფუძნება; ინგლისურ სარეკლამო ტექსტში ასახულია ინგლისური ენის სისტემა, რომელიც „ხასიათდება ტექსტის თვითმყოფადობის შენარჩუნებისაკენ მიმართული ტენდენციით, ანაფორებისა და კატა-ფორების არსებობით, ტექსტის შიგნით ინფორმაციაზე მითითებით, ტექსტის განმარტებითობით'' [Карасик 2002 : 419].

სარეკლამო ტექსტებში ფიქსირდება და აისახება ამა თუ იმ სოციუმის ღირებულებითი სისტემა და კულტურული პრიორიტეტები. ვ. მასლოვას აზრით, „კულტურა – ეს არის მოცემული ერისათვის დამახასიათებელი, სამყაროში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა საშუალება, აგრეთვე ადამიანთა შორის ურთიერთობები და სამყაროს ხედვის, წვდომისა და გარდაქმნის საშუალებები'' [Маслова 2001 : 16]. ენის მეშვეობით აქტუალიზირდება როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მთელი სოციუმის ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, ამიტომ სარეკლამო ტექსტებში მოცემული ლექსიკური ერთეულების ანალიზი, მისი ამა თუ იმ ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული თავისებურებების ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

კულტურის ყველა ტიპი რეალიზდება ენობრივი საშუალებების სპეციფიკური სისტემით, ამიტომ, ჩვენი აზრით, ინგლისური და რუსული ენების სარეკლამო ტექსტების სპეციფიკური თავისებურებების შედარების დროს, ჩვენ შევძლებთ არა მარტო ერთი ერის კულტურული მემკვიდრეობის შეფასებას, არამედ, საუკუნე-ების მიჯნაზე, ორი კულტურის ურთიერთზეგავლენის განსაზღვრასაც. „პრაგმატისტული კონტექსტიდან

ამოღებული ინფორმაციის გარდა, თავად ტექსტი ბევრი რამით ეხმარება მსმენელს გამოთქმის ილოკუტიური ძალის განსაზღვრაში'' [ванДейк1989:31]. რეკლამის ტექსტების ავტორები მყიდველის გონებისა და გულისაკენ გზებს ეძებენ. რეკლამას რიტუალს ადარებენ: „ადამიანურ კულტურაში სარეკლამო მოღვაწეობის განვითარების მთავარი ეტაპები გამოირჩეოდა რეკლამირების შერწყმით რიტუალსა და პიროვნებათშორისი კომუნიკაციების სხვა ფორმებთან" [Ученова,Старых1994:95]. ტექსტი, როგორც ცნობილია, ასრულებს არა მარტო კომუნიკაციურ და კოგნიტიურ ფუნქციებს, არამედ ვოლუნტაციურ ფუნქციასაც, ანუ ზეგავლენის მოხდენის ფუნქციასაც. ამასთან დაკავშირებით, ტექსტში უნდა იყოს ადრესატზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებები. ეს ფუნქცია განსაკუთრებით მკვეთრად სარეკლამო ტექსტებში რეალიზდება. ა. ლურია აღნიშნავდა, რომ „სამეტყველო მოღვაწეობა აუცილებლად არის დაკავშირებული ენის კოდების მთელ სისტემასთან (ფონემატურთან, ლექსიკურთან, ლოგიკო-გრამატიკულთან)'' {Лурия 1998:36]. ფრაზის წარმოქმნის საფუძველში ძევს სიტყვათა არა მექანიკური შეერთება, არამედ წინადადების მთლიანი აგებულების ერთიანობა. გამონათქვამი გამომდინარეობს თავდაპირველი აზრიდან ან ჩანაფიქრიდან, რომლებიც მხოლოდ შემდგომში ჩამოყალიბდებიან ფრაზის შემადგენელ სიტყვათა სისტემად. ფრაზა ანუ გამონათქვამის სინტაგმატური ორგანიზაცია შეიძლება იყოს მარტივი, რომლის შემადგენლობაში შედის სუბიექტი და პრედიკატი, და რთული, შემდგარი სინტაქსური კონსტრუქციებისაგან, რომლებსაც პირობითად აღნიშნავენ როგორც „არსებითი სახელისა და ქვემდებარეს ჯგუფს'', „ ზმნისა და შემასმენელის ჯგუფს''. ამ რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს ყველა ენისათვის დამახასიათებელი ზუსტი გრამატიკული სტრუქტურა აქვთ. მეცნიერი აღნიშნავს, რომ გამოთქმა ვერ შედგება მოტივის არსებობის გარეშე: „სამეტყველო გამოთქმა იწყება ცნობილი მოტივის არსებობით – სხვას გადასცეს რაიმე, სთხოვოს რაღაც ან გაარკვიოს, ნათელყოს რაიმე აზრი. თუ ეს მოტივი არ არსებობს, ბუნებრივია, სამეტყველო გამოთქმაც ვერ შედგება '' [Лурия 1998 : 347]. ა. ლეონტიევი პირველ ფაქტორად, რომელიც სამეტყველო ქმედებაზე გავლენას ახდენს, ასახელებდა დომინირებად მოტივაციას ან მოღვაწეობის მოტივს მთლიანობაში. მისთვის „ მოტივი ეს არის ობიექტი, რომელიც პასუხს აგებს ამა თუ იმ მოთხოვნილებაზე და რომელსაც, აისახება რა ამა თუ იმ ფორმოთ სუბიექტით, მიყავს მისი საქმიანობა'' [Леонтьев 1966 : 5]. ლ. ბლუმფილდმა გამოყო მეტყველი ადამიანის „სტიმული'' [Блумфилд 1965 : 814]. ამერიკელი სოციოლოგი უ.ლაბოვი აღიარებდა სამეტყველო ქმედებაზე სოციალურ – ფსიქოლოგიური ფაქტორების უეჭველ გავლენას [Labov 1966]. ჯ. გამ- პერცი სამეტყველო ქმედებას განიხილავდა როგორც სოციალური ქცევის ერთ-ერთ ფორმას. მეცნიერი სამეტყველო რეპერტუარის (verbal repertoire) გამოყოფაზეც საუბრობდა, რომელიც შეტყობინებების შექმნის ყველა შესაძლო საშუალებებს შეიცავს, რომლებიდანაც მეტყველი ადამიანი ყოველდღიური კომუნიკაციისათვის ირჩევს შესაბამის ენობრივ საშუალებებს. მისი აზრით, იმ ნორმების საფუძველში, რომლებიც კონკრეტულ სამეტყველო აქტში ენობრივი საშუალებების არჩევანს განსაზღვრავენ, ენობრივი ნაერთის სოციალური შეზღუდვები ძევს [Gumperz 1964]. დ. ჰაიმსი გვთავაზობდა სამეტყველო ქმედებაზე სოციალური ფაქტორების ზემოქმედების მექანიზმის შესწავლის პროგრამას [Hymes 1962]. ვერბალური ურთიერთობების ფაქტების ანალიზის დროს, ჩვენ შეგვიძლია გავარკვიოთ ის წესები, რომლებიც ამა თუ იმ ენის გამონათქვამების მნიშვნელობასა და სინტაქსს აყალიბებენ. ვერბალური კომუნიკაცია გარკვეული ინფორმაციის გადაცემის განზრახვას გულისხმობს. „მტკიცება, რომ მეტყველი ადამიანი S გარკვეულ მნიშვნელობას X-ის მეშვეობით გადასცემს, ნიშნავს, რომ S განზრახული აქვს, რომ X-ის გამონათქვამმა, მსმენელ H-ზე, ამ განზრახვის გაცნობიერების საფუძველზე, რაღაც ეფექტი მოახდინოს... მე ვთვლი, რომ ეს ძალიან მოსახერხებელია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მნიშვნელობასა და განზრახვას (მეტყველი ადამიანის) შორის კავშირს ამყარებს და მეორე მხრივ, იმიტომ რომ იგი ურთიერთობის მომდევნო არსებით თვისებას აჩვენებს. საუბრის დროს, მე ვცდილობ მსმენელს გარკვეული რაღაც შევატყობინო და ვაიძულო იგი გააცნობიეროს ჩემი განზრახვა, რომ სწორედ ამ რაღაცის შეტყობინება მინდოდა'' [Серль 1986 : 59].

ამრიგად, სოციოკულტურული თვალსაზრისით სარეკლამო ტექსტის შესწავლა საშუალებას იძლევა შევაფასოთ რეკლამის გავლენა საზოგადოების სოციალურ პირობებსა და ცხოვრების სტილზე და მთლიანობაში – მის კულტურაზე. თავის მხრივ, სარეკლამო ტექსტების აღქმაზე გავლენას ახდენს ეთნოკულტურული ფაქტორი, რომელიც რეკლამის ზემოქმედებაზე ადრესანტის ათვისების უნარს განაპირობებს. სოციოკულტურული თვალსაზრისით, სარეკლამო ტექსტში აისახება სოციუმის სტრუქტურაში გენდერული როლების განაწილება, ყალიბდება იდეალური პიროვნების ნიშნები, რომლებიც იმპლი-

ციტურად მიეწოდება. სარეკლამო ტექსტი მხოლოდ პროდუქტის შესახებ ინფორმაციას არ მოიცავს, იგი რეკლამის ადრესანტსა და მის რეციპიენტს შორის კომუნიკაციურ რგოლს წარმოადგენს. სარეკლამო ტექსტი გავლენას ახდენს სოციუმის პიროვნების გენდერული ნიშნების ჩამოყალიბებაზე მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. Блумфилд У. История языкознания. М, 1965;
2. Карасик В. И. Языковой круг, Волгоград. 2002;
3. Клецина И.С. Самореализация и гендерные стереотипы.СПБГУ, 1998;
4. Лебедев – Любимов А.Н. Психология Рекламы. СПб, 2004;
5. Лейн У. Р., Рассел Дж. Т. Реклама. СПб, 2004;
6. Леонтьев А.А.Языкознание и психология. М.,1966;
7. 7. Лурия А.Р. Язык и сознаниею Ростов – на – Дону, 1998;
8. Маслова В.А. Лингвокультурология. М., 2001;
9. Романов А.А. Реклама : междусоциумом и маркетингом. М., 2002;
10. 10. Ученова В.В.,Старых Н.В. История рекламы. СПб., 1986;
11. 11. Gumperz J.D. Language in Social Groups. Stanford University Press, 1971;
12. Hymes D. The ethnography of speaking. ‘Anthrology and human behavior” W, 1966;
13. Labov W. The social stratification of English in NewYork. Washington, 1966.

მარინა მენთეშაშვილი, თამარ მერაბიშვილი

რეკლამის კვლევისადმი სოციო-კულტურული მიდგომის საკითხი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სარეკლამო ტექსტის სოციო-კულტურული საკითხები თავისი ფუნქციონირებისა და ხასიათის მიხედვით: იყოს სოციუმის სპეციფიკური საშუალება, რომელიც მიეკუთვნება კულტურის ამა თუ იმ ტიპს.

დღეს, რეკლამა უნდა განვიხილოთ როგორც ეროვნული კულტურის ელემენტი, როგორც ძირითადი მექანიზმი მის ფორმირებაში.

სოციალური თვალსაზრისით, სარეკლამო ტექსტის შესწავლა საშუალებას იძლევა შევაფასოთ რეკლამის გავლენა საზოგადოების სოციალურ პირობებსა და ცხოვრების სტილზე და მთლიანობაში – მის კულტურაზე.

M.Menteshashvili, T.Merabishvili

The Issue of a Social-Cultural Approach to Advertising Research

Summary

The article deals with the socio-cultural issue of advertising text, which is conditioned by its function and character – to be the specific means in the society, belonging to certain type of culture.

Nowadays, we should consider the advertisement as an element of national culture, one of the significant mechanisms of its formation.

Researching the advertising text through the socio-cultural plan makes it possible to evaluate the impact of advertisement on social conditions and life-style of the society, and in a whole on its culture.

ალექსანდრე რუსეცკი

ნეოლოგიური კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის კომპონენტი

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის სახელობის მეცნიერების ფონდის დოქტორანტთა ხელშეწყობის პროგრამის ჩარჩოში (საგრანტო ხელშეკრულება №PHDF□18□1147). სადისერტაციო ნაშრომის თემა – „აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ინტერდისციპლინური შედარებითი ანალიზი ინოვაციური 4D-RAV-17 მეთოდით“.

შესავალი.

აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის და შესაბამისი სამშვიდობო პროცესის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კონფლიქტის მოუგვარებლობის პრობლემა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორზე, როგორიცაა კონფლიქტის კომპლექსური სისტემის დეფორმირებული აღქმა. კვლევამ დაადასტურა, რომ ეს დეფორმაცია გამოწვეულია საზოგადოებაში რედუქციონისტული აზროვნების დომინაციით, რომელიც იწვევს რთული (კომპლექსური) სისტემის დაყვანას ცალკეულ რეალურ ფრაგმენტამდე ან საერთოდ ახალ ფსევდო ფრაგმენტამდე. ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ გარდა სპონტანური ფაქტორებისა, არსებობს მიზანმიმართული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური პოლიტიკა, რომლის შედეგადაც ინერგება აზროვნების ისეთი მოდელები, რაც ხელოვნურად აფერხებს ან ართულებს პრობლემების სწორი დიაგნოსტირების და მათი მოგვარების პროცესს.

დესტრუქციული აზროვნების დომინაციისათვის გამოყენებულია „პარაზიტი“ ტერმინების ინტერვენცია კონფლიქტების აღწერის და ანალიზის ენის სტრუქტურაში. უპირველეს ყოვლისა, ამის მსხვერპლი ხდებიან მეცნიერები, ექსპერტები, ჟურნალისტები, დიპლომატები, პოლიტიკოსები და საბოლოო ჯამში მთელი საზოგადოება.

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ საქართველოში არც ერთი სახელმწიფო ორგანიზაცია ამ პრობლემაზე არ აგებს პასუხს. არ ტარდება ამ ტერმინების მონიტორინგი და ექსპერტიზა, არაა შეფასებული ის საფრთხეები, რაც ამ პრობლემას მოჰყვება და ეს პრობლემა არაა აღიარებული როგორც შესაძლო საფრთხე.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ეს პრობლემა არ აისახება სათანადოთ „საფრთხეების დოკუმენტში“ და ეროვნული უშიშროების კონცეპციაშიც. უფრო მეტიც არც ერთ არსებულ დოკუმენტს არ გაუვლია პოლიტიკური ფსიქოლინგვისტური ექსპერტიზა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქართველოში არსებული უშიშროების პოლიტიკა წლების განმავლობაში თვითონ ქმნიდა რისკებს, გამოწვევებს და საფრთხეებს. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად ჩვენ შემოვიღეთ ტერმინი „ეკოლოგიურად სუფთა საინფორმაციო სივრცე“. [10]

დღეს სამეცნიერო ჯგუფებს შორის არ არსებობს ეფექტური კომუნიკაცია, არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა და არის მხოლოდ არაკოორდინირებული ცალკეული ინიციატივები. ამ მიზნით, კვლევითი პროექტის ჩარჩოში შეიქმნა პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ლაბორატორიის დაარსების საპროექტო წინადადება. ინიციატივის თანახმად ამ ლაბორატორიაში უნდა გაწევრიანდნენ ექსპერტები სხვადასხვა ჯგუფებიდან და შექმნან ეფექტური ინტერდისციპლინური ქსელი, რომელიც შეძლებს ამ საფრთხეების დადგენას, კატეგორიზაციას, ფიქსაციას, რეაგირების მექანიზმების შემუშავებას და იმპლემენტაციას. პრობლემის კომპლექსური ანალიზისთვის აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის ჩატარება. აუდიტის და დამოუკიდებელი ექსპერტიზების საფუძველზე, პირველივე ეტაპზე უნდა შეიქმნას საქართველოს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უშიშროების სტრატეგია.

კვლევითი პროექტის ჩარჩოში ჩვენ ასევე ვისახავთ მიზნად სამშვიდობო პროცესის ეფექტურობის ზრდისათვის სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტების ინტეგრაციას და აქტივიზაციას. სახელდობრ, ენათმეცნიერების როლი სამშვიდობო პროცესებში დღემდე განსაზღვრული არ ყოფილა.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს პოლიტოლოგების, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგებიას და ისტორიკოსების ინტერდისციპლინური თანამშრომლობის ფორმატი.

კვლევის ჩარჩოში მიმდინარეობს „პარაზიტი“ ტერმინების ან ნეოლოგიური კონფლიქტების დადგენა და მათ მიმართებაში ალტერნატიული ტერმინების „მშვიდობის ლექსიკონის“ შექმნის პროცესი.

პოლიტიკური ფსიქოლინგვიტიკის შესაძლებლობები

ფსიქოლინგვისტიკა სწავლობს ადამიანის ენის, აზროვნებასა და ცნობიერებას შორის არსებულ ზეგავლენებს და კავშირებს.

ფსიქოლინგვისტიკა ფსიქოლოგიის და ლინგვისტიკის სინთეზს წარმოადგენს და ჩამოყალიბებულია როგორც მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი მიმართულება. ფსიქოლინგვისტიკის ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა პიროვნების ენის სტრუქტურის, მისი ცნობიერების და აზროვნების დაცვა გარკვეული საშიშროებებისაგან.

პოლიტიკური ფსიქოლინგვისტიკის ამოცანაა ვრცელი ჯგუფების პოლიტიკური უსაფრთხოების დაცვა. იგი უნდა განიხილებოდეს, როგორც ეროვნული უშიშროების სტრატეგიული სამეცნიერო რესურსი.

პოლიტიკური ნეოლოგიზმები

შესაძლო საფრთხეს წარმოადგენენ ჩვენს ენაში სხვადასხვა გზით შემოსული „ახალი“ ტერმინები – **ნეოლოგიზმები.**

"ნეოლოგიზმები არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მოცემულ ენაში გაჩნდა არაუადრეს ბოლო ათწლეულისა და მოლაპარაკეთა მიერ აღიქმება როგორც ახალი" (გამყრელიძე...2003: 388). [5]

ოქსფორდის ინგლისურენოვანი ლექსიკონის თანახმად (2003: 1179), ნეოლოგიზმი არის ”ცოტა ხნის წინ გამოგონილი სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც შეიძლება იყოს ზოგადი გამოყენების პროცესში, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის მიღებული მთავარ ენაში. [11]

ნეოლოგიზმებისათვის ასაკობრივი ზღვარის დადგენა არაა კორექტული გამომდინარე იქედან, რომ მათი ენაში შეღწევა და დამკვიდრების პროცესი შეიძლება დროში იყოს გაწელილი.

ნეოლოგიზმების მეშვეობითაც ხდება აღწერა, გააზრება და პრეზენტაცია სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების, მათ შორის – კომპლექსური კონფლიქტების.

ნეოლოგიზმების შემოსევა განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება რევოლუციების, ომების და სხვა ტიპის კატაკლიზმების და გარდაქმნების პერიოდში. ეს მუდმივი და შეუჩერებელი პროცესია. შესაძლებელი არის მხოლოდ მისი კორექცია და ისეთი „თამაშის წესების“ დადგენა, რომ ეს პროცესი ექვემდებარებოდეს მუდმივ დაკვირვებას და კორექციას. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესის იდეოლოგიური (ხშირად ნაციონალისტური) პრესი იწვევს უკუშედეგს და ქმნის ახალი ტიპის საფრთხეებს – საპირისპირო, ვულგარული ლიბერალიზმის ღირებულებების დამკვიდრების და ამ სფეროზე ზეგავლენის უზრუნველყოფას. ასევე საფრთხეს წარმოადგენს უხეში ცენზურის სხვადასხვა ფორმა. ლინგვოფობიის სხვადასხვა სახეობები და მათ შორის ნეოლოგიზმებთან ბრძოლა (ნეოლოგოფობია) ახდენს ამ პროცესის იდეოლოგიზაციას, რაც გამორიცხავს სამეცნიერო კვლევების და დემოკრატიული კრიტიკის საფუძველზე ამ პროცესის გონებრივი და რაციონალური მართვის საშუალებას.

ნეოლოგიზმი წარმოადგენს არამხოლოდ პრობლემას, არამედ ახალ გამოწვევებთან ბრძოლის სტრატეგიულ რესურს. ახალი მოვლენები და ახალი პრობლემები მოითხოვენ ენათმეცნიერებისაგან ოპერატიულ რეაგირებას. როდესაც ეს არანაირად არ რეგულირდება, ჩნდება სპონტანური და შემთხვევითი პროცესები ან მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა დაინტერესებული გარე ძალების მხრიდან.

ნეოლოგია

ნეოლოგიზმების კვლევები წარმოადგენს დიდ ინტერესს და ამას ემსახურება ენათმეცნიერების ისეთი მიმართულება, როგორიცაა **ნეოლოგია და ნეოგრაფია**. [5]

ქართველი მეცნიერი ბელიაშვილი წერს – „ნეოლოგია და ნეოლოგიზმები საყოველთაოდ გავრცელებულ პროცესს – ახალი სიტყვების შექმნას ან არსებული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭების პროცესს შეეხება. ენათმეცნიერებაში ფართოდ გავრცელებული მოსაზრებით, არსებობს ფორმისეული ნეოლოგიზმები და სემანტიკური ნეოლოგიზმები. ფორმისეული, ანუ ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა აქამდე არარსებული რეალიების გაჩენასთან ერთად მათი სახელდების მიზნით და სემანტიკური ნეოლოგიზმები, რაც უკვე არსებული სიტყვებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობს. ამ ორ ტიპს ემატა მესამე ტიპის ნეოლოგიზმებიც, ანუ ნასესხობები. ჟან-ფრანსუა საბლეროლი ნასესხობებს განიხილავს ნეოლოგიის მესამე ძლიერ მნიშვნელოვან წყაროდ“. [2]

ერთადერთი, რაც ამ განმარტებებში იწვევს ეჭვს, ეს არის ორი არათანაბარი რანგის ტერმინის პროცესად მოხენიებაა. „ნეოლოგია“ ნამდვილად წარმოადგენს პროცესს იმიტომ, რომ ინტელექტუალურ შრომასთან – მეცნიერულ კვლევებთანაა დაკავშირებული. ხოლო „ნეოლოგიზმი“ არის ნეოლოგიის კვლევის ობიექტი.

სხვა ქართველი ენათმეცნიერი ს. დუმბაძე მართებულად გამოიყენებს ტერმინს „ლინგვისტური ნეოლოგია“. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ტერმინი „ნეოლოგია“ გამოიყენება არამხოლოდ ენათმეცნიერებაში და შეიცავს სრულიად სხვა მნიშვნელობებს. [3]

როდესაც საკითხი ეხება პოლიტიკურ პროცესებს, ჩვენ განვიხილავთ უფრო ვიწრო კვლევების მიმართულებას – **პოლიტიკურ ნეოლოგიას (პოლიტიკური ნეოლოგიზმების კვლევებს),** რომლის ინტერესსაც წარმოადგენს არამხოლოდ პოლიტიკური ნეოლოგიზმების მონიტორინგი, არამედ მათი წარმოშობის და ტრაექტორიის დინამიკა. **პოლიტიკური ნეოლოგია,** როგორც ტერმინი, საქართველოს სამეცნიერო დისკურსში არანაირად არაა წარმოდგენილი და თავისთავად თვითონ წარმაოდგენს ნეოლოგიზმს. რუს სპეციალისტთა ნაშრომებში კი ამ მიმართულებით შეიმჩნევა გარკვეული აქტიობა. ამის მაგალითია ა.პ. მინიარ-ბელორუჩევას ნაშრომი. [12].

საინტერესოა, რომ ეს სპეციალისტი ასევე აქტიურად მუშაობს საინფორმაციო ომების ტექნოლოგიებზე და მისი ნაშრომი „საინფორმაციო ომების ტექნოლოგიები“ წარმოადგენს რუსეთის თავდაცვის პოლიტიკისთვის დიდ ღირებულებას. [13]

შეიძლება ითქვას, რომ თვითონ ტერმინი „ნეოლოგია“ წარმოადგენს ნეოლოგიზმს სამეცნიერო ენის სისტემასთან მიმართებაში იმიტომ, რომ როგორც სრულყოფილი მეცნიერება ჯერ არაა ჩამოყალიბებული. მნიშვნელოვანია, რომ იგი უფრო აქტიურად არის წარმოადგენილი რუსულ ენათმეცნიერებაში.

ნეოლოგიური კონფლიქტები

პოლიტიკური ნეოლოგიზმების, კვლევების საშიშროებების, შესწავლა და უშიშროების კვლევები განსაკუთრებულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს.

პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში განსაკუთრებით მრავლადაა წარმოდგენილი ტერმინები, რომლებიც აღწერენ ერთი და იგივე პოლიტიკურ მოვლენას, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური მოტივაციით. ისინი პარალელურად ჩნდებიან კონფლიქტურ ენობრივ სივრცეებში და ებრძვიან ერთმანეთს. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მათ შორის დაპირისპირებას. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ კვლევების უფრო ვიწრო მიმართულებაზე, როგორიცაა (რუსული ყაიდით) – **პოლიტიკური ნეოლოგიზმების კონფლიქტოლოგია** ან (დასავლური ყაიდით)- **კონფლიქტური პოლიტიკური ნეოლოგიზმების კვლევები.** ქართული ლექსიკონისთვის შეიძლება გამოვიყენოთ და დავამკვიდროთ ისეთი ცნება, როგორიცაა **ნეოლოგიური კონფლიქტები**. ნეოლოგიური კონფლიქტი ესაა – განსახვავებულ ნეოლოგიზმებს შორის კონკურენცია, ბრძოლა და მცდელობა ენის სტრუქტურაში ადგილის დამკვიდრებისათვის.

თვით ამ სტატიას რომ დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ, ჩვენ ნათლად დავინახავთ, რომ ქართულ სამეცნიერო ენაში შემოსვლისათვის მიმდინარეობს ბრძოლა დასავლურ და რუსულ სამეცნიერო ტერმინებს შორის. პრიმიტიული გადახრა ერთი მიმართულებით მხოლოდ ავნებს ქართულ მეცნიერებას. აუცილებელია ამ პროცესის კონტროლი და მაქსიმალურად რაციონალური არჩევანის გაკეთება კონკრეტულ შემთხვევებში. და ეს ბრძოლა სამეცნიერო ენისთვის არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ კონფლიქტური წყვილით – „რუსეთი-დასავლეთი“. ქართული სამეცნიერო დისკურსი უნდა დაცული იყოს ამ საფრთხისგან და წარმოადგენდეს დამოუკიდებელ და აქტიურ პოლიტიკას საერთაშორისო დონეზე.

ნეოლოგიური კონფლიქტები აფხაზეთთან მიმართებაში

მეცნიერებმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოახდინონ დროული რეაგირება და შეარჩიონ შესაბამისი ტერმინები, რათა მოხდეს მოვლენების და პროცესების ადეკვატური, არადეფორმირებული აღქმა და აღწერა. მაგალითად, ის რაც ხდება ბოლო 30 წლის განმავლობაში აფხაზეთის გარშემო, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ რაიმე ტერმინით. სამეცნიერო, მედია და პოლიტიკურ დისკურსებში ამისთვის გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: „აფხაზეთის კონფლიქტი“, „კონფლიქტი აფხაზეთში“, „კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო“, „აფხაზეთის ომი“, „ქართულ-აფხაზური კონფლიქტი“, „ქართულ-რუსული კონფლიქტი“, „საქართველო-რუსეთის კონფლიქტი“ და ა.შ. [6].

„27 სექტემბერი“, მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის ნიშნავს „სოხუმის დაცემის დღეს და ტრაგედიას“, ხოლო მოსახლეობის მეორე ნაწილისათვის – „სოხუმის გათავისუფლების დღეს და სიხარულს“.

ანუ მას აქვს განსხვავებული კონოტაციები. წინა მაგალითისგან განსხვავებით, აქ ერთი ტერმინი ემსახურება ორ ინტერპრეტაციას, ანუ ადგილი აქვს კარგად გამოკვეთილ ორმაგ კონფრონტაციული ხასიათის კონოტაციას.

მოსკოვის პროპაგანდისთვის მისაღები იყო, რომ წარმოედგინა ეს კონფლიქტი როგორც „საშინაო კონფლიქტი" „აფხაზებსა" და „ქართველებს" შორის, ხოლო თბილისისთვის – როგორც „საერთაშორისო კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის". ეს სჭირდებოდა მოსკოვს იმისთვის, რომ გაემტკიცებინა თავისი, როგორც საერთაშორისო მედიატორის, როლი. მაგრამ, 2008 წლის შემდეგ მოსკოვი ცდილობს წარმოადგინოს ეს კონფლიქტი როგორც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს – აფხაზეთსა და საქართველოს შორის, ანუ – როგორც „საერთაშორისო კონფლიქტი", ხოლო საქართველო ცდილობს დაამტკიცეს რომ ესაა კონფლიქტი „საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის". ამ შემთხვევაში რუსეთმა ჩანაცვლა „მედიატორის" როლი ახალი როლით – „იგი იცავს მცირერიცხოვან აფხაზ ხალხს ქართული აგრესიისგან". ამისთვის მან გამოიყენა საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში არსებული ტერმინი – „იძულება მშვიდობისათვის". გაეროს უშიშროების საბჭო წევრ-სახელმწიფოებს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საჭირო საშუალება ან მიიღოს მშვიდობის დარღვევის საშიშროების წინააღმდეგ სერიოზული ზომები, ძალის გამოყენების ჩათვლით, რათა გადაწყვეტილ იქნას შეიარაღებული კონფლიქტი [1].

არც სამეცნიერო და არც ზოგადად პოლიტიკურ დისკურსში არაა საკმარისად წარმოდგენილი აფხაზეთის „გახლეჩილი საზოგადოების" ორ ნაწილს შორის არსებული კონფლიქტი, ანუ აქტიურად არ განიხილება „აფხაზეთის შიდა კონფლიქტი". ასევე ჩვენ ვცდილობთ ვისაუბროთ „მოლაპარაკებების პროცესების დემოკრატიზაციაზე" და კონფლიქტის მხარეების თანაბარ ჩართულობაზე მოლაპარაკებების პროცესში [4].

თბილისის პოლიტიკურ დისკურსშიც კონფლიქტი წარმოდგენილია როგორც „ეთნიკური" კონფლიქტი აფხაზებსა და ქართველებს შორის. ამ პრობლემას ჩვენ დავარქვით „კონფლიქტის აღქმის პრიმიტივიზაციის პრობლემა". სახელდობრ, ამ პრიმიტივიზაციის ეთნიზირებული ფორმა, ანუ „კონფლიქტის აღქმის ეთნიზაციის პრობლემა" [7].

გამომდინარე იქედან, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტები წარმოადგენენ პროპაგანდისტულ კლიშეებს და არ ემსახურებიან კონფლიქტის მოგვარებას, ჩვენ შემოვიღეთ ახალი ტერმინი – „მრავალწახნაგოვანი კონფლიქტი", ანუ – მრავალკომპონენტიანი კონფლიქტი. შესაბამისად, განვიხილავთ აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსურ სისტემას, რომელიც შედგება სხვადასხვა ტიპის კონფლიქტისგან [8]. ამავე წიგნში დაფიქსირდა ისეთი ახალი ტერმინები, როგორიცაა „ფსევდოკონფლიქტი" და „კვაზისამშვიდობო პროცესი".

თვით ტერმინი „აფხაზი" (ერთი შეხედვით არანაირად არაა ნეოლოგიზმი), დღეს წარმოდგენილია პოლიტიკურ დისკურსში სხვადასხვა კონოტაციით. ერთი ნაწილისთვის იგი გაიგივებულია ტერმინ „აფსუასთან", მეორე ნაწილისთვის ის ნიშნავს „აფსუების და მეგრელების გარკვეული ჯგუფის ერთობლიობას", ხოლო მესამე ნაწილისათვის იგი ნიშნავს ზოგადად აფხაზეთის მოსახლეობას. ეს ტერმინი ასევე კონფრონტაციაშია ტერმინთან „აფხაზეთელი" [6].

ნეოლოგიური კონფლიქტების აღწერისათვის ჩვენ იძულებულნი ვართ შემოვიტანოთ სხვა ახალი ნეოლოგიზმები. მაგალითად, „ტერმინის ოკუპაცია". „ტერმინის ოკუპაცია" აღწერს იმ ვითარებას, როდესაც ნეოლოგიური კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე იპყრობს ტერმინს და მოიხმარს მას თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ბრძოლა შეიძლება საუკუნეები გრძელდებოდეს.

მაგალითად, პოლიტიკურ რეალობაში მოხდა ტერმინ „აფხაზეთის" ოკუპაცია. აფხაზეთს პოლიტიკურ ასპარეზზე დღეს უფრო წარმოადგენენ „სეცესსიონისტები" ვიდრე „იუნიონისტები". ეს ორი ტერმინიც ჩვენ მიერ არის შემოტანილი სამეცნიერო პოლიტიკურ დისკურსში [9].

ის, თუ როგორი აზრი და როგორი ტერმინი დამკვიდრდება, განაპირობებს განწყობას საერთაშორისო დონეზეც. ამიტომ კონფლიქტში ჩართული მხარეებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით საკუთარი პოზიციების პოპულარიზაცია და ეს საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომების ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს.

ამავე დროს არსებობს პოზიტიური გამოცდილებაც. მაგალითად პრაქტიკაში შემოვიდა კომპრომისული ტერმინების მოძიება და დანერგვა. ქალაქის სახელწოდება „სოხუმი" სეცესსიონისტებისათვის მიუღებელია და ისინი ხმარობენ ტერმინს „სუხუმ". სამეცნიერო, საექსპერტო დისკურში გაჩნდა

კომპრომისული ვარიანტი „სუხუმ/სოხუმი“. მაგრამ მისი შესაძლებლობა შეზღუდულია და იგი მოუხერხებელია ჟღერადობის თვალსაზრისით.

პოლიტიკური ნეოლოგიზმები სამეცნიერო დისკურსში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სამეცნიერო მუშაობა აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, ნაშრომთა უმრავლესობა ქართულ ენაზეა შესრულებული. რეალური პოლემიკის სივრცე კი რუსულ და ინგლისურ ენებზე მიმდინარეობს. რუსეთის ფედერაციას სამეცნიერო ნაშრომების არაერთი (ოფიციალური და არაოფიციალური) ელექტრონული ბაზა აქვს და ამ ბაზაში საკმაო ადგილი ეთმობა აფხაზეთის შესახებ შესრულებულ ნაშრომებს. ამის მაგალითია საძიებო სისტემა DiserCat [14] და რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკის დისერტაციების ფონდი [15].

სამწუხაროდ, საქართველოს მსგავსი არაფერი აქვს. ეროვნული პარლამენტის ბიბლიოთეკაში არსებული მონაცემები არაა სრულყოფილი და არ არსებობს ელექტრონულ მონაცემთა ბაზა. აღარაა საუბარი ინგლისურ თუ რუსულ ენებზე სათანადო ლიტერატურის არსებობაზე. მკვლევარს, რომელიც მუშაობს ამა თუ იმ თემაზე არ აქვს შესაძლებლობა იქონიოს სრული ინფორმაცია ამ სფეროში ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შესახებ. ბუნებრივია, ასეთი ტიპის დამოკიდებულება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველომ სამეცნიერო არენაზე კონკურენცია გაუწიოს პოლიტიკურ ოპონენტებს.

ამ თვალსაზრისით მეტად დიდ ინტერესს იძენს პოლიტიკური ნეოლოგიზმების განვითარების დინამიკა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. ბუნებრივია, რომ რუსულად გამოცემულ ნაშრომში არსებული ინფორმაცია უფრო მარტივად მოხვდება უცხოელი მკვლევრების ინტერესთა არეალში, ხოლო ქართულ მასალასთან წვდომა, ფაქტობრივად, მათთვისაც შეუძლებელია. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ციტირების პროცესში პოლიტიკური ნეოლოგიზმები რუსული საინფორმაციო სივრციდან უფრო სწრაფად და ეფექტურად აღმოჩნდებიან მსოფლიო საინფორმაციო პოლიტიკურ სივრცეში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ამირანაშვილი გივი, სამშვიდობო ოპერაციები, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი საშუალება //ალმანახი №9, [საერთაშორისო სამართალი],– საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,–თბ.,– 1999;
2. ბელიაშვილი თინათინ, „ნეოლოგიზმების ფუნქციონირება ფრანგულ და ქართულ მედია დისკურსში“ – ინტერნეტ-გამოცემა „სპეკალი“ – http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/9/83;
3. დუმბაძე სოფიო,,,ლინგვისტური ნეოლოგია და ოკაზიონალიზმების ფუნქციონირება ინგლისურ და ქართულ ენებში – ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია სპეციალობა-ლინგვისტიკა სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო არაშიძე;
4. „დემოკრატიული ღირებულებები და სამოქალაქო საზოგადოების როლი მოლაპარაკებების პროცესების ეფექტურობის ზრდისათვის“ (2005) SCIRS/HCA. Fridrich Ebert Stiftung.2005;
5. კილანავა მ., უახლესი (2010-2013წ.) პერიოდის ქართული მასმედიის ენობრივი სურათი და მასთან დაკავშირებული თარგმანის პრობლემები, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი, ნათია ამირეჯიბი თბილისი 2014 http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000773/Kilanava%20M.pdf;
6. რუსეცკი ა., „აფხაზეთის კონფლიქტი აფხაზეთის კვლევების (აფხაზეთმცოდნეობის) კონტექსტში – ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. 2019;
7. რუსეცკი ა., კონფლიქტების ქრონიკული მოუგვარებლობის ფსიქოლოგიური საფუძვლები, 2013 (შავი ზღვის სამშვიდობო ქსელის ბიულეტენი);
8. რუსეცკი ა., „ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში“. 2009;
9. რუსეცკი ა., ო. დოროხინა, ”სეცესსიონიზმი და უნიონიზმი საქართველოში” (დანიის დევნილთა საბჭოს დაკვეთით) – ”Secessionist and Unionists of Georgia: the way from intercommunity dialog to nationwide consent”, 2006;

10. ”საინფორმაციო აგრესია და მასთან ბრძოლის მეთოდები” (კვლევა დაფინანსებული საქართველოში ჰოლანდიის საელჩოს მიერ” – ”Informational aggression and methods of resistance to it, „Georgia: informational threats and security issues, 2009;
11. Oxford Dictionary of English (2003) Great Clarendon Street, UK: Oxford University press;
12. Миньяр-Белоручева А.П., К ПРОБЛЕМЕ СОЗДАНИЯ ПОЛИТИЧЕСКИХ НЕОЛОГИЗМОВ, Вестник ЮУрГУ, № 25, 2012 С..32-37;
13. Миньяр-Белоручева А. П. Технологии информационной войны // Военно-гуманитарный альманах: Лингвистика. Коммуникация. Перевод. Материалы XI Международной научной конференции по актуальным проблемам языка и коммуникации. Военный университет. 30 июня 2017 г. — Т. 2 из *Выпуск 2*. — ИД "Международные отношения" Москва, 2017. — С. 251–259;
14. https://www.dissercat.com/search?page=3&q=%D0%B0%D0%B1%D1%85%D0%B0%D0%B7%D0%B8%D1%8F;
15. Фонд диссертаций, https://www.rsl.ru/ru/about/funds/disser.

ალექსანდრე რუსეცკი

ნეოლოგიური კონფლიქტი, როგორც აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის კომპონენტი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია აფხაზეთის კონფლიქტის კომპლექსური სისტემის ლინგვისტური კომპონენტი. კვლევის მიზანს წარმოადგენს ენათმეცნიერების და ფსიქოლოგების აქტიური ჩართვა სამშვიდობო პროცესებში და თვით ამ პროცესის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების ხელშეწყობა. ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური ტერმინოლოგიიდან და სახელდობრ ნეოლოგიზმებიდან მომავალ საფრთხეებზე. შემოღებულია ნეოლოგიური კონფლიქტის ცნება და წარმოდგენილია მისი ზოგადი ანალიზი სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკურსში.

Alexander Rusetsky

Neological conflict as a component of complex system of Abkhazian conflict

Summary

The article presents a linguistic component of the Abkhaz conflict. The purpose of the study is to actively engage linguists and psychologists in peacekeeping processes and to promote information-psychological security of the process itself. Emphasis is placed on future threats from political terminology and particularly neologisms. The notion of neological conflict is introduced and a general analysis of it in scientific and political discourse is presented.

თამარ ფანცულაია

ტოლერანტობა – დათმენა

საზოგადოების განვითარების ისტორიაში ყოველი დიდი შემობრუნება ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასებით ხასიათდება, ანუ ყოველი ახალი ეპოქა ძველი ღირებულებების გადაფასებითა და საკუთარი ფასეულობების დამკვიდრებით იწყება. სამწუხაროდ არც ჩვენი დრო წარმოადგენს გამონაკლისს. ამ ბოლო ხანს ყველა ღირებულებითი იერარქიის – კულტურულის, ეთიკურის, ესთეტიკურის, რელიგიურის შეცვლა და ყალბი, თავისუფალი საზოგადოების „თავისუფალი ადამიანისათვის“ მისაღები ახალი, „მოდური, ელიტარული“ მსოფლმხედველობისა და მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების დამკვიდრების მცდელობა შეიმჩნევა. ყოველივე ეს კი პიროვნების თავისუფლების სახელით კეთდება.

ზოგიერთმა მკვლევარმა XX საუკუნეს გაცნობიერებული კრიზისის ეპოქა უწოდა, ზოგიერთმა კი „საშინელი სამყარო”. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რა დროში ვცხოვრობთ, სულიერების თვალსაზრისით რაოდენ დავშორდით ჩვენს წინაპრებს, რა მწირი ცოდნა გვაქვს საკუთარ რწმენაზე, როგორი მონდომება და ძალისხმევაა საჭირო, რომ ამ რეალობაში თავი გადავირჩინოთ, როგორც მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა.

ტოლერანტობა, თანამედროვე გაგებით, ჩვენს სინამდვილეში დიდი ხანი არ არის რაც დამკვიდრდა. ეს მოვლენა, წარმოჩენილი ახალი და სრულიად ორიგინალური ინტერპრეტაციით, თანამედროვე „ცივილიზატორების” მხრიდან ჩვენთვის თავს მოხვეულ მორალურ ღირებულებებს განეკუთვნება. ამ ფენომენს იმდენად დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ 1995 წელს იუნესკოს მიერ მიღებულ იქნა ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაცია – მსოფლიოში არსებულ კულტურათა მრავალფეროვნების, ჩვენი თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანური ინდივიდუალობის გამოვლენის საშუალებათა, მშვიდობის დამკვიდრებისაკენ სწრაფვისა და ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლისათვის ხელისშეწყობის პატივისცემა, მიღება და სწორი გაგება. მაშასადამე, ტოლერანტობა ნიშნავს სხვებისათვის უფლების მიცემას იცხოვრონ თავისი ინდივიდუალური მსოფლმხედველობის შესაბამისად და გულისხმობს თავისუფალი არჩევანის და ადამიანის არა რომელიმე კონკრეტული არჩევანის პატივისცემას, არამედ მისი ზოგადი უფლებების პატივისცემას. თუმცა ამასთან ერთად, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ არსებობს დათმენის ზღვარი, ე.ი. გარკვეული მორალური მიჯნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ტოლერანტული ურთიერთობები ღირებულებებისადმი გულგრილობასა და „ყველაფრის დაშვებულობასთან” არ გავაიგივოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევს ჰერბერტ ჩესტერტონის მოსაზრების გაზიარება: „ტოლერანტობა – ეს არის იმ ადამიანების სათნოება, რომლებსაც არაფრის სწამთ”.

დასავლეთისაგან გადმოღებულ ტერმინ „ტოლერანტობას” ბევრი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის სხვა რწმენის, განსხვავებული ცხოვრების წესისა და მოსაზრებების მქონე ადამიანებისადმი დათმენა, მიმტევებლობა, შემწყნარებლობა, მშვიდობიანი თანაცხოვრება. მაგრამ ყოვლად მიუღებელია, როდესაც ამ ტერმინით სხვადასხვა სახის ცოდვებისადმი, რელიგიური ჭეშმარიტებისადმი, საუკუნეების განმავლობაში ჩვენ ქვეყანაში ჩამოყალიბებული ღირებულებებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებასა და ზნეობრივ ნიჰილიზმს ამკვიდრებენ.

დღეს ტოლერანტობაში უფრო ღირებულებათა აღრევა, საკუთარი იდენტურობის დაკარგვა მოიაზრება. ტოლერანტობა, უპირველეს ყოვლისა, იცავს მათ, ვისაც მყარი საკუთარი პოზიცია არ გააჩნია და სულიერად დაკნინებულია. მეორე მხრივ, ხშირად ამართლებს ყოველგვარ არატრადიციულსა და გაუკუღმართებულს. როდესაც ოპონენტს ბრალს ინტოლერანტობაში დებენ, ნორმად, ძირითადად, წარმოაჩენენ არა რასობრივი, ეროვნული ან რელიგიური უმცირესობებისადმი ტოლერანტობას, არამედ იმ უმცირესობათა მიმართ, ვინც განსხვავებული ცხოვრების წესით ცხოვრობს, რაც წარსულში ბიწიერად ითვლებოდა ანუ საუბარია ცოდვისადმი ტოლერანტობაზე. სხვა სიტყვებით, ტოლერანტობა გამოცხადებულია მორალურ ღირებულებად, მაგრამ იმავდროულად ის, რაზეც ის არის მიმართული, სიკეთე არ არის. ჭეშმარიტ ქრისტიანს მუდამ უნდა ახსოვდეს მოციქული პავლეს გაფრთხილება: „ნუ შეცდებით: ვერც მეძავნი, ვერც კერპთმსახურნი, ვერც მემრუშენი, ვერც ჩუკენნი, ვერც მამათმავალნი, ვერც მპარავნი, ვერც ანგარნი, ვერც მემთვრალენი, ვერც მაგინებელნი, ვერც მტაცებელნი ვერ დაიმკვიდრებენ

ღმრთის სასუფეველს" (1 კორ. 6: 9-10). ამ სიტყვებით მოციქული ქრისტიანებს ტოლერანტობას კი არ ასწავლის, პირიქით, ცოდვის მიუღებლობისადმი მოუწოდებს.

რელიგიური ტოლერანტობა მეტად ფაქიზი თემაა. ჩვენ დათმენისა და მიმტევებლობის ჭეშმარიტი მასწავლებელი გვყავს – მაცხოვარი, რომელმაც, ერთი მხრივ, გვითხრა: „ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგაა; და ვინც ჩემთან არა კრებს, – ფანტავს" (ლუკ. 11. 23) და ამ სიტყვებით ჭეშმარიტების ერთადერთობასა და უცილებლობაზე მიგვითითა; მეორე მხრივ, კი, მოციქულები შეაჩერა, რომლებიც მზად იყვნენ ეთხოვათ ზეციდან ცეცხლი გადმოეშვა და მოესრა სამარიელთა სოფელი, მაცხოვარი რომ არ მიიღეს: „არ იცით, რომელი სულისა ხართ. რადგან ძე კაცისა ადამიანთა სულების წარსაწყმედად კი არ მოვიდა, არამედ სახსნელად" (ლუკ. 9. 55-56).

მე შემიძლია პატივი ვცე სხვა რელიგიის წარმომადგენელს, მაგალითად, მუსლიმს, მის საუკეთესო ტრადიციებს: მას სწამს ერთი ღმერთის, აქვს სიკეთესა და ბოროტებაზე საკუთარი შეხედულებები, მისი რელიგია ასწავლის მოწყალების გაღებას, მოხუცების დაფასებასა და პატივისცემას, მოუწოდებს შრომისაკენ. უფრო მეტიც, არამარტო შემიძლია, არამედ ვალდებულიც ვარ. მაგრამ არ შემიძლია გავითავისო და პატივი ვცე მუსლიმის შეხედულებებს ქრისტეზე, სამოთხეზე, იმიტომ, რომ ისინი მცდარია. მე შემიძლია პატივი ვცე კათოლიკებს მათი ღვაწლისათვის, იმ დოგმატების, კანონებისა და ზნეობრივი შეხედულებებისათვის, რომლებიც მართლმადიდებლურს არ ეწინააღმდეგება. მაგრამ ვერ გავიზიარებ კათოლიციზმის სწავლებას განსაწმენდელზე, რომის პაპის უცოდველობის დოგმატსა და მოციქული პეტრეს განსაკუთრებულობას, რადგან ეს სწავლება ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება.

რელიგიურ ტოლერანტობას, ალბათ, სხვა კუთხითაც შეიძლება შევხედოთ. მაგალითად, ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა, სექტანტების მიმართ აშკარა შეუწყნარებლობას ავლენს. არადა ამ შემთხვევაში დათმენა უნდა გამოიხატებოდეს არა ეკუმენისტურ დაძმობილებაში, არა მსჯელობებში „ერთი მწვერვალისაკენ მიმავალ სხვადასხვა ბილიკებზე". ასეთი მსჯელობები ეკლესიისათვის მიუღებელია. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ამერიკელი მორმონი ან ჩვენებური იეჰოვას მოწმეც ადამიანია, ღვთის შვილია. დიახ, ჭეშმარიტ გზას აცდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ არასდროს უვლია ამ გზით და ჭაობიან უღრან ტყეში დახეტიალობს. მაგრამ ადამიანისათვის, რომლის მორმონი წინაპრებიც რამდენიმე თაობა ცხოვრობენ იუტას შტატში, ძალიან რთულია ორთოდოქსალურ აღმოსავლურ ქრისტიანობასთან მისვლა. გვაქვს კი მისი განკითხვის ან მოკვეთის უფლება?

დათმენა არ გულისხმობს მხოლოდ მოყვასის შეცდომების, ცოდვების, ნაკლოვანებების მოთმენასა და მიტევებას. მთავარია ეს ადამიანი არ გავრიყოთ, მივიღოთ, როგორც ჩვენიანი, ახლობელი და არა როგორც რაღაც განყენებული ნაკლოვანი არსება. გავაცნობიეროთ, რომ სხვა ადამიანი ყოველთვის სხვა სამყაროა, მის მიერ არჩეული განსხვავებული ცხოვრებისეული გზაა და ჩვენ არ გვაქვს არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება თავს მოვახვიოთ სამყაროსეული ჩვენი ხედვა, ვიკისროთ მსაჯულის როლი. რაც უფრო ზნესრულია ადამიანი, მით უფრო დამთმენია.

ბრიტანელი ფილოსოფოსისა და პოლიტიკური მოღვაწის ჯონ სტ. მილის ზიანის პრინციპის მიხედვით, „ერთადერთი მიზანი, რომელიც ამართლებს კაცობრიობის (ინდივიდუალურის ან კოლექტიურის) ჩარევას ნებისმიერი ადამიანის ქმედებების თავისუფლებაში, თავდაცვაა. ერთადერთი მიზანი, რომლისთვისაც შესაძლებელია ძალის გამოყენა ცივილიზებული საზოგადოების ერთ-ერთი წევრის მიმართ მისი ნების საწინააღმდეგოდ, სხვებისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებაა. მისი საკუთარი სიკეთე, ფიზიკური ან მორალური, საკმარის მტკიცებულებას არ წარმოადგენს" (2, 12). ამ პრინციპის დაზუსტების შემთხვევაში აუცილებლად მივალთ ადამიანის განუსხვისებელ უფლებებთან, საზოგადოებაში მშვიდობისა და სტაბილურობის საფუძვლებთან. შეუძლებელია ტოლერანტული იყო მათთან, ვინც ეყრდნობა რა პლურალიზმსა და ტოლერანტობას, თავისი მსჯელობებითა და ქმედებებით არღვევს ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე, ანგრევს საზოგადოებრივი წესრიგის საფუძვლებს, აღვივებს რელიგიურ და ნაციონალურ შუღლს.

რამდენად შესაძლებელია ტოლერანტობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, განსაკუთრებით რელიგიური ტოლერანტობის შემთხვევაში? ამ რთულ გზაზე ერთი რამ არის გასათვალისწინებელი – კანონი იმდენად არის სამართლიანი, რამდენადაც მორალურია და ემსახურება ერის თვითშეგნებისა და ეთნოფსიქოლოგიის შენარჩუნებას.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბიბლია, თბ., 1988;
2. მილი ჯ, თავისუფლების შესახებ (ინგლისურიდან თარგმნა, ა.ფრიდმანმა), გამოქვეყნებულია ჟურნალ „Наука и жизнь“, მ., 1993. N 11.;
3. პონომარიოვა ვ., წყარო: https://shkolazhizni.ru/psychology/articles/26866/;
4. ხიუნიაკი ა.ვ., ტოლერანტობის ლაბირინთები, ხარკოვი, 2014;
5. ჰაბერმასი იუ., როდის უნდა ვიყოთ ტოლერანტები? სამყაროს ხედვის კონკურენციის, ღირებულებებისა და თეორიების შესახებ, მოსკოვი, 2006.

თამარ ფანცულაია

ტოლერანტობა – დათმენა

რეზიუმე

დათმენა არ გულისხმობს მხოლოდ მოყვასის შეცდომების, ცოდვების, ნაკლოვანებების მოთმენასა და მიტევებას. მთავარია ეს ადამიანი არ გავრიყოთ, მივიღოთ, როგორც ჩვენიანი, ახლობელი და არა როგორც რაღაც განყენებული ნაკლოვანი არსება. გავაცნობიეროთ, რომ სხვა ადამიანი ყოველთვის სხვა სამყაროა, მის მიერ არჩეული განსხვავებული ცხოვრებისეული გზაა და ჩვენ არ გვაქვს არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება თავს მოვახვიოთ სამყაროსეული ჩვენი ხედვა, ვიკისროთ მსაჯულის როლი. რაც უფრო ზნესრულია ადამიანი, მით უფრო დამთმენია.

Tamar Pantsulaia

Tolerance and Patience

Summary

Patience does not mean only to endure and forgive mistakes, sins and deficiencies of a neighbor. The main thing is not to repudiate this person but to accept him as a near and not to treat him like something abstract or defective. We should realize that the other person is always the other world, it's a different way of life chosen by him and we have neither moral nor legal right to dictate our viewpoints and bear a role of a judge. The more a person is moral, the more patient he is.

ნინო ყუფარაძე

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ქრისტიანულ ღირებულებით ორიენტაციებში

ქრისტიანული ეთიკური აზრის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე ღვთის მიერ ბოძებული უდიდესი მადლია, რომელიც ყველა დანარჩენი ფიზიკური და სულიერი ღირებულების აუცილებელ წანამძღვარს წარმოადგენს. ინდივიდი და საზოგადოება მორალურად პასუხისმგებელია მის დაცვასა და გაგრძელებაზე, ადამიანური სიცოცხლის სხვა ღირებულების სრულყოფაზე. შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანული ეკლესია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მორწმუნეთა ჯანმრთელობის დაცვას – ნათლობის, ზიარების, ზეთისცხების წმინდა საიდუმლო ტარდებოდა, როგორც ადამიანის სულისა თუ სხეულის განმკურნებელი, გამაჯანსაღებელი რიტუალი, რადგან „სული (გონი), სამშვინველი (სული) და სხეული უბიწოდ დაცულ იქნეს მთელი სავსებით უფლის ჩვენის იესოს ქრისტეს მოსვლისას" – ბრძანებს წმინდა მოციქული პავლე (1 კორ. 15, 44).

ცნობილია, რომ ქრისტიანული ანთროპოლოგია ადამიანში განიხილავს სამ მოცემულობას: სულს (გონს), სამშვინველს (სულს) და სხეულს. `არის სხეული მშვინვიერი (სულიერი) და არის სხეული სულიერი (გონითი)" (1 კორ. 15,44). შესაბამისად, ქრისტიანობა აღიარებს ავადმყოფობის სამ ფორმას: სხეულისმიერს, ფსიქიკურს და სულიერს. ამასთან, წმინდა წერილი და თანამედროვე სამედიცინო გამოკვლევები ერთხმად ადასტურებენ, რომ ავადმყოფის ფიზიკური და სულიერი მხარეები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან,რის შესახებაც ჯერ კიდევ 1818 წელს მიუთითებდა გამოჩენილი გერმანელი ექიმი ჰეინტროტი. მან პირველმა შემოიტანა ტერმინი „ფსიქოსომატიკა", რომლის ქვეშაც მოიაზრებოდა ის მტკიცებულებანი, რომლის თანახმადაც, ფსიქო-პათოლოგიური სიმპტომებისა და ფსიქიკურ დაავადებათა უდიდესი ნაწილი ნევროლოგიური ან სომატური პათოლოგიების ფონზე წარმოიშობა და პირიქით – მთელი რიგი სომატური დაავადებების გაჩენაში პრიორიტეტული როლი ეკისრება ფსიქოემოციონალურ ფაქტორებს; ანუ ზოგადად, სომატური პათოლოგია ფსიქიკური პროცესების თავისებურ რეზონანს წარმოადგენს და პირიქით (6, 47).

ქრისტიანული რწმენის თანახმად, სულისა და სხეულის კავშირი მუდმივი კავშირია; სიკვდილი მხოლოდ დროებითი მოვლენაა და სულის სხეულის გარეშე არსებობა არ წარმოადგენს მის საბოლოო მდგომარეობას. და რადგან ოდესმე ყველა სხეული აღსდგება სულთან ერთად სამუდამო სიცოცხლისთვის, ამდენად ქრისტიანისათვის ზრუნვის საგანია არამხოლოდ სული, არამედ სხეულიც: `ყველანი უნდა წარვსდგეთ მსჯავრის წინაშე, რათა თითოეულმა მიაგოს კუთვნილი იმის მიხედვით, თუ რას იქმოდა, სხეულში მყოფი" (2 კორ. 5,10) ადამიანები, რომელნიც ბილწავენ „ხორცს... მარადიული ცეცხლით [იქმნებიან] დასჯილნი" (იუდ. 8, 7).

რაში ხედავს ქრისტიანობა ადამიანის სულისა და სხეულის ავადმყოფობის მიზეზს და როგორია დამოკიდებულება მათი განკურნებისადმი? რატომ ხდება, რომ ავადმყოფობა, რომელიც ვნებს ადამიანის სხეულს (ორგანიზმს), ასე თუ ისე უარყოფით გავლენას ახდენს მის ფსიქიკაზე და პირიქით?

სამედიცინო განმარტებით, სხეულისმიერი (სომატური) ის დაავადებებია, რომელთაც საფუძვლად უდევს ორგანიზმის ქსოვილთა სტრუქტურის ცვლილება, რომელიც ორგანოთა ან სისტემათა ნორმალური მუშაობის დაქვეითებას ან დაკარგვას იწვევს; ხოლო ფსიქიკური დაავადებები დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკის ცვლილებასთან, რომელიც ვერ თავსდება ადამიანური ქცევისა და აზროვნების საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებში. ფსიქიკურ დაავადებათა შორის გამოჰყოფენ : 1. დაავადებებს, რომელთაც აქვთ არა ფსიქიკურ, არამედ გენეტიკურ (ან სხვა) დარღვევებთან დაკავშირებული წარმომავლობა (მაგ. შიზოფრენია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი) და 2. დაავადებებს, რომელთაც მიეკუთვნება ფსიქიკის ე.წ. ნევროზისმიერი აშლილობანი. (მაგ.ნევრასტენია, ისტერია, ფსიქოპათიის, დეპრესიის ზოგიერთი ფორმა, და სხვა.) ქრისტიანი მამები საუბრობენ ე.წ. სულიერ დაავადებებზეც, რომლის დროსაც იტანჯება ადამიანის გონი (სული), ხოლო მასთან ერთად, არაიშვიათად – ფსიქიკა და სხეული. აღიარებულია სულიერი დაავადების ისეთი განსაკუთრებული ფორმების არსებობასაც, რომლის დროსაც ადგილი აქვს ადამიანის გონის (სულის) ბოროტი (ეშმასეული) ძალებით შეპყრობას. ამგვარი, ე.წ. ბნედითშეპყრობილი

ადამიანის ავადმყოფობის სიმპტომები (აგრესია, კრუნჩხვები) ყველაზე უკეთ წარმოჩინდება ეკლესიაში სხვადასხვა სიწმინდეების შეხებისას, ღვთისმსახურების დროს, და ა.შ. (6, 65). საღვთო წერილში მრავლადაა საუბარი ამგვარი ძალებით შეპყრობილ ადამიანებზე.

ქრისტიანული რწმენის თანახმად, ადამიანის ნებისმიერი დაავადება (სულიერი, ფსიქიკური და სხეულებრივი) ადამიანის ცოდვით დაცემის შედეგია და მათ სულიერი მიზეზი აქვს; ანუ ნებისმიერი პათოლოგიის გასაგებად აუცილებელია მისი განხილვა სულიერი საწყისის პოზიციიდან, რის შემდეგაც ადვილად ვიპოვით ადამიანის ტანჯვისა და ავადმყოფობის საფუძველს (თუმცა, არ არის უარყოფილი დაავადების „ფიზიოლოგიური" მიზეზის არსებობაც). ამასთან, ადამიანის სხეული (ან სული) არ შეიძლება დაავადდეს მისი დანარჩენი „ნაწილებისაგან" იზოლირებულად, თითოეული დაავადების „ბუნებაში" წარმოჩინდება ფსიქოპათოლოგიური (და შესაბამისად – სომატური) სიმპტომები.

საღვთო წერილის თანახმად, პირველყოფილ ცოდვითდაცემამდე ადამიანებს არ ჭირდებოდათ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა და მკურნალობა. ცოდვითდაცემის შემდეგ შეიცვალა ადამიანის გონის (სულის) ყველა თვისებრიობა, ხოლო რამდენადაც სული განაგებს სხეულს, შესაბამისად ცვლილებები მოხდა ადამიანის სხეულშიც. ცოდვით დამძიმებულ სულს არ შეუძლია „მართოს" უცოდველი, ჯანმრთელი სხეული, ისიც შეიცვალა და დაემორჩილა ავადმყოფობას, დაბერებას და სიკვდილს. „ცოდვის საზღაური არის სიკვდილი" – ბრძანებს წმინდა მოციქული პავლე (რომ. 6, 23). ცხადია, ადამიანი ვერ ამჩნევს ჩადენილი ცოდვის ზემოქმედების მექანიზმს, მაგრამ აუცილებლად დაინახავს მის შედეგს – „ვინც სცოდავს, დაე ის ჩავარდეს მკურნალის ხელში" (ზირ. 38, 15). ავადმყოფობის წარმოშობა, როგორც ცოდვის სომატიზმის პროცესი, სქემატურად შეიძლება ასე გამოვსახოთ: ცოდვა – ადამიანის ხასიათი – ავადმყოფობა (7, 8)

ამ სქემის საილუსტარაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ფართოდ გავრცელებული დაავადების მაგალითი, როგორიცაა ნევროზი, რომელშიც ნათლად ჩანს კავშირი ადამიანის სულიერებასთან, მის ზნეობრივ არასიჯანსაღესთან (მრისხანება, ამპარტავნება, ან მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, სასოწარკვეთა და სხვა). ის ადამიანში წარმოშობს სხვადასხვა ვნებებს, მიდრეკილებებს, ახდენს მისი ემოციის, ნების დეზორგანიზებას, რითაც შესაფერის ნიადაგს ქმნის ფსიქიკური აშლილობისათვის.

ძველ აღთქმაში მრავლადაა საუბარი ადამიანთა მანკიერებებზე, მათ მიერ ჩადენილ ცოდვებზე, რომელიც სხვადასხვა დაავადების „მიზეზს" წარმოადგენს. მათ შორისაა, მაგალითად, ნაყროვანების ცოდვა. მედიკოსთა დაკვირვებებიც მოწმობს, რომ ზედმეტი საკვების მიღება, ჭარბი წონა მრავალი დაავადების წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს. ''... ბევრი ჭამისაგან ჩნდება სენი, გაუმაძღრობით მრავალი აღესრულნენ, თავშეკავებული კი სიცოცხლეს იხანგრძლივებს" (ზირ. 37, 29-31).

მრუშობის, პროსტიტუციისა და ჰომოსექსუალიზმის ცოდვათა სხვადასხვა დაავადებებთან უშუალო კავშირის ნათელი მაგალითია აივ-ინფექციის პანდემია. ამ მძიმე ცოდვისთვის უფალი მკაცრად სჯის ადამიანებს. „ერიდეთ სიძვას: ყოველი ცოდვა, სხეულის გარეშეა; ხოლო მეძავი საკუთარი სხეულის მიმართ სცოდავს" (1 კორ. 6, 18).

ადამიანის ავადმყოფობის „მიზეზთა" შორისაა დასახელებული აგრეთვე ადამიანური შური („მანუგეშებელი გული ხორცის სიცოცხლეა, შური კი ძვალთა ლპობა"(იგავ. 14,30); ასევე – სიმდიდრის სიყვარული – „ყოველი ბოროტების ფესვი ვერცხლისმოყვარეობაა, რომლითაც რწმენას განუდგა და თავს დაატეხა ურიცხვი ჭირი" (1 ტიმ. 6, 10).

ამგვარად, სამოთხეში ცხოვრების „უფლებასთან" ერთად დაკარგეს ადამიანებმა ჯანმრთელობა და უკვდავება, ხოლო მოიპოვეს ავადმყოფობა, ტანჯვა და სიკვდილი, რომელთაც უფალი „უგზავნის" ადამიანებს ჩადენილი ცოდვების პასუხად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქრისტიანული რელიგია ადამიანის განკურნების შესაძლებლობას მხოლოდ ეკლესიაში ხედავს და წინააღმდეგია მედიკამენტოზური მკურნალობისა და მედიცინისა. მაგრამ ეს ასე არ არის. ქრისტიანული ეკლესია არასოდეს უარყოფდა ავადმყოფისთვის ექიმის დახმარებასა და მედიკამენტების გამოყენების აუცილებლობას. „უფალმა შექმნა წამლები და გონიერი კაცი არ უგულებელყოფს მას....მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან არის ჟამი, როცა მათ ხელშია მათი წარმატება" – გვასწავლის სიბრძნე ზირაქისა (38, 2, 4).

უფრო მეტიც, მედიცინასა და რელიგიას იმთავითვე ერთი მიზანი ჰქონდათ – განეკურნათ „დაცემული" ადამიანი, თუმცა სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ ამის მიღწევას. საუკუნეების

მანძილზე მედიცინა ეკლესიის წიაღში ვითარდებოდა, რამდენადმე გვიან კი გამოეყო მას და ზოგიერთ შემთხვევაში, დაუპირისპირდა კიდეც. რელიგიისაგან „გათავისუფლებული" მედიცინა უშურველად იბრძვის ადამიანის განკურნებისათვის, მაგრამ არ ითვალისწინებს მარადიულ, სუბსტანციურ სულსა და სხეულს შორის არსებულ ურთიერთკავშირს და უყურადღებოდ ტოვებს იმ უმთავრესს, რაც ადამიანის სხეულში პათოლოგიურ პროცესებს „წარმართავს" – ეს არის ადმიანის გონი და სული (4,24).

თავად იესო ქრისტემ არა თუ უარყო ექიმისა და მკურნალობის როლი ადამიანის გამოჯანმრთელების საქმეში, არამედ პირიქით – აღიარა, რაც ნათლად გამოვლინდა მისი, როგორც მკურნალის მოღვაწეობაში. „კარგად მყოფთ კი არ სჭირდება მკურნალი, არამედ ავადმყოფთ" (მათ. 9, 12) – ბრძანებდა იგი; მაგრამ მაცხოვარი მკურნალობის პროცესში აღიარებდა ადამიანის გონის, სულის აუცილებელ მონაწილეობას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიკურნოს. იესო ქრისტე ასე მიმართავდა მათ: „ადამიანებო მოგეტევება შენი ცოდვები!" (ლუკ. 5, 20), რაც იმას ნიშნავდა, რომ უფალი, მიუტევებდა რა ავადმყოფს ჩადენილ ცოდვებს, ამით აღადგენდა მის სულიერ ჯანმრთელობას, ხოლო ამის შედეგად დაიწყებოდა მისი ხორციელი ჯანმრთელობის აღდგენა. ამიტომ ყოველთვის, როცა ადამიანი ექიმს მიმართავს, გარდა იმ ფიზიკური საშულალებებისა, რასაც იგი დანიშნავს, ავადმყოფმა უნდა იფიქროს სულიერ სიჯანსაღეზეც (4, 25).

ნიშანდობლივია, რომ სამედიცინო ეთიკის ისტორიაც ამ მოსაზრების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. მისი ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია რელიგიურ მორალთან მჭიდრო კავშირზე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამედიცინო ცოდნის გარდა მედიკოსი რელიგიურობით გამორჩეული პიროვნებაც უნდა ყოფილიყო, რადგან იგი მიიჩნეოდა არა მხოლოდ სხეულის, არამედ სულის მკურნალადაც. სწორედ ასეთი ექიმების ხელით ჰკურნავს უფალი ავადმყოფებს.

ამრიგად, ნამდვილი განკურნება ადამიანისაგან, პირველ რიგში, ზნეობრივ ძალისხმევას მოითხოვს. ადამიანმა უნდა გააძლიეროს განცდა „თვისთა ცოდვათა "და აღიაროს, რომ ყოველივე საკუთარ შეცდომათა გამო მოიწია, მაშინ უფალი შეისმენს მას, ცოდვებს მიუტევებს და სულიერად გააჯანსაღებს, სულიერ გაჯანსაღებას კი, შესაბამისად, ხორციელი გაჯანსაღებაც მოჰყვება და მკურნალობაც კეთილად წარიმართება (5, 44).

ამ მოსაზრებათა ჭეშმარიტებას ადასტურებს სამედიცინო პრაქტიკაც. არაერთი ექიმი აღიარებს, რომ მხურვალე ლოცვის, მარხვისა და წმინდა საიდუმლოებების შესრულებას (აღსარებას, ზიარებას, ზეთისცხებას) ხშირად მოსდევს დაავადებების კლინიკური სურათის შერბილება: გართულებების, სამკურნალო პრეპარატების გვერდითი მოვლენების თავიდან აცილება, ტკივილის შემსუბუქება, და სხვა. ხშირია შემთხვევები, როცა რადიკალურად იცვლება ავადმყოფის მდგომარეობა – იგი იკურნება არა მხოლოდ სიმპტომებისაგან, არამედ თავად დაავადებისაგანაც (6, 71). ამასთან,ქრისტიანი მამები არ უარყოფენ იმ ფაქტს,რომ ცოდვის სომატიზაციის ზემოთ აღნიშნული „სქემა" დაავადებების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მიესადაგება. ცხადია, ბევრი მათგანის არსი ჩვენთვის უცნობია. მაგრამ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა იციან, რომ ყველაფერი, რაც ადამიანს თავს დაატყდება, ღვთის გარკვეული „ჩანაფიქრისა" და ნების შედეგია, რომელსაც აუცილებლად მივყავართ ჩვენივე ხსნისაკენ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი უბედურება, მწუხარება, ავადმყოფობა დაკავშირებულია ჩვენს რწმენასთან და იმასთან, თუ როგორ `მივიღებთ" ჩვენზე მოვლენილ განცდებს _ მივიღებთ მორჩილებით, სინანულითა და გამოსწორებით, თუ _ უკმაყოფილებით, სამდურავით და მცდელობით, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს სწრაფად განვიკურნოთ ისე, რომ არად ჩავაგდოთ ჩვენი სულიერი გამოსწორება.

ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, უფალი ავადმყოფობას ყოველთვის თავისი განგებულობის აღსრულების იარაღად იყენებს. წმინდა თეოფანე დაყუდებული ამის შესახებ გვასწავლის: „ავადმყოფობას ღმერთი ზოგს სასჯელად მოგვივლენს, ზოგს განსასწავლად იმისათვის, რომ გონს მოვიდეს, ზოგს – რათა იხსნას უბედურებისაგან, რომელშიც ჯანმრთელი აუცილებლად ჩავარდებოდა, ზოგს იმისთვის, რომ ღვთის წინაშე მოთმინება აჩვენოს და ამით უმეტესი ჯილდო დაიმსახუროს, ზოგს ყოველგვარ ვნებათა განსაწმენდლად და სხვა მიზეზთა გამო". (4, 27).

ხანდახან უფალი კეთილმსახურ ადამიანზეც უშვებს განსაცდელს (მართალი იობის მაგალითი ძველი აღთქმიდან), რათა ამგვარად ის არ დაშორდეს იმ ძალასა და მადლს, რაც მას ღვთისაგან აქვს მიცემული, ან სხვებისთვისაც გაცხადდეს მათში დაფარული სათნოება. ზოგიერთი ადამიანი შეიძლება იტანჯებოდეს

მძიმე სნეულებისაგან სხვათა გამოსწორების მიზნით, რადგან მისი მდგომარეობის ხედვამ სხვები სწორ გზაზე დააყენოს.

ადამიანი შეიძლება დაავადდეს ღვთის სადიდებლადაც. როდესაც იესო ქრისტეს მოწაფეებმა ერთ-ერთი ბრმადშობილის შესახებ ჰკითხეს, თუ რა იყო მისი სიბრმავის მიზეზი, მაცხოვარმა უპასუხა: „არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს, არამედ რათა ღმერთის საქმენი გამოვლინდეს მასზე" (იოან. 9, 2-3).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქრისტიანული მართლმადიდებელი რწმენის თანახმად, ავადმყოფობა ადამიანს განსაკუთრებულ ვითარებაში აყენებს,რომელიც უნდა გავიგოთ, როგორც ღვთის „მოწოდება" – სინანული იმ ცოდვათა განსაწმენდლად, რომელთაგან თავის დაღწევას იგი ვერ შესძლებდა ან ღვაწლი, რომლითაც ადამიანი მოწამის „გვირგვინს" მოიხვეჭს. სწორედ ამაში მდგომარეობს არსი ქრისტიანული შეხედულებისა ავადმყოფობაზე, როგორც „ღვთის მოწოდებაზე". სულის უპირატესობაზე კი იესო ქრისტე ბრძანებს: «რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელ ქვეყანას, და სულს კი წააგებს?" (მათ. 16, 26), „ნუ გეშინიათ იმათი, ვინც ჰკლავს ხორცს, არამედ უფრო გეშინოდეთ იმათი, ვისაც შეუძლია სულიცა და ხორციც წარწყმიდოს გეენას" (მათ. 10, 28).

ამრიგად, ყველა დაავადების მიზეზს ქრისტიანული რელიგია ადამიანთა ცოდვით დაცემაში ხედავს და თვლის, რომ მათი განუხრელი ზრდა გამოწვეულია არამხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამდევი მოვლენების მიზეზით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ზოგადსაკაცობრიო ცოდვითდაცემის „პროგრესით". თანამედროვე კაცობრიობა მოექცა ზნეობრივ ჩიხში და ფიზიკური და მორალური თვითგანადგურების წინაშე აღმოჩნდა. მიზეზი კი ერთია – ღვთისაგან განდგომა და უსასრულო ცოდვაში ჩაძირვა, რის შედეგადაც ადამიანმა დაკარგა ყოფიერების სულიერი ფუნდამენტი და ცხოვრების ჭეშმარიტი საზრისი. „ნუ ემსგავსებით ამ ქვეყანას, არამედ გარდაიქმენით თქვენი გონების განახლებით,. რათა შეიცნოთ, რა არის ნება ღმრთისა"(რომ.12,2). "ნება ღმრთისა" კი თითოეული ჩვენთაგანისათვის კარგად არის ცნობილი: „თითოეული კაცი, აგრეთვე მთელი კაცობრიობა თანდათან უნდა წინ მიდიოდეს სათნოებასა, ზნეობასა, პატიოსნებასა შინ შემწეობითა იმ საღმრთო სჯულისა, რომელი მოგვცა ჩვენ ღმერთმან: იყავით თქვენ სრული, ვითარცა მამა თქვენი ზეციერი სრულ არს!" (5, 35).

თანამედროვე „მოდერნიზებულ'' ცოდვათა ხანაში მყოფ ადამიანს გადარჩენა მხოლოდ ღმერთთან კავშირში შეუძლია, რომელიც არასოდეს ტოვებს მარტო თავის `უძღებ შვილს", რადგან „მხოლოდ [იგია] ჩემი ბურჯი და ჩემი სიმაგრე. ჩემი ღირსება სიმაგრე ჩემი ძალისა და თავშესაფარი ღმრთის მიერაა. ღმერთისაგანაა ჩემი იმედი" (ფსალ. 61, 6-8).

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ბიბლია. თბ., საქართველოს საპატრიარქო. 1989;
2. ბრეგაძე ა. რელიგიური გონი. „ფილოსოფიური ძიებანი". თბ.2005. №9 გვ. 253-261;
3. მამულაშვილი ბ. ბიოეთიკა. თბ.2017;
4. პრევენცია,კულტურა,კომუნიკაცია. სამედიცინო ჟურნალი. თბ.2002. №1,2;
5. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა. თბ. 1989. ტ.1,2;
6. Авдиев Д.А. Причины психических заболеваний. М. 2002;
7. Иеромонах Анатолий (Берестов). Грех, болезнь и исцеление. М.2000.

ნინო ყუფარაძე

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ქრისტიანულ ღირებულებით ორიენტაციებში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მედიცინისა და ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. ქრისტიანული რწმენის თანახმად, ადამიანის ავადმყოფობა მისი „ცოდვათდაცემის" შედეგია, და, აქედან გამომდინარე, განკურნების პროცესში (სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობასთან

ერთად) მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მის სულიერ (ფსიქიკურ) გაჯანსაღებას, რაც გულისხმობს ცხოვრებისეული პოზიციის გააზრებას და შეცვლას, სიქველეს, წმინდა წიგნების კითხვას, გულწრფელ მონანიებას, მხურვალე ლოცვას, მარხვას, და სხვა.

Nino Kuparadze

Christian Comprehensions About Health and Illness

Summary

N.Kuparadze in her work talks about the questions conserned to the relaitions between medicine and religion, disease and human sins and about the question – the origin of any disease (that is considered by Christian religion as human beings' fall in sins) Christianity doesn't ignore the role of medical aid, but at the same time it recognizes the necessity of recovering of conscious spirit for the first time (that, in its side,should be achieved by changing of lifestyle of human beings,making good, saving Bible studies, frank confession of their sins, keep the fast, praying and so on). This is the only thing that should be considered as the possibility of real and fool convalescent of human beings

ავტორები

ნონა ახალაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ვენედი ბენიძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

მაკო გაგნიძე, ი. ბოკერიას სახელობის ნეიროგანვითარების ცენტრი, ქცევითი თერაპევტი-სუპერვაიზერი

ლადო გრიგოლია – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი

დავით ვეკუა – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

დავით ზურაბაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

სიმონ (ამირან) თავართქილაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

ანა ირემაშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

ნიკო კვარაცხელია – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, პროფესორი

მართა კლდიაშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

ანი კოპალიანი – ი. ბოკერიას სახელობის ნეიროგანვითარების ცენტრი, ქცევითი თერაპევტი.

ზურაბ ლაოშვილი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

გივი ლობჟანიძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

დავით ლობჟანიძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნინო მელითაური – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასისტენტი

თამარ მერაბიშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

მარინა მენთეშაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მასწავლებელი

ალექსანდრე რუსეცკი – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. თბილისის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი, ხელმძღვანელი

გიორგი სახოკია – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი

დავით სუხიტაშვილი – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ედიშერ ფუტკარაძე – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

გიორგი ფარულავა – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფესორი

თამარ ფანცულაია – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ნინო ყუფარაძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი

ლიკა შენგელია – გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, მოწვეული სპეციალისტი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი

AUTHORS

Nona Akhalashvili – Associate Professor, the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate
Venedi Benidze – Professor, Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Nino Bochorishvili – Associate Professor, Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University`
Mako Gagnidze- Behavior Therapist-Supervisor, -I.Bokeria Neurodevelopment Centre
Lado Grigolia – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Doctor's degree program students
Davit Vekua –n Associate Professor, Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Davit Zurabashvili – Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Simon (Amiran) Tavartkiladze – Professor, Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University
Ana Iremashvili, Georgian Technical University**,** Doctor's degree program students
Niko Kvaratskhelia – Professor, the Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate
Marta Kldiashvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist
Ani Kopaliani – Behavior Therapist**, I.Bokeria** Neurodevelopment Centre
Zurab Laoshvili _ Professor, Georgian Technical University
Givi Liobzhanidze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Professor
Davit Lobzhanidze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor
Nino Melitauri – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Assistant
Tamar Merabishvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist
Marina Menteshashvili – Ivane Javakhishvili Tbilisi State University, teacher
Alexander Rusetski – Caucasus International University, Head of the Georgian Geopolitical Modeling Lab, Tbilisi International Relation Institute, Director
Giorgi Sakhokia – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist
Davit Sukhitashvili – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor
Edisher Putkaradze – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor
Giorgi Parulava – Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Professor
Tamar Pantsulaia – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, Associate Professor
Nino Kuparadze – Tbilisi State Medical University, Associate Professor
Lika Shengelia – Guram Tavartkiladze Tbilisi Teaching University, invited specialist, Doctor's Degree Program student at Georgian Technical University.

.

ფასი სახელშეკრულებლო

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com